

ხელი ჩამოვა დასახურება



13

မြန်မာ အမျိုးသမား ရန်ပြည့်  
မြန်မာ - လျော် ၁၃၂ ဒါနပါဒီ  
၁၃၂ ဒါနပါဒီ မြန်မာ ရန်ပြည့်  
မြန်မာ အမျိုးသမား ရန်ပြည့်  
မြန်မာ အမျိုးသမား ရန်ပြည့်  
မြန်မာ အမျိုးသမား ရန်ပြည့်  
မြန်မာ အမျိုးသမား ရန်ပြည့်

23. 07. 19

# სანამ ჩირუები დაინისტრიროს

თბილისი  
2021

წინამდებარე მოგონებების კრებული ასახავს პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ლირსეულად განვლილ ცხოვრების გზას. აქ მას დიდი სიყვრულით იგონებენ მისი კოლეგები და მადლიერი სტუდენტები. გვსურდა ამ მოგონებებით სამუდამოდ ჩვენთან დაგვეტოვებინა და თქვენთანაც, ძვირფასო მკითხველო, ჩვენთვის მეტად ძვირფასი და ღვაწლმოსილი მასწავლებელი, ამაგდარი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, სანიმუშო მეგობარი და გულანთებული პატრიოტი ტარიელ ფუტკარაძე.

**რედაქტორები:** გაბრიელ თაგაური  
ანა მამუკაშვილი  
ანი ცუხიშვილი

**გარეკანის დიზაინი:** მანანა ყიფშიძე

**გამომცემლობა „საარი“, 2021**

ISBN: 978-9941-493-12-6

## სარჩევი

<b>წინასიტყვაობა</b> .....	7
<b>პიოგრაფია</b> .....	10
<b>კოლეგები</b>	
როლანდ აბულაძე .....	19
ივანე ამირხანაშვილი .....	20
ამირან არაბული .....	22
ლევან ბებურიშვილი .....	27
მაკა ბერიძე .....	29
მერაბ ბერიძე .....	31
გულიკო ბექაური .....	33
თამარ გელიტაშვილი .....	35
კესო გეჯუა .....	37
ეკა დადიანი .....	41
სერგო ვარდოსანიძე .....	43
ნინო ზალიშვილი .....	45
მარიკა თედორაძე .....	48
სოფიო კეკუა .....	50
მიხეილ ლაბაძე .....	54
ნათელა მელიქიძე .....	59
თინათინ მილორავა .....	61
საიდ მულიანი .....	63
დიმიტრი ნადირაშვილი .....	67
თამარ ნინიძე .....	69
რუსუდან საღინაძე .....	72
გიორგი სოსიაშვილი .....	76
მანანა ტაბიძე .....	86
მაია ქუქჩიშვილი .....	89
რიტა წაქაძე .....	91
ლუიზა ხაჭაპურიძე .....	93
ლევან ჯიქია .....	97
<b>სტუდენტები</b>	
ირმა აბესაძე .....	101
თამარ ახალგვაცი .....	102
ანა ბეგაშვილი .....	104
თამარ ბედუკაძე .....	106
მარიანა გელაშვილი .....	110
ია გელბახიანი .....	111

მაია გრიგალაშვილი .....	113
მაგდა გულბანი .....	114
ჯულიეტა ელბაქიანი .....	115
თეა ვარდოსანიძე .....	116
დიანა ვოლკოვი .....	118
გაბრიელ თაგაური .....	119
თეა თათენაშვილი .....	133
თაკო თეთვაძე .....	134
მარიამ იაკობაშვილი .....	136
დუდი კვალიაშვილი .....	139
მარიამ კვერდელიძე .....	140
თამარ კირკიტაძე .....	141
ნინო კირკიტაძე .....	142
მარიამ კორკოტაძე .....	144
თეონა ლომიძე .....	145
სალომე მათიაშვილი .....	146
ანა მამუკაშვილი .....	147
თეონა მაჭავარიანი .....	150
თამარ მილორავა .....	151
ნინო მჟავანაძე .....	153
ვენერა წებიერიძე .....	155
ხატია ნოზაძე .....	156
მარიამ პაპაშვილი .....	158
ანა პაპუნაშვილი .....	160
სალომე სანიკიძე .....	162
მაკა სირაძე .....	164
მაკა ფარქოსაძე .....	168
მაია ქვთარაძე .....	169
რუსულან ყაულაშვილი .....	170
შოთა ყურუა .....	171
მარიამ შალამბერიძე .....	175
ლილი შაყულაშვილი .....	176
ნინი ჩეკურიშვილი .....	178
ნინო ჩილოშვილი .....	180
რუსულან ჩორგოლაშვილი .....	182
ანი ცუხიშვილი .....	184
ფიქრია ჭანტურია .....	189
ნინი ხატიაშვილი .....	194
ნაზი ხუციშვილი .....	195
თეონა ჯალალონია .....	197
ფოთოს ურათეგი .....	199

## ნინასიტყვაობა

სიცოცხლეში დაფასებული ადამიანი გარდაცვალების შემდეგ ორმაგად ფასობს, რადგან მისი ცხოვრების გზა, მის მიერ აღსრულებული საქმეები, და, ზოგადად, ყველაფერი, რაც მას უკავშირდება, ადამიანებისათვის სამაგალითოა და არც მარტივად დასავინყებელი.

ტარიელ ფუტკარაძემ – შვილმა, მშობელმა, დიდმა პატრიოტმა და კიდევ უფრო დიდმა ენათმეცნიერმა, თავისი ცხოვრება სასაქართველოს საქმეების კეთებას დაუთმო: საქართველოს კეთილდღეობაზე ზრუნვას, ქართული ენის კვლევა-ძიებასა და დაცვას, ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ქართველ ხალხთან (რომელთაც წლების წინ წინაპრები გადაუსახლეს სხვადასხვა მხარეს...) ურთიერთობასა და გზის ძიებას მათ სამშობლოში დასაბრუნებლად. იგი იყო (როგორ გვიჭირს ამ სიტყვის დაწერა..), პირველ რიგში, პიროვნება, რომელთან ურთიერთობითაც ვსწავლობდით ძალიან ბევრ ცხოვრებისეულ გაკვეთილს, ვიღებდით უამრავ სწორ რჩევა-დარიგებას, ამასთან, ის იყო დიდი მასწავლებელი, რომლის თითოეული მოსწავლე (სტუდენტი) დღესაც თავანეული, სიამაყით ამბობს: „მე მქონდა ამის ბედნიერება – ვიყავი ბატონი ტარიელის სტუდენტი“.

ტარიელ ფუტკარაძის მეგობრებში ვხვდებით ყველა ასაკის პიროვნებას, რაც მის დიდსულოვნებას უსვამს ხაზს. ალბათ, იკითხავთ – როგორ? ამ კითხვაზე პასუხი მარტივია: იგი აფასებდა პიროვნულ ღირსებებსა და ურთიერთობებს, ადამიანობას. აქვე აღვინიშნავთ, რომ იგი ადამიანს ყოველთვის უწვდიდა დახმარების ხელს საჭიროების შემთხვევაში, თავს არ ზოგავდა, ოღონდ კი სასიკეთო საქმე გაკეთებულიყო (ამას მოგონებებიდანაც კი შეიტყობთ).

ბატონი ტარიელი... ჩვენი ბატონი ტარიელი ყველა ღირსეული ადამიანისთვის პატივსაცემი პიროვნება გახლდათ. რაც ახლა, მისი გარდაცვალების შემდეგ ხდება, ცხადია, მოწმობს იმას, რომ ეს სახელი წლებს გაუძლებს.

დიდია მისი ღვანლი ენათმეცნიერებაში, ქართველოლოგიაში. თავდაუზოგავი შრომის შედეგად შექმნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არაერთი სახელმძღვანელო („ქართველები“, „ქართველოლოგის შესავალი“, „ქართველოლოგის თანამედროვე გა-

მოწვევები”, „ქართული ენის პრაქტიკული კურსი”, „ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკა”, „ქართული ენის ისტორია” და მრავალი სხვ.). მის ნაშრომებში შეხვდებით მყარ და რეალურ არგუმენტებზე დამყარებულ კვლევებს, მოსაზრებებს...

ასეთი იყო ბატონი ტარიელ ფუტკარაძე, „კაცი, რომელსაც საქართველო და ქართული ენა ძლიერ უყვარდა”, რომლისთვისაც ყოველი დღის გათენება საქმით იწყებოდა და საქმითვე მთავრდებოდა. მას, 1991 წელს, 31 წლის ასაკში, ხელი აქვს მოწერილი ჩვენი ქეყნის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს „საქართველოს სახელმწიფო ბრძოლის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე“. ტარიელ ფუტკარაძემ მთელი თავისი ცხოვრება ჯანსაღი სახელწმიფოს შენებასა და სწორი ორიენტირებით შემკული მომავალი თაობის აღზრდას შეალია. იგი ვალმოხდილი წავიდა ხორციელი სამყაროდან, რადგან ღვთისა და ერის სიყვარულში ჩაიფერფლა. დიახ! სწორედ ასეთი იყო იგი ჩირუხის მთის დანისვლამდე, თავს უფლებას მივცემთ და ვიტყვით – „საქმით მეტყველი სული“.

კრებულის – „სანამ ჩირუხი დაინისლება“ – შექმნა გადაწყდა მაშინ, როცა მთელი საქართველო ცხარე ცრემლებით ეთხოვებოდა პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს; როცა მისი სტუდენტები „უტარიელობის“ უმძიმესი ხვედრის წინაშე დაგვაყენა დაუნდობელმა ბედმა. ამ წიგნის შექმნით გვინდოდა მცირედი მადლობა მაინც გადაგვეხადა ჩვენი ლირსეული მასწავლებლისთვის, იმ სიკეთისა და სიყვარულის გამო, რაც ჩვენთვის გაიღო!

კრებული მოიცავს ტარიელ ფუტკარაძის ბიოგრაფიასა და მასთან დაკავშირებულ მოგონებებს, რომელთა ავტორებიც მისი კოლეგები და სტუდენტები არიან. ზოგ მოგონებას ახლავს ფოტო-სურათი, რომელზეც ასახულია ავტორისა და ტარიელ ფუტკარაძის ერთი დღე. წიგნი დაყოფილია ორ ნაწილად, პირველ ნაწილში ანბანის რიგზე გაწყობილია კოლეგების მოგონებები, ხოლო მეორე ნაწილში, ასევე, ანბანთრიგზე – სტუდენტებისა. წინამდებარე მოგონებებით შევეცადეთ დაგვეხატა ის ლირებული პორტრეტი სამშობლოს ბედზე მოფიქრალი და დამაშვრალი კაცისა, რომელიც დიდი მეცნიერისა და ლექტორის უკან, ადამიანობით გამთბარ მიღმიერ სამყაროში ყოველწამიერად ინაკვთებოდა.

გვინდა მადლობა გადავუხადოთ თითოეული მოგონების ავტორს, რადგან გამოთქვა სურვილი და მთელი გულით გადმოსცა

სათქმელი. ასევე, მადლობას ვუხდით იმ ადამიანებს, რომლებმაც, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ შეძლეს მოგონების დაწერა, ჩვენ გვესმის მათი – მართლაც, ძნელია ერთ-ერთი საუკეთესო მეგობრის, მასწავლებლის თუ კოლეგის დაკარგვის შემდეგ სიტყვებს თავი მოუყარო... ეს ჩვენც განვიცადეთ...

დიდ მადლობას ვუხდით წიგნის გამოცემის საქმეში განეული დახმარებისათვის ძირითად სპონსორს, ბატონ კახა მულიანს, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, ახლობლებს.

მაშ, ასე, მკითხველო, უკვე შეგიძლია უფრო ახლოს, სხვა-დასხვა კუთხით, გაიცნო პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, რა თქმა უნდა, ჩირუხის მთის დანისვლის შემდეგ.

## პირგრაფია

ტარიელ ალექსანდრეს ძე ფუტკარაძე დაიბადა 1960 წლის 9 მაისს შუახევის რაიონის სოფელ ტომაშეში.

### განათლება:

- შუბის საშუალო სკოლა (1976);
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგის ფაკულტეტი (1983); იყო გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სტიპენდიანტი;
- მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურა (1983-1986). საკანდიდაცო დისერტაცია თემაზე: „სახელის ფორმანარმოების თავისებურებანი სამხრეთ-დასავლურ კილოთა მონაცემების მიხედვით“ (1987); მიენიჭა ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება, შეიფრ.: 10.02.02;
- სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა“ (1998); მიენიჭა ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორის წოდება; შეიფრ.: 10.02.01.

### საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობა:

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართველური ენათმეცნიერების“ ავტორი და ხელმძღვანელი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (2005-2010); თანახელმძღვანელი – პროფ. მ. ნაჭყებია;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართველური ენათმეცნიერების“ ავტორი და ხელმძღვანელი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (2005-2020); თანახელმძღვანელი – პროფ. მ. ნაჭყებია;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართველური ენათმეცნიერების“ ავტორი და ხელმძღვანელი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (2005-2020);
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართველური ენათმეცნიერების“ ავტორი და ხელმძღვანელი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (2008-2020);
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფილოლოგის“ ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიორქოს წმიდა ანდრია პირველნოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (პროგრამა განახლდა 2020 წელს, მაგრამ აკრედიტაცია არ გაუვლია). თანახელმძღვანელი – ლ. ბებურიშვილი;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართული ფილოლოგის“ ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიორქოს წმიდა ანდრია პირველნოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (პროგრამა ხელახლა განახლდა 2020 წლის ოქტომბერში, მაგრამ აკრედიტაციის ცენტრში არ გაუგზავნიათ).

ვერსიტეტში 2011 წლიდან 2018 წლამდე (თანახელმძღვანელი – პროფ. გ. ალიბეგაშვილი);

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართული ფილოლოგის“ ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიორქოს წმიდა ანდრია პირველნოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2018 წლიდან (თანახელმძღვანელი 2018 წ. – პროფ. გ. ალიბეგაშვილი; თანახელმძღვანელი 2019 წლიდან – ლ. ბებურიშვილი);

• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ენათმეცნიერების“ ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიორქოს წმიდა ანდრია პირველნოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (2011-2019), თანახელმძღვანელი – პროფ. მ. ტაბიძე;

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართული ფილოლოგის“ ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიორქოს წმიდა ანდრია პირველნოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (2019 წლიდან); თანახელმძღვანელი – ფილოლოგის დოქტორი ლ. ბებურიშვილი;

• სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართველური ენათმეცნიერების“ ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიორქოს წმიდა ანდრია პირველნოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (2011-2018);

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ფილოლოგის“ ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიორქოს წმიდა ანდრია პირველნოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (2019-2020); თანახელმძღვანელი – პროფ. გ. ალიბეგაშვილი;

• სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართული ფილოლოგის“ ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიორქოს წმიდა ანდრია პირველნოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (პროგრამა განახლდა 2020 წელს, მაგრამ აკრედიტაცია არ გაუვლია). თანახელმძღვანელი – ლ. ბებურიშვილი;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართული ფილოლოგის“ ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიორქოს წმიდა ანდრია პირველნოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (პროგრამა ხელახლა განახლდა 2020 წლის ოქტომბერში, მაგრამ აკრედიტაციის ცენტრში არ გაუგზავნიათ).

• მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2011 წლიდან 2018 წლამდე (თანახელმძღვანელი – პროფ. გ. ალიბეგაშვილი);

ვრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქართული, როგორც მეორე ენა) თანახელმძღვანელები – ა. მათეშვილი, ნ. პოპაშვილი, ზ. ბერია.

პროგრამა მომზადდა და აკრედიტაციის ცენტრში გაიგზავნა 2020 წლის 7 დეკემბერს.

#### აკადემიური თანამდებობები და სამეცნიერო აქტივობები:

- ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (1983-1990);
- თსუ ახალციხის ფილიალის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ქართული ენის კათედრის პირველი გამგე (1990);
- აკად. თედო უთურგაიძისა და აკად. ქეთევან ლომთათიძის წარდგინებითა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, რექტორმა, აკად. მაგალი თოდეუმ დანიშნა უნივერსიტეტან არ-სებული ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად (1992-2011). აღნიშნული უნივერსიტეტის პროფესორი (1999-2020);
- ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (2000);
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი და ამავე უნივერსიტეტის სრული პროფესორი (2011-2020); ქართველოლოგიის ცენტრის ელ. მისამართი: <https://sangu.edu.ge/ka/article/kartvelologiis-tsentr>
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელმწიფო ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის თავმჯდომარე (2015-2020);
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელმწიფო ქართული უნივერსიტეტისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთა (პროფ. ს. ვარდოსანიძე, პროფ. რ. კოპალიანი) რეკომენდაციით, მისი მონოგრაფია „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“ (2019) წარდგენილ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 15 სექტემბერს გამოცხადებულ კონკურსში საქართველოს ეროვნული პრემიის მისანიჭებლად;

• დიალექტოლოგთა, ეთნოლოგთა და ფოლკლორისტთა ყოველწლიური საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის: „ქუთაისური საუბრები“ ორგანიზატორი 1995 წლიდან; ჩატარდა 16 სიმპოზიუმი; ელ. მისამართი: <http://conferences.atsu.ge/Kartvelology/>

• სამეცნიერო უურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი 1996 წლიდან; გამოიცა 24 ტომი; ელ. მისამართი: <https://atsu.edu.ge/EJournal/Kartvelology/>

• საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის: „ქუჯი“ დამფუძნებელი და რედაქტორი (1999-2001); ელ მისამართი: <http://217.147.235.82/handle/1234/316545>

• სამეცნიერო-პოპულარული გაზეთის: „ქართული!..“ დამფუძნებელი და რედაქტორი (1998-2004); ელ მისამართი: <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/316579>

• სამეცნიერო უურნალის: „ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწეული“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი 2009 წლიდან; გამოიცა 10 ტომი; ელ. მისამართი: <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/178671>

• სამეცნიერო უურნალის: „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი 2012 წლიდან; გამოიცა 9 ტომი; ელ. მისამართი: <https://sangu.edu.ge/ka/article/kartvelologiis-aktualuri-problem>

• ქართულ-ინგლისურ-სპარსულენოვანი უურნალის: „სამეცნიერო აზრი“ რედაქტორი (2012-2015), გამოიცა 2 ნომერი); ელ. მისამართი: <https://sangu.edu.ge/ka/article/kartuli-universitetis-gamotsemeb>

• სამეცნიერო საგანმანათლებლო უურნალის: „სვეტიცხოველი“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (2009-2014);

• ლიტერატურულ უურნალ „განთიადის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (2010-2020);

• ამერიკაში გამომავალი გაზეთის: „ერთობა“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (2009-2010);

• საერთაშორისო სამეცნიერო უურნალ EDUCATON – „განათლების“ ექსპერტთა საბჭოს წევრი (2009-2014);

• უურნალ „ჯვარი ვაზისას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (2012-2014).

• „ქართული ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს“ დამფუძნებელი (1996);

- სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის: „ქართველთა (ქართველური) ენა და კულტურა საზღვრებს გარეშე“ დამფუძნებელი (2001); „იბერიულ-კავკასიური საერთაშორისო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის“ დამფუძნებელი (2004);
- „საქართველოს სამეურვეო საბჭოების ასოციაციის“ დამფუძნებელი (2004);
- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან არსებული საზოგადოებრივ-საკონსულტაციო საბჭოს წევრი (2014-2017);
- ქართველთა დედაენის საერთაშორისო ფონდის დამფუძნებელი და ფონდის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (ფონდის თავმჯდომარე – ზაზა ბალდავაძე) (2015-2020);
- საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი (2017 -2020).

**პროფ. ტ. ფუტკარაძეს გამოქვეყნებული აქვს ენათმეცნიერული ხასიათის 330-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები) და 300-მდე პუბლიცისტური წერილი. მისი რედაქტორობით გამოქვეყნებულია 60-მდე მონოგრაფია და სამეცნიერო კრებული/ჟურნალი.**

1984-2020 წლებში უხელმძღვანელა დიალექტოლოგიურ ექსპედიციებს აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში, სვანეთში, ლეჩეუმში, სამეგრელოში, ხევსურეთში, იმერხევში, ტაოში; მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა 30 დიალექტოლოგიური ექსპედიცია.

(იხ.: ტ. ფუტკარაძე, „პროგრამა-ინსტრუქცია დიალექტოლოგიური (ეთნოლოგიური და ფოლკლორული ტექსტების მომძიებელთათვის“, ქუთაისი, 1997, გვ. 1-46. ინგლისური ტექსტი: Programme-Instruction, for the collectors of dialectologic (ethnographic, folklore text), Kutaisi, 1997, p. 47-60; „ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“).

**პროფ. ტ. ფუტკარაძის ხელმძღვანელობით დაცულია 17 სადო-ქტორო ნაშრომი, დამუშავების სტადიაშია 11.**

#### **საერთაშორისო სერტიფიკატი:**

„ოქსფორდ მენეჯმენტ კონსალტინგის“ (Oxford Management Consultants) საერთაშორისო სერტიფიკატი /მენეჯმენტი და ლიდერობა; ამ სერტიფიკატის მიხედვით უფლება აქვს Oxford Management Consultants-ის სახელით ჩატაროს ტრენინგების ციკლი ზოგადი სა-

თაურით: „გამოცდილებასა და თანამონანილეობაზე დაფუძნებული სასწავლო მეთოდები“, რომელიც მოიცავს შემდეგ თემებს: ლიდერის უნარ-ჩვევები, კომუნიკაციის თანამედროვე მენეჯმენტი (დისტანციური სწავლება და თანამშრომლობა), პიროვნული უნარ-ჩვევები და გუნდური მუშაობის პრინციპები, დროის მენეჯმენტი, დაგეგმვა და გადაწყვეტილების მიღება და სხვ.

**ციტირების ინდექსი – 1000-ზე მეტი.**

#### **სამეცნიერო ინტერესების სფერო:**

ქართველური ენათმეცნიერება, ქართველოლოგია, ენობრივი პოლიტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა.

#### **პოლიტიკური კარიერა და საზოგადოებრივი აქტიურობა:**

- საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი (1989);
- საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი საარჩევნო ბლოკიდან: «მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო» (1990 წლიდან);
- ქ. ბათუმის პრეფექტი (1991); 1991 წლის 31 მარტს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თემაზე საქართველოში ჩატარებული საყოველთაო რეფერენდუმის ორგანიზატორი აჭარაში.
- ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); საქართველოს სახელმწიფობრივი დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებიდან მალევე, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის – ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერით, ქედის, შუახევისა და ხულოს პრეფექტებთან (სანდრო ბერიძე, შოთა ფუტკარაძე, ბეჭან გობაძე) ერთად ორგანიზება გაუწია აჭარის ავტონომიის გასაუქმებლად რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნას; კერძოდ, ზემო აჭარის რაიონების საკრძულოთა ცენტრი წევრმა ხელი მოაწერა მიმართვას საქართველოს უზენაესი საბჭოსადმი, რათა გაუქმებულიყო რუსეთისა და ოსმალეთის გარიგებით შექმნილი აჭარის უკანონო ავტონომია. პრეფექტებისა და საკრძულოების მოთხოვნას კრემლის მხარდაჭერით შეეწინააღმდეგა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, რომელმაც რუსეთის სპეცსამსახურების დახმარებით დაგეგმა ძალადობაზე ორიენტირებული მიტინგი. მიტინგის დღეს მოსალოდნელი სისხლისლვრის ასაცილებლად ტარიელ ფუტკარაძე ჩავიდა

თბილისში და ზვიად გამსახურდიას სთხოვა, გადაეყენებინა ასლან აბაშიძე. ზვიად გამსახურდიამ 26 მაისს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებამდე თავი შეიკავა აბაშიძის გადაყენებისაგან. ბათუმის მიტინგის შემდეგ პროცესები არეულობაში გადაიზარდა, რასაც მოჰყვა ნოდარ იმნაძის მკვლელობა. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პრეზიდენტმა არ გადააყენა ასლან აბაშიძე, რის გამოც ტარიელ ფუტკარაძე გადადგა პრეფექტობიდან;

- საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მდივანი (1990-91). ამავე კომისიის თავმჯდომარე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დევნილობის ბოლო პერიოდში (1999 წლიდან);

- სახელმწიფო გადატრიალების (1991-1992, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-1993), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. კანონიერი ხელისუფლების ლეგიტიმურობის შენარჩუნების მიზნით უარი ჰქონდა ნათევამი სადეპუტატო პენსიაზე (როგორც უზენაესი საბჭოს წევრი, სადეპუტატო პენსიის აღებას არ აპირებდა მანამ, სანამ სასამართლოს წესით არ შეფასდება 1991-1992 წლების პუტჩი).

- საქართველოში 1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შესწავლის მიზნით საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკამცილის განკარგულებით (№-174) 2004 წლის 21 თებერვალს შექმნილი სამმხრივი სახელმწიფო კომისიის წევრი (კომისიის სხვა წევრები: ერთი მხრივ – ი. მერაბიშვილი, ი. ოქრუაშვილი, ზ. ადეიშვილი, მეორე მხრივ – მ. არჩვაძე-გამსახურდია, ტ. ფუტკარაძე, მ. რაფავა, მესამე მხრივ – საზოგადოებრიობის წარმომადგენლები: მ. ტაბიძე, გ. ანდრიაძე).

**ოჯახი:** მეუღლე – ია ვაშაკიძე; შვილები: ნათია, რატი, ცოტნე.

## კოლეგი

## როლანდ აბულაძე

### ტარიელ ფუტკარაძეს

მძიმეა ჯვარი, რომელიც ზიდეთ,  
თქვენი წასვლით კი უფრო დამძიმდა,  
კაცის სიცოცხლე რომ გაიაფდა,  
ცხოვრება ასე მიტომ გაძვირდა.

თვალებში მუდამ სინათლე გენთოთ,  
მამულიშვილებს სცნობდით შორიდან,  
ერთგული დარჩით ქვეყნის, მოყვასის,  
ვერ უღალატეთ ვერც ერთს ორიდან.

ოჯახს დააკლდით, ვიცით და ვწუხვართ,  
ჯერ ხომ წინ გქონდათ ბევრი მაისი,  
თქვენ საქართველოს მოაკლდით მთლიანს,  
ვინ გააკეთოს საქმე ხვალისი?!

როდესაც ბნელში ქრება სანთელი,  
მაშინ წყვდიადი ირგვლივ მდუმარებს,  
დღეს საქართველოს ვხედავთ თავდახრილს,  
დღეს საქართველოს ვხედავთ მდუმარეს.

## ივანე ამირხანაშვილი

### კაცი ნათელი ღიმილით

ვარაზისხევი. უნივერსიტეტი, „ალმა მატერ“. თეთრი კედლები. აგურის ფხვნილით მოკირნყლული ეზო. ასასვლელი კიბეები. დეკორატიული ბუჩქი. და ღიმილი – ნათელი, წრფელი, გულიდან წამოსული... ეს ასოციაციები ფოტოკადრივით ჩამორჩა მეხსიერებაში. არ ვიცი, რატომ. უბრალოდ, მეგობრებმა გამაცნეს ტარიელ ფუტკარაძე, მეორეჯურსელი სტუდენტი. სამოცდაათიანი წლების მიწურული იყო. ადამიანური ურთიერთობები ფასობდა. ნაცნობობა ერთგულების სინონიმად მიიჩნოდა.

მას შემდეგ იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. ძველ დროში ეს უფრო „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში ხდებოდა, მაგრამ, ამავე დროს, მეგობრობაც იშვიათი გვქონდა. ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი შეხედულებები ბევრ საკითხში ემთხვეოდა ერთმანეთს.

მაკვირვებდა მისი ნებისყოფა და შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა და პრინციპულობა. თუმცა არ გამკვირვებია, როდესაც საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი გახდა, არც ის გამკვირვებია, როდესაც ზვიად გამსახურდიამ ბათუმის პრეფექტად დანიშნა, არც ის, როდესაც თავისი განცხადებით გადადგა პრეფექტობიდან.

ჯიუტი და შეუპოვარი იყო, როდესაც პრინციპების დაცვას ეხებოდა საქმე.

1989 წლის 9 აპრილის წინა საღამოს, 8 აპრილს, რუსთაველზე, მთავრობის სახლთან შეხვდით ერთმანეთს. მეუღლესთან ერთად იყო. იმედითა და ენთუზიაზმით აღსავსეს, თავდაჯერებულს, ბრძოლის უინი ეტყობოდა.

ასეთად დარჩა ჩემს მეხსიერებაში. წაგებულ საქმესაც იმედად გარდასახავდა. თვითრწმენის კაცი იყო. გადამდები ოპტიმიზმი ახასიათებდა. ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდი, როდესაც ერთად მოგვინია მუშაობამ წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში.

მეცნიერება მისთვის მოწოდებაც იყო და პროფესიაც, თვით-

გამოხატვის საშუალებაც და თვითრეალიზაციის გზაც. ამ გზაზე ის თანმიმდევრულად, დაკვირვებით, პატიოსნად ვიდოდა და ამ მხრივ სხვებისთვის შესაძლოა სამაგალითო ყოფილიყო, რატომაც არა. მაგრამ მე მაინც „სხვა“ ტარიელი მომწონდა – ცხოვრებისეული სიძნელეების წინააღმდეგ მებრძოლი, უშიშარი, ერთგული, გამტანი მეგობარი, ადამიანურ ურთიერთობათა მცოდნე და დამფასებელი.

ამიტომ სულ ასეთი მახსოვს. ასეთად დამრჩა მეხსიერებაში. ისეთივე, როგორიც იყო 70-იანი წლების ბოლოს. გაცნობისას. უნივერსიტეტის კიბეების წინ. ტუიასთან, დეკორატიულ ბუჩქთან – ნათელი, წრფელი, გულიდან წამოსული ღიმილით.



## ამირან არაბული

### ტარიელ ფუტკარაძე – მოუნელებელი ტაიპილი

თითქოსდა დაბადებითვე უფლის მოციქულის – წმიდა ანდრია პირველნდებულის – კანთიელ კვალზე იყო შემდგარი და ლვთით მიმადლებულ შინაგან მოწოდებას, საფუძვლიანად განესწავლა და მყარი ცოდნით აღეჭურვა თავისი ერთგული მოწაფეები, მზის სხივის ჩაქრობამდე, ბოლო ამოსუნთქვამდე, ცნობიერების დაკარგვამდე ასრულებდა ტარიელ ფუტკარაძე.

მისმა სამუდამოდ წასვლამ მიღმიეთში, ჩვენგან უსაშველოდ დაშორებამ და დისტანცირებამ დროსა და სივრცეში, დიდად დაამწუხრა და მწვავე ტკივილით დადალა ყველა, ვინც მას იცნობდა, ვისაც მასთან უსაუბრია, ვინც აფასებდა და ყოველივე მშობლიურისადმი მის ფანატიკურ, თავდადებულ სიყვარულს გრძნობდა და ხელავდა...

ტარიელ ფუტკარაძის პატრიოტობა არ გამოიხატებოდა სტერეოტიპული ფრაზების ხმამაღლა წარმოთქმასა თუ ვაიგულითად, ყალბ, მყიფე სადლეგრძელოებში. ის პრაგმატული, სრულიად კონკრეტული საქმეებით, სამუშაო დღის მკაცრი განაწესის დაცვით და შეჭირვებულთა პრაქტიკული თანადგომით (გავისენოთ ილია: „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე, ყოველ ღამე შენს თავს ჰკითხო, აბა, დღეს მე ვის რა ვარგე...“) გახლდათ ნამდვილი ერისკაცი და მისაბაძი მამულიმვილი...

სხვათა ჭირი, ძნელბედობა და გამოუვალი მდგომარეობა ყოველთვის გულთან ახლოს მიჰქონდა. ცდილობდა და, ხშირ შემთხვევაში, ახერხებდა კიდეც სოციალურ სირთულეებთან პირისპირ მდგომთა გამოსარჩლებასა და დახმარებას. და ამ დროს საგულდაგულოდ მაღავდა და „აჩუმათებდა“ პირად პრობლემებს (ჯანმრთელობის მდგომარეობა იქნებოდა ეს, ხანდახანობითი უსახსრობა თუ ინტელექტუალთა ყოფისთვის თანმდევი სულიერი სიმძიმილი)...

დიდი ამაგი პეტონდა სტუდენტებზე, დოქტორანტებზე (მისი სელმძღვანელობით ოცზე მეტმა ახალგაზრდამ მოამზადა და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია), ქართველოლოგის ცენტრის თანამშრომლებზე. გარეშეთაგან უმისობა ალბათ ყველაზე უფრო სოფიო კეკუას, კესო გეჯუას და მიშა ლაბაძეს უმძიმთ. და ეს სავსებით ბუნებრივია: ისინი ხომ ერთად ეწეოდნენ საუნივერსი-

ტეტო ცხოვრების სასიამოვნო, მაგრამ მაინც მძიმე ტვირთს. და სასურველი შედეგებიც შესანიშნავად ჩანდა და ჩანს მათ მიეროვანიზებულ სამეცნიერო სესიებში, საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში, შრომათა კრებულებსა თუ ლინგვისტური შინაარსის ნაირფეროვან პუბლიკაციებში...

ტარიელ ფუტკარაძე სტოკური ბუნების უკონფლიქტო, „მშვიდობისმყოფელი“ პიროვნება იყო. პირადი ნაწყენობა და უთანხმოება არასდროს უქცევია ადამიანურ ურთიერთობათა რლვევის ხელშემწყობ ფაქტორად... მისი კვლევაძიებითი საქმიანობის სტილი გახლდათ ჯანსაღი პოლემიკა...

გამორჩეულ თარიღებთან მიმართებასა და სანიშანსვეტო დღეებში შავ-თეთრი ფერებით განყობილი ქართული ჩოხის მორგება უყვარდა. უხდებოდა! ეროვნული სამოსი მის მოძრაობას, სიარულის მანერასა და მიმოხრას მოსაწონ სიდარბაისლეს სძენდა. და ამ დროს არ შეიძლებოდა, ზვიადი და მერაბი – ეროვნული მოძრაობის ეს ორი უპირობო ლიდერი – დანანებით არ ეხსენებინა, მათი საგანგებო მისისთვის არ გაესვა ხაზი...

დაბადების 55-ე წლისთავი (ლამაზი თარიღი!) ნატახტარში აღნიშნა. რესტორნის მოგრძო დარბაზი მისი მეგობრებით, კოლეგებით და თანამოაზრებით იყო სავსე. სალენინ სუფრას უნარიანად, ტრადიციული ეტიკეტის დაცვით უძლვებოდა სერგო ვარდოსანიძე. სუფევდა ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის განწყობა. და, რაც მთავარია, იქ იყვნენ ტარიელის მხცოვანი დედა – თბილი, სანდომიანი ქალბატონი, მეუღლე, შვილები და უმცროსი ძმები – „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ გმირთა სეხნიები (მტერსაც არ ვუსურვებ, რა ტკივილის ალიც ახლა მათ გულებში ტრიალებს!).

ნეტავი იმ დავლათიან, გაზაფხულის წვიმით ოდნავ განედლებულ სანეტარო დღეს (მახსოვს, ასათიანზე ავტომანქანით რომ გავუარე დიმიტრი ნადირაშვილს, კოჯირის მხრიდან მსუბუქად ნამოწვიმა და მალევე გადაიღო).

შარშანაც კაიხნით ადრე მითხრა, ეთერთან ერთად ამა და ამ დღეს ჩემთან იქნებიო (გულისხმობდა 60 წლის საიუბილეო თარიღს), მაგრამ მზაკვარი ვირუსის გამოჩენამ ყველაფერი არია, თავდაყირა დააყენა, სამყარო ცრემლად და გოდებად აქცია და ჩვენი ტარიელისთვის ხომ მთლად ჯოჯოხეთი გამოდგა!..

მიკვირდა და მითქვამს: ამდენ რამეს როგორ ასწრებდა, რო-

გორ აუდიოდა! დღეს რომ დედაქალაქში იყო და დისერტაციის დაცვის პროცესს წარმართავდა საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში, ხვალ 13:00 საათზე ქუთაისში ელოდებოდნენ კონფერენციის მონანილები. და ყველან თვითონ გახლდათ დამგეგმვი, საკითხების „დამლაგებელი“ და სამაგალითო ორგანიზატორი.

სულ ვეპირებოდით და ვერა და ვერ მოგვიხერხდა დიალექტური მასალებით და ზეპირსიტყვიერი ტექსტებით დაინტერესებული სტუდენტების ერთობლივი ექსპედიციის ჩატარება ამიერ საქართველოს რომელიმე მხარეში. დროში აცდენა იყო მთავარი მიზეზი ჩვენი განზრახვის განუხორციელებლობისა. თუმცა დიდად არც არაფერი ამით დაშავებულა. უნდა ნახოთ ხევსურეთის სოფლებ-მოვლილი მისი ალსაზრდელების ალფროთოვანებული სახეები, როცა ისინი როშპაში, კორშაში, ბარისახოსა თუ ლიქოვის ხეობაში ყოფნის ამბებსა და არცთუ უხიფათო თავგადასავლებზე ყვებიან! მომავალ ჰუმანიტარებს მთხობლებთან შემკრებლობითი მუშაობის სპეციფიკას აცნობდა და რთულ კლიმატურ პირობებთან შეგუების საიდუმლოებებსაც უზიარებდა. და ახლა ისიც ცხადლივ წარმომიდგენია, ამ უმძიმესი ამბის შეტყობისთანავე კაი ყმებისთვის იოლად გასამეტებელი როგორი მდუღარე ცრემლით აევსებოდათ მზერა სანათა წიკლაურს, მარინე გიგაურსა და ტარიელის მცნობ სხვა ხევსურ ხმით მოტირლებსა თუ რიგით დიასახლისებს. და ჭირის ტაბლაზე გულითად შენდობას ეტყოდნენ შოთა არაბული, იმედალიქოელი, მინდია წიკლაური. ეტყოდნენ და მათაც გაუჭირდებოდათ ცრემლის დამალვა (სხვათა შორის, ვაჟკაცებისგან უფროსი მეგობრის გულით გლოვის საუკეთესო ნიმუშებად დაამახსოვრდებათ ფეისბუქმომხმარებლებს გიორგი სოსიაშვილისა და გაბრიელ თაგაურის გამოსათხოვარი წერილები!)...

ამ რამდენიმე წლის წინ, თებერვალში, ტარიელ ფუტკარაძეს, ბალათერ არაბულს, ეთერ თათარაიძესა და თქვენ მონა-მორჩილს ერთად მოგვინია ბარისახოში ბათირა არაბულის („რიუას“) წლის-თავზე ასვლა. რაც იმ დღეს იქ ვნახეთ და განვიცადეთ, ეს კიდევ საგანგებო მოგონებისა და თხრობის საგანია!..

ყოვლისმცოდნეობით თავს არასდროს იწონებდა. და იმ საქმეს, რაც მის უშუალო კომპეტენციაში არ შედიოდა, ადვილად ხელს არ მოკიდებდა... ხევსური ბავშვების მიერ ბათირა არაბულის დავალებით შეკრებილი ხალხური ლექსები ჩამოიტანა

ხევსურეთიდან და მე გადმომცა: წაიკითხე და გამოსაქვეყნებლად მოამზადეო (ეს საკმაოდ მდიდარი ფოლკლორული მასალა შემდგენლებმა ბათირას წიგნში „მითებში შობილთა მემკვიდრე“ შევიტანეთ... თავისი ერთ-ერთი მონოგრაფიის იმ ნაწილის გაცნობა და რედაქტორობა მთხოვა, რომელიც დამწერლობამდელი ხალხური სიტყვიერების საკითხებს ხეხბოდა. მე, რასაკვირველია, სიამოვნებით გავეცანი მის სოლიდურ ნაშრომს და რამდენიმე სურვილიც გავუზიარე. თითქმის ჩემი ყველა წინადადება უყოყანოდ მიიღო და გაითვალისწინა..

ფუტკარაძე.

საფუტკრეთი...

ბევრი ქართული გვარის მაგია თუ მისტიკური შინაარსი იმაშიაც მდგომარეობს, უცოთმლად მიგვანიშნონ მის (გვარის) მატარებელ ადამიანთა საამსოფლო მისია და უმთავრესი მოვალეობა... და იმის შეხსენება ხომ არავის სჭირდება, რასთან ასოცირდება ფუტკარი და მისი გაბმული, ერთთავად საქმიანი ფუსფუსი!... ხოლო საფუტკრეთი ის ძირძველი სამოსახლოა, რომელის „გააქტიურება“ და ჩრდილიდან გამოყვანა ასეთი ძალისხმევით მოინდომა გასულ (სამწუხაროდ, უკანასკნელ!) ზაფხულს. ლოკალური სივრცე, შეიძლება ითქვას, იმ კურთხეულ ადგილად წარმოედგინა, სადაც, ცის კარის გაღებიდან ვიღრე შეღამებამდე, მოუღლელი ზუზუნი ისმის...

ბევრ ფერად ფოტოსურათზეა ალბეჭდილი ტარიელ ფუტკარაძე. ხან ნაღვლიანია, ფარული სევდით მოცული, ხანაც შუბლებასნილი, ალალად გაღიმებული. შენუხებულიც ბევრჯერ ყოფილა, რაღაცით გახარებულიც, მაგრამ არსად და არასდროს გვინახავს მისი უემოციო, გამოციებული, უსურვილო სახე!..

ჩქარობდა. თავს გრძელვადიანი დასვენების, ამოსუნთქვის, მუხლის მოხრის ნებას არ აძლევდა. ბევრი რამ ჰქონდა მოსასწრები, დაწყებული და დაუსრულებელი. ჩანაფიქრის აღსრულების წადილი გეოგრაფიულ საზღვრებს არ ცნობდა (მოიარა ფერეიდანი და ტაო-კლარჯეთი. იცნობდა და ახლობლობდა ბევრ თურქეთელ ქართველთან). დაბრკოლებებს არ უშინდებოდა. ეგულებოდა (განსაკუთრებით აჭარის მთიანეთში) უღალატო მეგობრები, თანამოსატკივრები. მათი თანადგომით აღმართა კუტიჯვარი, სადაც ამიერიდან ყოველწლიურად აღინიშნება დიდგორობა. უხმობდა შუახევი და ჩირუხის მთა. ენით აღუწერელი ხიბლი და მიზიდულობის ძალა

ჰქონდა მაჭახლის ხეობას, გრილ წყაროებსა და ყოველ ნაბიჯზე მზე-თამარის სახელთან დაკავშირებული ადგილების მოხილვას. ამიტომაც იმოგზაურა ტყის ვიწრო, საცალფეხო ბილიკებითა თუ უსწორმასწორო გზებით თავისი საგვარულოს მკვიდრ არე-მიდა-მოებში. უმთავრესი გზიც მოინიშნა: თედო სახოკიას ნაკვალევის ბოლომდე გავლა! დაწყო და გაგრძელება აღარ დასცალდა. არადა, რა საინტერესო იქნებოდა საზაფხულო საძოვრების, ჯამებისა და სამთო საცხოვრისების, ახორების, მთებისა და ხეობების მონახუ-ლება. ანუ, იმ ყველაფრის გულით განცდა, რასაც თედო სახოკიას ბრწყინვალე წიგნში – „მოგზაურობანი“ – გხვდებით და ვეცნობით...

პროფესიონალი ეთნოგრაფი ერთგან წერს: „ჰაერი აქ მეტად მრთელია. ავადმყოფობა, განსაკუთრებით გადამდები, იშვიათი მოვლენაა...“

ასე იყო საუკუნის წინანდელ ზემო აჭარაში. ახლაც ასეა და ნეტავ ტარიელსაც არ გამოედგა იქიდან ფეხი. ეგებ მის სიცო-ცხლეს საფრთხე აღარ დამუქრებოდა, ეგებ გადარჩენილიყო!..

\* \* \*

ძნელი, ძალზე ძნელი წარმოსადგენია საპატრიარქოს უნივერ-სიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულება ტარიელ ფუტკარაძის გარეშე!

დერეფნები, აუდიტორიები, სხდომათა და საკონფერენციო დარბაზები.

მათაც გაუჭირდებათ, ისინიც მოისაკლისებენ. შენობამაც იცის ადამიანების შერჩევა, შეჩვევა და მოშინაურება.

ქართველოლოგისა და ფოლკლორის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს ერთი საზიარო კედელი ჰყოფს. ათი წლის განმავლობაში ამ კედლის აქეთ-იქით გვეგულებოდა ერთმანეთი. მეც მიჭირს და უფრო მეტად გამიჭირდება ტარიელის სამუშაო მაგიდისთვის და მისი ოთახის დაცარიელებული კუთხისთვის თვალის შევლება...

\* \* \*

და ესდა დამრჩენია, ვეითხო ტარიელს: მანდაც, – მიღმა სოფელ-ში, – სათოვრად გამზადებული ზეცა დაგყურებთ უსასრულო სი-მალიდან მარადისობის ბინადართ, თუ კამკამა დარი დგას მიწიერ ცოდვათაგან გაწმენდილ თქვენს სამოთხისებრ კარმიდამოში?!..

26

## ლევან ბერუიშვილი

### ტარიელ ფუტკარაძის ხსოვნას

დიდი ქართველი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე ქართული ხა-სიათის თავისებურებებზე მსჯელობისას აღნიშნავდა: „ქართველს აკლია დაუინებითი მისწრაფება ერთხელ დასახული მიზნის განხორ-ციელებისაკენ, რომელსაც ვერავითარი დაბრკოლება და სიძნელე ვერ სპოს; მუდმივი, დაულალვი შრომის უნარი, თავდავიწყებითი ჭაპანის წევა... ჰატარა საქმების ისეთივე სერიოზულობით კეთე-ბა, როგორც დიდი საქმებისა... იშვიათია ჩვენში ისეთი ადამიანი, რომელიც ენერგიის გამძლეობის მხრივ საგრძნობლად არ კოჭლობ-დეს... ამიტომ არის, რომ ჩვენი არსებობის ნიადაგს ჩვენვე ვანია-ვებთ და მეტოქესთან ბრძოლაში მუდამ ვმარცხდებით“.

ამ სიტყვებში არის დიდი ისტორიული სიმართლე. მართ-ლაც, თუ რამ გვაკლია ქართველებს, უპირველესად ესაა – ნების სიმტკიცე, დასახული მიზნისაკენ დაუინებული მისწრაფება და თანმიმდევრული შრომის უნარი. აღნიშნულის გათვალისწინე-ბით განუზომლად იზრდება იმ ეროვნულ მოღვაწეთა ფასი და მნიშვნელობა, რომლებიც ისეთივე გულმოდგინებით ეკიდებიან ჰატარა საქმებს, როგორც დიდ საქმებს და გაუტეხელი ნების, დაუცხრომელი მცდელობის შედეგად აღწევენ დასახულ მიზნებს. ასეთ ადამიანთა უაღრესად მცირე რიცხვს მიეკუთვნებოდა ტა-რიელ ფუტკარაძე.

ბატონი ტარიელი უხვად იყო დაჯილდოებული იმ თვისებებით, რომელთაც ასე ისაკლისებდა ჩვენს ეროვნულ ხასიათში დიმიტრი უზნაძე. სრულიად გამორჩეული იყო ტარიელ ფუტკარაძე, რო-გორც მეცნიერების ორგანიზატორი, სამეცნიერო კონფერენციე-ბის, კვლევითი პროექტების, ექსპედიციებისა და სხვა ეროვნულ ღონისძიებათა სულისჩამდგმელი და განმახორციელებელი. ვერც წარმომიდგენა, როგორი შეიძლება ყოფილიყო დაუძლებულებული, ხალისჩამერალი ბატონი ტარიელი. აღბათ, განგების ნება იყო, რომ მახლობლების, კოლეგების, სტუდენტების, მტრისა და მოყ-ვრის მესამებაში იგი დარჩენილიყო, როგორც დაუცხრომელი ენერგიის განსახიერება.

ტარიელ ფუტკარაძე ჭაბუკობიდანვე ჩაება ეროვნულ მოძრაო-

27

ბაში და უანგაროდ უერთგულა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას იდეალებს. მას თავისი წარსული არასოდეს გამოუყენებია პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ბიოგრაფიის მოღვაწეს თავის რიგებში უდიდესი სიხარულით მიიღებდა ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაცია.

იმ მრავალ თვისებათა შორის, რომელიც შეადგენდნენ ტარიელ ფუტკარაძის პიროვნების არსს, განსაკუთრებით გამოვყოდი ადამიანთა შორის ურთიერთობების დარეგულირების უნარს. ბატონ ტარიელს ჰქონდა არაჩვეულებრივი ნიჭი დაელაგებინა ურთიერთობა არა მხოლოდ თანამოაზრებს, არამედ განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანებს შორისაც. მას შეეძლო მოწინააღმდეგებებთან შეთანხმების მიღწევა საკუთარი ლირებულებების დაუთმობლად. დარწმუნებული ვარ, ეროვნული ხელისუფლების პირობებში მას რომ უფრო მაღალი თანამდებობა სჭერიდა, თავისი დიპლომატიური უნარებიდან გამომდინარე, იგი შეძლებდა მიმდინარე პროცესებზე ისეთი გავლენის მოხდენას, რის შედეგადაც ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში ბევრი რამ, აღბათ, განსხვავებულად განვითარდებოდა.

ბატონი ტარიელი მუდამ ცდილობდა განემუხტა კოლეგებს შორის დაძაბული მდგომარეობა, დაებალანსებინა მათ შორის ურთიერთობები. ზოგჯერ ისიც კი მიფიქრია (ცოდვა გამხელილი სჯობს), ნეტავ, რატომ ინუხებს თავს იმ ადამიანთა ურთიერთობების დალაგებით, რომელთა საქმიანობაც მას არც პირდაპირ და არც ირიბად არ ეხება-მეთქი. ეს მხოლოდ მისი დიდსულოვნებისა და კეთილშობილების გამოხატულება იყო.

ცალკე, ვრცელი საუბრის თემაა ბატონი ტარიელის დამოკიდებულება ახალგაზრდობისადმი. მე იშვიათად მინახავს ახალგაზრდობის ასერიგად მოყვარული და თანამდგომი მეცნიერი. ხშირად ახალგაზრდებს თავად გვიჩვენებდა მხნეობისა და ენერგიულობის მაგალითს. ბევრჯერ მიკითხავს რჩევა და მიმიღია მისგან მამობრივი დარიგება.

ბატონი ტარიელი სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. თავისი ცხოვრებით მან დაგვიტოვა მაგალითი იმისა, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი და მუდამ უნდა „ვცდილობ-დეთ, საქართველოსა ვუშველოთ ჩვენის ხარჯითა!“

საუკუნოდ იყოს მისი სახელის ხსენება!

## მაკა ბერიძე

### მოკრძალებული მაღლობა უნივერსიტეტის

#### გულშემატკივარს...

მოულოდნები და თავზარდამცემი იყო ინფორმაცია პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის გარდაცვალების შესახებ. ძნელად დასაჯერებელი იყო, რომ არაერთ წინააღმდეგობა თუ ბრძოლაგამოვლილ მეცნიერს ვერაგი ვირუსი დაამარცხებდა. სამწუხაროდ, საიუბილეო წელი უკანასკნელი აღმოჩნდა მისთვის.

საკუთარი ხედვის ერთგულებით, დაბრკოლებების მიუხედავად ერთხელ არჩეულ გზაზე ბოლომდე სვლითა და სამშობლოს დაუღლელი მსახურებით დარჩა ისტორიას ტარიელ ფუტკარაძის სახელი. ზემოთქმული ეხება მისი, როგორც მოქალაქის და როგორც მეცნიერის ცხოვრებას.

ქართველოლოგიაში თანამედროვე საუნივერსიტეტო სივრცის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მონაწილესა და, ხშირ შემთხვევაში, სტიმულის მიმცემს, შესწევდა უნარი, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტთან ჰქონდა ურთიერთობა და შეექმნა ერთიანი სამეცნიერო გარემო.

პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს ყოველთვის კარგად ესმოდა, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ საქართველოში საგანმანათლებლო კერის არსებობა, ამიტომ დასაწყისიდანვე დაუჭირა მხარი უნივერსიტეტის იდეას სამცხე-ჯავახეთში და შემდგომშიც არ შეუცვლია თავისი დამოკიდებულება.

სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად გამოხატავდა თანადგომას: კითხულობდა ლექციებს, მონაწილეობდა სამეცნიერო ლონისძიებებში, მოიაზრებდა უნივერსიტეტს საკუთარ ინიციატივებსა და გეგმებში. შესაბამისად, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის გარდაცვალებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ერთ-ერთი გულშემატკივარი დაკარგა.

პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე დააკლდებათ სტუდენტებს, ახალგაზრებს, რომელთანაც ურთიერთობის განსხვავებული ნიჭი ჰქონდა. რამდენიმე შეხვედრა საკმარისი აღმოჩნდებოდა, რომ სტუდენტებში გაზრდილიყო მოტივაცია. კიდევ ერთი თვისება გამოარჩევდა მას, როგორც პედაგოგს – ახალგაზრდები სალექციო

კურსის დასრულების შემდეგ მეგობარს იძენდნენ. თუ სალექციო კურსის ხანგრძლივობა იზღუდებოდა, მეგობრობას არ ჰქონდა ვადები... თანაც, თითოეული სტუდენტი სწორედ იმას იძენდა მასთან ურთიერთობისას, რაც სჭირდებოდა.

გამორჩეული იყო მისი ურთიერთობა კოლეგებთან. დახმარების, მხარდაჭერის მუდმივი მზაობა იგრძნობოდა მისგან. უნივერსიტეტში ჰყავდა ძველი თანამებრძოლები, მეგობრები და შეიძინა ბევრი ახალი თანამოაზრე. ყველას თავისი ტარიელ ფუტკარაძე ჰყავდა და ეიმედებოდა – სტუდენტსაც და კოლეგასაც.

მისი გარდაცვალება ფიზიკური დამორებაა მესხეთთან, თორემ პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ნაშრომები დარჩება და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგები არაერთხელ იმსჯელებენ მის თეორიებზე, მოსაზრებებზე, გაიმართება დისკუსიები, გაჩაღდება პოლემიკა და სახეცვლილად გაგრძელდება ტარიელ ფუტკარაძის სიცოცხლე...

დასანანია, რომ დარჩა ბევრი დაგეგმილი, განუხორციელებელი საქმე, ჩაფიქრებული იდეა, აუხდენელი ოცნება, თუმცა ღირსეული ოჯახის წევრები, მისი აღზრდილები დასრულებენ დაწყებულ საქმეებს.

მისი სახელი არაერთხელ გაიქცევებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში და ეს იქნება ჩვენი მოქრძალებული მადლობა, გამოხატული საქართველოს ღირსეული მამულიშვილისადმი, ქართველოლოგისადმი, მეცნიერისადმი, რომელსაც კიდევ ბევრი კეთილი საქმის კეთების ძალა და უნარი შესწევდა. „სალირალ პატივ“ კი დრო და ისტორია მიაგებს.

## მერაბ ბერიძე

\*\*\*

ტარიელთან მე დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა. ტარიელის ჯგუფმა პირველი კურსი რომ დაასრულა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, წამოვედით ასპინძის რაიონში საზაფხულო შრომით საქმიანობაში მონაწილეობისათვის.

შრომა ერთი მხარე იყო მაშინდელი სტუდენტებისათვის. ამასთან ერთად, მოვიარეთ მთელი მესხეთი: ვარძია, კუმურდო, ახალქალაქი, ხერთვისა და სხვა მრავალი. ტარიელს ლიდერის გამოკვეთილი თვისებები ჰქონდა. მისთვის და მისი მეგობრებისთვის მესხეთი იქცა ისტორიის, ეროვნულობის, სამშობლოს განსაკუთრებული სიყვარულის სტიმულად.

ტარიელი ყოველთვის წინ უსწრებდა მოვლენებს, ხედავდა მიას, რაც შეიძლება სხვისთვის ჩვეულებრივ ამბად ჩანდა. ამიტომაც იყო, რომ თსუ ახალციხის ფილიალის ჩამოყალიბებისთანავე ამოუდგა ჩვენს უნივერსიტეტს მხარში და ბოლომდე მის ერთგულ მეგობრად დარჩა.

1990 წელს ჩვენი უნივერსიტეტის გახსნიდან მალევე, როდესაც ყალიბდებოდა საუნივერსიტეტო სტრუქტურა, ჩაუდგა სათავეში ქართული ენის კათედრას. მალე ამ ყველაფერს მოჰყვა მისი დიდ პოლიტიკაში წასვლა, მაგრამ, როგორც კი საშუალება მიეცემოდა, მუდამ მხარში ედგა ჩვენს უნივერსიტეტს. იყო ჩვენი პროფესორი, კითხულობდა ლექციებს და განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა სტუდენტები. ხელმძღვანელობდა სამაგისტრო და სადოკტორო თემებს, რომელთა დასრულებაც, სამწესაროდ, არ დასცალდა.

მისი დაუდგრომელი ბუნება გადამდები იყო გარშემო მყოფთათვის. იმდენად უყვარდა ერთიანი საქართველო და იდეა ერთიანი სამშობლოსი, რომ ყველა კუთხეში, განსაკუთრებით მესხეთში, დიდი სიყვარულით სარგებლობდა.

კონფერენციები, სამეცნიერო შეხვედრები მისთვის იდეების, სამომავლო გეგმებისა და სიახლეებისათვის სწრაფვის საშუალება ხდებოდა.

ცდილობდა თავისი ერთი მეგობარი მეორესთან დაეკავშირებინა და ამით სასურველი ადამიანები შემოეკრიბა გარშემო.

უყვარდა სიცოცხლე, ბრძოლა, მუხლჩაუხრელი შრომა, რაც კარგად ჩანს მის საკონფერენციო გამოსვლებში, შრომებსა და მონოგრაფიებში.

ტარიელ ფუტკარაძის წასვლა ამ ქვეყნიდან უმძიმესი დანაკლისია ჩვენი ქვეყნისთვის, თითოეული ჩვენგანისათვის.



## გულიკო ბეჭაური

\*\*\*

უამრავი სიტყვა არსებობს ქართულ ენაში, რომელიც კარგად გადმოსცემს ადამიანის სევდას, სიხარულს, დამოკიდებულებას, შეფასებას და ასე შემდეგ. თუმცა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ძალიან ძნელია, თქვა შენი სათქმელი, გადმოსცე განცდა, რომელიც განუხებს, შეაფასო პიროვნება, რომელმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე დიდი და განსხვავებული კვალი დაამჩნია მეცნიერებას, განათლებას, ეროვნულ ღირებულებებს და, ზოგადად, პიროვნების თავისუფლების კონცეფციას.

საშინელი გულისტკივილით ვწერ ტარიელ ფუტკარაძეზე, რომლის გარდაცვალებამ ყველას ძალიან ატკინა გული. როგორ ახერხებდა მთელი სამყაროს სიყვარულს და მეგობრობას, ეს კიდევ ცალკე სათქმელია, ალბათ.

ადამიანი, რომელსაც ადვილად ვერ დაახასიათებ; ტკივილი, რომელსაც ადვილად ვერ აღწერ; ძალიან განსხვავებული, ძალიან პატრიოტი, ძალიან დიდი მეცნიერი და პედაგოგი, ადამიანი – საოცრება, ადამიანი – სული და გული, ადამიანი – მეგობარი, ლხინისა და ჭირის გამზიარებელი... მერედა, ვისი? პასუხი ერთია – მთელი საქართველოსი, იმ ქართველებისა, რომლებიც უცხო მიწაზე ცხოვრობენ და საქართველოს მონატრებაში ატარებენ სიცოცხლეს. ბატონი ტარიელი მათი დიდი გულშემატკივარი და მეგობარი იყო.

მიჭირს წერა იმ შიშით, რამე შეცდომა არ დავუშვა და იქაც არ ეტკინოს. ყველგან სიმართლეს და სიზუსტეს ეძებდა, ყველას წინაშე თავს ვალდებულად თვლიდა, რომ მაქსიმალურად დახმარებოდა და დარდი შეემსუბუქებინა.

მიჭირს წარსულში ბატონ ტარიელზე საუბარი. გული მტკივა და ერთადერთი კითხვა მაქვს სამყაროსთან – რატომ? რატომ? რატომ?

ხშირად გვიწევდა ახალციხიდან თბილისში ერთად მგზავრობა. ერთხელ დედამ დაურეკა გზაში; როგორ ხარ, ჩემო დედაო, ჰეითხა.

– ღმერთმა კარგად გიმყოფოთ-მეთქი, ვუთხარი და ცრემლები წამომივიდა. „ეგეთები არ გამაგონო, გამიბრაზდა, შენ

რომ ცუდად იქნები, იქ შენ მშობლებს ძალიან ეტკინებაო“. როგორ სტკივა ახლა ყველას უთქვენობა, რა უნდა უთხრათ, თქვენ დამწუხრებულ ოჯახს, ყველას, ვინც თუნდაც ერთხელ მაინც დაგლაპარაკებიათ?!

არასდროს დავიჯერებ, რომ თქვენ ცოცხალი აღარ ხართ. თქვენ ყველაგან ხართ, თბილისში, ქუთაისში, ახალციხეში, ბათუმში, თურქეთში, ფერეიდანში, ყველგან, ყველგან, მთელ დედამიწაზე, სადაც კი შეგეძლოთ ქართული სიტყვა გეთქვათ, თან ისე ძლიერად, რომ არავის დავიწყებოდა იმიტომ, რომ თითოეული თქვენი სიტყვა და აზრი მართალი, სიკეთითა და სამშობლოს სიყვარულით გამთბარი იყო.

არ არსებობს არანაირი სიტყვა, რომელიც სრულად გადმოსცემდა ამ დიდ ტკივილს. მისი სახით... საუკეთესო მეცნიერი, დიდებული პიროვნება, პედაგოგი და მეგობარი დავკარგეთ... რამდენი რამ დარჩა აუხდენელი... რამდენი რამ დარჩა სათქმელი...

როგორ მენანებით, როგორ მაკლიხართ, ბატონო ტარიელ! ტკივილი უზომოდ დიდია, ისეთი, ყოველთვის რომ თავს შეგახსენებს და სამყაროს სიმუხტლეზე დაგაფიქრებს...

მუდამ გამორჩეული, ხალისიანი, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე ადამიანი, ასეთი იყო ჩვენი ტარიელ ფუტკარაძე, ჩვენი მეგობარი, ღირსეული მამულიშვილი, ყველგან და ყველასთვის გამორჩეული პიროვნება.

მშვიდობით, ბატონო ტარიელ...

## თამარ გელიტაშვილი

### სანგუს ჰყავლა ტარიელ ფუტკარაძე...

დოქტორანტურა საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში დავამთავრე და ბატონ ტარიელს პირველად იქ შეეხვდი, ხოლო ჩემი დისერტაციის დაცვის შემდეგ გამართულ ბანკეტზე საბოლოოდ დავუახლოვდით ერთმანეთს. არასდროს დამავიწყდება ის საღამო. მისი ჩვეული იუმორი და სიხალისე იმდენად გადამდები იყო, ყველას დავიწყდა, რომ აკადემიურ სუფრაზე იმყოფებოდა. მის სამხიარულო განწყობას ისიც აძლევდა ფონს, რომ წინა საღამოს შვილიშვილი შეეძინა და სამჯერ „გვაიძულა“, გვედლეგრძელებინა თავისი პატარა შთამომავალი.

ერთნაირად მკაცრიც იყო და ლმობიერიც, დამთმობიც იყო და შემტევიც, დაყვავებაც იცოდა და გაკიცხვაც, მაგრამ პრობლემების პირისპირ არასდროს დაგტოვებდა მარტო.

დღეს ძალზე რთულია, წარსულში ვისაუბრო იმ ადამიანზე, რომელიც პირველად დამხვდა საპატრიარქოს უნივერსიტეტში, საოცრად თბილად და რუდუნებით დამისახა სამომავლო გეგმები, აუდიტორიამდე საკუთარი ფეხით მიმაცილა და ყოველ საღამოს მირეკავდა, როგორ გავართვი თავი ჩემს სამუშაოს, ხომ არ მქონდა რაიმე სირთულე. იმ პერიოდში ცოტა ნაწყენი იყო, ენა-ლიტერატურიდან სტუდენტები თარგმანმცოდნების გადავიდნენ, მხოლოდ ხუთი ბავშვია დარჩენილი და ჯგუფი ვერ შედგება, არადა, იმ ხუთი სტუდენტის უფლებებიც უნდა დავიცვათო. მთელი დღის თათბირის შემდეგ გადაწყდა – რამდენიმე ლექტორს უნდა გამოგვეჩინა კეთილი ნება და, ერთი სემესტრის განმავლობაში, ანაზღაურების გარეშე ჩაგვეტარებინა ლექციები. რა თქმა უნდა, ამ იდეის მოსურნე ლექტორებმაც არ დააყოვნეს და ასე შედგა სასწავლო კურსი.

ეს ფოტოც ჩემი პირველი სამუშაო დღის ბოლოსაა გადაღებული. სააქტო დარბაზში ქეთევან შენგელის პოეზიის საღამო მიმდინარეობდა. დარბაზში შესული დამინახა თუ არა, დამიძახა, გვერდით მომიჯდა და მითხრა: მოდი, ფოტო გადავიღოთ ნიშნად იმისა, რომ ჩვენი მეგობრულ-თანამშრომლური ურთიერთობა დაიწყო.

ვერ დავიკვეხნი, რომ ერთმანეთთან ძალიან ახლო მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებდა, თანაც დიდი ხნისა, მაგრამ მასთან თანამშრომლობის პერიოდი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მის მიმართ სიყვარულითა და პატივისცემით განვმსჭვალულიყავი. სანგუს ჰყავდა ტარიელ ფუტკარაძე – ეს უკვე იყო იმედი, რომ უნივერსიტეტში სტუდენტური ცხოვრება ლალად და სისხლსავსედ წარმართულიყო. პირველი აზრი, რამაც მისი გარდაცვალების ამბის შეტყობისთანვე გამიელვა, ის იყო, რომ წარმოუდგენელად მეჩვენა სანგუს გრძელი დერეფნები ამ სიცოცხლის გულითა და თვალებით მატარებელი კაცის გარეშე. იმდენად ასოცირდებოდა სანგუსთან, ყველასგან შენდობას ვითხოვ, მაგრამ ასე მეგონა (და დღესაც ასე მგონია), რომ უნივერსიტეტის კარი დაიხშო. ყოველი შემთხვევისთვის, ის მაინც ზუსტად ვიცი, რომ მისმა გარდაცვალებამ ერთი ეპოქა დაასრულა საპატრიარქოს უნივერსიტეტში.



## კუსო გეჯუა

\*\*\*

ბატონი ტარიელი მუდმივი მოქმედების, ბრძოლის, ეროვნული აზროვნების სიმბოლოა. უფალმა გამოარჩია და წილად ხვდა სამშობლოსადმი სიყვარული საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმოწერით დაედასტურებინა... ასევე, მისი სახელი ასოცირდება მართალი მეცნიერის სახელთან... ბედნიერი ვარ იმით, რომ ვარ მისი მოწაფე, მისი აღზრდილი.

ძალიან ძნელია და მიჭირს მასზე წარსულში საუბარი... ეს შეუგუებელი ფაქტია ამ მწარე რეალობაში...

ჩვენი პირველი შეხვედრა 2010 წელს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების მაგისტრანტთა და დოქტორანტთა IV რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე“ შედგა, სადაც პროფესორ რევაზ შეროზიას ხელმძღვანელობით აღმოვჩნდი... ბაკალავრიატის მეორე კურსის სტუდენტი „მწვანე დარბაზის“ ტრიბუნიდან წარვსდექი საენათმეცნიერო საზოგადოების წინაშე მოხსენებით: „ტირილის ლექსიკისათვის მეგრულში“. მახსოვს, ძალიან ვნერვიულობდი და ხმაც მიკანკალებდა, ბატონი ტარიელის „მეშინოდა“... განხილვის ბოლოს მისი კომენტარი ჩვეული ღიმილით ასეთი იყო: „მოხსენება რაზეც ჰქონდა, იმის შესაფერისად წაიკითხა“. კონფერენცია ორი, თუ სამდლიანი იყო, ექსკურსიაც მოეწყო... ძალიან თბილად გვექცეოდა და ყურადღების ცენტრში ჰყავდა განსაკუთრებით ისინი, ვინც პირველად მონაწილეობდა. ცდილობდა გავეშინაურებინეთ და უცხოდ არ გვეგრძნო თავი. ბოლოს დაგვემშვიდობა იმ პირობით, რომ ყოველ წელს შევხვდებოდით კონფერენციებზე. მომდევნო წლიდან სიცილის ლექსიკით გავაგრძელე მეგრულ მეტყველებაზე მუშაობა და ყოველწლიურად ვხვდებოდი კონფერენციებზე. ქუთაისში მაგისტრატურაში ჩაბარებით კი მისი სტუდენტიც გავხდი.

სამაგისტრო ნაშრომიც თვითონ შემირჩია, ფონეტიკიდან, რათქმა უნდა, მეგრულთან დაკავშირებული – „საერთოქართველური ძალის და გეკლება თანმხმოვანთა რეფლექსები მეგრულში (ა. ქობალიას „მეგრული ლექსიკონის“ მიხედვით)“. მისმა პირველმა

დოქტორანტმა, უკვე პროფესორმა ეკა დადიანმა გამინია სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

საბედნიეროდ, რამდენჯერმე მივიღე მონაწილეობა ტაო-კლარჯეთის ყოველწლიურ ექსპედიციაში. ეს არის დაუვიწყარი და შეუფასებელი ღონისძიება, რომელიც ბატონმა ტარიელმა დანერგა ქუთაისის უნივერსიტეტში და აქტიურად ხორციელდება. მასოვს, უდიდესი პასუხისმგებლობა ვიგრძენი, როცა ექსპედიციაში მეორე მონაწილეობიდან ჯგუფი ჩამაბარა სოფლებში მასალის ჩასაწერად განაწილებულებს.

2015 წელს მისი დოქტორანტიც გავხდი თბილისში, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში. დაუვიწყარი და განსაკუთრებული იყო ბატონი ტარიელის ლექციები, სამეცნიერო საუბრები არასალექციო დროს. მისი კაბინეტის კარი ყოველთვის ღია იყო ნებისმიერი სტუდენტისათვის. ჩვენი ერთობლივი სამეცნიერო მუშაობა 2018 წლიდან კიდევ უფრო გამყარდა, როცა ამავე უნივერსიტეტის ქართველოლოგის ცენტრის თანამშრომლად ამიყვანა, ასოცირებული მკვლევრის პოზიციაზე. იმ გუნდის წევრი გამხადა, რომელიც ღირსეულად ემსახურებოდა (და ემსახურება დღესაც) ქართველი ერისა და ენის ერთიანობის იდეას მისი ხელმძღვანელობით. ბატონი ტარიელის გაცნობიდან ყოველდღე მემატებოდა პასუხისმგებლობის გრძნობა, მაგრამ ამ ცენტრში მუშაობა სულ სხვა გამოცდილება, სხვა ურთიერთობები გახლავთ... 2018 წელს, ჯერ კიდევ დოქტორანტი, ფუნდამენტური კვლევის პროექტში ძირითად მონაწილედ ჩამორთო, რომელმაც რუსთაველის ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა. ძალიან დიდი გამოცდილება იყო ამ პროექტის ფარგლებში მასთან ერთად მუშაობა პირველ წელს, თურქეთის შავიზღვისპირეთში (მეტი არ დასტალდა). ზოგადად, ბატონმა ტარიელმა დაგვაახლოვა ტაოელ, ფერეიდნელ, მუჰაჯირ ქართველებთან.

ბატონი ტარიელი გასწავლიდა ყველაფერს, ყველაფერს, რაც შეიძლებოდა დაგვეხმარებოდა როგორც მომავალი მეცნიერის, ასევე პირვენების ჩამოყალიბებაში. ქართველოლოგის ცენტრის თანამშრომლებს გვანდობდა ისეთ სერიოზულ საქმეებს, რომელიც ჩვენც გვიკვირდა ხოლმე – „ისწავლეთ, ჩემს მერე ხომ უნდა

გააგრძელოთ მუშაობა. თქვენ, მომავალმა თაობამ უნდა გადაიბაროთ ეს ყველაფერი“-ო.

დარწმუნებული ვარ, ასე მალე არ ფიქრობდით ჩვენს მიტოვებას... კიდევ დიდხანს ინდომებდით ქვეყნის სამსახურში და ენის სადარაჯოზე ყოფნას...

ძალიან ამაყობდა და მოსწონდა ის სადისერტაციო თემა, რომელიც ერთობლივად ბატონ რევაზ შეროზიათან ერთად შევარჩიეთ – „მეგრული სიტყვა-ფორმები და ქართველთა სამწიგნობრო ენის ლექსიკური ფონდი“. ორივე გამინია სამეცნიერო ხელმძღვანელობა. ვგრძნობდი, როგორ მენდობოდნენ. მე კი ყოველთვის თან მდევდა განცდა, ვაითუ ვერ გავამართლო და რაღაც ისე არ გამოვიდეს მაინც-მეთქი.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო იმ თავისუფლებაზე, რომელიც თემაზე მუშაობისას მომცეს (თუმცა მათი მუშაობის მეთოდი ყოველთვის ასეთი იყო). ბატონი ტარიელი ყოველთვის მიმითოთებდა, რომ წამეკითხა ყველა მეცნიერის მოსაზრება და გამეგო მათი პოზიცია, განსაკუთრებით მათი, ვინც შეიძლება განსხვავებულად ფიქრობს. მათთან შეხვედრაც არ დაუშლიათ ჩემთვის, როცა ამის სურვილი გამოვთქი.

2020 წლის მარტში, როცა დისერტაცია დასაცავად წარვადგინე უნივერსიტეტში, უკმაყოფილების გრძნობა მქონდა, რაღაც არ მომწონდა... ამ დროს, მსოფლიოში მოდებულმა ამ უბედურმა ეპიდემიამ ჩვენთანაც გააჩერა ყველაფერი... დაიხურა უნივერსიტეტებიც... ამის ფონზე სიხარულის სხივმა გადამიარა სახეზე. ვიფიქრე, დაცვა გადაიდება შემოდგომის სემესტრამდე და იქამდე კიდევ მოვასწრებ მუშაობას-მეთქი. ფიქრი არ მქონდა დამთავრებული, ტელეფონის ზარის ხმა გაისმა, ბატონი ტარიელი იყო. თითქოს ჩემი ფიქრი წაიკითხაო, პირველივე წინადადება იყო: „ტყუილად ნუ გიხარია, დაცვა შედგება და მოემზადე, აუცილებლად უნდა დაიცვა!“. დისერტაციის დაცვა დისტანციურად ჩატარდა. ასმაგად ვნერვიულობდი, ხელმძღვანელები გვერდით არ მყავდნენ, ყველა სახლიდან იყო ჩატარული. კითხვა-პასუხის რეჟიმისას, ჩემს პასუხებზე ბატონი ტარიელის თავის დაქნევა რომ შევამჩნიე, მაშინ მივხდი კმაყოფილი იყო დაცვის მსვლელობით და ცუდადაც არ იყო საქმე...

დიპლომის აღების დღესაც არ იყო ჩემს გვერდით, დედამისს

ჰქონდა კოვიდ ინფექცია, რომელიც თვითონ ჩამოიყვანა ბათუმი-დან და რამდენიმე დღით თვითიზოლაციაში დარჩა, თუმცა მაშინ თვითონ არ დაინფიცირებულა. მაშინაც შორიდან, საჯაროდ ასე მომილოცა – „უკვე დაფრთიანებულისაგან წარმატებულ აფრენას ველოდები“. ანუ, ეს არ იყო დასასრული, პირიქით, ახლა იწყება ყველაფერიო...“

ეს იყო ბატონი ტარიელის ხელმძღვანელობით დაცული ბოლო სადოქტორო დისერტაცია... როგორ არ მინდა ასე იყოს...

მადლობა, ბატონო ტარიელ! მადლობა იმ ამაგისთვის, რომელიც თითოეული სტუდენტისთვის და პირადად ჩემთვის გაგინევიათ, მადლობა მეგობრობისთვის, მამაშვილობისთვის, მზრუნველობისთვის, თითოეული დღისთვის... მე და სოფოს არ გვიყვარდა ის პარასკევი, როცა ქუთაისში, დიალექტოლოგიურ ინსტიტუტში, რამდენიმე დღით მიდიოდით. ვეჭვიანობდით თქვენს აღზრდილ იქაურ თანამშრომლებზე და გითხარით კიდეც; გაგიხარდათ მგონია, რადგან გაიღიმეთ... ღიად გაგრძნობინეთ სიყვარული... ნეტავ, უფრო ბევრჯერ გამოგვეხატა... მაგრამ, მიუხედავად თქვენი უშუალობისა, მაინც მერიდებოდა...

ღმერთმა შეგინიროთ ყოველი კეთილი საქმე, რომელიც ქვეყნისთვის და ერისთვის გიკეთებიათ... კიდევ დიდხანს იცოცხლებთ, რადგან თქვენმა ნაშრომ-ნალვანმა უკვდავება მოგიპოვათ...



## ეკა დადიანი

### სტუდენტების მეგობარი, მოძღვარი

ტარიელ ფუტკარაძე – დიდი მეცნიერი, მამულიშვილი, საზოგადო მოღვაწე,... ასევე იყო ახალგაზრდა თაობის გზის გამკვალავი, მოძღვარი, კეთილი მრჩეველი, სწორი ორიენტირების მიმცემი, გვერდში მდგომი...

განსხვავებული იყო მისი დამოკიდებულება სტუდენტებთან, დოქტორანტებთან... მისი ლექციები იმაზე მეტი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი სასწავლო პროცესი. ის არა მხოლოდ უშურველად და დაუღალავად გასცემდა თავის უსაზღვრო ცოდნას და გამოცდილებას, არამედ აჩვევდა კრიტიკულ აზროვნებას, პატივისცემას განსხვავებული აზრისადმი... ხშირად მართავდა დისკუსიას სხვადასხვა პრობლემურ საკითხებზე და ამ გზით ლოგიკურ აზროვნებას აჩვევდა. სტუდენტებს ურჩევდა, შემოქმედებითად მიდგომოდნენ საკითხებს.

მისი ახალგაზრდებთან უშუალო დამოკიდებულება კარგად ჩანდა სტუდენტურ ექსპედიციებში. თითოეული სტუდენტის მიმართ მამობრივ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდა, მაქსიმალურად ითვალისწინებდა მათ ინტერესებს, სურვილებს... სწორედ ასეთი ურთიერთობის გამო სტუდენტები სიყვარულით მამას ეძახდნენ...

თვითონ სიახლეების მაძიებელი თავის აღზრდილებსაც ამასვე ასწავლიდა; მიმართულებას აძლევდა არა მხოლოდ მეცნიერებაში, არამედ ცხოვრებაშიც. მისი დაფრთიანებულ-დაკვალიანებული ახალგაზრდები წარმატებით მუშაობენ სამეცნიერო, საგანმანათლებლო სფეროებში.

ბატონი ტარიელის სიმდიდრე საკუთარ შვილებთან ერთად სწორედ მისი აღზრდილი სტუდენტებიც არიან, რომლებსაც მისგან გაცემული სიკეთე და სიყვარული საგზლად გაჰყვებათ მთელი სიცოცხლის მანძილზე და მოძღვრის სახელსაც უკვდავყოფენ!

ჩვენ თავიდანვე განსაკუთრებული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა... ხშირად აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ მე მისი პირველი დოქტორანტი ვიყავი. ეს ჩემთვის უდიდესი პატივი და, ამავდროულად, უზომო პასუხისმგებლობაც იყო და არის.

ბატონი ტარიელისთვის გამოუვალი მდგომარეობა და

დაუძლეველი სირთულე არ არსებობდა. თავდაუზოგავი შრომით, ბრძოლით ყოველთვის აღწევდა მიზანს, წარმატებას და ამით მა-გალითს აძლევდა ირგვლივ მყოფთ. არასდროს კარგავდა იმედს და სხვებსაც იპტიმისტურად განაწყობდა.

ის მუდმივად ძიებაში იყო... სიცოცხლის ბოლო დღეებშიც, როცა კლინიკაში საშინელ კორონავირუსს ებრძოდა, არ გაჩერებულა, დისტანციურ რეჟიმში აგრძელებდა მუშაობას. მხნედ და ენერგიულად გამოიყურებოდა... ასე ჩანდა... არავის ეგონა (ექიმებსაც კი!), ასეთი ჯან-ლონით სავსე ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა უეცრად გართულდებოდა...

მძიმე წუთებშიც კი საქმეზე ფიქრობდა. უნივერსიტეტში ფინალური გამოცდები ახლოვდებოდა, არ უნდოდა თავისი სტუდენტები უყურადღებოდ დაეტოვებინა... ტელეფონზე დამირეკა და მთხოვა, სტუდენტებისთვის მიმეხედა. ხმაში ოდნავ უხასიათობა ემჩნეოდა... არც გამივლია გონებაში, რომ რამე დაემართებოდა. მეც დავპირდი და გავამხნევე, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი... 17 დეკემბერს წერილი მივწერე, მოვიკითხე... ცოტა ხნის შემდეგ მიპასუხა: მტერსაც კი არ ვუსურვებ იმას, რაც მე მჭირსო... ეტყობა, თავს ცუდად გრძნობდა (ხანერსაც ეტყობოდა)... მძიმე სიტუაციაში მყოფი, ამავე წერილში მთხოვდა, კორონავირუსთან მებრძოლი ჩვენი მეგობრისთვის, მისი აღზრდილი დოქტორანტისა და კოლეგისთვის – მაია მიქაუტაძისთვის გადამეცა, ფილტვების-თვის მიექცია ყურადღება...

ეს მისი ბოლო გზავნილი იყო... ამ წუთიდან გავაცნობიერე მოსალოდნელი საშიშროება და მოსვენება დავკარგე... მაგრამ გადარჩნის იმედი ბოლომდე არ დამიკარგავს. მაინც ვფიქრობდი, ამ განსაცდელს თავს დააღწევდა... თუმცა ვირუსთან უთანასწორო ბრძოლაში აღმოჩნდა...

ერთ დროს ყველანი გარდავიცვლებითო, ამბობდა, მაგრამ ასეთ დასასრულს ვერასდროს წარმოიდგენდა. დღემდე ამ ფაქტს რეალობად ვერ აღვიქვამ, მიჭირს ამის დაჯერება...

რამდენი რამ მაქს სათქმელი, გასახსენებელი!..

ძალიან დაგვაკლდება მისი „ქართველური შეძანილი“, სულის-კვეთება, რომელიც აგრერიგად სჭირდება ქვეყანას!

უკვდავია ტარიელ ფუტკარაძის სახელი და ის მემკვიდრეობა, რომელიც მან საქართველოს დაუტოვა!

## სერგო ვარდოსანიძე

„მომისენი მე, უფალო, სასულეველსა შენსა,  
ოდეს მოსვიდე სუვევითა შენითა“

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღ-დგენის აქტს პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ხელმოწერა ამშვენებს... ბატონი ტარიელი 2006 წელს გავიცანი თბილისის სასულიერო აკადემიაში, როდესაც იგი საქართველოს ისტორიის კათედრაზე მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) სტუმრობდა. იგი გულისტკივილით საუბრობდა იმ საფრთხეებზე, რომელიც საქართველოს წინაშე იდგა. ამის შემდეგ იყო ეპიზოდური შეხვე-დრები, თბილი მოკითხვა. 2010 წელს, როდესაც საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ჩატარდა აკადემიური პერსონალის არჩევნები, ბატონი ტარიელი არჩეულ იქნა სრულ პროფესორად. მისი მონდომებით შეიქმნა ქართული ფილოოლოგის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, ქართველოლოგის სა-მეცნიერო ცენტრი. ასე დაიწყო ჩვენი საქმიანი თანამშრომლობა, რომელიც შემდეგ მეგობრობაში გადაიზარდა. ის ყოველთვის იყო განონასწორებული, მიმტევებელი კაცი, იშვიათად თუ იტყოდა ვინმეზე საყვედურს, არა და, ბევრი ჰქონდა სასაყვედურო. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრვი დამოუკიდე-ბლობის აქტზე სელმონერის გამო წლების მანძილზე იყო დევნი-ლი და შევიწროებული, მაგრამ ყველას აპატია დანაშაული.

ბატონო ტარიელ, ჩვენ, ამქვეყნად დარჩენილი შენი მეგო-ბრები, კიდევ ერთხელ გულისტკივილითა და სევდით თვალს გადავალებთ შენი ამქვეყნიური ცხოვრების გზას, შენს ყველა სურათზე ღიმილთან ერთად კარგად ჩანს ჩუმი სევდა და ნაღ-ველი, ეს იყო ფიქრი და ტკივილი შენს საყვარელ სამშობლოზე, რომლის განვითარებაც სხვანაირად გქონდა წარმოდგენილი 30 წლის წინ, მაგრამ სხვანაირად წარიმართა. თითქოს გახუნდა თავისუფლების და დამოუკიდებლობის იდეა, კიდევ უფრო და-ვიქსაქსეთ და ჩავიკეტეთ საკუთარ ნაჭუჭში. შენ ცდილობდი სხვა გზით გევლო და ამ გზაზე სიარული გესწავლებინა შენი მრავალრიცხვანი შეგირდებისათვის. ეს იყო ილია ჭავჭავაძის

გზა „მამული, ენა, სარწმუნოება“. შენი ცხოვრების წესით განასახიერებდი იმ ქართველ მოღვაწეს, ვისთვისაც საქართველო დღევანდელ ადმინისტრაციულ საზღვრებში არ ეტეოდა, იგი გრძელდებოდა შორეულ ფერეიდანში, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, ლორე-ტაშირში, საინგილოში. სულ გეჩქარებოდა, სულ ახალ გამოწვევებს იყავი შექიდებული. ახლა ვხვდებით, თუ რატომაც ჩქარობდი, რატომ გინდოდა, რაც შეიძლება ბევრის მოსწრება, რატომ მოუხშირე აჭარაში, შენს ისტორიულ ფესვებთან კონტაქტებს, რატომ გინდოდა ზამთარ-ზაფხულ საქართველოს მთა და ბარში მოგზაურობა, გინდოდა ბოლომდე შეგეგრძნო შენი საფიცარი სამშობლოს სურნელი. დღეს თამამად შეიძლება ითქვას: შენ მიერ გაკეთებული საქმენი აღემატება ერთი ადამიანის შესაძლებლობას. შეგეძლო დილით ქართულ უნივერსიტეტში ქართველოლოგის სამეცნიერო კონფერენციის ხელმძღვანელობა, ნაშუადღევს გორის უნივერსიტეტში მოხსენების წაკითხვა და მეორე დღეს ქუთაისში სამეცნიერო დიალოგების წარმართვა. ყველგან შინაური იყავი, სადაც ქართული საქმე კეთდებოდა, შენ უახლოეს მეგობრად გთვლიდნენ პანკისის ხეობის უხუცესები, საქართველოს მთიანეთში ალაგ-ალაგ შემორჩენილი ხევისბერები, საშუალო სკოლის მასწავლებლები. შენი ინიციატივით ქართული უნივერსიტეტი ყოველწლიურად მასპინძლობდა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელისმომწერ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებს, ფერეიდნელ ქართველებს, იყავი უღალატო, რაინდული თვისებებით შემკული კაცი. სამწუხაროა, რომ უკვე შენზე მხოლოდ წარსულში შეიძლება ლაპარაკი, შენი სახით საქართველოს გარდაეცვალა დიდი, უანგარო მამულიშვილი, რომლის დაწყებული კეთილი საქმენი აუცილებლად გაგრძელდება.

## ნინო ზაალიშვილი

\*\*\*

მე გახლავართ ერთი ჩვეულებრივი ქართველი ახალგაზრდა, რომელიც გაიზარდა ემიგრაციაში. ბნელ 90-იანებში, ქვეყანაში არსებული რთული გარემოების გამო, ჩემი ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად რუსეთში. დიდი წვლილი მიუძლვით ჩემს პედაგოგ მშობლებს, რომ დღეს მე გამართული და ლამაზი ქართულით ვსაუბრობ, რადგან სწორედ ისინი მასწავლიდნენ არამხოლოდ ქართულ ენას, არამედ სამშობლოს სიყვარულს. როდესაც წარმატებით დავამთავრე სკოლა და მომავალი პროფესიის არჩევის დრო დადგა, მეაფიოდ გადაწყვეტილი მქონდა, რომ ჩავაბარებდი უცხო ენებზე, კერძოდ, რუსული და ესპანური ენების მიმართულებით. ეს გახლდათ 2008 წლის ცხელი და ცრემლნარევი ზაფხული. გარეთ არ მიშვებდნენ და გამოცდებზეც ხელ და ხელ დამყვებოდნენ, რადგან ეშინოდათ არსებული ვითარების. მაშინ მეგონა, რომ ეს შიში გადაჭარბებული იყო, ახლა კი მესმის, თუ რას განიცდიდნენ ჩემი მშობლები. როგორც ახლა მახსოვს, 2008 წლის 21 აგვისტოს უნდა გამოეცხადებინათ ჩარიცხულთა სია და როდესაც ჩემი გვარიც ამოიკითხეს 100-პროცენტიანი გრანტის მფლობელ სტუდენტთა შორის, ჩემს ბედნიერებას არ ჰქონდა საზღვარი. ასე მოვხვდი სამხრეთ ფედერალურ უნივერსიტეტში (ქ. დონის როსტოვი), რომელიც უსაზღვროდ მიყვარს. მეორე კურსიდანვე დამტოვეს კათედრაზე და მესამე კურსიდან უკვე დეკანის მდივნად ვმუშაობდი. ასე, 2013 წელს წარჩინებით დავამთავრე უნივერსიტეტი; როგორც ჩემი დეკანი, ბატონი ა. მარცელი ამბობდა: „ნინო, შენ პირველი ქართველი ხარ, რომელმაც ამ კედლებიდან წითელი დიპლომი გაიტანა“. რა თქმა უნდა, ეს შეფასება ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო.

ჩემი უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ ჩემმა ოჯახმა გადაწყვიტა უკან სამშობლოში დაბრუნება, რაც ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო. მართალი გითხრათ, მე სულ სხვა გეგმები მქონდა, მაგრამ აღმოვჩნდი საქართველოში. პირველი წელი არ ვიცოდი, რა მეკეთებინა, ყველა და ყველაფერი მეუცხოვა და ჯორჯ ორუელის „1984“-ს მაგონებდა ყველაფერი, უფრო სწორედ ლოზუნგს, რომელიც ამ ნაწარმოების ღერძია:

„ომი მშვიდობაა,  
მონობა თავისუფლებაა,  
უმეცრება ძალაა“...

მე დღესაც მიმაჩნია, რომ ძალიან რთულ ვითარებაში ვართ და უნდა შევძლოთ შევებრძოლოთ ამ ლოზუნგს, რამენაირად უნდა დავამარცხოთ იგი, რომ განვითარების სამუალება მოგვეცეს და წინ ვიაროთ. ალბათ, ასე მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში არ ხდება, მაგრამ მე ჩვენი მანუსებს და მტკივა. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ეს დაბრუნება ჩემთვის ადვილი არ ყოფილა. მაგრამ მე შევძელი და ახლიდან აღმოვაჩინე ჩემი საქართველო.

რადგან მე ლინგვისტიკის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომედგინა, ვცადე ბეჭი და გადავწყვიტე საქართველოში დოქტორანტურაში ჩაბარება. ასე, ჩემი მშობლების ქალაქში, ქ. თელავში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავირცხე დოქტორანტურაში, ფილოლოგიის მიმართულებით. მაგრამ, სულ მალე ეს მიმართულება დახურეს და აღმოვჩნდი „პარმი გამოკიდებული“. აქედან იწყება ბატონი ტარიელ ფუტკარაძის გაცნობა და აღმოჩენა ჩემთვის.

ამ დროს გამოცხადებული იყო მობილობა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში. ბატონმა ტარიელმა თბილად მიმიღო, ვისაუბრეთ. ეჭვიც არ შემპარვია, რომ საბუთები აქ უნდა გადმომეტანა და მეთანამშრომლა ბატონ ტარიელთან, ასეც მოვიქეცი და მე ბედნიერი ადამიანი ვარ, რომ მის ლექციებს ვესწრებოდი. ყოველთვის ვამბობდი, რომ საქართველოში დაბრუნება მხოლოდ ბატონი ტარიელ ფუტკარაძის გაცნობის გამო ღირდა. ძალიან მიყვარდა მის ლექციებზე ყოფნა, იქ სულ სხვანაირი აურა სუფევდა და დრო მიფრინავდა შეუმჩნევლად. უსაზღვროდ კეთილი და დიდი ადამიანი გახლდათ. პატარასთან პატარა, დიდთან – დიდი. ჩემთვის უდიდესი პატივი იყო მისი გაწეული ხელმძღვანელობა, შენიშვნები, ქება. ბატონი ტარიელის დამსახურებაა, რომ მე 28 წლის ასაკში, თბილისში, წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში წარმატებით დავიცავი სადოქტორო ნაშრომი თემაზე – „ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები სხვადასხვა სტრუქტურის ენებში ქართული, რუსული და ესპანური მასალის მიხედვით“ და მოვიპოვე ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი,

წარჩინების დიპლომით. მე, მისთვის უცნობ გოგონას, დიდი ყურადღებით მომეკიდა და ყველაფერში მეხმარებოდა. ის გახლდათ უსაზღვროდ განათლებული, კეთილი, ძალიან მომთხოვნი და ძალზედ შეყვარებული საქართველოსა და ქართულ მიწაზე. ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ქართული საქმე ეკეთებინა და მას ეს საუკეთესოდ გამოსდიოდა. ასე მგონია, ბატონი ტარიელი ყველაფერს სიყვარულითა და დიდი ენთუზიაზმით აკეთებდა; დაუღალავად შრომობდა და ამით იყო ბედნიერი. მას სახის საოცარი გამომეტყველება ჰქონდა, როცა არ უნდა მისულიყავი მასთან კათედრაზე, ის სულ კარგ განწყობაზე იყო, ყოველთვის თბილად და გულიანად მიგიღებდა, თავისი თვალისმომჭრელი ღიმილით გაგაცილებდა და აუცილებლად სწორ და საჭირო რჩევას მოგცემდა.

ასევე, დიდი წვლილი მიუძღვის მას ჩემი სამენოვანი ლექსიკონის არსებობაში, რადგან სულ შთამაგონებდა, რაოდენ საჭირო საქმეს გავაკეთებდი ამით. მან უდიდესი პროფესიული გავლენა მოახდინა ჩემზე. გარდა იმისა, რომ საუკეთესო პროფესიონალი იყო, უაღრესად კარგი ადამიანი გახლდათ, რაც დიდი იშვიათობაა. ძალიან უყვარდა ახალგაზრდა, მოაზროვნე და ნიჭიერი ადამიანები; თუ ვინმეში ნიჭს აღმოაჩენდა, მისი უფროსი მეგობარი და გზამკვლევი ხდებოდა. ალბათ, უამრავ მსგავს და განსხვავებულ ისტორიას მოისმენთ სტუდენტებისგან მასზე, რადგან მისი მადლი და ღვაწლი დიდია.

ბატონი ტარიელის უდროო გარდაცვალება დიდი დანაკარგია, არამხოლოდ ახლობლებისთვის, არამედ ქართული ენათმეცნიერებისთვის, ჩვენთვის, მისი სტუდენტებისთვის და ზოგადად, მთელი საქართველოსთვის. მე მჯერა, რომ ის გარდაიცვალა და მარადისობად იქცა ისევე სამშობლოსთვის, და იქიდან უფრო მძლავრად იღვაწებს მიწიერი საქართველოსთვის.

## მარიკა თედორაძე

### ბატონი ტარიელ ფუტკარაძე!

ბრძენთა-მთავრისა მის სოლომონის მიერ თქმული: „ჰბაძევდ ჯინჭველსა, მედგარო, და იქმენ მუშაკ მსგავს მისა“. ვითარცა იგი მან თუსა უდიდშისა მარცუალსა მას იფქლისასა შებმა-უყვის გულს-მოდგინედ, ვიდრემდის აღილის და წარილის საზრდელად თვასა. მეცა გულს-მოდგინე ვიქმენ უძლიერშისა ჩემსა აღებად“... სწორედ, რომ ამ სახარებისეულ შეგონებას ჰგავს ბატონ ტარიელთან მოღვაწეობა, გერქვას მისი სტუდენტი, დოქტორანტი, მეტად საძნელო და საპასუხისმგებლო, საშური საქმეა... მე წილად მხვდა ის ბედნიერება, რომ თამამად შემიძლია ვთქვა: ბატონმა ტარიელ ფუტკარაძემ მასწავლა, გამზარდა, დამაყენა გზაზე...

შეუფასებელია მისი მეგობრული, მამობრივი, მზრუნველი დამოკიდებულება თითოეული სტუდენტის მიმართ. ის ხან მკაცრი, ხან ძალიან მხიარული, ლექციებზე განსხვავებული სტილით გვამახსოვრებდა თავსა. მახსოვს, როდესაც პრაქტიკულის დღე მოვიდოდა, სტუდენტები დერეფანში ვიხედებოდით ბატონი ტარიელი გამოჩენდებოდა, თუ ქალბატონი ეკა დადიანი. რატომღაც გვეშინოდა მისი, თავად კი ჩვენს შემინებულ სახეებს ასე პასუხობდა: „მე თქვენი ჩაჭრა კი არ მინდა, არამედ მინდა იაზროვნოთ, ამიტომაც ვიჩხრიკები თქვენს ტვინშიონ“. მაშინდელი ეს ფრაზა ახლა გავაანალიზე, როდესაც თავად ვცდილობ მისეული სტილით ვიმუშაო და მისგან ნასწავლი ჩემს სტუდენტებს გავუზიარო...

რთულია ბატონი ტარიელის მოღვაწეობის სათანადოდ შეფასება. მისი ამქვეყნიური ცხოვრება იფქლის მარცვალს ჰგავს, რომლისგან აღმოცენებული მაღლი, უზარმაზარია, ვრცელია, როგორც თავთუხებიანი პურის ყანა. ნაყოფი კი ულევი...

განუზომელია მისი ღვანლი, როგორც მეცნიერის, ქართველო-ლოგის, ქვეყნის ისტორიის შესწავლისა თუ ეროვნული იდენტობისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქმეში. ბატონი ტარიელის შრომები, მონოგრაფიები, წერილები ფასდაუდებელი საუნჯეა ქართველთათვის.

ახლა კი ზეციერი საქართველოდან დაგვცერის... ხარობს მისი

სული, რადგან მის მიერ დანატოვარი, მისი იდეებით ნასაზრდოები, მრავლად ვართ და არ ვაპირებთ გზიდან გადახვევას...

გმადლობთ, ბატონო ტარიელ!

გვეამაყებით, ბატონო ტარიელ!

გვიყვარხართ, მუდამ ჩვენთან იქნებით, ბატონო ტარიელ!



## სოფიო კუკუა

\*\*\*

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩემთვის ყოველთვის გამორჩეული იყო სხვა უმაღლეს სასწავლებელთა შორის იმიტომ, რომ ჩემი მშობლიური უნივერსიტეტია, რომელთანაც მრავალი მოგონება მაკავშირებს დაწყებული 2002 წლიდან დღემდე. მოგონებები ბატონ ტარიელზეც სწორედ ამ უნივერსიტეტიდან იწყება, რადგან პირველად აქ შევხვდი ჩემს ძვირფას მასწავლებელს, ჯერ როგორც ლექტორს, შემდეგ კი როგორც სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს. მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ რამდენიმე წლის მერე მისი თანამშრომელიც გავხდებოდი.... თურმე წინ ბევრი სიახლე მელოდებოდა, რაც უშუალოდ ბატონი ტარიელის სახელთან იყო დაკავშირებული.

სტუდენტობის წლებიდან ერთ-ერთი გამორჩეული იყო მაგისტრატურაში სწავლის პერიოდი (2007-2008 წწ.). ეს წლები, მე და ჩემმა ჯვაფულებმა, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ქართველური დიალექტოლოგის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გავატარეთ, რომლის დირექტორიც ბატონი ტარიელი იყო. ლექციები ძირითადად ამ ინსტიტუტში გვიტარდებოდა და ყოველდღე დროის დიდ ნაწილს სწორედ აქ, ბატონი ტარიელის გარემოცვაში ვატარებდით. როგორც კი ინსტიტუტის კარს შეაღებდი, თითქოს სხვა სამყაროში ხვდებოდი, საოცარი ოჯახური გარემო იყო, გრძნობდი, რომ ძალაუნებურად რაღაც საერთოს ნაწილი ხდებოდი. ყველა ერთი იდეის ირგვლივ გაერთიანებულიყო, ყველას ერთი საზრუნავი გასჩენდა – მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენისა და მისი ქვესისტემების მოვლა-პატრონობა, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა ბატონმა ტარიელმა.

მაგისტრანტობის მერე იყო პაუზა, მოლოდინი... იმ რთულ პერიოდში, როდესაც უნდა მიმეღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და ამერჩია გზა, რომელსაც გავუყვებოდი – მჭირდებოდა რჩევა კომპეტენტური ადამიანებისაგან. ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, სოციალურ ქსელში, ჩემს ერთ-ერთ ფოტოზე მხვდება ბატონი ტარიელის მინაწერი: „სად ხარ? გამოჩნდი ჩვენ-

თან“ (ეს მინაწერი ახლაც არის ამ ფოტოზე). სწორედ ეს იყო ის ბიძგი, რაც მჭირდებოდა სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. უკვე ზუსტად ვიცოდი, რა გზით უნდა წავსულიყავი და გავყევი კიდევაც ამ სიტყვებს, რომლებმაც მომიყვანეს იქამდე, სადაც დღეს ვარ. და დაინტერესობით სრულიად ახალი ტაპი ჩემს ცხოვრებაში.

2013 წელს გავხდი დოქტორანტი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბატონი ტარიელი. აქ სრულიად განსხვავებულ რეალობაში აღმოჩნდი, მოვხვდი ისეთი პროფესიონების გარემოცვაში, როგორებიც არიან: ბატონი თეიმურაზ გვანცელაძე, ქალბატონი მანანა ტაბიძე და სხვები. ამ ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობის საშუალება მომეცა, რაც უდიდესი ფუფუნება იყო. ჩემი საკვლევი თემაც მათთან შეთანხმებით შეირჩა და დამტკიცდა შემდეგი სახით: „ოდიშ-აფხაზეთის ონომასტიკა ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით“, ხოლო სამეცნიერო ხელმძღვანელად დაინიშნა პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე. დაინტერესობით საქმიანობაც, რომელიც წარმატებით დასრულდა 2017 წელს.

2014 წელს ბატონმა ტარიელმა ქართველოლოგის ცენტრში დამნიშნა ასოცირებული მკავლევრის თანამდებობაზე. მართალია, ეს ცენტრი ერთ პატარა ოთახშია განთავსებული 3-4 კაციანი შემადგენლობით, მაგრამ აქ უამრავი ქართული საქმე გაკეთებულა ბატონი ტარიელის ხელმძღვანელობით. ახალგაზრდებს მუდამ გვერდით გვიყენებდა, გვენდობოდა და ისე გვასწავლიდა საქმის კეთებას, რომ ერთ დროს, როდესაც თვითონ არ იქნებოდა – არ გაგვჭირვებოდა გაგრძელება. იტყოდა კიდეც: „ყოველთვის მე ხომ არ ვიქნები...“ ნეტავ, დიდხანს, ძალიან დიდხანს ყოფილიყავით...

გამორჩეული იყო ბატონი ტარიელი, როგორც ხელმძღვანელი. მასთან მუშაობა ცალკე სკოლაა, უდიდესი გამოცდილება, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვება და იქნება ჩემი გზამკვლევი ნებისმიერ სიტუაციაში. უდიდესი პასუხისმგებლობაა იყო თანამშრომელი ასეთი დიდი მეცნიერისა. ყოველდღე ახალი გამოწვევების წინაშე ვდგებოდი, რომელიც აქამდე სრულიად უცხო იყო ჩემთვის, მაგრამ არცერთი წუთით არ შემშინებია, რადგან ბატონი ტარიელი მედგა გვერდით. ვგრძნობდი, რომ

ყოველდღიურად რაღაც იცვლებოდა ჩემში და ნელ-ნელა ვიზრ-დებოდი პროფესიული თვალსაზრისით.

გამორჩეული იყო ბატონი ტარიელი, როგორც ლექტორი. მისი ლექციები მუდამ განსხვავებული და საინტერესო იყო. მიუხედა-ვად მისა, რომ ის გახლდათ დიდი ადამიანი და დიდი მეცნიერი, ამავდროულად, ახასიათებდა უშუალობა და საოცარი უბრალოე-ბა, რაც მუდავნდებოდა კიდეც სტუდენტებთან ურთიერთობაში. მასსოვს, როდესაც ჯერ კიდევ მისი სტუდენტი ვიყავი, მოგვმარ-თავდა სიტყვებით: მეგობრებო, კოლეგებო – ეს ჩვენში აღფრ-თოვანებას და დიდ ნდობას იწვევდა, რაც გვიადვილებდა მასთან ურთიერთობას. ასეთი იყო ის წლების შემდეგაც. სწორედ ეს განაპირობებდა იმას, რომ ქართველოლოგის ცენტრი მუდამ სავსე იყო მის ირგვლივ შემოკრებილი სტუდენტებით, რომლებიც სხვადასხვა საკითხებით მიმართავდნენ ხოლმე მას და ყოველთვის ბედნიერი სახეებით გადიოდნენ კაბინეტიდან, ვინაიდან არ არ-სებობდა პრობლემა, რომელსაც ვერ მოუგვარებდა სტუდენტებს ბატონი ტარიელი. ის ყველასთვის უდიდესი ძალა და იმედი იყო.

ბატონი ტარიელის დახასიათება ბევრი ნიშნით შეიძლება. ის გამოირჩეოდა: აკადემიურობით, პროფესინალიზმით, დიპლო-მატიით, შრომისმოყვარეობით, საოცარი ენერგიულობით, ორ-განიზატორული ნიჭით, გუნდური მუშაობის უნარით და კიდევ მრავალი სხვა ნიშნით, რითაც ბევრისგან განსხვავდებოდა. და რაც ყველაზე მთავარია, ის იყო დიდი ქართველი! მან გამორჩეული ქართველობა იცოდა, ისეთი, როგორი ქართველობაც ბევრს შეშეუძლებოდა. ადამიანი, რომელიც მუდამ ქართული ენის სადა-რაჯოზე იდგა და ყველაფერს აკეთებდა მის დასაცავად. სწორედ ეს ძალა და ეს სიყვარული ამოძრავებდა, როდესაც ის მიდიოდა ისტორიული ბედუკულმართობით სხვდასხვა ქვეყანაში მიმობნეული და საკუთარ ფესვებს მოწყვეტილი ქართველების მოსაძებნად. ჩვენც არაერთხელ ვყოფილვართ მასთან ერთად ამ საოცარ ად-გილებში. თითქოს დროში გვამოგზაურებდა. ბატონმა ტარიელმა გაგვიხსნა გზა და დაგვამეგობრა ჩვენს ძვირფას თურქეთელ და ფერეიდნელ ქართველებთან, გაგვაცნო მუჰაჯირი ქართველები. ისეთი სითბო და სიყვარული მიჰქონდა თითოეულთან – გულში გვიკრავდნენ და ჩვენთან განშორება უჭირდათ, ცრემლიანი თვა-ლებით გვაცილებდნენ ხოლმე. ბატონმა ტარიელმა მოგვალოცინა

ჩვენი ისტორიული სინმინდეები: ხანძთა, ოშკი, იშხანი, ხახული, ტბეთი, ბანა, დოლის ყანა... ის გვატარებდა არტანუჯის ციხეზე იმ საიდუმლო და რთული გზით, რომლითაც ჩვენი წინაპრები დადიოდნენ მტრებისგან მალულად. მის გვერდით ყოველი დღე გამორჩეული და სიახლეებით სავსე იყო.

ძალიან ადრე წავიდა ბატონი ტარიელი ამ ქვეყნიდან... ბევრი წამოწყებული საქმე დარჩა დაუსრულებელი, ბევრი გეგმა – განუ-ხორციელებელი... მაგრამ მან დატოვა ძალიან დიდი ძალა მისი აღზრდილების სახით. დატოვა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, რაც გზის გაკვალვაში დაგვეხმარება ახალ თაობას და როგორც თვითონ იტყოდა: „სწორი ორიენტირებით“ გვატარებს.

2020 წლის 16 ნოემბერს მე და ბატონი ტარიელი ქართვე-ლოლოგის ცენტრში შევხვდით ახალ გეგმაზე სამუშაოდ. მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ეს შეხვედრა ბოლო იყო. 7 დეკემბერს, სატელეფონო საუბრის დროს, მითხრა, რომ კოვიდი ეწვია, მა-გრამ მცირეოდენი მღელვარებაც კი არ შეიმჩნეოდა მის ხმა-ში, პირიქით, იუმორში გაატარა ეს ყველაფერი და უმაღლ საქმეს მიუბრუნდა. იმ დღის მთავარი საზრუნავი იყო 300-კრედიტიანი პროგრამის დასრულება და გაგზავნა, რაც შევასრულეთ კიდეც. არცერთი წამით არ დამიშვია, რომ შეიძლებოდა ყველაფერი ცუდად წასულიყო... ამაზე ფიქრის საშუალებას არც თვითონ გვაძლევდა, რადგან კლინიკაში ყოფნის დროსაც არ ანებებდა თავს სამუშაოს. 15 დეკემბერს, როდესაც თითქმის ერთი კვირის შესული იყო კლინიკაში, ელექტრონულ მისამართზე გამომიგზავნა დოკუმენტი, რომელიც უკვე ბოლო აღმოჩნდა. მოუხედავად იმი-სა, რომ სასიკეთო არაფერი ისმოდა, ბოლო წამამდე მჯეროდა, რომ გამარჯვებული გამოვიდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დადგა 2 იანვარიც... და ამის მერე, თითქმის ერთი თვის მანძლიზე, ინსტიქტურად, დილაობით ვამოწმებდი ფოსტას იმ მოლოდინით, რომ ბატონი ტარიელისგან გამოგზავნილი ახალი შეტყობინება დამხვდებოდა და ყოველ წუთს ველოდებოდი მის ზარს, მაგრამ ამაოდ...

მე წილად მხვდა – ვყოფილყვავი ტარიელ ფუტკარაძის სტუ-დენტი და უმცროსი კოლეგა! გმადლობთ, ბატონო ტარიელ ყვე-ლაფერისთვის!

მშვიდად განისვენეთ, ძვირფასო მასწავლებელო...

## მიხეილ ლაპაძე

### ჩვენი მასწავლებელი

ჩვენს მასწავლებელზე – პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეზე მოგონების დაწერა ძალიან ძნელია. ძნელია იმიტომ, რომ დაუჯერებელია მისი იმქვეყნად წასვლა – ის იყო კაცი, რომელსაც თავადაც ძალიან უყვარდა სიცოცხლე და ჩვენც გვასწავლიდა, როგორ უნდა გვყვარებოდა: „პიროვნება რა ფასეულობებსაც დეკლარირებს (მაგ., უფალი, სამშობლო, დემოკრატია, განსხვავებული აზრის პატივისცემა, ღირსება, სიტყვის კაცობა, მეგობრისადმი ერთგულება...) და სხვას ასწავლის ამ ფასეულობებს, თავადაც ამავე ფასეულობებით ცხოვრობს“ – ასე აღწერდა იგი ლეთისნიერი ადამიანის თვისებებს და თვითონაც, როგორც წერდა, ისე ცხოვრობდა.

ტარიელ ფუტკარაძის სახელი პირველად გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში გავიგონე. მაშინ უნივერსიტეტში ვსწავლობდი და ჩემმა ლექტორმა – პროფ. ნათელა ქუთელიამ ლექციაზე უურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“ ის ნომერი შემოიტანა, რომელშიც სტატია დაებეჭდა:

– ამ უურნალს ქუთაისში ერთი კარგი ბიჭი გამოსცემს, ჩემი ყოფილი სტუდენტი, – თქვა მაშინ მან, – ზუსტად ამ აუდიტორიაში ვუკითხავდი ლექციებს... მერე, უზენაეს საბჭოშიც ერთად ვიყავით. ახლა, როგორც გითხარით, ქუთაისშია და დიალექტოლოგის ინსტიტუტს ხელმძღვანელობს!

ამის მერე, „ქართველური მემკვიდრეობის“ ყოველ ახალ ნომერს გამოსვლისთანავე ვეცნობოდი ხოლმე საჯარო ბიბლიოთეკაში, პერიოდიკის დარბაზში. იქიდან წამოსული, ქალბატონ ნათელას შევუვლიდი – ფალიაშვილისა და კეკელიძის ქუჩების კუთხეში – და უურნალში დაბეჭდილ სტატიათა თაობაზე ვმსჯელობდით. იმ დროს, საქართველოში სამეცნიერო გამოცემები ძალზე იშვიათად გამოდიოდა. ტარიელ ფუტკარაძის „ქართველური მემკვიდრეობა“ ჩემს ყურადღებას იმით იქცევდა, რომ მასში ქართული ენათმეცნიერების საკვანძო საკითხთა უმეტესობა ნათლად და გასაგებად, ერთი მხრივ – რეალური ფაქტებისა და ნამდვილი ისტორიის, ხოლო მეორე მხრივ – საერთაშორისო მეთოდოლოგისა და ტერმინოლოგიის გათვალისწინებით იყო ახსნილი.

ცოტა მოგვიანებით, როცა უკვე მაგისტრატურას ვამთავრები, საპატრიარქოს რადიო „ივერიაში“ დავიწყე მუშაობა. სწორედ იქ გავიცანი ბატონი ტარიელიც – ერთ დღეს, გადაცემა რომ უნდა მქონოდა, რედაქციაში კინაღამ დავაგვიანე – იმ დროს მივედი, როდესაც საეთერო ოთახში შესვლამდე 5 წუთი რჩებოდა. თანამშრომლებმა მისაყვედურეს: სად ხარ აქამდე, აი, ბატონი ტარიელ ფუტკარაძე ეს-ესაა მორჩება და მერე შენ უნდა შეხვიდეო. მზად ვარ-მეთქი, იხტიბარი არ გავიტეხე და ამასობაში ბატონმა ტარიელმაც დაასრულა საუბარი. გამოვიდა თუ არა, გარეთ დავხვდი და გამოვეცნაურე: „ქართველურ მემკვიდრეობაში“ თქვენი სტატიები მაქვს წაკითხული-მეთქი. ორი სიტყვით ისიც ვუთხარი, რომ მის თვალსაზრისს ვიზიარებდი. თვალები გაუბრნებინდა და ლიმილით მიპასუხა: ძალიან სასიამოვნოა, მე კი თქვენი გადაცემა რამდენჯერმე მაქვს მოსმენილი და ახლაც მოგისმენთ, აქვე ვიქენებიო.

გადაცემა რომ დასრულდა და საეთეროდან გამოვედი, ბატონი ტარიელი იქვე დამხვდა, კალმითა და ფურცლით ხელში – ყველაფერი ჩაეწერა, რაც საინტერესოდ მოსჩვენებოდა და საუბარიც დავიწყეთ. ჩემს ყველა კითხვაზე ჰქონდა პასუხი და ისე ამომწურავად მსჯელობდა, რომ, ცოტა არ იყოს, გაოცებული დავრჩი. მერე ვახსენეთ თედო უთურგაიძე, ნათელა ქუთელია, რეზო შეროზია და სხვები. ისე გავერთეთ, რომ ვერც გავიგეთ, როგორ გავიდა დრო. მეორე დღეს, რედაქციაში მისულს, „ქართველური მემკვიდრეობის“ ახალი ნომერი დამხვდა – ტარიელ ფუტკარაძემ დაგიტოვათო.

მალევე, ძალიან კარგი, მეგობრულ-კოლეგიალური ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. მე დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალობაზე ვსწავლობდი, თუმცა სულ მინდოდა ენათმეცნიერობა. როდესაც ბატონმა ტარიელმა ეს გაიგო, დაინტერესდა: თუ ეგრეა, ფილოლოგიურზე რატომ არ დარჩიო?

– ზოგიერთ საკითხში განსხვავებული შეხედულება მქონდა, – ვუთხარი პირდაპირ, – და ამიტომ, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობის ისტორია ვამჯობინე!..

– შენ აუცილებლად უნდა გახდე ენათმეცნიერი!.. – მითხრა დარწმუნებით, როგორც სჩვეოდა, – ისტორიას შეელიე: რაც საჭიროა, ის უკვე იცი და დაე, ახლა სხვებმა მიხედონ!..

სანამ პასუხს გავცემდი, მოსაფიქრებლად დრო ვთხოვე. გაიცინა და – კარგიო. მერე იქვე მითხრა: ამ დღეებში ცნობილი ამერიკელი ქართველოლოგი მეყოლება სტუმრად, შენც მეწვიე, ერთად გავესაუბროთო.

რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმე და დანიშნულ დღეს, მასთან მივედი ოჯახში. მალევე, ამერიკელი ქართველოლოგიც შემოგვიერთდა. სუფრაზე, ტრადიციულ ქართულ სადღეგრძელოებს, მალევე, ენათმეცნიერული დისკუსია შეენაცვლა – ის მეცნიერი თურმე სვანურს სწავლობდა და რამდენჯერმე გვითხრა: ეს უმწერლობო ენა სვანების მემკვიდრეობაა და არ უნდა დაიკარგოსო.

– სვანური მხოლოდ სვანების კი არა, ყოველთა ქართველთა მემკვიდრეობაა! – ღიმილით უთხრა ბატონმა ტარიელმა, – სვანებმა დანარჩენ ქართულ ლოკალურ ჯგუფებთან ერთად შექმნეს და განავითარეს დედაენა – სამწიგნობრო ქართული. სვანური კილოები კი მათთვის მუდამ საშინაო მეტყველება იყო. განა შეიძლება, სვანები უმწერლობო ენაზე მეტყველ ცალკე ტომად ჩაითვალონ, როცა მათ აგერ, თხუთმეტსაუკუნოვანი დედაენა აქვთ და უნიკალური ქართული კულტურის პატრონები არიან? რასაკირველია, სვანური კილოები უნდა გადარჩეს, მაგრამ ქართულ სამწიგნობრო ენას, რომელიც სვანებისვე დედაენაა და მათი შექმნილიცაა, არ უნდა დაუპირისპირდეს – სვანური კილოების ლექსიკა დღესაც ისევე, როგორც უნინ, საერთო სამწიგნობრო ქართულის გასამდიდრებლად უნდა გამოვიყენოთ!..

ამ დროს, მე გამახსენდა, რომ ის ენათმეცნიერი წარმოშობით ირლანდიელი იყო – იმ მეამბოხეთა შთამომავალი, რომლებმაც 1916 წლის აღდგომის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, თავი ამერიკას შეაფარეს. ჰოდა, არც ვაციე, არც ვაცხელე და პირდაპირ ვკითხე:

– An bhfuil Gaeilge agat (იცით ირლანდიური)?..

– ჰააა?!.. ეგ რომელი მხარის სვანურია???. – მომიგო შემცბარმა (ქართული ბრწყინვალედ იცოდა), – ჯერ ლენტეხური, ლაშეური და ჩოლურული არ შემისწავლია...

როცა ვუთხარი, რომ ირლანდიურად მივმართავდი და იქვე, კვიმატურად მოცინარ ბატონ ტარიელსაც მოჰკრა თვალი, დაბნეულმა, ჯერ წარბი შეიკრა, მერე კი თავადაც მორცხვი ღიმილი მოერია:

– ჰო... ენათმეცნიერი ვარ, ამდენ ენაზე ვლაპარაკობ და ჩემი წინაპრების მემკვიდრეობას კი ვერ ვუპატრონე – ირლანდიური არ ვიცი... არადა, მახსოვს – ბებიაჩემი სულ ირლანდიურად გველაპარაკებოდა. ინგლისურიც იცოდა, თუმცა განგებ არ ლაპარაკობდა ამ ენაზე...

ბატონმა ტარიელმა, რომელიც სუფრას თამადობდა, მაშინვე აიტაცა ეს და ყველამ, ვინც იქ ვიყავით, ერთხმად შევსვით სადღეგრძელო ირლანდიელი ქალბატონისა, რომელიც 1916 წლს, ქმრის მხარდამხარ, დუბლინის აღდგომის აჯანყებაში მონაწილეობდა. მერე, როდესაც აჯანყებაც ჩახშეს, ქმარიც დაუხვრიტეს, თავადაც დევნა დაუწყეს, იძულებული გახდა, რომ შეიღებთან ერთად, საერთოდ გასცლოდა ირლანდიას და სხვა მრავალ თანამემამულესთან ერთად, ამერიკისთვის შეეფარებინა თავი. ჩვენმა სტუმარმა, რომელმაც ქართული სუფრის ტრადიციებს კარგად იცნობდა, სამადლობელის თქმისას, ბატონ ტარიელს ასე მიმართა:

– ბატონ ტარიელ, თქვენ ახლა მე ძალიან დამაფიქრეთ: ჩემი წინაპრები ირლანდიის დამოუკიდებლობისთვის და უძველესი ირლანდიური ენის ასაღორძინებლად იბრძოდნენ, მე კი – მათმა შთამომავალმა, უცებ წყალში ჩავუყარე მათ მთელი განეული შრომა!.. გეთანხმებით იმაში, რომ წინაპართა მემკვიდრეობას არ უნდა მოვწყდეთ!..

სუფრა (ანუ ბატონი ტარიელის უსაყვარლესი ტერმინი რომ გამოვიყენო – პურობა) ტრადიციულად, ლალად გაგრძელდა და დასრულდა. ის ენათმეცნიერი უზომოდ კამაყოფილი დარჩა ბატონი ტარიელის, მისი ოჯახის წევრების, მეგობრებისა და მოსწავლეების გაცნობით. ბოლოს, როცა მიდიოდა, მე და ბატონ ტარიელს გვითხრა:

– ამერიკაში რომ ჩავალ, იმ ტაძარში უნდა მივიდე, რომლის მრევლიც ბებიაჩემი იყო და სანთელი უნდა დავუნთო. გმადლობთ, რომ წინაპრები მომაგონეთ!..

ამ ამბიდან რამდენიმე წლის შემდეგ, როცა მე უკვე ბატონი ტარიელის დოქტორანტი ვიყავი, იმ ამერიკელ-ირლანდიელმა ენათმეცნიერმა ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. კონფერენციის მასალები ჩვენც გამოგვიგზავნა. მე უცებ შევნიშნე, რომ კრებულში მისი სახელი

ირლანდიური ორთოგრაფიის წესების დაცვით ენერა და არა ინგლისურისა, როგორც უწინ. როდესაც ამის შესახებ ბატონ ტარიელს ვუთხარი, ჩაეცინა, შემომსედა და მითხვა:

– პიროვნების თვითაღემა ანუ პასუხი კითხვაზე: ვინ ვარ მე? დამოკიდებულია საკუთარი შესაძლებლობებისა და წარსულის გაცნობიერებაზე, კერძოდ, იმ ინფორმაციის გაზრებაზე, რომელიც მას აქვს საკუთარი თავის, თავისი წინაპრების რწმენის, კულტურის, დედაქნისა და სახელმწიფოს ისტორიის შესახებ!..



## ნათელა მელიქიძე

\*\*\*

„ქართველოლოგიის აქტუალურ პრობლემებს“ გვიკითხავდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ქართველოლოგიის დარგებზე, ქართველთა თვითსახელწოდებაზე, ჩვენს თავდაპირველ საცხოვრისზე, ქართველთა ეთნოგენეზისზე, საერთოქართველურ ენაზე, ქრისტიანობამდელ ქართულ კულტურაზე, ქართულ ხელნაწერებზე, ქართულ ანბანზე, ქართული მწერლობის ძირითად ტენდენციებზე, ქართველთა ეროვნულ ხასიათზე, ქართველური მემკვიდრეობის გადარჩენის გზებზე გვესაუბრებოდა... ქართულით იყო მთელი მისი პიროვნება გაჯერებული: სულით, გულით, სიტყვით, საქმით!

ეს დაუვიწყარი შაბათები – მსჯელობის, კამათის, აზრის გაცვლა-გამოცვლის დღესასწაულად იქცეოდა ხოლმე და ამ ყველაფერს ტარიელ ფუტკარაძის პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული ერქვა სახელად.

ყოველთვის ლიმილით მოგვმართავდა. ლიმილი ამშვენებდა კათედრასთან, კონფერენციაზე, სუფრასთან, წიგნით ხელში, კალმით, ცარცით, სასმისით...

ამ ლიმილის მიღმა დიდი სევდა და წუხილიც იკითხებოდა: ძნელბედობაგადავლილი დღეების, დასეტყვილი ქვეყნის, დაკარგული თანამებრძოლების...

2018 წლის შემოდგომაზე ჩვენს უნივერსიტეტში ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით პირველი სადისერტაციო დაცვა შედგა და კოლეგიის თავმჯდომარეობა ბატონ ტარიელს სთხოვეს. მახსოვს, როგორ მიმართა კოლეგებს, მოწვეულ სტუმრებს, სადისერტაციო საბჭოს წევრებს, მე – როგორც „დღის დედოფალს“, დარბაზს: ნებისმიერი დაცვა საზეიმო შეხვედრაა ჩვენი და მჯერა, ახლაც ლირსეული დაცვა იქნებაო... მიულოცა უნივერსიტეტს, ბატონ მერაბს, როგორც დისერტაციის ხელმძღვანელს და სამცხე-ჯავახეთის მოამაგე მკულევარს. ემოციურად ისაუბრა ჩემს ბიოგრაფიაზე, დოქტორანტურაში სწავლების ეტაპზე და რაც ყველაზე მეტად დაგვამახსოვრდა – მიესალმა დისკუსიის ფორმატს, სწორედ ეს ქმნის აკადემიურ გარემოსო, არ არის აუცილებელი ყველა ერთნაირად ვფიქრობდეთ, ერთ ხმაში ვმლერო-

დეთო, მრავალხმიანი სიმღერის ხალხი ვართ და კარგია აზრთა  
სხვადასხვაობაო.

არ გამოუტოვებია არცერთი ონომასტიკური კონფერენცია,  
რომელიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიშაა  
და ყოველთვის აქტუალური თემებით მოუხაროდა ჩვენთან.

ყველგან ვგრძნობდით მის ყურადღებასა და სითბოს: ლექ-  
ციაზე, სამუშაო შეხვედრაზე, კონფერენციებზე.

ასეთი დარჩება ჩემს მეხსიერებაში: ბობოქარი, სიცოცხლით  
სავსე, მოწესრიგებული, მზრუნველი და დაუზარელი.

გემშვიდობებით მთელი უნივერსიტეტის სახელით, დოქტო-  
რანტთა და მაგისტრანტთა სახელით, მესხი ხალხის სახელით,  
ბატონი ტარიელ.

თქვენს სულს ულხინოს ზეციურ საქართველოში!



## თინათინ მილორავა

### მე და ტარიელ უუტკარაძე

სიტყვა არ მომექებნება იმ სიამაყის გადმოსაცემად, რომე-  
ლიც მაკავშირებს ბატონ ტარიელ ფუტკარაძესთან. სიტყვა არ  
არსებობს იმ ტკივილის აღსაწერად, რომელსაც ამ წლის ბედობის  
შემდეგ განვიცდი...

ბატონი ტარიელი 2007 წელს, პირველ კურსზე გავიცანი. პირ-  
ველივე დღიდან მახსოვს მისი მზერა. ყოველდღე უფრო ძვირფასი  
ხდებოდა. მეორე კურსზე გვიკითხავდა დიალექტოლოგიას. ამ  
საგნის დასასრული ექსპედიცია იყო ტაო-კლარჯეთის მიწაზე...

მახსოვს, ზაფხულის ცხელი დღე, წინა საგამოცდო შეხვედრა  
გვქონდა. შეხვედრაზე, რა თქმა უნდა, საგამოცდო საკითხებს  
განვიხილავდით ქალბატონ ეკასთან ერთად. შემოვიდა აუდიტო-  
რიაში, მოგვიკითხა, დაგვამშვიდა და მისებური სტილით იკითხა:  
ვინ აპირებდა ექსპედიციაში წასვლას? მცირერიცხოვანი ჯგუფი  
ვიყავით, რამდენიმე ბავშვმა გამოთქვა წასვლის სურვილი და  
მზაობა. მე ხელი არ ამინევია. გაუკვირდა, აშკარად! იქვე დააზუს-  
ტა ჩემი არ წასვლის მიზეზი... მიზეზი – ფინანსური პრობლემა  
იყო. მკაცრად და კონკრეტულად მითხრა: – ეგ არაფერი, შენ მო-  
დიხარ, მოემზადე... რატომდაც არ წავედი. სტუდენტმა ვიფიქრე,  
რომ... ან რა ვიფიქრე... ეს ფაქტი, რამდენჯერაც გამახსენდება,  
სულ ვნანობ, რომ ერთხელ არ დავუჯერე...

ექსპედიცია წავიდა, მე არა! მაგრამ იქ ვიყავი ჩემი აზრებით,  
გონებით, ჩემთვის მძიმედ გაიარა იმ დღეებმა. ჩამოვიდნენ მე-  
გობრები. იქ გატარებული ყველა დღის შესახებ მოვისმინე, ყვე-  
ლაფერი შევიგრძენი, შევისრუტე...

სექტემბრის ხალისიანმა დღემ ისევ შეგვერიბა უნივერსიტე-  
ტის კედლებში. ყველას ერთი სული ჰქონდა, ენახა ექსპედიციის  
ხელმძღვანელი. მეგობრებს მეც ავედევნე, მეც მინდოდა ნახვა...  
მეგონა, რომ, არც კი ემახსოვრებოდა ის სიტყვები. გადაკოცნა  
ყველა ექსპედიციელი. მე არა! შემომხედა, ერთდროულად სიყვა-  
რულით და გაბრაზებით, მითხრა: შენზე გაბრაზებული ვარ, ჩემი  
სიტყვები არ გაითვალისწინე!

მას შემდეგ ორჯერ ვიყავი ექსპედიციაში, მაგრამ პირველად  
ხომ არ დავუჯერე! ორივეს გვახსოვდა...

ყოველი მისი ნათქვამის შემდეგ ვიცოდი, რომ ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც იტყოდა... ახლაც მჯეროდა, რომ მოიხდიდა ამ ვირუსს და კვლავ შემართებით გავაგრძელებდით გზას, რომელსაც მისი დოქტორანტობა ერქვა.

სტუნდეტობისას სულ მაინტერესებდა, რა ხდებოდა იმ დიდი შავი კარის შეგნით, რომელსაც დიალექტოლოგის ინსტიტუტი ეწერა... დღეს იმ ქართველოლოგის კვლევითი-ცენტრის თანამშრომელი ვარ და მაინტერესებს, როგორ ვართ მის გარეშე აქ?!

და საქართველოს რომ აუნყეს „გარდაიცვალაო“, მხოლოდ მაშინ დავრწმუნდი: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი... სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი!“

მიყვარხართ, ბატონო ტარიელ!  
მენატრებით, ბატონო ტარიელ!



## საიდ მულიანი

\*\*\*

2007 წელს, დიასპორის დღეების ფარგლებში, დიასპორის წარმომადგენლები მიიწვიეს ცნობილი ქართველის აჟმად მელაშვილის სახელობის სკოლის გახსნაზე. ამ ცერემონიალზე რამდენიმე წუთით შეხვდი ერთ პიროვნებას.

ყველა ადამიანის ცხოვრებაში არის გადამწყვეტი მომენტები, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანის ბედს და ახალ სიცოცხლესა და აზრს ანიჭებს მის ცხოვრებას. ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ეს წამიერი შეხვედრა. შეხვედრა, რომელმაც შეცვალა ჩემი სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, ჩემი სპეციალობა, რეპუტაცია და ცხოვრებისეული ხედვა. ეჭვი არ მეპარება, ეს იყო ღვთის ნება, რომ სამშობლოში ჩემი პირველი ვიზიტის დროს, რომელიც, რაღაც მიზეზების გამო სამ დღეზე მეტი არ გაგრძელებულა, ვხედავდი ამ ბრძენ და პატრიოტ კაცს. რამდენიმე წუთით პირველი შეხვედრა, რამაც სილრმისეულად და უზომოდ იმოქმედა ჩემს სულზე, გულზე და აზროვნებაზე.

ბატონი ტარილის პიროვნებამ, სიტყვებმა, იდეებმა და მტკიცე მხარდაჭერამ მალე დამარწმუნა, რომ გადმოვბარგებულიყავი საქართველოში და დამეძლია სირთულეები. დავტოვე ცხოვრება, ჩემი სამუშაო, სახლი ირანში და ცხოვრების ახალ და უცნობ სამყაროში გადავდგი ფეხი.

ამის შემდეგ ხშირი ურთიერთობა მქონდა ჩემს უძვირფასეს მოძღვართან. ბევრჯერ ერთად გავიარეთ ქუთაისი-თბილისის მარშრუტი; ბედნიერი ვიყავი იმით, რომ მასთან ერთად ვესწრებოდი უამრავ კონფერენციას, სხვადასხვა ცერემონიალს უნივერსიტეტებში და სხვადასხვა დროს სხვადასხვა დღესასწაულებს, დავდიოდი სამეცნიერო შეხვედრებსა და ექსკურსიებზე სტუდენტებთან ერთად.

ბატონი ტარიელისა და მისი მეგობრების, განსაკუთრებით კი ბატონ შალვა კირთაძის ხელშეწყობითა და დახმარებით, ქუთაისის უნივერსიტეტში ჩავაბარე მისალები გამოცდები ქართული ენის სადოქტორო პროგრამაზე და სწავლა დავიწყე.

გარდა საგანმანათლებლო საკითხებში დახმარებისა, ბატონი

ტარიელი ძალიან დამეხმარა იმაში, რომ საქართველოში მატერიალურად გადარჩენა და გაძლება შევძელი, მისი რეკომენდაციით სხვადასხვა ცენტრსა და უნივერსიტეტში ლექციების ჩატარება დავიწყე, რაც იმ დროისათვის ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

გარდა იმისა, რაც მისგან ვისწავლე უნივერსიტეტში ლექციებზე, მოგზაურობის დროს უამრავ ლამაზ და საინტერესო ცხოვრებისეულ გაკვეთილსაც ვიღებდი მისგან.

ის საუკეთესო ორატორი იყო და სიამოვნებით ვუსმენდი მის საუბრებს. ბატონ ტარიელს განსაკუთრებული უნარ-ჩვევა ჰქონდა ხალხთან ურთიერთობაში და ამის გამო უამრავი მეგობარი ჰყავდა ყველგან, საზოგადოების ყველა ჯგუფში.

მე ვახლდი მას პირველი ვიზიტისას ირანსა და ფერეიდანში. კაცი, რომელიც პირველად ჩავიდა ირანში, იცნობდა ქართული ენისა და კულტურის თითქმის ყველა ქომაგსა და მოყვარულს, რომლებისაც ურთიერთობდა, იფიქრებდით, წლების მეგობრობა აკავშირებდათ. იგივე ვწახე ტაო-კლარჯეთშიც.

მეორე მოგზაურობის დროს, რომელიც დაიგეგმა მისი იდეითა და ხელმძღვანელობით, აჭარის ტელევიზიასთან ერთად ირანში მცხოვრები ქართველების შესახებ დოკუმენტური ფილმის გადასალებად, გადალების ნებართვასთან დაკავშირებით პრობლემები წარმოიშვა და ყველა ვფიქრობდით, რომ შეუძლებელი იყო ამის გაგრძელება. ბატონი ტარიელი ესაუბრა კულტურის განცოცილების ხელმძღვანელს და იმდენად ლამაზად და ლოგიკურად ისაუბრა, რომ მან თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა და გადალების ნებართვა მოგვცა.

ბატონი ტარიელი ძალიან ენერგიული და დაუღალავი იყო. ალბათ იცით, რომ მას შეეძლო ლექციები დილით თბილისში ჩაეტარებინა, საღამოს კი ქუთაისში წასულიყო და კონფერენციისთვის ეხელმძღვანელა.

ირანში ყოფნის დროს მან მთხოვა, რომ მზის ამოსვლამდე ერთად ავსულიყავით ციხე მთაზე. მე დამეზარა და მეგობრებს ვთხოვე, რომ წასულიყნენ. ისინი დილით ძალიან ადრე წავიდნენ და, როდესაც იგი დაბრუნდა, ძალიან გახარებული იყო ციხე მთის ნახვით, სადაც მოხდა ფერეიდნელი ქართველების ხოცვა-ულეტის ტრაგედია. მითხვა, ბიჭებმა თქვეს: გვეგონა, რომ შენ ქალაქში გაიზარდე და მთის მწვერვალზე ამოსვლას ვერ შეძლებდიო, მა-

გრამ პირიქით, ყველას გვაჯობე და ვერ გენერაციონ. შენც ასე ხომ არ ფიქრობდიო?

ბატონი ტარიელი ყოვლისმომცველი და სხვადასხვა უნარის მქონე ადამიანი იყო. მას ძალიან ლამაზი ხუმრობები ჰქონდა. მოგზაურობებისას მისი მანქანით დავდიოდით. მანქანას ყოველთვის მე ვმართავდი. ერთხელ ქუთაისში ქუჩაში მივდიოდით. უცებთქვა: მოატრიალე მანქანა და უკან დაბრუნდი. მე ვუთხარი: რატომ? არასწორი გზით მივდივარ? მან თქვა: არა, მხოლოდ ერთი ორმო დარჩა, რომელშიც მანქანა არ ჩააგდე, ბარემ იქაც ჩააგდე, არ მოიწყინოსო. მე ვთქვი, როგორ გაიგეთ, თქვენ ხომ დაკავებული იყავით? მან მიპასუხა: მანქანის წივილ-კივილმა მითხვაო.

მიუხედავად იმისა, რომ მე ძალიან ახლოს ვიყავი ბატონ ტარიელთან და გვქონდა ოჯახური ურთიერთობა, როდესაც საქმე ეხებოდა სწავლას და უნივერსიტეტს, ის ძალიან სერიოზული, მომთხოვნი და მკაცრი იყო და პატარა ბავშვების მსგავსად, მე-შინოდა და ვცდილობდი ჩემით კმაყოფილი ყოფილიყო.

ერთი პერიოდი უნივერსიტეტს ცოტა ხნით ჩამოვშორდი და ბიზნესის კეთება დავიწყე. ერთ დღეს, ის მეუღლესთან ერთად ჩემს ახალ სახლში მოვიდა. ძალიან უხაროდა ეს ამბავი. მე ვუთხარი, რომ ახლა ორი სახლი მაქვს. მან კი მიპასუხა: ძალიან კარგია და სასიხარულო, მაგრამ სახელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია და სახლი სახელთან ერთად უფრო კარგია და, ახლა მიხედე შენს დისერტაციას.

ის ძალიან ერთგული და მეგობრული იყო. ძალიან უჭერდა მხარს მეგობარს. ერთხელ მან მითხვა: ვიღაცები რომელიდაც უნივერსიტეტში მისულან და შენზე რაღაცები უთქვამოთ. მე ვუთხარი: თქვენ რას ფიქრობთ? მან მიპასუხა: როგორც საკუთარ თავში ვარ დარწმუნებული, ისე მჯერა შენი; ამასთან, მან დასძინა: ვის გაუგონია მებრძოლი კაცი მტრის გარეშე? როგორც ჩვენ, ფერეიდნელები ვამბობთ, ეს სიტყვები ძალიან გულზე დამიჯდა(მესიამოვნა), სხვანაირად რომ ეთქვა, არ ვიცი, როგორ ვიგრძნობდი თავს.

ჩემთვის და ფერეიდნელი ქართველებისათვის ბატონი ტარიელი საქართველოს სიმბოლო იყო. მასში ვხედავდით ქართულ ენას, კულტურას, სამშობლოს სიყვარულს, დაუღალავ ბრძოლას ერის გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის, უანგარო სიკეთეს, ძმობა-

სა და ნამდვილ მეგობრობას. ის ჩვენთვის სიკეთის განსახიერება იყო. ის იყო დაუშრობელი სიყვარულის წყარო. მასში ვხედავდით საქართველოს წარსულსა და ნათელ მომავალს. მისი სიტყვისა და საქმის გვწამდა. ის უფლისგან იყო მოვლენილი, რათა ჩვენთვის ეუწყებინა, ვინ ვიყავით, ვინ ვართ და რა გვევალება ერისა და სამშობლოს წინაშე.

ის ჩვენთვის სულიერი მამა გახლდათ. მან შეაღწია და დაისა-დგურა ჩვენს გულებსა და სულებში. როგორც სიყვარული, ასევე ბატონი ტარიელიც მარადიულია. როგორც სამშობლო, ასევე ბატონი ტარიელიც მარადიულია.



## დიმიტრი ნადირაშვილი

\*\*\*

„როგორა ხარ, ძამიკო“ – ტარიელის მომართვა ასეთი უშუალო და, თითქმის ყოველთვის საქმიანი იყო. ჩვეულებრივ, ენერგიული და ხალისიანი. მძაფრი დანაკლისის განცდა გაჩნდა ტარიელის ახლობელ ადამიანებთან, მისი უეცრად შეწყვეტილი სიცოცხლის გამო. ემოციურად მიჭირს ტარიელზე წერა და საუბარი, იმდენად უცნაურია მისი წარსულ დროში მოხსენიება. ვის და, ტარიელს უყვარდა სიცოცხლე და აქტიურად ხარჯავდა თავის ენერგიას პროფესიულ აქტივობებში, ურთიერთობაში, გასაჭირიც არ აკლდა და ლხინიც.

წერდა წიგნებს ფილოლოგიაში, ასწავლიდა და მოგზაურობდა სტუდენტებთან ერთად საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, მთასა და ბარში. ამით კარგად ჩანდა ტარიელის პიროვნული ბუნება. ატარებდა კონფერენციებს პროფესიულსა და ეროვნულ აქტუალურ თემებზე. მე პირადად ქართულ უნივერსიტეტში გავიცანი, ახლო მეგობრობა გვქონდა და პროფესიული ურთიერთობაც. როგორც ჩვენი უნივერსიტეტის რექტორს, სერგო ვარდოსანიძეს უყვარდა ხუმრობა: „ტარიელი დილით ქართულ უნივერსიტეტშია, შუადლეს გორის, სალამოს ქუთაისის და მოსალამოებისას სამცხე-ჯავახეთისაშიო“. ტარიელს უყვარდა ენერგიული მოძრაობა-გადაადგილება. დიდ დროს გზაში ატარებდა. ამ გზას საქართველოს უნივერსიტეტებსა და მხარეებს გარდა, ფერებიდანშიც მიჰყავდა და ლაზისტანშიც. ამით ცხოვრობდა და გრძნობის შინაარსა და ენერგიას ამის კეთება აძლევდა. ტარიელის ვნებას და სიყვარულს ბუნებაში ყოფნა წარმოადგენდა.

უყვარდა სტუდენტებთან ერთად საქართველოში, თუ ჩვენს სამხრეთ მეზობლებთან მოგზაურობა. ციცაბო კლდის ქიმზე, თუ ტაძრის გალავანზე ასული შიშის გარეშე გაჰყურებდა სივრცეს და სიამოვნებით ილიმოდა. ერთხელ ფოტოს გადაღებაც მთხოვა ალაზნის ველის ფონზე, მაღალი კოშკის ქონგურზე ასულმა. ასეც აღიძეჭდა ფოტოზე.

ტარიელისგან ჩემთვის გასაკვირი არ იყო, როცა მზიან ამინდში, აუდიტორიის ნაცვლად, სტუდენტებს ლექციას უნივერსიტე-

ტის ნათელ და მყუდრო ეზოში უტარებდა. ამის ამსახველი ფოტოც დარჩა, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესიონალი ფოტოგრაფის მიერ გადაღებული. სტუდენტებს უყვარდათ და აფასებდნენ.

ეპიზოდი მახსენდება ტარიელთან პროფესიული ურთიერთობის თვალსაზრისით. პრობლემამ „თავის ტკივილი“ გამიჩინა. ინგლისური არათარგმნადი ტერმინის გადმოქართულება მქონდა დღის წესრიგში. წიგნი უნდა გამომეცა და ეს ცნება იქ ქართულად უნდა მომეტანა. დრო გადიოდა და პრობლემა პრობლემად რჩებოდა, „თავის ტკივილი“ მატულობდა. ამ საკითხზე ინდივიდუალური საუბარი ფილოლოგებისა და ფსიქოლოგების ფართო წრესთან მქონდა. ტარიელთან ურთიერთობა ეფექტური და მაქსიმალურად პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული იყო. საკუთარ მიგნებებსა და პრიორიტეტებს ნათლად და უყოფმანოდ გამოთქვამდა. დროშიც გამოზომილად იქცეოდა. „წავედი ახლა“ – მცირე პაუზაც საკმარისი იყო, რომ შემდეგ საქმეზე გადასულიყო. ძალიან დამეხმარა; ტერმინის ქართულად განსამარტი საუკეთესო ეკვივალენტი მაპოვნინა. ამ თემაზე რამდენჯერაც მომინია საუბარი, ტარიელს, რამდენიმე ფილოლოგთან და ფსიქოლოგთან ერთად, აუცილებლად მადლიერებით ვიხსენებ. ახლაც გულითადი მადლიერების გრძნობა მაქვს მის მიმართ.



## თამარ ნინიძე

### გარაზისობის დასაწყისი

არასოდეს დამიწერია, მხოლოდ წამიკითხავს მსგავსი ტექსტები – მოგონებები...

გარდასულ დღეთა მოგონება ადვილი ყოფილა, უდროოდ გარდაცვალებულ ადამიანზე წერა კი – ძნელი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ემოცია ცრემლით საუბრობს და სიტყვების თქმა გიჭირს. ერთი რთული მისია გვაქვს ახალ თაობას: ჩვენს წინამორბედთა წასვლას უნდა მოვესწოროთ. ბუნების კანონია, მაგრამ – რთული.

2006 წელი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის პრეველი კურსი – ფონეტიკის ლექტორი პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, რომელიც არ თავსდება კლასიკური ლექტორის ჩარჩოში. ყოველი მისი ლექცია გამოწვევაა, სტრუქტურა, რომ ახლებურად იფიქრო, შენი აზრი გამოთქვა. ზოგჯერ პოზიციებიც გაცვალო – შენ ლექტორის როლი მოირგო, მან კი – სტუდენტის. პირველკურსელისთვის ბევრს ნიშნავს, როცა მის აზრს აფასებენ, მომავალ კოლეგად მიიჩნევენ...

2009 წლის აგვისტო – სამეცნიერო ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში. საოცნებო მხარე. ახდენილი ოცნება. „ჩემი საქართველო, ჩემი საქართველო... ასჯერ მაინც გავიმეორე გულში ეს სიტყვები... გზაში ბატონი ტარიელი გვაცნობს ადგილების, ხიდების სახელებს. – ეს თამარის ხიდია. ახლა შენს სამფლობელოში შევდივართ, ექსპედიციის პირველ დღეს და დოლისყანის მონახულებას შენ გიძლვინი... – მადლობის თქმას ძლივს ვახერხებ“ (ამონარიდი 2009 წლის ექსპედიციის ჩანაწერებიდან „იმერხევის დღიური“). არტანუჯზე ციცაბო ბილიკით ავედით. ვინ ადის იმ გზით? მხოლოდ უშიშარი წინამდლოლი, რომელსაც მივყებით ჩვენ, გამოუცდელი სტუდენტები და არაფრის გვეშინია.

ექსპედიციაში ბატონი ტარიელი სხვაგვარად გავიცანით. მამობრივად მზრუნველობდა ყველას, მისთვის დამახასიათებელ იუმორს იშველიებდა, ოლონდ საქმე არასოდეს ავიწყდებოდა. საქმე იყო მისთვის მთავარი. ჰქონდა მიზანი, რომლის ირგვლივაც ტრიალებდა...

2011 წელი, ქართველური ენათმეცნიერების სპეციალობის მაგისტრატურის პირველი კურსი. ეს ის დროა, როცა უნივერსიტეტის მესამე კორპუსში გეგულება დიალექტოლოგის ინსტიტუ-

ტი – ადგილი, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ საენათმეცნიერო ლიტერატურით, დასხვდნენ და იკვლიონ მათთვის საინტერესო საკითხი... ბატონი ტარიელი მეგობრული, თუმცა, ამავდროულად, მკაცრი და მომთხოვნია, მის ლექციებზე ხშირია პოლემიკა, მსჯელობა... მას სურს, რომ სტუდენტი ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე თავად მივიდეს სწორ დასკვნამდე.

2014 წელი, დოქტორანტურა. რეფერატების მზადება ბატონი ტარიელის საგნებში. ის ბედნიერი იყო, როცა კარგად შესრულებულ დავალებას იღებდა. სურდა, რომ საგანში „ლინგვისტური კვლევა-ძიების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები“ სა-ლექციო კურსი გაგვეკეთებინა. საქმე მომავლისთვის გადავდეთ...

ექვსი წლის შემდეგ, 2020 წელს, სადოქტორო დისერტაციის დაცვისთანავე, ბატონმა ტარიელმა ამ საგნის პრაქტიკული მეცადინეობები მომანდო და, პარალელურად, „რიდერზე“ მუშაობის დაწყება მთხოვა. მისი მიზანი იყო, საგანი ცალკე კურსად დარჩენილიყო სადოქტორო პროგრამაში ქართველური ენათმეცნიერების სპეციალობისათვის, მასალა ამ მიმართულებით არსებული კვლევების საფუძველზე ყოფილიყო აგებული (ქართული მაგალითებით გამდიდრებული), რათა მომავალ დოქტორანტებს გაადვილებოდათ საგნის საფუძვლიანი შესწავლა.

სემესტრის ნახევარი ერთად გავიარეთ და შეალედურ გამოცდამდე მივედით. ლექციებს, პანდემიასთან დაკავშრებული ცნობილი ვითარების გამო, ონლაინ, zoom-ის პლატფორმის საშუალებით ვატარებდით. ბატონი ტარიელი სულ უდგამდა ერთი შეხედვით მშრალ საკითხებს და საინტერესო მაგალითებით ამდიდრებდა თეორიულ მსჯელობას. ჩვენს საფოსტო მიმოწერაში ჩანს სილაბუსის საკითხებზე მუშაობის პროცესი, რის შემდეგაც ვაწვდიდით სტუდენტებს თეორიულ მასალას... ერთხელაც ბატონი ტარიელისაგან უჩვეულო პასუხი მივიღე, რომ საკითხის გადახედვა არ შეეძლო და ჩემი შეხედულებისამებრ უნდა გამეგრძელებინა დოქტორანტებთან მუშაობა. ეს იყო წამი, როდესაც შევჭიოთდი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და თავი მარტო ვიგრძენი, თუმცა ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ, სამწუხაროდ, ეს მისი უკანასკნელი პასუხი იქნებოდა...

მერე იყო ელდა და გამოხმაურებები, რომლებიც არც კი მჯეროდა, რომ ბატონ ტარიელს შეეხებოდა. სიმაღლეების სიყვარულს აღნიშნავდნენ მასზე საუბრისას, რაც ფოტოებზეც ჩანდა:

„ღრუბლების ზევით ჩემი ცა მოსჩანს – წამოდი, ერთად ვესტუმროთ ქიმებს“...  
თუ შეიყვარე სიმაღლე, მორჩა, მერე წამალი ვერ გიექიმებს!

თუ შეიყვარე სამშობლო გულით – ტაძრების ლოდთა ბუბუნი, ფეთქვა, სულში გაქვს სხივი გადამალული, სამშობლოს ბედი გარგუნა ღმერთმა,

მაშინ იცოდე, რომ გქვია კაცი და გული უნდა ყველას გაუყო, წუთისოფელი სადამდეც გაცდის – ქველი საქმე ჰქმნა, არა აუგი.

მაგრამ, ვაი, რა შორია ტაო, ალბათ, რა მწარედ ქვითინებს დედა, რა უყონ ახლა დარდის ამ ჭაობს ტაოკლარჯელმა ძმებმა და დებმა!

ათასი სხივი აღწევს და ქრება  
ათასი გული ტირის და ვერ ცვლის,  
ხანდახან თურმე ამგვარად ხდება,  
სიკვდილი ურცხვი კაი ყმას ერჩის!

ისევ იქ დგახარ, ღრუბლების თავზე  
და ასცდი კიდეც სალი კლდის ქიმებს,  
ბრძოლის ჟინით და სიცოცხლით სავსეს  
ვერ დაგენამლნენ, ვერ გიექიმეს... (14.01.2021).

მტკიცედ მწამდა, რომ მას ყოველგვარ განსაცდელთან გამკლავება შეეძლო! თურმე, დისერტაციის დაცვის დღე იყო უკანასკნელი, როცა მას პირისპირ ვხედავდი... ვერ ვიფიქრებდი, რომ 2021 წლის ბედობა დღეს ყველაფერი ასე დასრულდებოდა. თუმცა, არ დასრულებულა. დასასრულით ხომ ზოგჯერ უფრო დიდი რაღაც იწყება! შეიძლება უბრალო მოკვდავთათვის გაუცნობიერებელი, მაგრამ უფრო დიდი და მარადიული...

## რუსუდან სალინაძე

### ჩვენ ორი უნივერსიტეტი გვაკავშირებდა

ჩვენ ორი უნივერსიტეტი გვაკავშირებდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სტუდენტობიდან, მოვლიოდით, შემდეგ კი თითქმის სამი ათეული წელი ქუთასში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, განვაგრძობდით პროფესიულ საქმიანობას და საერთო-საუნივერსიტეტო მიზანი და საზრუნავი გვაერთიანებდა. ეს დრო ძალიან ბევრი არ არის, თუმცა არც ისე ცოტაა. ეს იმას ნიშანავს, რომ **ტარიელ ფუტკარაძის** ცხოვრების დიდმა ნაწილმა ჩემს თვალწინ გაიარა და მოსაგონარიც ძალიან ბევრია, მაგრამ ახლა, როცა ის ჯერ კიდევ არ გადასულა მოგონებებში, როცა ჯერ კიდევ ვერ გაგვიაზრებია მისი ამქვეყნად არყოფნა, ძნელია მასზე წარსულში ლაპარაკი.

წარსული კი სტუდენტობის წლებიდან მოდის და დაკავშირებულია ჩემს ძვირფას თანაკურსელთან – ია ვაშავიძესთან. მე და ია თსუ-ში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, „ქართველური ენების“ ჯგუფში ვსწავლობდით. ტარიელი უფროსკურსელი იყო. ერთ ზაფხულს (მესამე კურსზე გადავდიოდით) ჩვენი ჯგუფი სვანური ენის ლექტორის პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით ექსპედიციაში ზემო სვანეთში უნდა გამგზავრებულიყო. შევიტყვეთ, რომ იმავდროულად უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი ტარიელ ფუტკარაძის ხელმძღვანელობით სამხრეთ საქართველოში, საფარაში, ისტორიულ ძეგლთა აღდგენით სამუშაოებზე მიდიოდა. ძალიან მინდოდა, იაც ჩვენთან ერთად წამოსულიყო სვანეთში, მაგრამ მან არჩევანი საფარაზე შეაჩერა და მალე, საფარიდან დაბრუნების შემდეგ, მისი რჩეული ტარიელი ჯერ კურსის სასიძოდ, შემდეგ კი სიძედ მოგვევლინა. მას შემდეგ ტარიელ ფუტკარაძე სულ ჩვენს კურსთან ერთად იყო ლექციებზეც, ექსკურსიებზეც... ჩვენთან ერთად ისმენდა თითქმის ორი წელი სალექციო კურსებს. როდისლა ასწრებდა საკუთარ კურსთან ლექციებზე დასწრებას, ვერც კი ვხვდებოდით.

ყოველთვის სიამოვნებით ვიგონებდით სტუდენტობის წლებს. ტარიელს ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა გამოკვეთილი პიროვნული თვისებები. ჯერ კიდევ ჭაბუკი გამოირჩეოდა ინდივიდუალიზმით,

პრინციპულობითა და მიზანდასახულობით. მახსოვს, ახლადშეუღლებულები დროებით იას მშობლებთან ერთად ცხოვრობდნენ. ერთხანს მე და ია „ზოგად ენათმეცნიერებაში“ გამოცდისთვის ერთად ვმეცადინეობდით იას მშობლების სახლში. ტარიელისა და იას ოთახში კედელზე ფოტოები შევნიშნე. ტარიელმა სიხარულითა და სიამაყით ამისსნა, რომ ფოტოებზე მისი ბაბუა და ბებია იყვნენ გამოსახული. მაშინ გაკვირვებისგან ხმა ვერ ამოვილე, დავიძენი, მერე კი მთელი ცხოვრება მახსენდებოდა ეს და კიდევ უფრო კარგად ვხედავდი ტარიელის ხასიათს, განსაკუთრებულ პატივისცემას წინაპრებისადმი და ამით ხაზგასმას საკუთარი „მეობისადმი“, დამოუკიდებლობისადმი.

ამ ხასიათითა და პრინციპებით იყო ყველგან და ყველაფერში მუდამ. საკუთარ სიტყვას ამბობდა ნებისმიერ საკითხთან თუ პრობლემასთან დაკავშირებით, სამეცნიერო იქნებოდა ის თუ სხვა სახისა. გადიოდა დრო და ვხედავდი, როგორ იბრძოდა, შრომობდა, ქმნიდა, ცვლიდა, იღვნოდა, მწვერვალებისკენ ისწრაფვოდა...

ვერ ვიტყვი, რომ პოლიტიკაში მისი თანამებრძოლი ვიყავი (შორს ვარ პოლიტიკისგან), მაგრამ ერთად ვიყავით საერთო საქმეში, რაც ქართული ენის მსახურებას, მომავალ სპეციალისტთა თაობების აღზრდას ითვალისწინებდა; კოლეგებთან ერთად ვეჭიდებოდით სირთულეებს, ვქმნიდით სასწავლო კურსებს სწავლების სხვადასხვა საფეხურისთვის, ვუძღვებოდით სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობას, ღონისძიებებს...

მახსენდება, ტარიელი ქუთასში რომ ჩამოვიდა და რექტორმა ბატონმა მაგალი თოდუამ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს (შემდგომში „ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტი“) ჩაუყენა სათავეში, პარალელურად ქართული ენის კათედრაზეც (შემდგომში ქართული ენის დეპარტამენტი, ამჟამად ქართული ენის მიმართულება), მუშაობდა, როგორც მოწვეული ლექტორი. ეს ის დრო იყო, როცა მაშინდელ პედაგოგიურ ინსტიტუტს უნივერსიტეტის სტატუსი მიენიჭა. საუნივერსიტეტო განათლება მნიშვნელოვან ცვლილებებს მოითხოვდა. ერთ დღეს ტარიელ ფუტკარაძემ კათედრის წევრებს გამოუცხადა, რომ აპირებდა ქართულ ენაში სპეციურსის შემოღებას, რაშიც მე უნდა შევშველებოდი. ეს არ იყო მისი შემთხვევითი არჩევანი: ჩვენ უნი-

ვერსიტეტები ვიყავით... შევუდექით ძალიან შრომატევად საქმეს, შევადგინეთ სამოცი საკითხი სახელმწიფო გამოცდისთვის. ერთ დიდ სტუდენტურ ჯგუფს ტარიელი უძღვებოდა, მეორეს – მე. სტუდენტებიც მთელი მონდომებით ამუშავებდნენ ქართული ენის გრამატიკის თითოეული საკითხის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას და ქმნიდნენ სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრებებით დატვირთულ კონსპექტებს. ორმხრივმა შრომამ, სამსათიანმა დამატებითმა მეცადინეობებმა სასიხარულო შედეგი გამოიღო: სახელმწიფო გამოცდაზე ტოლს არ უდებდნენ ჩვენი ჯგუფები ერთმანეთს. ამის შესახებ ხმამაღლა აღნიშნავდნენ სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე და სხვებიც.

2006 წლიდან ტარიელ ფუტკარაძე კონკურსის წესით არჩეულ იქნა ქართული ენის დეპარტამენტის პროფესორად. ის იყო ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ავტორი და ხელმძღვანელი; სხვადასხვა საფეხურზე უძღვებოდა სასწავლო კურსებს ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, დიალექტოლოგიაში, ქართველოლოგიაში... მისი ხელმძღვანელობით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაერთმა დოქტორანტმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მათგან უმრავლესობა დღეს ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორია და უძღვება სასწავლო პროცესს.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარუშლელი კვალი დატოვა პროფესორმა ტარიელ ფუტკარაძემ. ამას მონმობს ეს არასრული ჩამონათვალიც:

- ყოველწლიური საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქუთაისური საუბრები“ (ქართველოლოგთა ლინგვისტურ-ეთნოლოგიურ-კულტუროლოგიური სამეცნიერო ფორუმი – 1994 წლიდან)
- სამეცნიერო უურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“
- „ქართველოლოგის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“ (ყოფილი დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი)
- სტუდენტთა დიალექტოლოგიური პრაქტიკა-ექსპედიციები (1996 წლიდან) საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, სვანეთი, სამეგრელო, ხევსურეთი, ლეჩებუმი, იმერეთი), აგრეთვე, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ტაო-კლარჯეთში (2006 წლიდან)

➤ ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების მაგისტრანტთა და დოქტორანტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია (2007 წლიდან)...

ეს ჩამონათვალი იმ მემკვიდრეობის ნაწილია, რომელიც დღესაც მოქმედია, დღესაც გრძელდება და გაგრძელდება მომავალშიც... აქ წერტილს ვერ დავსვამ, რადგან მოსაგონარი ძალიან ბევრია და ამ მოგონებებში, მის მიერ საფუძველჩაყრილ საქმეებში, აღზრდილებში, თაობებში იცოცხლებს იმიერ სამყაროში ნაადრევად გარდასული ტარიელ ფუტკარაძე!



## გიორგი სოსიაშვილი

### ჩირუსის ნისლი

გამოსათხოვარს ვერ დავწერ, ვერც კალამს დავიმორჩილებ და არც სიტყვები ამომყვება ამ ათართული ტვინიდან. რაღაც საშინელი ხილვა მგონია, უშმური სიზმარი, ჩვენი ტკბილ-მნარე წუთისოფლის კალენდარი ხომ ამ სულის დამკანვრელი სიზმრებით არის აკინძული.

ვზივარ, ვაწრიალებ კალამს და ვცდილობ მეხსიერების მრუმე უფსკურულიდან ლანდების გამოხმობას. ჩვენი ცხოვრება სიზმარია, ჩვენ კი ამ სიზმრის პერსონაჟები, უსხეულო ლანდები ვართ, დროებით რო დავბორიალობთ დედამიწაზე. მაშინაც მიჭირდა, ვფიქრობდი როგორ დავიწყებდი და როგორ დავამთავრებდი საიუბილეო, მისალოც წერილს. არა, ჩვეულებრივი მილოცვა არ მინდოდა, ბანალური ტექსტების დაწერა რთული არ არის. „გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი ტარიელ ფუტკარაძე დაიბადა 1960 წელს...“, ასე დაწყება არ მინდოდა. არც ამ სახით დასრულება მინდოდა: „ვუსურვოთ სამოცი წლის ტარიელ ფუტკარაძეს ნაყოფიერი წლები“... და კიდევ მოჰყვებოდა ის სიტყვები, როგორც მთავრდება ხოლმე ჩვეულებრივი მისალოცი წერილები. ან სათაური ასეთი რო ჰქონოდა: „კვლავაც შემართობით!“, ან „წინ დიდი გზაა“. რაღაც სხვანაირი მინდოდა, მაგრამ იმ სხვანაირ ტექსტს ვერ ვწერდი. კალამი გაშრა, ფურცელი გაბერნდა. რამდენჯერაც დავიწყე, თავი ვერ მოვაბი. არადა, ახლოვდებოდა საიუბილეო თარილი, ახლოვდებოდა მისი ცხრა მაისი. რომანში კი ამოიძერნა მისი სახება, ჩემს „გოდების კედელში“, ერის სულიერ მწყემსმთავარს ესაუბრება საქართველოს ტკივილებზე, ჩვენს გათითოეცებულ ხალხზე, ჩვენს მავთულხლართებით გადაღობილ ტერიტორიაზე, ჩვენს წაბილულ სულიერებაზე. იქაა ტარიელი დახატული. თან საქართველოს ყველა კუთხეში დაჰქრის იგი და გაპარტახებული მამულისთვის გულანთებულ ქართველებს აგროვებს. რომანში ამერიკელი ბასკიც მას გავაცანი. სწორედ ტარიელთან დატოვა გორკა ხაბიერ ელიზონდომ თავისი ტკივილით სავსე ჩანაწერები საქართველოზე. ურეკში ვუთხარი ამის შესახებ. რომანში ასეთი ეპიზოდი მაქვს თქვენზე და სახელიც არ შეგიცვალეთ-მეთქი. ურეკი ჩემთვის შთაგონების წყაროდ ქცეუ-

ლიყო, იქ მეწერებოდა, თუ მეწერებოდა. ვითომ დასასვენებლად მივდიოდი, მაგრამ ჩემს გმირებს მაშინ მოუნდებოდათ დაბადება, მაშინ იწყებოდა მშობიარობის ტკივილებზე უარესი ტკივილები. ამას ცალკე დავწერ, სხვანაირად არ შემიძლია!

ერთი სული ჰქონდა როდის დასრულდებოდა ჩემი რომანი, ურეკში დაწყებული რომანი. სწორედ იქ გადავწყვიტე რაც ტკივილები დაგროვილიყო ბოლო წლებისა, ქაღალდზე გადამეტანა. სხვანაირად ვერ გავძლებდი და ერთ დღესაც გულს გახეთქავდა ამდენი სევდა, ამდენი ვარამი.

რომანის მთავარ გმირს ბაქარს და რომანის ერთ-ერთ პერსონაჟს – ტარიელს ერთნაირი სიზმარი დავასიზმრე. ცხადში ხომ ერთნაირი ტკივილები ჰქონდათ და სიზმარიც ერთნაირი ესიზმრათ. როგორც მოენონა ის წიგნი თავის ერთ-ერთ ვეებერთელა წერილში გადმოსცა შთაბეჭდილებები, სადაც ჩემ ცხოვრებისეულ ფილოსოფიასაც შეეხო და ენობრივ სამყაროსაც.

და მანამდე სად მიდიოდა ამ რომანის გარჩევა, უფრო სწორად ჩემი და ტარიელ ფუტკარაძის დიალოგი „გოდების კედელის“ ირგვლივ? არც მეტი, არც ნაკლები, სუპერმარკეტში. მეუღლესთან ერთად სურსათის დახლებს მივყვებოდი და ტელეფონი აწერიალდა, ტარიელის ხმა გაისმა.

– როგორ ხარ, ლომო?

მისგან ნასწავლი სიტყვა მქონდა მზად, როგორც თავად მპასუხობდა ხოლმე.

– შესანიშნავად!

– გცალია?

– კი, რა თქმა უნდა, – ეს „რა თქმა უნდაც“ მისი იყო, მისი საუბრის განუყოფელი ნაწილი.

მოკლედ, დაინტყოთავის შთაბეჭდილებების მოყოლა, დაიწყო და სუპერმარკეტში „ირჩეოდა“ ჩემი რომანი. ყოველგვარი შელამაზების გარეშე მიყვებოდა შთაბეჭდილებებს ურეკში, ტარიელის ჭერქვებზე დაწყებულ წანარმოებზე. ადამიანებზე უზომოდ შეყვარებულ კაცს, შეფასების თავის ფორმულა ჰქონდა, „სიდამპლეშეპარული ვაშლის ფორმულა“, გვერდგამომპალი ვაშლი რო გადასაგდებად გენანება იმას ვგულისხმობ. ნაწილობრივ დაზიანებულ ვაშლს იმ ადამიანებს ადარებდა, შეცდომები რო ჰქონდათ დაშვებული, ბევრი ტკივილი რო მიეყენებინათ მისთვის.

„ბოლომდე თუ არ დალპა ვაშლი, არ უნდა გადააგდო. ადა-  
მიანიც ასეა, შეცდომა უნდა აპატიო, მიტევება უნდა შეგეძლოს“.

– ბოლომდე თუ დალპა ვაშლი? – ერთხელ დავუსვი კითხვა  
და პასუხიც მე გავეცი ჩემს კითხვას, – გაზაფხულზე მოვარდნილ  
წყალს უნდა გაატანო-მეთქი.

გაიცინა იმ სიცილით, მხოლოდ ტარიელმა რო იცოდა. 60  
წლის იუბილემდე თბილისის ერთ-ერთ რესტორანში წამიუვანა და  
წინასწარ მაჩვენა ის დაბაზი, სადაც დაბადების დღის გადახ-  
დას აპირებდა. ადგილიც კი მომინიშნა, საიდანაც სუფრისთვის  
უნდა მეთამადა. დარჩა სუფრა გაუშლელი და სადლეგრძელო  
დაულეველი. პანდემია დაიწყო, ის საშინელი პანდემია, რომელიც  
მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ტარიელის იუბილეზე მხო-  
ლოდ ვირტუალური კონფერენციებით შემოვიფარგლეთ. მისმა  
სათაყვანებელმა წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელმისი  
ქართულმა უნივერსიტეტმა ჩაატარა ბატონ სერგო ვარდოსანიძის  
ინიციატივით და ძალისხმევით ტარიელ ფუტკარაძის 60 წლის-  
თავისადმი მიძღვნილი კონფერენცია, მერე გორის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი შეუერთდა ტარიელის საიუბილეო ღონისძიებათა  
ციკლს. ჩვენც ჩავატარეთ, მოვეფერეთ... პანდემიის დასრულე-  
ბას ველოდებოდით, რომ ჩვეულ გარემოში ალგვენიშნა მისი 60  
წლის იუბილე... და ვერ ვწერდი მისალიც ტექსტს, ვწვალობდი,  
ვიტანჯებოდი, მაგრამ ვერ ვწერდი. არადა, მეგონა კალმის ერთი  
მოსმით, ერთი ამოსუნთქვით მივულოცავდი და ჩემს მისალიც  
სიტყვებს მივუძღვნიდი. თითქო ფრაზას ველოდებოდი, როგორც  
უყვარს ხოლმე გამოთქმა სოსო ჭუმბურიძეს.

იმ დღეებში გავიგე, რომ მამაპაპისეული სახლი აღადგინა  
საფუტკრეთში, მამისეულ კერას მიხედა, თავისი წინაპრების სუ-  
ლები გააპატიოსნა და მათ ხსოვნას ახალი ძალმოსილება მისცა. ვიფიქრე, ვიფიქრე და „სისხლის სათავე“ უნდა დამეწერა, მაგრამ  
ეს ჩვეულებრივი მილოცვის ტექსტი ვერ გამოვიდოდა. ტარიელის  
ცხოვრება ისეთნაირად უნდა გარდამესახა, რომ მცირე მოცუ-  
ლობის ტექსტში ყველაფერი ჩამეტია, რაც ადვილი არ არის...  
და ეზმანა ტარიელ ფუტკარაძეს თავისი წინაპარი, რომელიც  
მყაფარ ფერდობზე აუყვა საფუტკრეთში და თავისი ფუძე აჩვე-  
ნა, სისხლის სათავეზე მიანიშნა. იმ მხცოვანი კაცის სიტყვებით  
საფუტკრეთიდან დაშვებული სისხლის დოლაბი ტარიელს უნდა

დაეტრიალებინა და სწორედ ეს ზმანება აუხდა, როცა სხეულის  
თრთოლვით მიუჯდა მაგიდას დამოუკიდებლობის აქტზე ხელის  
მოსაწერად. და პირველმა გემბაც დაიკივლა დამოუკიდებელი  
საქართველოს ნაციადგურში – ბათუმის ნაციადგურში, რომელსაც  
ისტორიული ქალაქის პირველი პრეფექტი თავის კაბინეტიდან  
გადასცეკროდა. მერე დევნა იყო, კარდაკარ წონიალი, ოჯახის  
გადარჩენაზე ფიქრი... ხუნტასთან შეკრულ „საზოგადო მოღვაწე-  
თა“ მხრიდან ფურთხი და ჩაქოლვის მცდელობა. იმ „საზოგადო  
მოღვაწეთაგან“, ზოგიერთი მთავმინდაზე რომ ააპრძანა ერმა.  
და ესმა ჯიხათკარში გასროლილი ტყვიის ხმა საძინებელში ტა-  
რიელ ფუტკარაძეს და ყვავების გუნდმა ჩამოაბნელა კორპუსი.  
ბოლოს კი ქართული ანბანით, ქართული ასო-ნიშნებით აყვავე-  
ბულ ხესთან მივიყვანე „სისხლის სათავის“ მთავარი პერსონაჟი.  
მას ჰქონდა მშობელი მინის გაუნელებელი ტკივილები. სადაც კი  
ფეხი დავადგი, საქართველოს რომელ კუთხეშიც ჩავედი, ყველ-  
გან ის „დამხვდა“, პანგისის ხეობაში ხასო ხანგომვილთან, თუ  
ხევსურეთში – არმაზ წიკლაურთან... ფერეიდანიც მან გამაცნო  
საიდ მულიანის დახმარებით და თურქეთელ ქართველებთანაც  
მან დამამეგობრა. ის ყველგან იყო, ყველგან ისმოდა მისი ხმა,  
აუვალი გზებით ადიოდა ძველ ციხე-სიმაგრეებზე და ლრუბლე-  
თან მოსაუბრე ეფერებოდა საფიცარ სამშობლოს, რომელსაც  
უყოფანოდ შესწირა თავისი 60-წლიანი წუთისოფელი.

ურეკი ვახსენე... ახილება იყო თუ შთაგონების წყაროს აღ-  
მოჩენა. სრულიად შემთხვევით მივადექი ოთხი ძმის აშენებულ  
სახლს ზღვისპირეთში. იქ გავიცანი ოთხი დიდებული ვაჟუაცის  
გამზრდელი და დიდი ოჯახის გამორჩეული დიასახლისი – ქალბა-  
ტონი ნათელა ვაშაყმაძე. მაშინ არ ვიცოდი, რო ფუტკარაძეების  
ურეკული ალაგი რაღაცნაირი ანდამატური ძალით მიმიზიდავდა  
ყოველ ზაფხულს. იქ უნდა დაბადებულიყო ბევრი მოთხოვნა, იქ  
უნდა დანერილიყო „თეთრი ქალაქი“, წმინდა მინაზე ჩემი მოგ-  
ზაურობის ამსახველი შთაბეჭდილებები, იქ უნდა დანერილიყო  
„ვერცხლის ყვავილები“, ფერეიდანული ხოველების ციკლი და,  
რაც მთავარია, იქ უნდა გავცნობოდი ტარიელ ფუტკარაძის სამ-  
ყაროს.

ზღვაური გველამუნებოდა დაისღამისას, მწვანე ჩქერლად  
იღვრებოდა ეზოს პალმებში თავჩარგული ლამპიონის შუქი და

მესაუბრებოდა საქართველოს ბედსა და უბედობაზე ჩაფიქრებული ტარიელ ფუტკარაძე. საინფორმაციო ომში თვალზე რულ-მიუკარებელი იდგა და ხან ეროვნულ ცნობიერებაზე მოსეულ უცხოურ ორგანიზაციებს იგერიებდა, ხან კი ოცდამეერთე საუკუნის ყორლანაშვილებს – გრანტიყოლაპია მეცნიერებს. ბანკომატიდან გამოღებული ტკიცინა ევროების, თუ დოლარების გამო თხასავით რო ჰყიდდნენ ენას, მამულსა და სარწმუნოებას. სულ არ აინტერესებდათ მეგრულს გამოაცხადებდნენ ცალკე ენად, თუ სვანურ ლექსიკონებს გამოსცემდნენ, ფულის სუნს გაებრუებინა მეგრანტები.

წუხდა კი არა, გული გახეთქვას ჰქონდა ტარიელს, როგორც ქარსაცავი ჭადრების ზოლი სეტყვისას, ისე უხერგავდა გზას ქართველოლოგიური კონფერენციებითა, თუ სიმპოზიუმებით ანტიქართულ ისტერიას. ვერ იტანდნენ ტარიელს, ეჯავრებოდათ, ლანძლავდნენ. გრანტის სუნი და ტარიელის სიყვარული გვერდიგვერდ ვერ იხეირებდნენ. ათასპარტია გამონაცვალ „მოღვაწებს“, ყველა დროსა და სივრცეში თბილად და რბილად მოკალათებულებს სძულდათ ტარიელი. ხშირად იმეორებდა შედარებას საუბრებში – „ლელვის ფოთოლი“ იმ „მოღვაწეთა“ შესამკობად – იმეორებდა, ვარლამ ერისთავის კვალში რო ჩამდგარიყვნენ, პირველი ეგზარქოსის კვალში.

ლელვის ფოთოლს კიდევ აქვს თავის ფუნქცია. აი, ლელვის ხმელ ფოთლად რო იქცევა კაცი, მაშინ არის საცოდაობა. გამხმარიყო ზოგიერთი ლელვის ფოთოლი, ტარიელის მიახლოვებაც კი ზარავდათ, რო მონაქროლ ქარს მოუსავლეთში არ წაეღო ხმელი ლელვის ფოთოლი.

და დადგა ჩირუხის მთის დროც. გული უგებდა, თუ რა იყო, ღმერთო! ყველას გვანიშნებს რაღაცით უფალი, ცუდსაც და კარგ-საც გვანიშნებს. თითქო ჩქარობდა, თითქო გული კარნახობდა. მარიამისითვის დასაწყისში რამდენჯერმე დამირეკა.

- წელს სად აპირებ დასვენებას?
- არ ვიცი, ჯერ არ მომიფიქრებია-მეთქი.
- ურეკში ჩამოდი, ერთად დავისვენოთ, – მთხოვა.

ვერ ისვენებდა, იტყოდი, რომ საშინელი გუმანი ტანჯავდა. თავის საიუბილეო წელთან დაკავშირებით საკუთარი სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფიას აწესრიგებდა და გორის სახელ-

მნიშვნელოვანი უნივერსიტეტში გამოსულ იმ კრებულების ნუმერაცია გადაამოწმა, სადაც მისი სამეცნიერო სტატიები იყო დაბეჭდილი. ვიდრე ჩირუხის მთაზე მიმავალ ოკრო-ბოკრო გზას დავადგებოდე, ერთ საოცარ ფაქტს გავიხსენებ: ტარიელს თურქეთის საისტორიო საზოგადოების წევრის, ქართველ მეცნიერთა დიდი მეგობრის, პროფესორ იბრაჟიმ თელი-ოლლუს პუბლიკაცია ენახა ინტერნეტ-სივრცეში. იბრაჟიმს საქართველოში თურქული მოსახლეობის შესახებ სტატია გამოიქვეყნებინა, იგი სათანადო წყაროების არქონის გამო მიუთითებდა, რომ თითქოს თურქული მოდგმის ხალხი ჩვენს მინაზე ძველი დროიდან ცხოვრობდა. ასე გააღმასებული ტარიელი იშვიათად მახსოვს. დამირეკა და ლამის ტელეფონში გამოძვრა. ჯერ იმით დაინტერესდა მე და იბრაჟიმს რა კავშირი გვქონდა, ბოლოს მითხრა:

– ვიცი, რომ იბრაჟიმი გორის უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენციაზე ჩამოდის და თუ არის საშუალება, პლენარულ სესიაზე მოხსენებით გამოვალო.

ცხადია, დავთანხმდი, ორი მეცნიერის პაექრობა და გაუგებრობის კონფერენციაზე დასრულება ჯობდა, ვიდრე ინტერნეტ-სივრცეში იბრაჟიმ თელი-ოლლუს სტატიაზე დაყრდნობით ზოგიერთი არაკეთილისმოსურნე თურქი ისტორიკოსის მხრიდან არასწორი, უარგუმენტო მსჯელობა, საქართველოში თურქთა ძველი დროიდან მოსახლეობის შესახებ.

ტარიელ ფუტკარაძის მოხსენებას როინ ყავრელიშვილი თარგმნიდა. საბოლოოდ, იბრაჟიმმა ხელი ჩამოართვა ტარიელს და მეგობრულად უთხრა:

– ამ გაუგებრობას წერტილი დაესვა.

\* \* \*

კოვიდი თითქო ჩამცხრალიყო. პირველმა ტალღამ გადაიარა, თითქო შიშიც ჩანელდა, იტყოდი, რო ცუდი სიზმარი ნახა ხალხმა და ეგ იყო და ეგ. განსხვავებული ბათუმი დაგვხვდა, უფრო სწორედ, ისეთი ბათუმი, როგორიც არის სინამდვილეში. საზღვრები ჩაკეტილიყო, ტურისტები ველარ შემოდიოდნენ და ბულვარზე მხოლოდ ქართული ლაპარაკი ისმოდა. საქართველოს რომელი კუთხიდან აღარ ჩამოსულიყო დამსვენებელი, იტყოდი, რო შარი ხეირად გვექცა. ზოგი ჭირი მარგებელიაო, ფასები დაწეულიყო და გაიაფებულ სასტუმროებს მიაწყდა ჩვენი ხალხი, რომელსაც

ზღვაზე დასასვენებელი ფული „გაუჩინა“ პანდემიამ, თან მწყინდა, თან მიხაროდა.

ტარიელის უახლოესი მეგობრის – ზურაბ ებრალიძის სასტუმროში დავინავდით, რომელმაც ოჯახის წევრებივით მიგვიღო. ორიოდე დღეში შუახევში უნდა წავსულიყავი.

\* \* \*

იტყოდი, რო შემოდგომა იყო, ღვინობისთვის ჭირხლი ჰქონდა შუახევის მთებს. მანქანაც ტარიელმა გამომიგზავნა, დათო ვაშაყმაძის „პამერით“ მივუყვებოდით ნაწვიმარ გზას ჩირუხის მთისკენ. სულ მაღლა ნისლში გახვეულიყო მემთეურთა ილაილები.

\* \* \*

– ეს ადგილი მე აღმოვაჩინე. აქ ცხოვრობდა ერთი დაკუტებული გოგო. მტრის შემოსევის დროს, დაახლოებით კილომეტრ-ნახევარი იფორთხა და იმ ადგილას მიაღწია, რომელზეც დღეს ჯვარი უნდა აღვმართოთ.

– მერე? – შევხედე თვალებში ტარიელს. მეგონა, რო მემთეურთა ქოხებზე დაფენილმა მარიამობისთვის ნისლმა მის მზერაში გადმოინაცვლა.

– მერე... – სიტყვა გაუწყდა, შუბლიდან წვიმის წვეთები გადაიწინდა, – გადმოცემით, კუტი გოგო კლდესთან მიხოხდა და ისეთი ხმით დაიყვირა, რომ ადგილზევე გათავდა.

ვერ მივხვდი.

– მტრის შემოსევა ამ დაყვირებით ამცნო მეზობელ სოფელს, უნდოდა, რომ ხალხი გადაერჩინა, ამიტომ დაერქვა ამ ადგილს კუნტისჯვარი. სინამდვილეში ჰქვია კუტის ჯვარი. როგორც ჩანს, იმ გოგოს დაკუტებული გოგოს საპატივსაცემოდ აქ ოდესადაც ან ჯვარი დაფეხს, ან სალოცავი ნიში. მე ვიპოვე ის ადგილი და სწორედ იქ უნდა აღვმართოთ ჯვარი. – თქვა და მარიამობისთვის ღურღულა მზემ გამოანათა ტარიელის თვალებში.

უფრო მოუმატა წვიმამ. იქაური ბიჭები მოგროვილიყვნენ, ქუდზე კაცი გამოსულიყო. ტარიელმა ღვინო ჩამოასხა, დალოცვილი დღე ადლეგრძელა. ცას რამდენჯერმე ავხედე. შემომხედა და გაიღიმა.

– ცოტა ხანში გადაიღებს!

მეც გამეღიმა, გავიფიქრე – „რა იცის როდის გადაიღებს-მეთქი“.

– ჯვარს რო ამოაბრძანებენ, ნახავ თუ არ გადაიღებს! „უცნაური კაცია ტარიელი, თავისებური კაცია ტარიელი“, – გულში გავიღიმე. გრძნეულივით მიხვდა.

– აი, ნახავ, თუ არ გადაიღებს!

მცირე ხანში სატვირთო მანქანის ხმა ამოიპარა აღმართზე და მერე მანქანის „ცხვირიც“ გამოჩნდა. ძარაზე უზარმაზარი ჯვარი იყო დაბრძანებული, ტარიელის შეკვეთით დამზადებული კუტის ჯვარი.

\* \* \*

– ხომ გითხარი, – ჯერ მე შემომცინა, მერე ცას აპხედა და თითქო თვალებით უთხრა სამადლობელი, – აბა, დავიძარით, მეგობრებო, წავედით.

ტარიელს მივდევდი, ჩვენს უკან ის ბიჭები მოდიოდნენ, რომლებიც თხუთმეტ ადლიან ჯვარს მოაბრძანებდნენ. მარიამობისთვის წვიმებით დაცურემლილ ტყეზე გადიოდა ბილიკი. ლიჭყი მინა იყო, ფეხი ცურავდა. გვერდით ხრამი გვიღრენდა. უზარმაზარ ფიჭვებს უცნაური სენი გასჩენოდათ და თეთრი ფოთლებივით ეკიდათ ტოტებიდან ჭალარა კულულებად დაშვებული „მოსართავები“. ხმებოდნენ ფიჭვები, ეს თეთრი სამკაულები მათვის მოურჩენელ სატკივრად ქცეულიყო.

„როგორი ლამაზი სიკვდილი სცოდნიათ ფიჭვებს-მეთქი“.

ნაწვიმარი, ულრანი ტყე, თეთრად იყო გადაპენტილი, თეთრი სიკვდილი ცხოვრობდა ჩირუხის ტყეში. ნისლი დაბლა-დაბლა მოიწევდა, ცამ გადაიკარა, ტარიელი ბავშვივით მოხალისდა.

– ახლა ნახავთ, გადაიწინდება ნისლი და აქედან საოცარი ხედები გამოჩნდება. შუა ტყეში როლანდ კოპალიანი დაგვხვდა, ჩვენი ძმა და მეგობარი, ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი. ტარიელს როლანდი და მისი მეგობარი წინასწარ გამოეგზავნა, შუახეველს ქუთაისელი სტუმრისთვის კოცონი აენთო. ჩირუხის ტყეში იგრძნობდი, როგორ ახლოა ზაფხულთან ზამთარი.

ტყეში მიმავალი ბილიკი ზოგგან ხმელი, წაქცეული ფიჭვებით ჩახერგილიყო. მეც და როლანდს გაგვიჭირდა წვიმით გასიპულ ფიჭვის მორებზე გავლა, ტარიელი კი ტარიელურად მიჰქოდა. თან მოგხედავდა და ჩვენს ტანჯვაზე ეცინებოდა. გაკაფულ ალაგს მივადექით. იტყოდი, რო უნინ აქ სალოცავი იდგა. უცნაურად იდგა კლდის კვარცხლბეკი, ოდნავ იქით ნისლში ჩაძირული ხეობა მოჩან-

და, კიდევ იქით სოფელი, ის სოფელი, რომელსაც მტრის შემოსევის დროს მთელი ძალით გაჰყვირა ოდესლაც კუტმა გოგომ. ეს ადგილი ტარიელმა აღმოაჩინა. რამდენიმე საუკუნე ელოდა ნატაძრალი, თუ ჯაგებადავლილი ნიში ტარიელ ფუტკარაძის მისვლას. ეს მხოლოდ მას უნდა გაეკეთებინა, კუტი გოგოს გარდაცვალების ალაგი მას უნდა ეპოვა და ჯვარიც მას უნდა აღმართა.

– მეგობრებმ, აი, სწორედ ამ ადგილზე ამოვიდა ხოხვით ის გმირი გოგო, ვინც ამ ადგილზე განუტევა სული, – თვალები უბრნებინავდა ტარიელს და ხან ვეება ჯვარს ასცქეროდა, ხან ნაავდრალ ცას, რომელსაც სულ აღარ ეტყობოდა ცრემლის კვალი, – დაწერე ამაზე მოთხოვბა, კუტ გოგოზე დაწერე... დაწერ? – თვალებში მიყურებდა.

– დავწერ! – თავი დავუქნიე.

– რა დავარქვათ იმ გოგოს, ვისი სახელიც ისტორიამ ვერ შემოგვინახა.

მხრები ავიჩეჩე.

თითქო სახელიც წინასწარ შეერჩია.

– ნათელა დავარქვათ!

– დავარქვათ! – თავი დავუქნიე.

ჭიქები შეავსო.

– იმ კუტი გოგოს შესანდობარი იყოს, ნათელში იყოს ნათელას სული.

– აცხონოს უფალმა!

\* \* \*

იაილების დაბლა, მოტიტვლებულ ვაკეზე, ფიჭვნარის პირზე გაეშალათ სუფრა. ტარიელმა ითამადა.

გვერდიგვერდ ვისხედით მე და როლანდ კოპალიანი. სუფრა კი არა ქართული სულის ზეიმი იყო. ისე ვიყავით შეთანხმებულები, რო იმ ღამეს ტარიელის მიერ აღდგენილ მამაპაპისეულ სახლში, საფუტკრეთში უნდა დავრჩენილიყავით.

არ ვიცი, რა დამემართა, ცუდად ვიგრძენი თავი. დავემშვიდობე ტარიელს და ბათუმში ზურაბ ებრალიძის სასტუმროში დავბრუნდი. დღემდე არ გამნელებია სინანული, საფუტკრეთში უნდა გამეთენებინა ღამე და მეგრძნო ის სიხარული, რასაც თავის ფუძეზე ყოფნით, თავის ჭერქვეშ სუნთქვით განიცდიდა ჩემი ძვირფასი მეგობარი.

ორიოდე დღეში ჩამომაკითხა ბათუმში, თითქო უჩინარის ხელით გაეშალა სუფრა ზურაბ ებრალიძის სასტუმროს ვერან-დაზე. ქალბატონი იაც გვერდს გვიმშვერებდა, ბატონი ტარიელის მეუღლე. ზღვა იყო წყნარი და ვნებაჩამცხრალი ტალღების სუნ-თქვა გველამუნებოდა ღია ცის ქვეშ, თითქო სულს გვიბერავდა თვლემამორეული წყალი. ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა...

\* \* \*

თითქო ეჩქარებოდა, თითქო წინასწარ გრძნობდა, რო ახლო იყო მისი გრძელ ქვეყანაში გადასვლის უამი. არ ვიცი... არ მინდა გარდაცვლილი ტარიელი ვნახო. მინდა ის ისეთი სახით ჩამრჩეს, როგორიც იყო მიწიერ ცხოვრებაში. საოცარია სიკვდილი, შეგა-ჯანჯღარებს და დაგანახებს თურმე როგორი მეგობარი გყავდა.

მე თუ მკითხავს კაცი, ეს ადამიანი მთაწმინდას იმსახურებს და მისი ცხოვრება მაგალითად უნდა ჰქონდეს თითოეულ ქარ-თველს. დიახ, არ ვაჭარბებ, მთაწმინდას იმსახურებს და იმაზე არ უნდა ვმსჯელობდეთ მახათას პანთეონი ეკუთვნოდა თუ არა. სხვა რა გაგვირჩევია ერთმანეთისგან ქართველებს ხეირიანად.

ჩვენ გვერდით დადიოდა დიდი ქართველი კაცი, რომელსაც ტკივილის და ტანჯვის მეტი არაფერი უნახავს. მის ბობოქარ ცხოვრებას გვირგვინად დაადგა ჩვენმა საზოგადოებამ ენით უთ-ქმელი სიყვარული. ალალი იყოს მენზე, ჩემი ძმაო და მეგობარო ჩვენი ხალხის ცრემლი და მწუხარება. ის ცრემლიც, რომელითაც ეს სტრიქონები იწერება შენი დაკრძალვის წინაღამეს.

შენ ძალიან მალე ნახავ ღმერთს! ისე იცხოვრე, ცად ასვლის მერე, აუცილებლად ნახავ უფალს, ვისი კარნახითაც მოქმედებდი მიწიერ ცხოვრებაში და ეგებ სიზმარში მაინც მომიყვე თქვენი შეხვედრის შესახებ.

ისიც მითხარი, როგორია ღმერთი, ვიცი, ის ნამდვილად და-გენახვება!

5 აპნისი, 2021 ნელი

დიცი

## მანანა ტაბიძე

### ჩემი მოუსვენარი და დაუდეგარი მეგობარი

ამ პატარა წერილის დაწერის მიზანი ტარიელ ფუტკარაძესთან დაკავშირებული რომელიმე ეპიზოდის გახსენება იყო. მისი ყოფილი სტუდენტების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების, მოკლედ – ახალგაზრდა კოლეგების ჩანაფიქრი პროფესიონალ ტარიელ ფუტკარაძის ცხოვრებიდან იმ ისტორიების შეკრება და უკვდავყოფა გახლდათ, რომელთა მეშვეობითაც ამ გამორჩეული მეცნიერისა და პედაგოგის ყოველდღიურობა, ხასიათი და სულისკვეთება გაიხსნებოდა, რაც სამეცნიერო დამსახურებების მიღმა არსებულ არა ნაკლებ საინტერესო, ღვაწლითა და ამაგით სავსე ცხოვრებას წარმოჩენს; მე არ ვიცი, როგორ სახეს მიიღებს საბოლოოდ ეს წიგნი-კრებული, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ტარიელის პირადი ცხოვრებაც ისევე ქვეყნისულია, საზოგადოებრივია, როგორიც მისი ნალვანი მრავალდარგოვან და მრავალფეროვან სამეცნიერო სფეროებში.

ამთავითვე ვიტყვი, რომ, ჯერჯერობით ვერ შევძლებ მასზე წარსულში წერას და საუბარს, რადგან ჯერ ამ საკითხში ჩემთვის წარსული არ დამდგარა. ჯერ ძალიან ცოცხალია ჩემი მეგობრის სახე და ხმა, მისი წამოწყებული საქმეების ყოველდღიური მოქმედება, მასთან დაკავშირებულ ადამიანებთან მასზე და მის გამო საუბარი და საქმიანობა, მისი სატელეფონო ზარის მოლოდინი, და გაფიქრება, ტარიელს ვკითხავ, ტარიელს ეცოდინება... ალბათ, მერე, მომავალში თანდათან გამომივა ამ მოლოდინის მართვა და დამორჩილება. მაგრამ ჯერ ისეა, როგორც ვამბობ – ჩემი მოუსვენარი და დაუდეგარი მეგობარი ჯერ სადღაც აქ, მიწიერ სამყოფელშიც მეგულება.

ჩენ ხშირად გვისაუბრია ჩვენს მეგობრობაზე, რომელსაც „არამეგობრები“ სამეულად იხსენიებდნენ (ალბათ, კომუნისტური წარსულის ავი ასოციაციის გამოსახმობად), ჩენ მხოლოდ ვიცინოდით ამ ფუჭ მცდელობაზე, რადგან ჯერ ერთი „სამს“ ქრისტიანულ სამყაროში საუკეთესო შინაარსი აქვს, მეორე – სამზე გაცილებით მეტნი ვიყავით, მესამეც, ის რომ ჩვენი ზრუნვის საგანი მშობლიური ენისა და ერის ერთიანობა და აღორძინება იყო, რაც არავის თვალში არასიდეს გაიგივებულა კომუნიზმთან.

ჩემთვის ტარიელი 30 წელზე მეტია, რაც ერთ-ერთი უახლოესი მეგობარია; და ეს მეგობრობა ჩვენი ოჯახების ყველა წევრის

მეგობრობასაც მოიცავს და ერთმანეთის გასაჭირისა და სიხარულის, სულიერი და ინტელექტუალური საფიქრალის გაზიარებასაც გულისხმობს; ვფიქრობ, რომ ჩვენი ურთიერთობა თითქმის ყოველთვის სცილდებოდა კერძო საზღვრებს და ყოველთვის საზოგადო, საქვეყნო, სასაქართველოო ფასეულობების მსახურებას უკავშირდებოდა. ჩვენი მეგობრობა 80-იანი წლების მიწურულიდან გამოიკვეთა; ამ დროს ისედაც საყოველთაოდ გადაფასდა მეგობრობის ის ადრინდელი გაგება, რომელიც მეგობრობაში ერთად დროის გატარებას, საყოფა/ცხოვრებო თემებზე საუბარსა და „ამაღამ ვახშმად რა გვაქვს“ საკითხავის რიტორიკას დებდა. 80-იანი წლების ბოლოდან ჩემთვის მეგობარი ის იყო, ვისაც ჩემსავით ტკიოდა „ერის წყლული“ და მისი ტანჯვით გული ეწვოდა. ამუშავდა ბუნებრივი გადარჩევის პროცესი და ასე შევრჩით ერთმანეთს ჩვენი ოჯახებით თემურ გვანცელაძე, რეზო შეროზია, ტარიელ ფუტკარაძე და მე... შევრჩით ერთმანეთს, როგორც აღმოჩნდა, ბოლომდე.

გასახსენებელი იმდენად ბევრი მაქვს, რომ მიჭირს რომელიმე ერთის არჩევა. ამიტომ არა ეპიზოდზე, არამედ ტარიელის ერთ თვისებაზე შევჩერდები, ეს მისი განსაკუთრებული მიზანსწრაფულობაა. ცხადია, ბევრს ახასიათებს დასახული მიზნის მისაღწევად თავდაუზოგავი მოქმედება, მაგრამ მიზანი აქვთ ვიწრო; ტარიელის მიზანი კი საქართველოსთვის სასიკეთო საქმეების კეთება იყო და ამ გზას ის გადიოდა სიმტკიცით, სიჯიუტით, კეთილსინდისიერებითა და ლირსებით. ვისაც მეტნაკლებად მაინც აქვს დამახსოვრებული ან გააზრებული, რა გადახდათ თავს საქართველოსა და მისი თავისუფლების ქომაგებს ე.წ. 90-იან წლებში, ესმის, რაოდენ ძნელი იყო კეთილსინდისიერებითა და ლირსებით საქვეყნო საქმის კეთება. მით უფრო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეცუტატისთვის, რომელსაც სპეცსამსახურები, მოთარეშე შედრიონელები და გალადებული ბეზლებისმოყვარენი მოსვენებას არ აძლევდნენ. სწორედ ამ წლებში გამოსცემდა ტარიელი გაზეთებს „ქართული ენა“ და „ქუჯი“, ქუთაისის უნივერსიტეტში აარსებდა და ამუშავებდა „ქუთაისური საუბრების“ სამეცნიერო კონფერენციასა და მასალების კრებულს („ქართველური მემკვიდრეობა“), კონტაქტებს ამყარებდა ჩვენს თანამემამულებთან ფერეიდანსა და ამჟამინდელი თურქეთის საქართველოსთან, ამ წლებში იბეჭდებოდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენის აუცილებლობაზე მეტყველი, საქართველოს მთლია-

ნობისა და ქართველი ერის ეთნიკურ-ენობრივი ერთიანობის წინააღმდეგ წარმოებული პოლიტიკური დივერსიების მამხილებელი მისი სტატიები და ინტერვიუები, საქართველოს ეკლესის იდეალებისა და ლირსების დაცვისაკენ მიმართული წერილები. წარმოიდგინეთ ნახევრადჩაბნელებული და დამშეული თბილისიდან ქუთაისისკენ როგორ გადიოდა კომფორტული ავტობუსები, რომლებსაც ჩვენი სამეცნიერო ელიტა მიჰყავდა ორ-სამდლიან სამეცნიერო კონფერენციაზე. ასეთი მგზავრები საქართველოს სხვა ქალაქებიდანაც მოისწოდნენ სავარდო და სამაისო ქალაქისაკენ. ერთმანეთთან შეხვედრასა და ინტელექტუალურ მუშაობას დანატრებულ ამ საზოგადოებას მეფურად მასპინძლობდნენ ქუთაისელი კოლეგები (ენათმეცნიერების ინსტიტუტში ამ შეხვედრებს ხუმრობით „ტარიელის ჰუმანიტარულ აქციასაც“ ეძახდნენ). სწორედ ტარიელის დამსახურება იყო, რომ მისი ორგანიზატორული ნიჭისა და ადამიანური თვისებების გამო პოლიტიკური ოპონენტებიც მონაწილეობდნენ ამ საქმეში და კონფერენციის ფინანსურ მხარეს უზრუნველყოფნენ. დიახ, ის თითქმის ყოველთვის ახერხებდა, რომ პოლიტიკურ მონინააღმდეგებშიც ეპოვნა წესიერი და პატრიოტი ადამიანები და საქვეყნო საქმეში ეთანამშრომლა მათთან.

მისთვის ასაკი „არ მუშაობდა“. შრომისთვის ის ახალგაზრდა იყო მუდამ, ხოლო აზროვნებისთვის ყოველთვის მომწიფებული ადამიანი გახლდათ. ამიტომაცაა, რომ მისი მეგობრების წრეში ნებისმიერი ასაკის ადამიანს ვხედავთ. მისთვის მზის გარშემო დედამიწის ბრუნვის სხვაგვარი ციკლი მოქმედებდა, რადგან იმდენი საქმის მოსწრება, რამდენსაც თავად ექიდებოდა და წარმატებით ახორციელებდა კიდეც, ერთ ადამიანს არ შეეძლო, არ შეეძლო არც ორს, არც სამს და არც ათს. ამიტომაც ახლა, როდესაც მან მიწიერი სამყოფელი დატოვა, შეიძლება ვთქვათ, რომ მისმა ცხოვრებამ რამდენიმე მოღვაწე ადამიანის ცხოვრება დაიტია.

ხშირად იმეორებდა მამის სიტყვებს, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერდა: რაც ვერ შევძლი, თქვენ გააკეთეთ. მე ხომ ასეთი წარსული და მამული ჩაგაბარეთ, სახელებიც ვეფხისტყაოსნის გმირებისა მოგეცით ძმებს (ავთანდილი, ფრიდონი და ტარიელი), ახლა თქვენ იცითო...

ჰოდა, იტარიელა კიდეც...

ნეტავ მეც შევძლო მისებრ პირნათელი შევხვდე მარადისობას.

## მაია ქუეჩიშვილი

### თქვენ ყველა ჩვენგანის ტავილი ხართ

როგორ გაჩერდა თქვენი სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე გული?!

„სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს, მეხის გავარდნას ჰგავდეს სიკვდილი“... დიახ, მეხის გავარდნა იყო თქვენი გარდაცვალების ამბავი. 30-წლიან ურთიერთობაში მუდამ ქარიშხალივით ბობოქარი მახსოვებართ.

მქონდა პატივი, ვყოფილიყავი თქვენი სტუდენტი, კოლეგა, მეგობარი. ყოველი თქვენი ჩამოსვლა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზეიმი იყო, ცოდნის, მეგობრობის, სიყვარულის, ადამიანობის ზეიმი.

ყველგან იყავით – თბილისში, ქუთაისში, ახალციხეში, ბათუმში... ყველგან, სადაც ცოდნის კერა გეგულებოდათ და სჭირდებოდით. თქვენ ახერხებდით შემოგეკრიბათ პატივსაცემი ადამიანები. საოცარი დამოკიდებულება გქონდათ ყველას მიმართ. დიდთან დიდი იყავით, პატარასთან – პატარა.

უზომოდ მტკივა თქვენი გარდაცვალება. ცრემლები უნებლიერ მოედინებიან ლანვზე. მჯეროდა, გადაიტანდით ამ განსაცდელსაც, თუმცა, ყოველდღე მეშინოდა გულის სილრმეში, რადგან ეს საშიში და ვერაგი უხილავი მტერი გებრძოდათ.

დამრჩა ძალიან ბევრი ტკბილი მოგონება და კიდევ უფრო მეტი სათქმელი... როგორ გელოდით...

როგორ გაჩერდა თქვენი სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე გული, როგორ?!

ძალიან დამაკლდებით, როგორც ადამიანი... ვუსამძიმებო ფჯახს, ახლობლებს, სრულიად საქართველოს.

საოცარი რამ მოხდა: რა სითბო და სიყვარულიც გაეცით, უკან დაგიბრუნდათ გარდაცვალების ჟამს. დიდი თუ პატარა გაერთიანდა ამ უდიდესი ტკივილის ორგვლივ. არ წყდება თქვენდამი პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატვა. ყველამ დაგიჩემთ, მსოფლიოში გაფანტული ქართველებიც დაგტირიან, თქვენ ყველა ჩვენგანის ტკივილი ხართ!

თქვენს სახელს დავიწყება არ უწერია. თქვენს დაწყებულ საქმეებს გავაგრძელებთ თქვენი ნამონაფარი, ნასტუდენტარი ადამიანები, კოლეგები.

სამუდამო სასუფეველი დაგიმკვიდროთ უფალმა. დაგტირით სამცხე-ჯავახეთი, თქვენი გამოზრდილი სტუდენტები, კოლეგები, მეგობრები.



## რიტა წაქაძე

\*\*\*

ასე არასოდეს გამჭირვებია წერა. განა იმიტომ, რომ სათქმე-ლი არაფერი მაქვს, პირიქით...

ძალიან რთულია, წარსულში წერო ადამიანზე, რომელიც სიცოცხლითა და უშრეტი ენერგიით იყო სავსე.

ბატონი ტარიელ ფუტკარაძე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში გავიცანი, როცა ქუთაისმა დევნილობაში მყოფი შეიფარა. ჩემი მშობლიური ქალაქი დღემდე ამაყობს ამ ფაქტით და სამართლიანადაც. მაგრამ დიდი მეგობრობა ჩვენს შორის 2008 წლიდან დაიწყო, როცა ბატონ მერაბ გვაზავასთან ერთად დავათუძნეთ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. იგი არასოდეს ყოფილა მხოლოდ დამფუძნებელი, მუდამ აქტიურად იყო ჩართული თითოეული კონფერენციისა და სამეცნიერო კრებულის მომზადებაში.

ყოველთვის მაოცებდა მისი ოპტიმიზმი, შემართება, შეუპოვრობა. ვერ ნახავდით მოდუნებულს და არც ჩვენ, მის ირგვლივ მყოფებს, გვაძლევდა ამოსუნთვის საშუალებას. სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულზე ხომ აღარაა საუბარი. მისთვის პატრიოტიზმი არასოდეს ყოფილა მხოლოდ ემოცია და გრძნობა, ეს იყო ყოველდღიური ქანცგამწყვეტი შრომა. სამშობლოს გამო შეეძლო გაენირა ყველა და ყველაფერი. იბრძოდა ყველა მხარეს, ყველა მიმართულებით და ამ უამრავ ბრძოლას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა – ერთანი დამოუკიდებელი საქართველო.

უამრავთაგან ერთ ამბავს გავიხსენებ.

2007 წელს ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკას სამეცნიერო ბიბლიოთეკის სტატუსი მიენიჭა. შევეცადეთ, ფუნქციურადაც გაგვემართლებინა სახელწოდება, რაზედაც ბატონ ტარიელს ვთხოვეთ რჩევა, როგორც მეცნიერსა და მეგობარს. მას ხომ ბევრი ფიქრი არასდროს სჭირდებოდა, მისი სხარტი გონება წამებში მოიაზრებდა საკეთებელს. იქვე გვიპასუხა: დავათუძნოთ ქართველოლოგიური მიმართულების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. რაღა თქმა უნდა, დაგვეხმარა, გაგვეძლიერებინა ბიბლიოთეკის სამეცნიერო ფუნქცია, მაგრამ მისთვის უპირველესი მაინც ეროვნული, ქართული მეცნიერების ხელშეწყობა-გან-

ვითარება და საქართველოს ერთიანობის იდეის ირგვლივ თანამოაზრეთა ერთიანი ველის შექმნა იყო.

დასაწყისი მარტივი ნამდვილად არ ყოფილა, რადგან ბიბლიო-თეკას ასეთი მაღალი დონის კონფერენციის ჩატარების გამოცდი-ლება არ გააჩნდა. მაგრამ ისევ ბატონი ტარიელის ძალისხმევით, საქართველოს საბიბლიოთეკო სფეროს წარმომადგენლებს შე-მოუერთდნენ ქართველი და უცხოელი ქართველოლოგები. კონ-ფერენცია შედგა. უფრო მეტიც, ტრადიციად ჩამოყალიბდა და საქართველოს ერთიანობის ერთგვარ სიმბოლოდაც იქცა. მის საქმიანობაში ჩართული არიან ქართველოლოგის სფეროში მო-მუშავე თურქეთისა და ირანის ეთნიკური ქართველები.

მალე ახალი წინადადება შემოგვთავაზა: ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თე-მატური გახდა. მიზანი კვლავ საქართველოს ერთიანობის იდეა იყო, რადგან ბატონ ტარიელს მიაჩნდა, რომ მხოლოდ თითოეული კუთხის მახასიათებლების სილრმისეული კვლევისა და ანალიზის შემთხვევაში წარმოჩნდება სრულად საქართველოს კუთხეების ისტორიული როლი ზოგადქართული სამწიგნობრო კულტურისა და სახელმწიფოს შექმნა-შენარჩუნებაში.

გამორჩეული სილალის, თავისუფლების, იუმორის წყალობით ყველგან ხალისი მიჰქონდა და შეეძლო, სულ მცირე ღონისძიებაც კი ზეიმად ექცა.

წავიდა...

წავიდა და სამყარომ ფერები დაკარგა, საქართველომ კი – დიდი მოჭირნახულე.

## ლუიზა ხაჭაპურიძე

### ერთველური დარღვების შემთხვევები

ადამიანები ბედნიერლიმილიანები იხსენებენ შეგნებული ცხო-ვრების ულამაზეს წლებს, სტუდენტობას. ჩემი თაობისთვის კი იგი 90-იანი წლების საქართველოს ტყვიისფერი დღეების მოსა-გონარია: დაკარგული აფხაზეთიდან ჩამოსული უამრავი ლტოლ-ვილი; ომიდან ჩამოსვენებული ნაცნობ-ახლობლები; პურის რიგში ძლივს მოპოვებული და მხედრიონისაგან წართმეული პურები; ფეხით სიარული ჩაბნელებული ქალაქის ერთი უბნიდან მეორე-ში, სოფლებიდან ქალაქში და პირიქით; დარბეული მიტინგები, მიტინგები, მიტინგები...

დრო, როცა ყველაფერი უ-თი იწყებოდა და ცნობილი ქუთაი-სური იუმორიც რიონს მიჰყვებოდა.

ასეთ დროს სტუდენტებისთვის სწავლა იყო გადარჩენა, შვება, ძიება და იმედი...

მესამე კურსზე ყოფნისას გავიგეთ, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორმა მაგალი თოდუამ თბი-ლისიდან მოიწვია ენათმეცნიერი ტარიელ ფუტკარაძე. ქართული ენისა და ლიტერატურის მომავალმა სპეციალისტებმა გადავწყვიტეთ, მისი ლექციები მოგვესმინა. შევედით მოსასმენად და... 15-დან 10-მა სტუდენტმა სპეციალიზაციის კურსის გავლა მასთან მოვითხოვთ.

ერთხელაც (მაშინ მე-4 კურსზე ვიყავი) უნივერსიტეტის ეზოში შევხვდი ბატონ ტარიელს. მითხრა, ჩემთან კაპინეტში ამოდი მეო-თხე სართულზე (იქ დიალექტოლოგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი იყო განთავსებული მაშინ და მას შემდეგაც 2 წლის მანძილზე).

მახსოვს სადა, მზიანი ოთახი, სადაც ბატონი ტარიელის გარდა, 3 ადამიანი იყო – აქედან 2 ჩვენი ყოფილი კურსდამთავრებული. მითხრა: გაკვირდები და ვფიქრობ, შეძლებ ჩვენთან მუშაობას, ჯერჯერობით ლაბორანტად აგიყვან და განცხადება დაწერეო. ეს ჩემთვის, ჯერ კიდევ სტუდენტისთვის, წარმოუდგენელი რამ იყო, მით უმეტეს იმ პერიოდში... ერთი სიტყვით, ჩემთვის ეს იყო მზე ღამეში და საერთოდ, ასე მემახსოვრება დიალექტოლოგის ინს-ტიტუტი და მისი მესაჭე ტარიელ ფუტკარაძე.

და დაიწყო...

თანამშრომლები ძირითადად ახალი კურსდამთავრებულები ვიყავით, ბატონი ტარიელის ორგანიზებით ტარდებოდა ტრენინგები. ვამუშავებდით დიალექტურ, ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ ლიტერატურას, მეცნიერთა მიერ საველე ექსპედიციებზე გაკეთებულ ჩანაწერებს, დარგობრივ კითხვარებს, დავდიოდით ერთი სოფლიდან მეორეში, მეორედან – მესამეში და ა.შ. არაერთი დღე გავგიტარებია თბილისში საჯარო ბიბლიოთეკაში ჩვენთვის საჭირო თემატური კატალოგების<sup>1</sup> შესაქმნელად (როგორც ამ პერიოდში, ისე ჩვენ დისერტაციებზე მუშაობისას, გვმასპინძლობდა ბატონი ტარიელ ფუტკარაძის ოჯახი და მისი უკეთილშობილესი დიასახლისი ქალბატონი ია ვაშაკიძე). რომელიც გვაპურებდა, გვერდით გვედგა და საკუთარი თავდადებით გვაკვირვებდა)... ვმუშაობდით დიალექტოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის მოძიებისათვის საჭირო პროგრამა-ინსტრუქტიაზე, პარალელურად ვიწერდით ტექსტებს. მერე დავიწყეთ ჩვენი ბიბლიოთეკის გამდიდრება: წიგნები მოგვქონდა საკუთარი ოჯახებიდან, ვიძენდით ჩვენი მიზერული ხელფასით. პირველი და მეორე სიმპოზიუმის შემდეგ მეცნიერები შემოგვეშველნენ და თავიანთი ბიბლიოთეკებიდან წიგნები გვიწილადეს (მადლიერებმა მათ ამ ღირსეულ უსტკს სამადლობელი წერილიც მიეუძღვენით გაზეთში). ტარიელ ფუტკარაძის ძალისხმევით საქალაქო ბიბლიოთეკებიდან ხელშეკრულების საფუძველზე გაცვლის პრინციპით შევიძინეთ ჩვენთვის მეტად ღირებული სამეცნიერო ლიტერატურა<sup>2</sup> ... ნელ-ნელა ძალებს იკრებდა და ძლიერდებოდა და ძლიერდებოდა ჩვენი საყვარელი ინსტიტუტი.

სწორედ ამ პერიოდში, შალვა კირთაძემ, მაშინ იგი ჩვენი თანამშრომელი იყო, „ვერ გაუძლო ჩვენს „საცოდაობას“, რადგან უშუქობის გამო მასალებს ვერ ვამუშავებდით, და ინსტიტუტში თავისი მეგობარი იმედა ლომიძე მოიყვანა. ამ ჭკვიანმა და კარგმა

1 უშუქობის გამო ბიბლიოთეკაში მიგვქონდა ფანარი და ნათურა, ეს უკანასკნელი სასწაულებრივად მოსული შუქის დროს გამოიყენებოდა.

2 აქვე მინდა, რამდენად უცნაურიც უნდა იყოს, მადლიერებით გავიხსენ ბატონი ტარიელის მანქანა (ახლა აღმატება ჯართის სასაფლაოზე განსვენებული), რომლითაც სხვადასხვა რეგიონიდან, რამდენჯერმე თბილისის საჯარო ბიბლიოთეკიდანაც ჩამოგვიტანია წიგნები და რომელიც „უამიანობის“ დროს დაგვდგომია გვერდით...

ბიჭმა ერთი დიიიდი „აკუმულატორი“ შექმნა, რისი მეშვეობითაც ვუსმენდით კასეტიდან გადმოსაწერ ტექსტებს. უშუქოდ დარჩენილი უნივერსიტეტი დენის წყაროს გამო ჩვენ შემოგვნატროდა.

ასე ვიზრდებოდით ნაბიჯ-ნაბიჯ... „გიუჟებს მოვჰებავდით მოყმენი მაშინ, სატრფოს საძებნად ველზე გაჭრილებს“, ალბათ, ამიტომაც გვეძახდნენ „შერეკილებს“. ჩვენ კი გვჯეროდა, რომ „გავფრინდებოდით“, გვჯეროდა იმიტომაც, რომ ვადექით აკაკის, ილიას, უქვითიმეს, უმიკაშვილის, კარბელაშვილების გზას. ამ გზაზე დადიოდნენ ახალგაზრდობაში ის ადამიანებიც, რომლებიც ახლა, ჩვენს გვერდით იდგნენ – ღრმადპატივცემული სამეცნიერო საზოგადოება და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი ბატონი მაგალი თომავა...

პირველი სიმპოზიუმი 1994 წელს გაიმართა, დღეს ადვილი სათქმელია, მაგრამ თუ გავაცნობიერებთ, რა მდგომარეობა იყო მაშინ საქართველოში, მივხვდებით, რამხელა ენთუზიაზმი უნდა გვერდით გველას ერთად, ტარიელ ფუტკარაძემ შეძლო, თავისი სულის ცეცხლი სხვათა სულის პატრუქისთვის წაეკიდებინა და სწორედ, ამიტომაც იქცა მაშინ ქუთაისი და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო-კულევით და საერთაშორისო სიმპოზიუმების ცენტრად. ეს იყო იმდროინდელი ქუთაისის მზიანი ღამე.

ჩვენი სტუმრები იყვნენ ცნობილი ქართველი და უცხოელი ქართველოლოგები...

მინდა გავიხსენო პირველი სიმპოზიუმი – ახალბედები ვიყავით და ძალიან ვნერვიულობდით. მახსოვს, ბატონმა ჯონდო ბარდაველიძემ (უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი) მითხვა: თქვენ დიდ მამულიშვილურ საქმეს აკეთებთ, უპრალოდ მოგვიყევით თქვენი საქმიანობის შესახებ... ტრიბუნაზე ასულს ქალბატონმა ირინე ასათიანმა გამილიმა და წყნარად თავი დამიკრა გამხნევების ნიშნად, რამდენიმე წლის შემდეგ კი მან ჩემი დისერტაციის დაცვაზე „წმინდა გიორგის ხატი მაჩუქა და დამლოცა: „ფუტკარებო, ღირსი ხართ ყოველივე სიკეთის, წარმატებები დაგბედებოდეთ!“ მას მერე ამ ადამიანებს განსაკუთრებული სითბოთი ვიხსენებ – ასე გვედგნენ გვერდით მორალურად და ფიზიკურად.

კონფერენციები დამახასიათებელ რეზიმში მუშაობდა, ზემოთ ვახსენე ქვეყნის იმდროინდელი მდგომარეობა, რის გამოც გადაგდომია გვერდით...

მორჩეული იმერული პურობა ვერ გვქონდა, ამიტომაც ბატონმა ალექსი ჭინჭარაულმა კაფიაც მოგვიძლვნა:

„ეს სამი დღეა, ტარიელს  
კარცერში ვყავარ ჩასმული,  
მთელ თორმეტ საათს ვმუშაობთ  
კვერცხნაჭამი და ჩა-სმული“.

დიდი პატივისცემით მოვიგონებ სიმპოზიუმების ყველა მონაწილეს. მათთან ურთიერთობა ყველა ჩვენგანისათვის და, საერთოდ, მთელი უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის დიდი გაკვეთილები იყო.

სიმპოზიუმმა საფუძველი ჩაუყარა სამეცნიერო უურნალს „ქართველური მემკვიდრეობა“...

ტარიელ ფუტკარაძემ და მისმა ქართველური დიალექტოლოგის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (დღეს ქართველოლოგის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი) ბევრ სიკეთესთან ერთად ადამიანების სხვაგვარად დანახვის საშუალება მოგვცა და სიყვარული გვასწავლა... და ჩვენ ფეხდაფეხ, სოფელ-სოფელ ვაგროვებდით დარდს ქართველი ხალხისას, დარდს, ჩანწლს დიალექტურ, ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ მასალებში, ხალხურ სიმღერებში...

მადლობა ქართველური დარდების შემგროვებელო მასწავლებელო – ბატონო ტარიელ!

## ლევან ჯიქია

### ის თითოეული სტუდენტის ცხოვრებით ცხოვრობდა

2016 წელს, რექტორის, პროფესორ სერგო ვარდოსანიძის გადაწყვეტილებით საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში პუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანის მოადგილის თანამდებობა დავიკავე. ახალი თანამდებობა, როგორც წესი, ახალ გამოწვევებსა და დიდ პასუხისმგებლობას გულისხმობს. ასეთ დროს გვერდში დგომა განსაკუთრებით ფასეულია და დიდხანს გამახსოვრდება. ერთ-ერთი პირველი, ვინც მომილოცა და გვერდში დგომა აღმითქვა, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე გახლდათ. მანამდე ბატონ ტარიელთან ახლო ურთიერთობა არ მქონდა. ვიცნობდი, ვიცოდი, რომ ქართულ უნივერსიტეტში არჩეული პროფესორი იყო და ქართველოლოგის სამეცნიერო ცენტრს ხელმძღვანელობდა. გაგონილი მქონდა, რომ წარსულში იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ქალაქ ბათუმის პრეფექტი, ამის გამო დიდხანს იყო დევნილობაში. განსაკუთრებით მესიამოვნა ის ფაქტი, რომ ბატონი ტარიელი თავად მეწვია სამუშაო კაბინეტში და რამდენიმე საინტერესო რჩევაც მომცა. მალე, ჩვენი ურთიერთობა ინტენსიური და საქმიანი გახდა. გახშირდა სატელეფონო ზარები, ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვა და ა.შ. ფილოლოგის მიმართულებით ყველაფერი რიგზე იყო. მას ფილოლოგის მიმართულების სამივე საფეხურის სტუდენტებთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. შეიძლება ითქვას, რომ ის თითოეული სტუდენტის ცხოვრებით ცხოვრობდა. ჩემთვის არაერთხელ უთქვამს სტუდენტების გასაჭირზე, მათ პრობლემაზე, გამოსავლის მისეულ ხედვაზე.

იმდენად ყოველდღიური და ახლო ურთიერთობა ჩამოიყალიბდა ბატონ ტარიელთან, რომ არაერთი საიდუმლო გაუნდვია მას ჩემთვის. ამას, ახლა უფრო ვაფასებ...

ბატონ ტარიელზე ბევრი მოსაგონარი დამიგროვდა, თუმცა მხოლოდ რამდენიმეს გავიხსენებ, რაც, ჩემი აზრით, სათანადოდ წარმოაჩენს ჩვენს ურთიერთობას. ერთხელ, კვირას, დილით ადრე გავიღვიძე, ტელეფონი ავიღე და ფეისბუქი დავათვალიერე. ბატონი ტარიელის ერთი ახალი პოსტი ვნახე, წავიკითხე და მოვიწონე (ის ხშირად წერდა ფეისბუქში პოსტებს). ორ წამში ბატონმა ტარიელმა

დამირეკა, ვიცი არ გძინავს, შენი ლაიქი მომივიდაო. აზრი მკითხა ჩემ მიერ მოწონებულ პოსტზე, რომელიც საქართველოსთვის მეტად აქტუალურ და საჭიროოროგო საკითხს ეხებოდა. ყოველთვის აინტერესებდა მისი პოზიციის კრიტიკულად განხილვა. ამჯერადაც ასე იყო. ვიმსჯელეთ, აზრები გავცვალეთ. მალევე დამემშვიდობა.

ქართულ უნივერსიტეტში ტრადიციად იქცა, უნივერსიტეტის დაფინანსებით, პირველკურსელების წაყვანა ექსკურსით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ცხადია, ბევრი, ჯერ კიდევ უცნობი სტუდენტის პატრონობა მსგავს ექსკურსიაზე, ადვილი არ არის. მახსოვს, 2019 წელს პირველკურსელები უნდა წაგვეყვანა კახეთში. მარშრუტი ასეთი იყო: გურჯაანი-წინანდალი-თელავი. ადმინისტრაციიდან ჩემ გარდა არავინ მოდიოდა, მარტოს, ცხადია, ძალიან გამიჭირდებოდა. დავურეკე ბატონ ტარიელს, ვიცოდი, რა საქმეც არ უნდა ჰქონოდა, უარს არ მეტყოდა. ჩემი იმდები გამართლდა – მიუხედავად იმისა, რომ წინა დღეს გვიანობამდე უნდა ექეიფა, პირობა მომცა, რომ აუცილებლად წამოვიდოდა. მეორე დღეს შევიკრიბეთ სპორტის სასახლესთან და დავიძარით კახეთისკენ. კახეთის გზატკეცილზე დაგხვდა ბატონი ტარიელი (ვარკეთილში (ცხოვრობდა), პირობა, ცხადია, შესარულა. ავტობუსში მისი ამოსვლა დაგვეტყო, გაგვამხიარულა. ერთად კარგი დარო გავატარეთ. მოვინახულეთ გურჯაანის ყველაწმინდა, ალექსანდრე ჭავჭავაძის სასახლე წინანდალში, ერეკლე მეფის სასახლე თელავში. აქეთობისას, გზაზე გავჩერდით, მწვადები შევწვით და ვისადილეთ. ბატონმა ტარიელმა მითხრა, თამადა შენ უნდა იყოო. მე ვიუარე, სადაც თქვენ ხართ ბატონი ტარიელ, იქ მე როგორ უნდა ვიყო თამადა-მეთქი. მე არ-ცერთ სტუდენტს არ ვიცნობ (ფილოლოგებიდან მხოლოდ ერთი, თეა ვარდოსანიძე წამოვიდა). არ გაგიჭირდებათ გაცნობა-მეთქი. შევთანხმდით, ბატონმა ტარიელმა ითამადა. ყველა სტუდენტი უცემა გაიცნო, ყველასთან რაღაც საერთო იპოვა, შესაბამისად, სტუდენტების ნაწილს ტელეფონით „ლაივი“ ჰქონდა ჩართული და მთელ საქართველოს ასმენინებდნენ ბატონი ტარიელის გულში ჩამწვდომ სადლეგრძელოებს. მახსოვს, რამდენიმე სტუდენტს ფილოლოგიის სპეციალობაზე გადასვლაც კი ურჩია. კმაყოფილები დავბრუნდით თბილისში.

დღესაც მაქაც მოლოდინი, რომ ბატონი ტარიელი დამირეკავს, რაღაცაზე აზრს მკითხავს ან რჩევას მომცემს, პანდემიის დასრულების შემდეგ კი ერთად წავიყვანთ სტუდენტებს ექსკურსიაზე...

## სტუდენტები

## ირმა აპესაძე

\*\*\*

ბატონ ტარიელ ფუტკარაძეს ჩვენი უნივერსიტეტის გახსნის დღიდან ვიცნობდი, თუმცა შორიდან. მისი პირადად გაცნობის პატივი დოქტორანტურაში სწავლის პერიოდს „უკავშირდება, „ქართველოლოგის შესავალს“ გვიკითხავდა. დღესაც თვალწინ მიდგას მისი პირველი ლექცია – საოცარი ენთუზიაზმი, მაღალი ერუდიცია, სამშობლოს გულანთებული სიყვარული... გულწრფელი, თბილი და კოლეგიალური ურთიერთობები ჰქონდა არა მარტო ჩვენთან, დოქტორანტებთან, არამედ ყველა სტუდენტთან. მისი შემართება, მხნეობა და ოპტიმიზმი საოცრად გადამდები იყო, მასთან ყოველი შეხვედრისას ახალს სწავლობდი, გამხნევებდა და საკუთარი ძალების რწმენას გმატებდა...

ბატონი ტარიელ, ძალიან მწყდება გული... თქვენ დააკლდით ყველას, თქვენს ოჯახს, ახლობლებს, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო საზოგადოებას და, მათ შორის – ჩვენც, თქვენს ყოფილ დოქტორანტებსა და მომავალ კოლეგებს.

ნათელი თქვენს ხსოვნას.



## თამარ ახალკაცი

### მოგონებები „ძვირულ მემობარზე“

აუდიტორიაში ვსხედვართ მაგისტრანტები, არც მთლად გამოუცდელები, მაგრამ რაღაც გაურკვეველი ღელვა ახლდა მოლოდინს, ახალი ლექტორის გაცნობის მოლოდინს... შემოვიდა ჩვეული ლიმილით, ამაღლებული განწყობითა და საოცარი ენერგიით. მოგვესალმა, მოგვიკითხა და დაბრუნებულ კითხვაზე – „თქვენ როგორ ხართ, ბატონო ტარიელ?“ – ჩვეული შემართებით გვიპასუხა: „შესანიშნავად“ და ასე შესანიშნავადაც გაგრძელდა ჩვენი მეგობრობა.

დავმეტეობრდით, დაიწყო ბედნიერი, საინტერესო, სიახლეებით დატვირთული დღეები. არ გვაძლევდა მოწყენისა და მოდუნების საშუალებას. ყოველი ლექცია გაუძლენთილი იყო საქართველოს სიყვარულით, ერთგულებითა და შთაგონებით, როგორ უნდა გვეზრუნა ჩვენ, მომავალ თაობას სამშობლოზე. საოცარი უნარი ჰქონდა სიკეთის კეთებისა; მისი სიკეთე ისე აგანთებდა, მზად იყავი, საკუთარი სიცოცხლე დაუფიქრებლად გაგენირა სამშობლოსათვის.

ჩვენი მეგობრობა თანდათან უფრო გაღრმავდა, ჩემი საიმედო ადამიანი გახდა, ვურკავდი, როცა შინაგანად აფორიაქებული ვიყავი, მაშინაც ვურკავდი, თუ პირადი პრობლემა მქონდა. მასთან საუბრისას მეგონა, მისი ერთადეტრი სადარდებელი და საფიქრალი მე ვიყავი, და ასე ეგონა ათასობით მის სტუდენტს. უდალატო მეგობრობა იცოდა. ერთხელ ვთხოვე, „ბატონო ტარიელ, თუ ნებას მომცემთ, ძვირფას მეგობარს დაგიძახებთ-მეთქი“, გაეღიმა, ჩამესუტა და მითხრა: „თამარ ქალო, ეს განსაკუთრებული სახელი იქნება ჩემთვისო“. ბედნიერი ვიყავი... პარასკევი დილა მაბედნიერებდა, ვიცოდი, კაბინეტის კარს შემომიღებდა და გაფანტავდა ყველა უიმედობას, მოწყენილობას და ამავსებდა სიხარულით.

დამპირდა, აუცილებლად გესტურები ოჯახში. ეს დღეც დადგა. ერთ პარასკევს ჩვეული ხალისით შემოვიდა და მეუბნება: „თამარ ქალო, სტუმრებს თუ მიიღებ? საიდ მულიანთან ერთად გესტურებით“. ეს იყო ყველაზე ბედნიერი წუთები, ამავე დროს, ყველაზე საპასუხისმგებლო, მე ხომ გამორჩეული პიროვნებების მასპინძელი უნდა ვყოფილიყავი?! იმ დამეტინა, ვღელა-

ვდი, როგორ ჩაივლიდა დღე. შემოდგომის მზიანი დილა გათენდა, ისეთი, თავისთვალ რომ გილვრის სულში სასიამოვნო განცდას. სტუმრები მოვიდნენ, ჩემი ძვირფასი მეგობარი და უძვირფასესი ფერეიდნელი ქართველი, ბატონი საიდ მულიანი ოჯახთან ერთად. ქართულ ტრადიციულ სუფრას სამშობლოს სიყვარულით გაუდენ-თილი სადლეგრძელობები ამშვენებდა. ნამდვილი ზეიმი იყო, სიყ-ვარულის, მეგობრობის ზეიმი. როგორი ბედნიერი ვიყავი მაშინ...

მეგონა, ეს უსასრულოდ გაგრძელდებოდა... მაგრამ, „კაცმა ცნობილმა ულალატობით, ერთხელ ყველანი დაგვალატა“. ერთი დილა საქართველოში მის გარეშე გათენდა. დავიბენით, ჩვენ ხომ უკვდავი გვეგონა, განა შესაძლებელი იყო, ქვეყნად რამე მორეოდა მის გაუტეხელ შემართებას? მაგრამ ნავიდა, ისე ნავიდა, რომ მაინც ჩვენთან დარჩა სამუდამოდ.

ბატონი ტარიელი ის ლირსეული მამულიშვილი იყო, რომელიც ილიას დანაბარებს პირნათლად ასრულებდა, ჩვენი სარწმუნოების, მამულისა და ენის მცველი იყო. საქართველომ კვლავ დაკარგა ქართული ენისა და ქვეყნის მოამაგე დიდი პიროვნება. თუმცა, ჩვენ, მისი სტუდენტები, გავაგრძელებთ ბატონი ტარიელის დაწყებულ საქმეს იმ პატრიოტული სულისკვეთებით, რომელსაც მუდამ გვინერგავდა: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“...



## ანა ბეგაშვილი

### ლექცია 102-ე აუდიტორიაში

„11.00 – 11.50; 31 ოქტომბერი, 2013 წელი.

ლექცია გვაქვს 102-ე აუდიტორიაში.

ფანჯრები ისეთ პოლუსზეა, მზე ვერ უყურებს: გარეთ მზეა, მაგრამ კედლებს შიგნით ცივა; ზარი დაირევა; სტუდენტები აყოვნებენ შემოსვლას, აუდიტორიისაკენ მიმავალს მხედავენ და ნელ-ნელა დგებიან ყვავილნარს შეუ მდებარე სკამებიდან. აუდიტორიის კართან ველოდები, თან ცივად მომზირალი მერხები არ მომწონს...“ – ასე იწყებს ბატონი ტარიელი აღნერას იმ ერთ-ერთი ლექციისას, რომელიც სამუდამოდ დარჩება ჩვენს მახსოვრობაში. თუ სტუდენტები არ მიდიან აუდიტორიაში, მაშინ თავად აუდიტორია მოჰყავს ბატონ ტარიელს სტუდენტებთან. დიახ, ეს ის ლექტორი იყო, რომელსაც სტუდენტების მზერაში შეეძლო ამოეკითხა, მათ ინტერესებსა და სურვილებს აპყოლოდა. ამიტომაც იყო ასეთი დასამახსოვრებელი ლექცია მზის გულზე, უნივერსიტეტის ეზოში – ყვავილნარში მოქმედული ვისხედით ასე მეგობრებივით და მზიან აჭარაზე ვსაუბრობდით. ბატონი ტარიელი ჩვეული უშუალობითა და სილალით გამოიჩინდა, ყურადღებით ისმენდა ჩვენ მიერ გამოთქმულ ყველა მოსაზრებას და, რაც არ უნდა დამაჯერებლობას მოკლებული ყოფილიყო, სრული სერიოზულობით განიხილავდა. ხშირად მასთან სტუდენტებად ვერ ვგრძნობდით თავს, რადგან ის ყოველთვის მეგობარ-კალეგებად აღვიტვამდა. ასეთი იყო ლექცია უნივერსიტეტის ეზოში, მზის გულზე ან, უბრალოდ, ლექცია 102-ე აუდიტორიაში...

ბატონ ტარიელთან პირველივე კურსიდან გვქონდა ურთიერთობა, არამხოლოდ როგორც ლექტორთან, არამედ, როგორც უფროს მეგობართან. განსაკუთრებული დამოკიდებულებით იყო ჩვენს ჯგუფთან; არ ჰქონდა მნიშვნელობა, იმ დღეს მისი ლექცია გვქონდა თუ არა, ყველაზე ხშირად ჩვენი აუდიტორიის კარს მაინც ბატონი ტარიელი აღებდა ხოლმე, ჩვეული ოპტიმიზმითა და საუცხოო კომპლიმენტებით – ისეთი რამ უნდა ეთქვა, რაც აუცილებლად გაგვაღიმებდა, პოზიტიურ განწყობას შეგვიქმნიდა, შემდეგ კი გზას აგრძელებდა... ლექციის დროსაც, უპირველესად, განწყობის შექმნას ცდილობდა, მისთვის მთავარი იყო სტუდენტი, თავისი ფიქრით, აღქმებითა და მოსაზრებებით. ერთი შეხედვით,

მონოტონური და სქემატური საგნები, განსაკუთრებულობას სწორედ მისი დამსახურებით იძენდა, არცერთი ლექცია არ ჰგავდა ერთმანეთს.

იმ ძალიან ძვირფასი ლექტორებიდან, რომლებთან ურთიერთობის ბედნიერებაც ქართულმა უნივერსიტეტმა მოგვცა, ბატონი ტარიელი ნამდვილად გამორჩეულია თავისი უშუალობით, პროფესიონალიზმით, შინაგანი კულტურით, პრინციპულობითა და ქარიზმატულობით.

ერთ დღესაც, საოცრად განონასწორებულ, ინტელიგენტ, დარბაისელ ადამიანში სულ სხვა პიროვნება აღმოვაჩინეთ. ეს ძვირაფასი აღმოჩენა კი უკავშირდება ექსპედიციას მზიან ხევსურეთში. ბატონი ტარიელი ფიქრობდა, რომ სამშობლოს სიყვარული და აღქმა სწორედ სამშობლოსთან ცოცხალი შეხებით, მისი გაცნობით, შეგრძნებით იწყებოდა, ამიტომაც გავეშურეთ ხევსურეთში ახალი აღმოჩენების გასაკეთებლად... ბევრი ძვირაფასი მოგონება დაგვიგროვდა, ემოციები – ხევსურეთივით მძაფრად მისტიკური და მღელვარე. ახლა რომ ვფიქრობ, სიმბოლურად მეჩვენება ის გზაც, კორშიდან როშკამდე... ფეხით რომ ავიარეთ და ბატონი ტარიელის მხიარული შეძახილები რომ გასდევდა ფონად. თითქმის შეუსვენებლად აიარა ეს გზა და ჩვენ კი, ვინ იცის, რამდენჯერ შევისვენეთ. მიგვიძოდა და მაგალითს გვაძლევდა, როგორ ნაბიჯებით უნდა იარო მიზნისკენ...

განსაკუთრებით ემოციური იყო სტუდენტობის ბოლო პერიოდი, დიპლომის დაცვის დღე... მახსოვს, თემის წარდგენის დროს როგორ დაიცვა ჩემი პასუხი, როგორ გამომექომაგა, მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყო ჩემი თემის ხელმძღვანელი. როდესაც დიპლომებიც დავიცავით, მის შემდეგაც გვერდიდან არ მოგვშორებია, ჩვენ გვერდით იყო გამოსამშვიდობებელ საღამოზეც და მერეც, ყველა რომ გაიფანტა... ჩვენთან ერთად დარჩა და ფოტოებს იღებდა უნივერსიტეტის ეზოში, რაც ნამდვილად იყო გულწრფელი სიყვარულის გამოვლინება, რაც არერთხელ დაგვიდასტურა.

და, ბოლოს... მადლობა, ბატონი ტარიელ, საინტერესო სტუდენტური წლებისა და სასიამოვნო, მზიანი, ფერადი მოგონებებისათვის...

## თამარ ბედუკაძე

მასწავლებელია ის, ვინც დაგაფიქრობს და ...

შენს ცეობირებაში კვალს დატოვებს

სერია I

სავარაუდოდ 2010-სა და 2011 წელს შორის

ლექცია – სააზროვნო საუბარი |

რა არის ენა?

ბევრი ლოგიკური და ინტელექტუალური პასუხი მოისმინა...

ჩემი პასუხი: „ენა განვითარების საშუალებაა“.

მისი რეაქცია-პასუხი: ჰმმმ... საინტერესო პასუხია, მაგრამ დაკონკრეტება სჭირდება.

სერია II

ლექცია 1,2, 3,4... – სააზროვნო შეხვედრა, გამოსვლა და შეფასება  
(ახალციხის უნივერსიტეტი, სავარაუდოდ, 2010-სა და 2011 წელს შორის)

თემა: სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა.

პრეზენტაცია ახალციხის უნივერსიტეტში – სიტყვით გამოვდივარ ფართო აუდიტორიის წინაშე, არ ვიბნევი, საკმაოდ კარგად და დამაჯერებლად ვსაუბრობ, მე მიკვირს ჩემი თავის...

მისი შეფასება: კარგი იყო, ყოჩალ!

სერია III

დაახ. 2013 და 2014 წელს შორის – საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და თემის შერჩევის ორომტრიალი – განწყობა: აღელვებულ-შემფოთებულად.

ადგილი – წმიდა ანდრია პირველნოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, უფრო კონკრეტული ადგილი – ქართველოლოგის ცენტრი – კიდევ უფრო კონკრეტული ადგილი – მისი სამუშაო მაგიდის მარცხენა კუთხეში მდგარ სკამზე ჩამომჯდარი.

– მინდა, თქვენ იყოთ ჩემი საბაკალავრო თემის ხელმძღვანელი.

– რატომ ამირჩიე?

– ... იმიტომ, რომ მეშინია.

– რატომ გეშინია?

– ...

– როგორი ვარ?

– არც კარგი და არც ცუდი.

– ეგ რას ნიშნავს? (ელიმება...)

– თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი ხართ!

– ჰმმმმ... საინტერესო შეფასებაა, დამაფიქრე.

– ...

– შენი თემა მომენტია, შენ დაწერე, თუ დაგეხმარნენ?

– მე დავწერე, არ დამხმარებიან!

– მართლა? ყოჩალ! მჯერა შენი.

III სერიის ქვესერიდან

საბაკალავრო თემის ერთად განხილვა

– ჰმმმ, ცოტა არ იყოს, ქუჩურ ენაზე გინერია, სამეცნიერო ხასიათის ნაშრომია, ეს სტილი არ იგარგებს.

– კარგი.

– ეს ძალიან კარგი ფრაზაა... ჰმმმ... მგონი ეს გოგონა აზროვნებს!

IV სერია

2016 წელი

აწ უკვე ქართული (ქართველური არ მიყვარს) ენათმეცნიერების მაგისტრობის მსურველი

განწყობა: სულ ოდნავ ამბიციურად

– გონიერი გოგონა ხარ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გაქვს სამუშაო. მეტი გამბედაობაა საჭირო!

– ...

– მინდა ზმინის მიმართულებით იმუშაო.

– მე არ მინდა!

შენიშვნა: „მელას თავის მახრჩობელა უყვარსო“.

V სერია

2018 წელი

საცაა და მაგისტრი ვიქენები, თანაც ქართული (არა ქართველური) ენათმეცნიერების, დაცვალა დარჩა!

სამაგისტრო ნაშრომის სახელწოდება: „საზოგადოებრივი ზნეო-

## ბის ცვლის ლინგვოკულტუროლოგიური სურათი ქართულში“

ხელმძღვანელი: პროფესორი მანანა ტაბიძე

რეცენზენტი: პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე

ამონარიდი რეცენზიიდან (2018 წლის საარქივო მასალა)

რეცენზია ბედუკაძის ნაშრომზე

ნაშრომი წარმოადგენს საინტერესო აკადემიურ გამოკვლევას; დასკვნები დამაჯერებელია და ეფუძნება სათანადო ლინგვისტური მასალის ლოგიკურ ანალიზს. დასკვნათაგან გამოყოფ რამდენიმეს:

1. სიყვარული სათნოების უმაღლესი მწვერვალია, რომელიც ჩვენ მიერ გამოყოფილ ყველა ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში იგულისხმება;

2. ქართულ ენაში უარყოფითი ელფერის გამომხატველი სიტყვები უფრო მრავალფეროვანია და რაოდენობრივადაც უფრო მეტია... კვლევამ აჩვენა, რომ თანამედროვე ენას დაეტყო სულიერი ფასეულობების დევალვაცია; ლექსიკურად აისახა ადამიანის ქცევისა და მოტივაციის პრაგმატიზაცია და საზოგადოების წინაშე ზნეობრივი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი შინაგანი იმპულსების საკანონმდებლო ნორმებით ჩანაცვლების ტენდენცია (გვ. 69)... „ცხოვრების სწრაფი ტემპის გამო, მეტად მრავალსახოვანი, მრავალფეროვანი და მრავალსაფეხუროვანი ლექსიკური ერთეულების გვერდით გაჩნდა უარყოფითი, ნეგატიური“ (გვ. 33). ავტორი სხვაგან წერს, რომ ნეგატიური უფრო და უფრო იზრდება... აქ კამათიც შესაძლებელია: ნეგატიური ადრეც და ადამიანთა ყველა საზოგადოებამიც იყო, არის და იქნება; გავიხსენოთ შექსპირის 66-ე სონეტი; აბელისა და კაენის დაპირისპირებიდან ეს თემა თვისობრივად არ შეცვლილა: სიკეთე და ბოროტება აბალანსებს ერთმანეთს; უბრალოდ, ადამიანს უფრო მკვეთრი რეაქცია აქვს უარყოფითზე და ეს ლექსიკაშიც აისახება.

3. „კარგი ყმის დახსიათებისას ადამიანი ზნესრულ პიროვნებად, არამინიერ არსებად წარმოგვიდგება, რომელიც ღვთიური ძალითა და მადლით არის განმსჭვალული... 21-ე საუკუნეში კარგი ტიპი მიწიერი, მატერიალური ღირსებებით უზრუნველყოფილი პიროვნებაა, რომელსაც არ აკლია თავდაჯერებულობა, უყვარს მაღალ საზოგადოებაში ტრიალი და ყურადღების ცენტრში ყო-

ფნა... კარგი ყრმა სხვაა და კარგი ტიპი სხვა“... საზოგადოების ნაწილში დღეს გამიჯნულია „კარგი ყმა“ და „კაი ტიპი“; ასე რომ, სოციალური ფენის ცნობიერებაზეა დამოკიდებული ბევრი რამ.

გვაქვს რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება:

1. ნაშრომის ანოტაციასა და შესავალში („სიახლეებში“) სათანადოდ არ არის ასახული სამაგისტრო ნაშრომში მიღებული დასკვნები.

2. კარგი იქნებოდა, ავტორს ემსჯელა ნასესხები და საკუთრივ ქართული სიტყვების ცვლის დინამიკაზე; მაგ., რატომ დამკვიდრდა სიტყვა „ნამუსი“, როცა გვქონდა სიტყვები: „პატიოსანი“ და „სინდისი“.

3. ავტორი წერს, რომ „მოძღვარმა“ დაკარგა თავისი მნიშვნელობა და მასწავლებელი ჩაენაცვლა იმიტომ, რომ თანამედროვე ახალგაზრდებს არ მოსწონთ ჭურის დარიგება... მე ასე არ ვფიქრობ: „მოძღვარი“ დარჩა „საეკლესიო ველში“, ხოლო მასწავლებელი – „საერო ველში“...

4. კარგი იქნებოდა, ავტორს გაერჩია სათნოების საფეხურების ქრისტიანული იერარქია და საკუთრივ ქართულ ენობრივ მსოფლებები არსებული შედარებითი ხარისხის ფორმებით გამოხატული იერარქია...

მთლიანობაში, ნაშრომი უდავოდ იმსახურებს მაღალ შეფასებას. ტ. ფუტკარაძე /რეცენზენტის ხელმოწერა/

თარიღი 27.06.18

## VI სერია

### 2021 წელი

P.S

- პროტესტს ვაცხადებ, თქვენო ღირსებავ!
- ახლა რაღას აპროტესტებ?
- თქვენს სიკვდილს, თქვენო ღირსებავ!

\*\*\*

მე ძალიან კარგი ლექტორი მყავდა – პატივცემული ტარიელი. ის იყო შრომისმოყვარე, ერუდირებული, მეგობრული. მისი ლექციები იყო ყოველთვის საინტერესო, ცოდნაზე ორიენტირებული, სულსა და გულს დებდა თითოეულ ლექციაში.

დოკტორმაც სიცოცხლე წაართვა ბატონ ტარიელს, დაგვიტოვა ბევრი ტკბილი მოგონება, რომელიც არასდროს გაქრება. ბატონმა ტარიელმა ზუსტად იმ ცხოვრებით იცხოვრა, რომელ ცხოვრებაზეც დიდი ილია წერდა: „კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, ერთი აქ დასარჩენი, მეორე – თან წასაყოლი“.

ტარიელ ფუტკარაძე მრავალი წელი ემსახურებოდა საქართველოს, ქართველ ერს, ახალგაზრდების სწავლა-განათლებას, ის ყოველთვის განუყოფელ ნაწილად დარჩება თავისი სტუდენტების სტუდენტური ცხოვრებისა.



\*\*\*

პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მიჭირს ბატონ ტარიელზე წერა, არა იმიტომ, რომ მოსაგონარი არაფერი მაქვს, მხოლოდ იმიტომ, რომ ვერც კი წარმოვიდგენდი, გონებაში აზრადაც ვერ დავუშვებდი, რომ როდისმე ბატონ ტარიელზე წარსულში წერა მომიწევდა. მთელი ეს დროა ვფიქრობ, დავწერო რომელიმე ერთ კონკრეტულ მოგონებაზე, მაგრამ ვერ ავარჩიე, რადგან ჩემთვის ყველა ერთნაირად ძვირფასი და მნიშვნელოვანია. ეს ამბავი კი, ალბათ, ყველაზე ცუდი სიზმარია, რომლიდანაც გამოღვიძებას ვცდილობ და არ გამომდის. მოსაგონარი და სათქმელიც ძალიან ბევრი მაქვს, თუმცა სიტყვებს თავს ვერ ვუყრი, რადგან რთულია წერო ადამიანზე, რომელმაც სტუდენტობა მრავალფეროვანი გაგიხადა. უდიდესია მისი წლილი იმაში, რომ ჩემი სტუდენტობის წლები დაუვიწყარი მოგონებებით აღვსილიყო და მარადიულად დარჩენილიყო ჩემს მეხსიერებაში. ვსწავლობდით ლექციებზე და დავდიოდით მთელ საქართველოში, მისი საოცრად გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად. ალბათ, ყველაზე სწორია, დავიწყო მადლობით, თითოეული მოგონებისთვის, თითოეული წუთისთვის, რადგან ყველა დამეთანხმება, რომ ბატონ ტარიელს შეეძლო ჩვეულებრივი დღე არაჩვეულებრივად ექცია და სამუდამოდ აღებეჭდა შენს გონებაში, თან ამას იმდენად უბრალოდ აკეთებდა, თითქოს ეს მისი ზებუნებრივი ნიჭი იყო, თითქოს შენთან იმ წამს, სწორედ ამ ერთფეროვანი წუთის შესაცვლელად გამოჩნდა, თავისი ენერგიითა და სითბოთი.

ჩემთვის, როგორც ერთი ჩვეულებრივი სტუდენტისთვის, გაიღო ყველაზე მნიშვნელოვანი კარი – ბატონი ტარიელის კაბინეტის კარი – და მას შემდეგ არც დახურულა. შევდიოდი ყოველ წუთს, ყველაფრის სათქმელად და გასაზიარებლად, როგორი დაკავებულიც არ უნდა ყოფილიყო, ყველა საქმეს გვერდით გადადებდა, გულისყურით მომისმენდა და საჭირო რჩევებით ამავსებდა. არაფერი შეედრებოდა იმ სიმშვიდის შეგრძნებას, რომლითაც მისი კაბინეტიდან გამოდიოდი, თითქოს პრობლემა იქვე გვარდებოდა, რადგან უკვე სწორი გზა იცოდი, მიმართულება გქონდა, რომელსაც გაპყვებოდი და გამოსავლამდე მიხვიდოდი. ვფიქრობ, არსე-

ბობენ ადამიანები, ლექტორები, რომლებიც გაძლევენ ცოდნას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და არსებობდა ბატონი ტარიელი, რომელიც გასწავლიდა ცხოვრებას, მთელი მისი არსით. მადლობა, რომ მასწავლეთ, როგორ დავიჯერო საკუთარი თავის, როგორ დავიჯერო საკუთარი მიზნების, მისწრაფებების, როგორ დავსვა კითხვები, თუნდაც პასუხი ისედაც ნათელი იყოს, როგორ წავიდე წინ და არ დავრჩე ერთ ადგილას, როგორ გავალო ყველა კარი იმის მიუხედავად, რომ არ ვიცი, რა მელოდება, იქ როგორ მყარად შევხვდე წინააღმდეგობას, რადგან ბრძოლის გარეშე არაფერი გამოდის და საბოლოოდ მიდიხარ იმ გამარჯვებამდე, რომელზედაც ასე ოცნებობდი. მადლობა, რომ სამშობლოსა და დედაენის სიყვარული პირველი გამოჩენისთანავე გაგვიღვივეთ, დაგვაფიქრეთ იმ საკითხებზე, რომელზედაც არც გვიფიქრია, ცდილობდით, ყოველთვის აჰყოლოდით სიახლეებს და ჩვენც ამას გვირჩევდით, რომ არ დაიკარგოს ის ფასეულობები, რაც გაგვაჩნია; ფიქრობდით მომავალ თაობებზე, რომ მათაც ჰქონიდათ საშუალება, რაც შეიძლება მეტი გაეგოთ, ესწავლათ. რა თქმა უნდა, მადლობა, რომ თითოეულ ჩვენგანში ხედავდით იმედს, ძალას, მომავალს ჩვენი ქვეყნისას. ახლაც, როცა ამას ვწერ, ჩემს წარმოსახვაში თქვენი ლიმილიანი სახე მიდგას და არ არსებობს ძალა, რომელიც ჩემ გულში და გონებაში ამ კადრს შეცვლის. ცალკეულ მოგონებებს ჩემთვის სათუთად შევინახავ, რადგან ვფიქრობ, ეს ყველაზე ძვირფასია, რაც დამრჩა. აქ კი, კიდევ ერთხელ გეტყვით მადლობას თქვენი არსებობისთვის ჩემს ცხოვრებაში, რომ დაიჯერეთ ერთი პატარა შეშინებული გოგოსი და თავი მაღლა ააწევინეთ. მე არასოდეს გემშვიდობებით და მჯერა ჩვენი კვლავ შეხვედრის.

## მაია გრიგალაშვილი

\*\*\*

სტუდენტობის საუკეთესო მოგონებები მაკავშირებს ბატონ ტარიელ ფუტკარაძესთან... გუშინდელი დღესავით მახსოვს ის აუდიტორია, სადაც პირველად შემოვიდა ბატონი ტარიელი და ნარუმლელი კვალი დატოვა ჩემზე – განსხვავებული, განსაკუთრებული ლექციური სტილით და მიდგომებით, მოსაზრებებით და ხედვით. აქედან დაიწყო საინტერესო მოგზაურობა ქართველურ ენათმეცნიერებაში. ყოველი ლექცია იყო დატვირთული დისკუსიით, აზრთა აქტიური გაცვლა-გამოცვლით, ზოგჯერ პოლემიკითაც.

ბატონი ტარიელი ყოველთვის ცდილობდა, რომ ნებისმიერი საკითხისთვის განსხვავებული მხრიდან შეგვეხდა, თუნდაც მისი ნათქვამი არ მიგველო ჭეშმარიტებად და ვყოფილიყავით კრიტიკულად მოაზროვნებო, ამის საუკეთესო მაგალითს თვითონ იძლეოდა. განსაკუთრებულად თბილად მახსენდება ტაო-კლარჯე-თის დაუკინყარი ექსპედიცია. მიტირს იქ განცდილი ემოციებისა და შთაბეჭდილებების თავმოყრა, იმდენად დიდი კვალი დაამჩნია ჩემს მეხსიერებას. ბატონი ტარიელი იყო ჩვენი წინამძღოლი, ლიდერი, ორგანიზატორი, გეზის მიმცემი, მოტივატორი. იგი უშრეტი ენერგიისა და ძალის პატრონი, თითქმის დაუღალავი და ყოველ საქმეში კეთილსინდისიერი პიროვნება იყო. იქ გავიცანი არა როგორც ჩვეულებრივი, კარგი ლექტორი, არამედ, როგორც ლირსეული, სამართლიანი, თანამგრძნობი, გულისხმიერი პიროვნება. მიუხედავად ზოგიერთ საკითხში აზრთა სხვაობისა, ძალიან ვაფასებდი მის მეცნიერულ პოზიციებს, ამ პოზიციებისათვის ბრძოლას და თავდადებას. სამაგალითო ადამიანი იყო თავისი შრომისმოყვარეობითა და ბრძოლისუნარიანობით. ალბათ, ჩემსავით ვერავინ წარმოიდგენდა მის მარცხს ვირუსთან, თითქმის ეს რაღაც ბედის უსამართლობაა, უმწეობისა და უსუსურობის განცდა სიკვდილთან... მას ხომ ძალიან ბევრი გეგმა, მიზანი ჰქონდა, მას ბევრი რამის გაკეთება შეეძლო...

## მაგდა გულბანი

\*\*\*

მოგონებები ბატონი ტარიელის შესახებ ჩემი სტუდენტობის პირველივე დღიდან იქმნებოდა... ძალიან მიჭირს რომელიმე კონკრეტულის გამოყოფა, ჩემთვის ეს ძალიან ძნელია, ვინაიდან ყველაფერი, რაც ბატონი ტარიელის სახელს უკავშირდება და ჩემს მეხსიერებაშია შემონახული, ძვირფასი და მნიშვნელოვანია, მაგრამ მათ შორის შემიძლია გამოვარჩიო მოგონება ხევსურეთის ექსპედიციაზე. ვფიქრობ, ადამიანი ბევრ სიტუაციაში უნდა გაიცნო, რომ საბოლოოდ აღიქვა მისი პიროვნება. ბატონი ტარიელის ნახვამ უნივერსიტეტის კედლებს გარეთ და აუდიტორიებიდან შორს, მისი პიროვნება აბსოლუტურად სხვა კუთხით დამანახა. ის იმაზე მეტად მზრუნველი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ ყველას გვეგონა, იმაზე მეტად მხიარული და ენერგიული, ვიდრე წარმოგვედგინა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ჩვენ აბუდელაურის ტებებზე ასულებს სუნთქვა აღარ შეგვეძლო დაღლილობისგან, ბატონი ტარიელი კი დაუღალავად, ყმანვილური ენერგიით დარბოდა ჭიუხებში – არც დაღლა ეტყობოდა და არც ენერგიის ნაკლებობა. უამრავ ფოტოს გვიღებდა... ძალიან უყვარდა ცოცხალი კადრების მოგონებებად ქცევა.

როდესაც ბატონ ტარიელზე მეფიქრება, სულ ყურში ჩამესმის მისი სიტყვები, როგორ გვეძახდა „შვილო“-ს და გვეკითხებოდა, თუ რა ხდებოდა ჩვენს სამყაროში...

## ჯულიეტა ელბაქიანი

\*\*\*

ჩემო საყვარელო მკითხველო, თუ არ გიყვარს ემოციური წერილების წაკითხვა, მაშინ ნუდარ გააგრძელებ. ეს შენთვის დროის ფლანგვა იქნება, ბატონ ტარიელს კი ის არ ემეტებოდა ტყუილად დახარჯვისთვის.

ახლა შევუდგეთ ჩვენს მოკლე მოგონებას ამ ძვირფას ადამიანზე. ტარიელ ფუტკარაძე – ადამიანი საოცრება, რომელმაც არ იცის, დალლა რა არის. ნეტავ, ასეთი ლიმილიანი, ენერგიული და ხალისანი კაცი რამ გაათეთრა ნაადრევად?! ძლივს იქნება 50 წლის. რა დარდი აქვს?! ეს აზრი დამებადა მასთან პირველი შეხვედრისას. არასტანდარტული ლექციები, პირველი შეხედვით უცნაური სემინარები და აი, უკვე რამდენიმე კვირაში (ჩვენ ორ კვირაში ერთხელ ვხვდებოდით) სვდები, რა არის თეთრი თმებისა და მოჭმუხნული შუბლის მიზეზი, რაც დროდადრო ჩნდებოდა მის სახეზე, როდესაც საუბრობდა საქართველოზე, ქართულ ენაზე, – მის წარსულსა თუ მომავალზე.

ალბათ, იკითხავთ, რაში გამოიხატებოდა არასტანდარტული ლექციები. პასუხი მარტივია: ის მარტო არ ლაპარაკობდა და არც ჩვენ ვისმენდით მეათე სიზმარში, არამედ პრობლემას დასვამდა და ერთობლივი ძალებით ვცდილობდით მის გადაჭრას. ხშირად ვკამათობდით სხვადასხვა საკითხზე, რაც ყველასთან არაა შესაძლებელი. იგი არასდროს მოგახვედა თავს საკუთარ აზრს, თუმცა არგუმენტების დამაჯერებლობით ჩვენ თვითონ მივდიოდით სასურველ შედეგამდე. შემდეგ კითხვები, კითხვები, კითხვები, რომლებითაც მეცნიერების ზღვაში გვასეირნებდა, მერე დაგვტოვებდა საძლაც და აბა, საკუთარი ძალებით უნდა გეცურავა და გამოსულიყავი, თუ არადა, არც დაგახრჩობდა, ისევ ცოტათი წაგეხმარებოდა და ზღვის სიღრმეში შეგახედებდა. და ეს ხდებოდა იმდენჯერ, სანამ ბოლომდე არ მიხვდებოდი, რას შეეჭიდე.

ბევრი რამა გასახსენებელი, კონფერენციები, სხვადასხვა სახის ოფიციალური შეხვედრები. ის ყოველთვის მეგობრულად გვექცეოდა, რაც თავდაჯერებულობას გვმატებდა მე და ჩემს ამხანაგებს. ახლაც ვერ ვიჯერებ, იმ „ოფიციალურმა სტუმარმა“, რის შესახებაც ბატონმა ტარიელმა თავის ფესტუქზე გააშუქა და დარწმუნებული ვიყავი, რომ ერთ კვირაში გაისტუმრებდა, ასე ულმობლად როგორ შეინირა მისი სიცოცხლე...

## თეა ვარდოსანიძე

„შეუძლებელი არაფერია!

**უბრალოდ, არსებობს მარტივი და რთული საკითხები“**

დღევანდელ რეალობაში თქვენზე წარსულში საუბარი, ალბათ, ყველას დიდ ტკივილს წარმოადგენს, ბატონო ტარიელ. თუმცა, თქვენ არასდროს დაგვტოვებთ, ჩვენს გულებში ხართ და იქნებით მუდა! არასდროს გჩვევიათ ვინმე უყურადღებოდ დატოვოთ და დახმარების ხელი არ გაუწოდოთ.

უამრავი ლამაზი დღე მაქვს თქვენთან ერთად გატარებული მას შემდეგ, რაც გაგიცანით. ჩემთვის ერთ-ერთ გამორჩეულ დღეს გავიხსენებ – 2019 წლის 28 სექტემბერს, როდესაც პირადად გაგიცანით. ეს იყო ექსკურსია კახეთში, რომელსაც სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან მინდოდა ახლოდან გამეცნო ჩემი თანაკურსელები და ლამაზი დღე გვეჩუქებინა ერთმანეთისთვის. მაგრამ მოხდა ისე, რომ ქართული ფილოლოგის ფაკულტეტი-დან მხოლოდ თქვენ და მე აღმოვჩნდით ამ ექსკურსიაზე. თანაც, სხვადასხვა ავტობუსში. ჩვენი მგზავრობის დროს, თბილისიდან კახეთამდე, მითხრეს, რომ ბატონი ტარიელი იმ ერთადერთ ფილოლოგ გოგოს ეძებდა. მეც, რა თქმა უნდა, დიდი სიხარულით და იმედებით გამოვეშურე თქვენკენ. იმედები ნამდვილად გამიმართლდა, იმ წუთიდან დღის ბოლომდე და მის შემდეგ – დღე-მდე, ერთი წამითაც არ მიშორებდით გვერდიდან. იმ დღეს, მე ვთვლიდი, რომ მამასთან ერთად ვიყავი ექსკურსიაზე მშვენიერი კახეთის დასათვალიერებლად, რადგან, როგორც თქვენ გჩვევიათ, ხელჩაკიდებული დამატარებდით მთელი დღე და მიყვებოდით, თუ როგორი სწორი გადაწყვეტილება მივიღე, რომ ავირჩიე წმიდა ან-დირია პირველნოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.

დღეს განსაკუთრებით ვთვლი, რომ ეს ექსკურსია წამდვილად დიდი საჩუქარი იყო ჩემთვის. იმ დღეს მითხარით: „ისე გავუმას-პინძლდეთ ჩვენს მეგობრებს, როგორც წამდვილ ფილოლოგებს შეეფერებათო“. შევეცდები, ყოველთვის ყველას ისე დავეხმარო და გავუმასპინძლდე, როგორც, თქვენი თქმით, „წამდვილ ფილოლოგებს შეეფერებათ“. ამ დღის შემდეგ ვიცოდი, ჯერ თქვენს კართან უნდა გამევლო, მოგსალმებოდით, შემდეგ კი კიდევ ერთი

ახალი და საინტერესო დღე უნდა დამეწყო. ერთხელ, ონლაინლე-ქციაზე მხოლოდ იმის გამო დავაგვიანე, რომ რაღაც ტექნიკური ხარვეზი მქონდა. პირველ რიგში, ამ პრობლემის მოგვარებაში დამეხმარეთ და შემდეგ გავაგრძელეთ ლექცია.

თქვენზე იმდენი კარგი რამ იწერება, რომ მე რაღა უნდა ვთქვა ახალი?! ერთადერთი, შემიძლია ის ვთქვა, რომ თქვენზე ვერასდროს ვისაუბრებ წარსულში, რადგან თქვენს სიახლოვესა და გვერდში დგომას მეც ისევე ვგრძნობ, როგორც თქვენი ნების-მიერი სტუდენტი.

და, ბოლოს, როგორც თქვენ იტყოდით, „შეუძლებელი არაფერია! უბრალოდ, არსებობს მარტივი და რთული საკითხები..“



\*\*\*

არსებობენ ლექტორები, რომლებიც თავს გახვევენ თავიანთ აზრებს და გეუბნებიან, რომ ეს არის სწორი. და ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბატონი ტარიელ ფუტკარაძე, რომელიც ყოველთვის, რა თემაც არ უნდა ყოფილიყო, ყოველთვის გვიხსნიდა სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრებას, ბოლოს აღნიშნავდა საკუთარ აზრს და გვეუბნებოდა, თქვენ განსაჯეთ, რომელი არის სწორი და რატომო..

არასდროს შევუბოჭივართ... მის ლექციაზე ყოველთვის იგრძნობოდა ის თავისუფლება, რომელიც სტუდენტს უნდა გააჩნდეს. პატარასთან პატარა იყო და დიდთან – დიდი... ასეთი ახალგზარდა გულის პატრონს არასად შევხვედრივარ. მუდამ ახლს ეძიებდა; არასდროს ყოფნიდა ის, რაც იცოდა, სულ სიახლე! სიახლე და სიახლე! კვლევა! გარკვევა! ახლის დამატება! რაღაცის შექმნა! გაჩერებულს ვერასდროს ნახავდით, მუდამ მოძრაობდა...

ფეხს ფეხზე გადაიდებდა და ლექციას ისე წაგიკითხავდა, რომ დროის გასვლას ვერ ამჩნევდი. ყოველთვის იცოდა ჩაძიება, კი-თხვას თითოეულ სტუდენტს უსვამდა, ყველას პასუხს მოისმენდა და ბოლოს შეაჯამებდა და დაამატებდა თავის მოსაზრებას და... თითქოს, რაღაც ახალი იქმნებოდა..

ყოველთვის ვერდნობდი თქვენს განსაკუთრებულ გვერდში დგომას. პირველივე კურსიდან შემექმნა პრობლემები და ვინ დამიდგებოდა გვერდში, თუ არა თქვენ?! რამდენს ვდავობდით, რამდენჯერ დავრჩენილვართ ორნი, გვიკამათია, მაგრამ, ბოლოს მამაშვილურად, ტკბილად და თბილად მთავრდებოდა ჩვენი საუბარი...

პირველივე კურსზე მომკიდეთ ხელი და წამიყვანეთ ქუთასიში კონფერენციაზე. „ენას გაყევი, შენი საქმეაო“, სულ მეუბნებოდით... უნივერსიტეტი თქვენ გარეშე ვერ წარმომიდგენია. და მიხარია, რომ მეოთხე კურსზე ვარ და ვამთავრებ... იმ კედლებში, იმ აუდიტორიებში ველარ ვისუნთქებ თავისუფლად, სადაც თქვენ არ იქნებით..

მადლობა ყველაფრისთვის. მადლობა გვერდში დგომისთვის! მადლობა იმ უმაღლესი შეფასებებისთვის, რომლებსაც მინერდით თქვენს საგნებში... მადლობა! მადლობა და მადლობა!

უფალს ებარებოდეთ...

## გაბრიელ თაგაური

### მოგორევების თაიგული (ტარიელ ფუტკარაძეს)

„და გზა უვალი, შენგან თელილი,  
მერანო ჩემო, მაინც დარჩება...“  
**(ნ. ბარათაშვილი)**

„ოცნებაო ჩემო, ძველო,  
ვართ ღამეთა მთეველი,  
კიდევ ბევრი სადლეგრძელო  
დაგვრჩა დაულეველი.“  
**(გალაკტიონი)**

### „ჩემი პიზება გაიმარჯვეს!“

ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიჭებმა გადავწყვიტეთ, ერთ-ერთ მონასტერს დავხმარებოდით სამეურნეო საქმიანობაში. და, რაღა თქმა უნდა, მაშინაც ჩვენ გვერდით იყო არავისზე ნაკლები ახალგაზრდა, ერთი მხარბეჭიანი, ლამაზთვალება, საკამოდ წარმოსადეგი და ენერგიებით აღსავს „ლიმილის ბიჭი“ – ტარიელ ფუტკარაძე.

მზის პირველი სხივის ამოსვლისთანავე დავტოვეთ თბილისი. ბატონი ტარიელის პროფესიული წარმატებები აღარავის გვაკვირვებდა, რადგან მიგვაჩვია. ...

თუმცა, მისმა ფიზიკური შრომისუნარიანობის სინატიფებ და მინასთან მუშაობის მძიმე ჯაფის გათვითცნობიერებულმა სიმსუბუქემ, გულწრფელად გამაკვირვა. ჩვენ წინ თვალურვდენელი ველ-მინდვრებია გადაშლილი და უგრძესი ბილიკების ბოლოს, სადლაც პორიზონტზე, მკრთალად კიაფობს ის საოცნებო „რუბიკონი“, რომლის აღებასაც, ეს ხარივით ბიჭები, ამ დილით ვლამობდით. ერთ დროს ამაყებს, რომ „ჩვენ ისეთი მაგარი ბიჭები ვართ, კარტოფილს კი არა, ხეს ამოვილებთ მიწიდან თავისი ფესვებიანად“, უცებ უიმედობის აუტანელი და ტანში გამცრელი განცდა მთლიანად გვიპყრობს. ჩვენი ამგვარი უცაბედი ნირის წახდენა ტარიელის დაკვირვებულ თვალს არ გამოჰყარვია და მისთვის ჩვეული სტილით უხერხულობაც წამში გაფანტა; შემო-

დის ინიციატივით: „მოდით, ბიჭებო, ჯგუფებად გავნაწილდეთ და ხაზებზე დავდგეთ. არჩევანში თავისუფლები ხართ. ვინც პირველი გავა ბოლოში, გამარჯვებაც მას დარჩესო!“ თურმე, რამხელა მოტივატორი ყოფილა დროულად შემოშველებული სიტყვა? ხომ გაგიგიათ? – „ქურდს რა უნდა, და – ბნელი ღამეო“, და, ჩვენც, მეტი არაფერი გვჭირდებოდა მაშინ! მისი ინიციატივა ყველამ ერთხმად ავიტაცეთ და ჩემთვის, მას შემდეგ კიდევ კარგა ხანს, პასუხაუცემელ კითხვად დარჩა, როგორ მოახერხა ასეთ მოკლე დროში ხალხის აყოლება, და თან – უკლებლივ ყველასი, რასაც მხოლოდ ახლალა გავეცი პასუხი: „ის ხომ ტარიელ ფუტკარაძე იყო!“ თავის ჯგუფს თვითონვე აკომპლექტებდა. მან პირველად მე მიხმო. ... დაინყო უთანასწორო ბრძოლა; აღარავინ ვიმჩნევ-დით დაღლას, აღარც ოფლის მოდენას ვთაკილობდით, აღარც ჩვენს ზურგებს ვუფრთხილდებოდით და, ჭიანჭველების მსგავსად, ჩვენზე მძიმე ტომრებს კამაზის „კუზაოსაკენ“ ბეჯითად მივარ-ბენინებდით. ერთი ხანობა ვიდექი, ვუყურებდი, ვუყურებდი და გარშემო რაღაც უცნაურობას ვამჩნევდი, თუმცა ვერ ამომეხსნა. მერე გონება გამინათდა, და მივხვდი: ჩვენს შორის კორიფე მეც-ნიერი იდგა! ბატონი ტარიელი წიგნებთან ხომ მეცნიერი იყო და იყო, მაგრამ მიწასთანაც არანაკლები მეცნიერი გახლდათ!

და ამ ისტორიის როგორ დასასრულს ელით? ბუნებრივია, ყველას საკამაო მანძილით გადავასწარით და გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... და მოულოდ-ნელად გაშლილ სივრცეს ავსებს გახარებული კაცის უსათნოესი ხმა: „ჩემმა ბიჭებმა გაიმარჯვეს!“ მას არ უთქვამს, ჩვენ გავიმარ-ჯვეთ, არც ის, მე გავიმარჯვე, რადგანაც მე გწინამძღვრობდითო; მან გასაგებად მიმართა ჩვენი დაჯაბნვის მსურველ მოწინააღმ-დეგთ: „მათ გაიმარჯვეს!“ და, ამდენად, სანუკვარი გამარჯვება ჩვენ დაგვიტოვა. და მაშინდა მივხვდი, თუ როგორ ვუყვარდით ამ ერთ კაცს თავისი სტუდენტები და მოულოდნელი გაოცებისაგან სახტად დარჩენილს წამით კეთილი შურიც არსაიდან შემომეპარა, „ნეტავ, მეც ამხელა სიყვარულს ვიტევდე ჩემს პანია გულში-მე-თქი და მასავით ყველგან დავატარებდე!..“

ტარიელი ყველა საქმეში წარმატებას აღწევდა და თუ, ოდეს-მე, რომელიმე საქმეს ხელს მოჰყიდებდა, უმალ შურდულივით გაიჭრებოდა წინა ფლანგზე, ნიჭ-გონის სისხარტით წინა პოზი-

ციებს მოირგებდა და ელვისებურად თავბრუდამხვევი სისწრაფით „პირველობის სიხარულსაც“, თითქოს მობეზრებული, კვლავაც უღიმდამოდ გაუსინჯავდა გემოს. კარგად მახსოვს: მას არა-სოდეს ულაპარაკია თავის გამარჯვებებზე, პირიქით, თავისივე „დაშვებული შეცდომების“ (მისივე აზრით) ანალიზის საფუძველ-ზე საკუთარი თვალსაწიერობის პრიზმიდან ცხოვრებაში უხვად ნაგროვებ „ხელი-ხელ საგოგმანებელ“ ძვირფას გამოცდილებას გვიზიარებდა. და პირველობა როდია ცუდი? ბელადებად იბადე-ბიან და, თუ, ბელადად ხარ დაბადებული, უნდა შეჰქედონ კიდეც ბედისწერას „ბელადობა“, რადგან სულიერი საზრდოს მომლოდინე საზოგადოებას ბრძენი წინამძღვარი ესაჭიროება. და, ვინ იცოდა ეს ყველაზე კარგად, თუ არა ბატონმა ტარიელ ფუტკარაძემ? იგი ზეირთებადეცეულ გადარეულ ოკეანეში დასალუბად დაშთენილი გემის საოცარი და უშეცდომო კაპიტანი იყო!

და აქ იკითხავთ: კი მაგრამ, პრიზი? საკვირველიც ის არის სწორედ, რომ თავად ტარიელსაც კი არ უხსენებია „პრიზი“ შეჯი-ბრის დაწყებამდე და ასე უჯილდოდ დაგვრაზმა საომრად ერთი ავტობუსი ნარჩევი ბიჭობა! აი, ვწერ ამ მოგონებას და თანდათან ვაცნობიერებ: ტარიელმა მაშინ კიდევ ერთი ლექცია ჩაგვიტარა და საკუთარი მაგალითით გვასწავლა, რომ ჯანსაღ პაექრობაში არ არსებობს პრიზი, რადგან პრიზი თავად გამარჯვება! ფარული აზრი ამ დაუვინუარი და, მართლაც რომ საუცხოო გაკვეთილისა, მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენი ცხოვრებაც, ერთგვარი, ჯანსაღი პაექრობაა, სადაც მართალი და პატიოსანი კაცისათვის გამარჯვე-ბის მოპოვება ძალზედ როტულ ამოცანას წარმოადგენს, თუმცა, არა შეუძლებელსა და მიუღწევად!!! საღამოს კი, დამღლელი სამუშაო დღის შემდეგ, მაგრადაც მოვილინეთ!.. აუფ, როგორ შევნოდა სუფრა ბატონ ტარიელს, უკაცრავად, უფრო სწორად, როგორ ამშვენებდა სუფრას ბატონი ტარიელი, როგორ უხდებოდა კამკამა ღვინით პირთამდე გავსებულ-გალიცლიცებული თიხის სასმისები და მოკლე სიტყვაში ჩატეული დიდაზროვანი სადლეგრძელობები? აფსუს, დიდი კაცი და დიდი მეგობარი დავკარგეთ...

არ შევმცდარვარ, რადგან ის, სიხარულისაგან ბავშვივით აღ-ტკინებული, კიდევ ბევრჯერ ჩასჩურჩულებს უფალს ყურში და ჩვენც გაგვაგონებს ზეციდან მამობრივი სიყვარულით გაუღენთილ თავის მჭექარე და საოცარი ტემბრის მქონე ხმას:

„ჩემმა სტუდენტებმა გაიმარჯვეს!“

ჩვენ კი ლიმილნარევ სევდაში ჩაქსოვილ-ჩალბობილი მონა-ტრების ცრემლი დაგვახრჩობს: ნეტავ კვლავაც სამუშაო ტანსაც-მელში გამოწყობილს ეთქვა ეს სიტყვები:

„ჩემმა ბიჭებმა გაიმარჯვეს!“

და, მაინც, არ ნამიყვანა!

(ხუთ ნაწილად)

ჰამაკში

პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე ყოველ ზაფხულს, თავისი სტუდენტებისათვის, 10-დღიან სამეცნიერო-კულტურულ ექსპე-დიციას აწყობდა ტაო-კლარჯეთში.

- ბატონო ტარიელ, ტაო-კლარჯეთში წამიყვანთ?
- შენზეა დამოკიდებული!

...

- ბატონო ტარიელ, ტაო-კლარჯეთში როდის წამიყვანთ?
- როცა დაჭკვიანდები!

...

- ბატონო ტარიელ, ტაო-კლარჯეთში კიდევ არ წამიყვანთ?
- ხომ გითხარი, გაბრიელ? – როცა დაჭკვიანდები!

...

- ბატონო ტარიელ, ტაო-კლარჯეთში როდისმე წამიყვანთ?
- (დაფიქრდა): ოოო, შენ იქიდან წამოგიყვან, თუ გინდა!..

და აქედან მოყოლებული ყოველ ზაფხულს სევდისაგან ძალ-ზედ დალოილ მზერასთან ერთად, სახეზე რომ აღბეჭდვია დაუნ-დობელი ბედისაგან უხვად ნაწყალობევი ადამიანური ტკივილები, ყველაზე ძვირფასას – ჩემს სულსა და გულ-გონებას ვაყოლებდი ჩემთვის ვერშემდგარი სანუკვარი და საოცნებო ექპედიციის საო-ცრად გახარებულ და უაღრესად ბეღინერ მონაწილეებს.

ერთ დღესაც, ჩვეულებისამებრ შევაღე მისი კაბინეტის კარი და მეუბნება: გაბრიელ, ამ შაბათ-კვირას ათიოდე სტუდენტი მიმყავს მესხეთში, მინდა, რომ საველე მუშაობის პრინციპები შევასწავლო; შენც წამოდი და დაგაკვირდები, ეგებ, ამ ზაფხულს,

კიდეც, ტაო-კლარჯეთში წაგიყვანოო. მან შანსი მომცა...

და, იცით, რა მოხდა? იმას კი არ გვეკითხებოდა –

ყველანი ადგილზე ხართო?

ექსპედიციის დანარჩენ მონაწილეებს ეკითხებოდა ჩემზე:

– გაბრიელი აქ არის? ... გაბრიელ!

– „პასუხი არ არის“...

თავისუფალი დროც ბევრი გვქონდა. ბატონი ტარიელი გვე-ტყოდა: „წადით და გაისეირნეთ, მაგრამ ამა და ამ საათზე „მარ-შრუტკასთან“ შეგროვდითო. დაგვიანებას ვერავინ ვბედავდით, რადგან დაგვიანება ჭირის დღესავით ეჯავრებოდა, თუმცა მე მაინც ვაგვიანებდი, და, განა ძალით? უბრალოდ, ბუნებით ზან-ტი ვარ და რა ვქნა? ძალიან ვცდილობდი ყველაფერი დროულად მომესწრო და ადგილზე დათემულ დროს გამოვცხადებულიყავი; იმასაც კი ვფიქრობდი, ჩემი „სისხარტის“ წყალობით პირველი მივალ „მარშრუტკასთან“ და გავახარებ ბატონ ტარიელს-მეტქი, მაგრამ მისი ნანერვიულები და შეშინებული სახე ყველაფერს მეუბნებოდა... ისევ დამაგვიანდა...“

ასე განმეორდა რამდენჯერმე...

ბოლოს ხელი ჩამჭიდა და მითხრა: შენი მარტო გაშვება არ შეიძლება, ანი სადაც მე წავალ, იქ წამოხვალ შენცო. ასე გავი-ცანი რამდენიმე მისი სახელოვანი მეგობარი. წესით იმ დროს მე ჩემს თანაკურსელებთან უნდა ვყოფილიყავი. ... ტარიელს ყველგან იცნობდნენ, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარე-თაც. ყველასთან მეგობრობდა; იგი ისეთი ხასიათის კაცი გახლდათ, არ არსებობს ვინჩესთან საერთო ენა არ გამოენახა. და მეტსაც გეტყვით, პიროვნულად თავისი იდეური მოწინააღმდეგებიც კი უყვარდა, თავის მტრად არავის მიიჩნევდა და შინაგანად ძალიან წუხდა ადამიანთა შორის ხელოვნურად გაჩენილ გაუთავებელ დის-ტანციაზე. იგი ყოველთვის გამოთქვამდა მზაობას შერიგებაზე, საბოდიშოდ რომც არ ჰქონოდა საქმე, მაინც ითხოვდა პატივებას – ეგებ მე გამომრჩა რამეო და თან ასეთი მაღალზნეობრივი საქციე-ლით სხვასაც დააფიქრებდა თავის შეცდომაზე... და თქვენ იცით, რომ შერიგებაში ერთი მხარის გულწრფელი სურვილი არ კმარა და, სამწუხაროდ, ამ კეთილ წამოწყებაში მარტო რჩებოდა ... მან ნამდვილად დიდი კაცის სახელი დატოვა ამქვეყნად!!!

და, აი, მასალის ჩანერის დროც დადგა. გავჩერდით ერთ

კოხტა და პანია სოფელში. გაგვანაწილა და საბოლოო რჩევები მოგვცა. შეგვპირდა, თბილისამდე საკმარისი მანძილია და ყველას ჩანაწერს წავიკითხავ „მარშრუტკაში“ და ვისი ნაწერიც ყველაზე მეტად მომენტება, კარგ წიგნს ვაჩუქებო. ცხადია, ბატონი ტარიელი მე გამომყვა. ...მიუხედავად ყოველივესი, მას თემატურ თავისუფლებაში არ შეუზღუდვივარ. მაგრამ რას იფიქრებდა? შევედით ერთ ეზოში, შემოგვეგებნენ ჩვენთვის უცნობი მასპინძლები; ჩვენ დამაჯერებლად წარვდექით მათ წინაშე და გასაგებად აუცხსენით იმ სოფელში ჩვენი ვიზიტის მიზანი. გაუხარდათ. ბატონი ტარიელი ეზოში დარჩა, მე სახლში შევედი და ერთ სასიამოვნო მოხუც კაცს გავესაუბრე. რომ გამოვედი, იგი უკვე მისთვის ჩვეული გზნებითა და ენთუზიაზმით საუბრობდა ახალ გაცნობილ მეგობრებთან ერთად... შემდგომ გვერდით მდგომ სახლებზე მიმითითა და თვითონ ისევ იმ ეზოში მიცდიდა. იქ ერთი ჰამაკიც ეკიდა, თუმცა ამაზე ცოტა მერე.

დატვირთული ემოციებით გამოვემართეთ თბილისისაკენ. ვთხოვეთ (უფრო სწორად, თხოვეს, მე რას ვთხოვდი!) ხმამალლა წაეკითხა ნაწერები. ბევრიც ვიცინეთ, ბევრიც ახალი გავიგეთ. თურმე ჩაუწერიათ სიყვარულზე, მეგობრობაზე, ოჯახზე, იქაურ ტრადიციებზე, მე კი? რვეულის თავში საკმაოდ დიდი ასოებით მეწერა ადრესატისათვის განკუთვნილი კითხვა, მაგრამ ამ კითხვას პასუხი არ მოსდევდა, რვეული ცარიელი იყო. ამის მიზებს მაშინ მიხვდებით, როცა გეტყვით, რაში მდგომარეობდა კითხვის შინაარსი. თქვენი აზრით, ასეთს რას ვეკითხებოდი მასპინძლებს, ყველა უპასუხოდ რომ მტოვებდა? ალბათ ვერ გამოიცნობთ და ამიტომ ახლავე გეტყვით:

„რა ჯიშის უურძნები ხარობს ამ მხარეში, რაში წურავთ ღვინოს – ქვერებში, მუხის კასრებსა თუ პლასტმასის ცისტერნებში, რაში ავარგებთ მიღებულ სითხეს და, საბოლოოდ, რამდენ გრადუსიან ღვინოს იღებთ?“ კითხვას კიდევ ერთ წინადადებას ვაყოლებდი: „მე კახელი კაცი გახლავართ და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც არანაკლებ გემრიელი ღვინო გექნებათ.“ ამ უკანასკნელ ნათქვამზე კი ყველა უმაღ ინთებოდა და ამაყად აცხადებდნენ ჩემ წინაშე: „აბა რა, რა თქმა უნდა! როგორ გეკადრებათ? ჩვენ? ჩვენ ხომ, მესხები, უგემრიელეს ღვინოს ვამზადებთ საქართველოში? შვილო, მესხური ღვინო საქვეყნოდ

განთქმულია, მაგრამ ამას ვერ გაიგებ, თუ თავად არ დააგე-მოვნებო. „ბატონ ტარიელს კი ამ დროს, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ საქმის საკეთებლად გამიშვა და მზით განათებულ ეზიში დამშვიდებული ესაუბრებოდა საინტერესო ხალხს. და, განა, მე საქმეს არ ვაკეთებდი? – ღვინის სმაც ხომ საქმეა? – ეე, აბა, ეგ არის საქმე, თუ არის!!! და ახლა, ალბათ, იმ სოფელში ჩემზე „ერთი ლოთი კაცის ლეგენდა“ დაიარება, ვინც თბილი-სიდან ამხელა მანძილი მხოლოდ იმიტომ გაიარა, რომ რაღაცის ჩანერის ფარული და ამოუხსნელი სურვილის მიზნით უცნობის ოჯახში შესულს მესხური ღვინით სავსე ერთი ჭიქა ქურდულად გამოეთხოვა და სიამოვნებისაგან თავბრუდახვეულს, ხელის კანკალით, ერთი მოყუდებით ძირისძირობამდე გამოეწრუპა ეს ღვთაებრივი სითხე.

საღამო ხანს კარგად ნაქეიფარი და გამობრუჟული გამოვცხა-დდი „მარშრუტკასთან“, თუმცა თავს საკმაოდ კარგად ვიჭერდი, არ მინდოდა, ვინმეს შეეტყო, და მით უფრო – ტარიელს. „მარ-შრუტკაში“ ასულმა გამოვაცხადე, რომ ამდენი სიარულისა და წერისაგან ძალიან დავილალე და ვითხოვე, არავის შევენუხებინე; ცხადია, ჩათვლემას ვაპირებდი, მაგრამ ვინ დაგაძინებდა? – „მარ-შრუტკაში“, როგორც ხდება ხოლმე, ერთი აურზაური და ყურე-ბის გამანვრილებელი ხმაური ატყდა, თავზე დაიმხეს იქაურობა. ბატონმა ტარიელმა ჩემი რვეული ბოლოსთვის გადადო (რაღაცას უგრძნობდა გული!). რომ გადამალა, ყველაფერს მიხვდა, გაელი-მა!.. ამასობაში თბილისი „აბრაც“ გამოჩნდა.

თუმცა, ერთი ამბავი გამომრჩა. გახსოვთ? – ჰამაკი რომ ვახსენე და გითხარით, ქვემოთ მოგიყვებით მეთქი. . .

ჩემი დევნის შედეგად საკმარისზე მეტად დაქანცული იქვე გაბმულ ჰამაკში სულის მოსათქმელად ჩამოჯდა. შევხედე, თვლემდა. გველივით გავსრიალდი, ქურდულად მივეპარე და ჰამაკში გემრიელად მოკალათებული ფოტოზე ავსახე. ის ისაა, ნამეტნავად ნასიამოვნებს თავი ზევით უნდა ამენია, რომ ასეთი იშვიათი და ისტორიული კადრი დავაფიქსირე, უცბად ბატონი ტარიელის ხმა მაფხიზლებს: „გაბრიელ, ფოტოს დახედე!“ და, რას ვხედავ? თურმე, რომ მგონია გემრიელ ძილსაა მიცემული და ვერ მამჩნევს, ფოტოს გადალებისას, ჩიაკუნის ხმა რომ ისმის, ჩემთვის ხელი აუწევია – „გაგიმარჯოს, გაბრიელ“-ო!

მან ჰამაკში ჩაჯდომამდე იცოდა უკვე, რომ მე მას ფოტოს გადაუტებდი.

და ახლა კი, უკვე მე ვეუბნები მას ყოველ დილით და ჩემი ცხოვრების ბოლო წუთამდეც ვეტყვი აუცილებლად:

- გამარჯობა, ბატონო ტარიელ!!!!...

## ექსპურსიაზე

ერთხელ კიდევ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ექსკურსიაზე არხში ჩავარდი და, რომ იტყვიან, კაი გვარიანად დავსველდი და ერთიანად ამოვიგანგლე. ამ სამარცხვინო მარცხმა გუნება საშინლად გამიფუჭა და საკმაოდაც გამარჯოულა. როგორც ყოველთვის, ბატონი ტარიელი უმაღ ჩემთან გაჩნდა და მის ადგილას ყველა „უფროსულად გამეტხავდა“, მან კი, გულში ჩამიკრა და დამამშვიდა: „არ ინერვიულო გაბრიელ, ეგ არაფერი, ნუ ჩამოგტირის ეგ სახე, არაფერი შეიმჩნიო, თითქოს არაფერი მომხდარა, ლამაზი და წარმოსადევი ბიჭი ხარ, გამაგრდი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ და ფეხი კიდევ ბევრჯერ დაგიცდება, შენ რომ იცოდე, მე რა ამბები მეტართებოდა ჩემს ახალგაზრდობაში, ახლა გაიცინებდიო...“ მართლაც ვიცინეთ, შემდეგ თავისი ზედა გაიხადა, მომანოდა და მითხრა: „ჩაიცვი, შვილო, არ გაცივდე, სახითათოაო“. თვითონ კი ერთი თხელი მაისურისა და „ჯინსის კურტკის“ ამარა დარჩა. მაშინ „ნორჩი“ გაზაფხული იდგა და საგრძნობლად გრილოდა. რა თქმა უნდა, სახლში დაბრუნებისთანავე სახელდახელოდ გავრეცხე ჩემი უძვირფასესი ლექტორის ეს ზედა „სვიტერი“, შემდეგ საგულდაგულოდ გავაუთოვე, ფრთხილად დავკეცე და ლამაზი პარკით მეორე დილას უნივერსიტეტის N. 110 – ე ქართველოლოგის კაბინეტში დავუბრუნე. გამიღიმა, მეც გაუზღიმე...

მისი ჩემდამი ასეთი დამოკიდებულება არა-თუ ბევრს, არა-მედ ყველაფერს ნიშნავდა! ტარიელს შვილივით ვუყვარდი და განსაკუთრებით ზრუნავდა ჩემზე. ახლა კი, მინდა გითხრათ, ბატონო ტარიელ, რომ ძალიან მაკლიხართ, ძალიან მენატრებით და ძალიან მტკივა უთქვენობა, და თან, ისიც კი არ ვიცი, რა მოვუხერხო ჩემსა და თქვენს შორის გაჩენილ ამ აუტანელ და თვალით უხილავ მანძილს?... გმადლობთ!!!!...

## უნივერსიტეტების გამოვენაზე

2015 წელს, როდესაც უკვე ბატონი ტარიელი „თავისი ხუთი თითოვით მიცნობდა“, ჩემი უნივერსიტეტის სახელით მივიღე მონაბილეობა საქართველოში არსებული უნივერსიტეტების გამოფენაზე „ექსპოჯორჯიაში“. მან მთხოვა: „აქ ძალიან ბევრი ხალხი იყრის თავს და რამე „შენებური სისულეელე“ არ წამოგცდეს და არ გადარიო აქ შეკრებილი საზოგადოებაო... ძალიან დაგვეხმარები, თუ უნივერსიტეტის „მოსიარულე რეკლამა“ იქნები (ქართული უნივერსიტეტის ლოგოიანი მასური მეცვა); გარშემო იარე და თუ ვინმე დაინტერესდება ჩემი უნივერსიტეტით, უბრალოდ ხელი გამოშვირე ჩემი ბანერისაკენ და ასე მიანიშნეო... ამას რომ მეუბნებოდა, „ულვაზებში იღიმოდა“. არც მას უთქვამს სერიოზულად და არც მე მიმიღია მისი ნათქვამი სერიოზულად. მაგრამ, რატომძაც, ძალიან მომინდა, რომ ძვირფასი ტარიელის თხოვნა შემესრულებინა და გაუხსნელი სკოვრივით დავმუხჯდი. ბევრს უკვირდა ჩემი ასეთი უცნაური საქციელი, მაგრამ, აბა, ჩემს ტარიელს პირობას როგორ დავურღვევდი? ... ჩენ ხომ მამაშვილური ურთიერთობა გვქონდა!!!!...

## შეყვარება

ხომ იცით ახალგაზრდა კაცების სენი? – მარტივად უყვარდებათ, და თუ ბედმა არ გაუღიმათ, სხვას იყვარებენ და ასე, სულ შეყვარუბულები არიან... არც მე აღმოვჩნდი გამონაკლისი და დამდაგველი სიყვარული მეწვია. ვიცი, ბატონ ტარიელს ძალიან გაუხსარდებოდა ჩემი პროფესიული თუ პირადი წარმატებები. ახლა იმაზე მწყდება გული, რომ ჩემს ქორწილში ვერ დაგპატიუჟებთ, ბატონო ტარიელ, მაპატიეთ... არ ვიცი, ჩემმა თვალებმა გამყიდეს, თუ ვინმემ გამცა, მაგრამ ფაქტია – ჩემი „სიყვარულის“ ამბავი ბატონი ტარიელის ყურამდეც მივიდა. თავის კაბინეტში დამიბარა. მახსოვს, სამუშაო მაგიდის ქვეშ, მარცხენა მხარეს, კონიაკს და ნუგბარეულობას ინახავდა. მომანოდა ჭიქა კონიაკი, შოკოლადიანი ნამცხვარი და მითხრა: „ასე არ შეიძლება, გაბირელ, ვინც კი გოგო დაინახე, ყველა შეგიყვარდა და ყველას ლამაზ-ლამაზი სიტყვები უთხარი; ამოირჩიე ის ერთი, ვისაც ამას ეტყვი, თორემ, ყველა თუ კომპლიმენტებით გაანებივრე, საბოლოოდ არავინ გამოგყება ცოლადო. გაითვალისწინე და კარგად დაიმახსოვრე, ჩემო გაბრიელ, ამას მეგობრულად გეუბნებით:

მხოლოდ მას დაახარჯე შენი ინტელექტუალური რესურსი, ვინც მარტო სახელ-გვარით არ შეგიყვარებს და ვინც ანალოგიურადვე შეგიყვარდება შენო; არ არის სიყვარული ისეთი მარტივი, როგორა-დაც ახლა უყურებ; ასაკი და გამოცდილება რომ მოგემატება, ამას მერე მიხვდებით...“ და ამ გულწრფელ სიტყვებში ცამდე მართალი იყო ჩემი ტარიელი! დღემდე უცოლო ვარ...

იცით რა მინდა გითხრათ? ტარიელ ფუტკარაძის ყველა პროგ-ნოზი მართლდებოდა, რადგან მისი თითოეული სიტყვა საკითხის სიღრმისეულ ცოდნას ეფუძნებოდა. იგი არ ლაპარაკობდა, თუკი არ იცოდა საკითხი; თუ ჰეთხავდით ისეთ რამეს, რაზეც ინფორ-მაცია არ ექნებოდა, გეტყოდათ, რომ ამ დღეებში გაგირკვევთ და გაგაგებინებოთ. იმავე დღესვე დაგირეკავდათ და გაგაოცებდათ, ამდენის გაგება როდის მოუსწრიაო?... სულ რომ არაფერი ეთქვა შენთვის, მაინც გასწავლიდა – გასწავლიდა თავისი საქმეებით! დიდი კაცი გახლდათ ტარიელი!

ამ ამბიდან რამდენიმე დღეა გასული და ერთ-ერთ ფოტოზე, რომელიც ჩემს ფეისბუქგვერდზე განვათავსე, მიკომენტარებს:

– „გაბრიელ, სულ პირდაღებული უნდა იყო? ვინ გამოგყება ასეთ პირლიას ცოლად?“

მე ვუპასუხე:

– „თუ პირის დაკეტვა ცოლის მოყვანის წინაპირობა-გარან-ტია, მაშინ დღესვე ვდებ დუმილის აღთქმას“.

ეჰ, ვინ მოთვლის, რამდენჯერ დავარლვივ მას შემდეგ ყალბად მიცემული დუმილის ეს აღთქმა?!... ნეტავ, ფიზიკურად ცოცხალი ყოფილიყვათ და ისევ მოგეცათ ჩემთვის სანუკვარი რჩევები. და, რომ იცოდეთ, ცხოვრებისეული დილემების წინაშე მდგარს, რამდენჯერ მინატრია ტარიელის თბილ-სათნო ხმის გაგონება, თქვენც ჩემთან ერთად ატირდებოდით ახლა...

## შეი ჰკუით?

ტარიელი საკმაოდ მომთხოვნი ლექტორი იყო, რაც მის სტუ-დენტთა თუ ნასტუდენტართა ცოდნის მაღალ ხარისხზეც პპოვებდა მკაფიო ასახვას. მახსოვს, ლექციებზე მოგვცემდა ხოლმე სააზროვნო დავალებას, ჩვენ კი რაღაც დროში მისაგან მოცემული ეს ლინგვის-ტური რთული საკითხი ერთობლივი ძალებით უნდა გადაგვეჭრა; იწყებოდა ძალზედ აქტიური, საქმიანი და, ამავე დროს, სახალისო

განხილვა. ამასობაში ბატონი ტარიელი თავის საქმეებს მიუბრუნ-დებოდა და, მართლაც, საოცარი სანახავი იყო ის ჩაკირკიტება და ენთუზიაზმი, რომლითაც იგი თავის საყვარელ პროფესიას უდგე-ბოდა. ბუნებრივია, მისი ასეთი სამაგალითო და განუმეორებელი ზესწრაფვითი და ამაღლებული მონდომება ჩვენს აურაზეც დადებით როლს ასრულებდა... არ იფიქროთ, „სახალისო“ ზედმეტია, მე ის მიზანმიმართულად ვთქვი! ცხადია, პროფესიონალის თვალით, მსჯე-ლობისას რამდენიმე „კურიოზულ“ შეცდომასაც ვუშვებდით და ეს ფრიად დამახასიათებელიც კია სამუშაო პროცესისათვის, რასაც მე „მეცნიერულ-ახალბედურ წაბორძიკებას“ ვეძახი, თუმცა აშკარაა, რომ სჯობდა ეს შეცდომები ისევ ბატონი ტარიელის ლექციებზე დაგვეშვა, ჩვენს შინაურულ გარემოში, ვიდრე – გარეთ, სადაც კონკურენციის მაღალი დონე, „ათასი ბოროტი თვალი“ და „ორი ათასი ჩასაფრე-ბული ყურია!“ ... ამგვარი მეთოდით ბატონი ტარიელი პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსაც გვივითარებდა. გარკვეული ხნის შემდეგ გვკითხავდა: „აბა, დაასრულეთ, თუ ცოტა ხანი კიდევ გჭირდებათო?“ თუ ვეტყო-დით, „ჯერ ვერა, ბატონი ტარიელ“, დროს დაგვიმატებდა და თან გაიღიმებდა. ლექციების დასასრულს ჩვენი კვლევის შედეგებს ხმა-მაღლა განვიხილავდით; და როდესაც იგი მოგვახსენებდა მართებულ პასუხს წინამდებარე ენათმეცნიერულ ამოცანაზე, უხერხულობის ოდნავი განცდა გვიპყრობდა, წამით დრო ჩერდებოდა, ყველაფერი გვავინწყდებოდა და მონუსტულები ვუყურებდით ამ ლეგენდა კაცს, თან ისიც გვიხაროდა, ჩვენი ლექტორი და მამა-დამრიგებელი რომ ბრძანდებოდა!.. დაუვინარი და საინტერესო ლექციების მომსწრენი გაგხვადა: ისეთ შთაბეჭდილებას გვიტოვებდა, თითქოს ჩვენგანაც ბევრს სწავლობდა და, ამავე დროს, მეცნიერების უმაღლეს მწვერვა-ლებსაც სწვდებოდა. ის მაღლა იდგა, – ძალიან მაღლა და ამ მაღალ ადგილს „მეცნიერების მაღალი ტრიბუნა“ ჰქვია, რომელზე ასვლასაც მხოლოდ ლირსეულები ახერხებენ, რადგანაც იქამდე მიღწევა და, მეტიც, იქ მედგრად დგომა, უდაოდ გმირობის ტოლფასი!!! მაგრამ, მიუხედავად ამ ყოველივესი, რაც აქ შევნიშნეთ, ბატონი ტარიელი შესაშური თავმდაბლობით გამოირჩეოდა და გაგაკვირვებდა კიდეც კაცს – ამხელა დონის მეცნიერი ასე „ჩუმად“ რატომაა, თუმცა, აქ საკითხავიც ისაა სწორედ, ვინ რას განჭვრეტს „სიჩუმე“-ში. იქნებ, სწორედ რუსთველის აფორიზმში – „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“-ო, გახლავთ დაუნჯებული იმ საი-

დუმლოს ფარული გასაღები, თუ როგორ ტოვებენ დიდი ადამიანები ქვეყანაზე უკვდავ სახელს?.. დიდ რევაზ სირაძესაც დავესესხები: „დუმილი არაა სათქმელის უქონლობა, არამედ ეს არის დიდი სათქმელის ართება“. და ეს უკანასკნელი, წესით, არახალი ხილი უნდა იყოს; აკი, სოლომონ ბრძენმა სამარადეამოდ გვისახსოვრა ანდერძის მაგვარი და უპირობოდ შესასრულებელი ის სიტყვები, რომლებიც X საუკუნეში გრიგოლ ხანძთელის ავტორმა – გიორგი მერჩულემაც შეგვახსნა? „ბრძნად მეტყველება ვერცხლი არს, ხოლო დუმილი ოქროდ არს რჩეული“, მაგრამ, რატომდაც, დღეს ძალიან გაუფერულებულა „დუმილის“ და „ქადაგების“ // „საუბრის“ უცილობლად საცოდნარი დეფინიციები!... და თუ ტარიელის თვალებს კარგად დააკვირდებოდით, შეამჩრევდით, რომ მდუმარეც გესაუბრებოდათ!.. ახლა საკუთარ თავზე მეცინება, რომ მახსენდება, რამდენი სისულელე ვუთხარი ბატონ ტარიელ ფუტკარაძეს... ერთხელ გვეითხა, „სახლ – იდან“ ფორმაში „იდან“ ელემენტს რა გრამატიკულ ფუნქციას მიანიჭებდით? „რომ ვერაფერი მოვიფიქრე, ასე ვუპასუხე: „ბატონი ტარიელ, რა არის აქ საფიქრალი? იმ ფუნქციას მივანიჭებ, რასაც ჩემი თვალებით ფორმის ზედაპირზევე ვხედავ – ორი ხმოვნის და ორი თანხმოვნის, აქ ჩვენ „გრამატიკული წონასწორობის“ თეორიასთან გვაქვს საქმე – მეთქი!..“

მაგისტრატურაში სწავლა გვიან საღამოობით გვეწყებოდა. ლექციები ირ საათს მაინც გასტანდა ხოლმე. დამეტრანსპორტი ძალიან ცუდად მუშაობდა. ბატონი ტარიელი ყოველთვის გვთავაზობდა: „მანქანით ვარ, ვისაც გინდათ, წამომყევით, 3-4 კაცს ჩაგატევთო“. მის ადგილას ძალიან ბევრი ლექტორი ასე არ მოიცეოდა და განვალებული და დალლილი სტუდენტების მდგომარეობას „აინუნშიც არ ჩააგდებდა“, ჩვენი ტარიელი კი, სრული გულწრფელობით აკეთებდა ამას და, რაც მთავარია, დიდი სიხარულით დაგვიმგზავრებდა! ცხადია, გზაშიც საინტერესო საუბრები იშლებოდა. ასეთ დეტალებში ჩანს, არათუ დამოკიდებულება, არამედ – თვით ადამიანი! ლურჯი „მერსედესი“ ჰყავდა, სამარკო ნომრით (TP – 777 – TP), რომლის „უკანა სიდენიასაც“ გამუდმებით ამშვენებდა მეცნიერული გემოვნებით შერჩეული, საგულდაგულოდ დაუთოვებული და საკიდზე ფრთხილად დაკიდებული „კოსტიუმი“ და ყვითელი „სომბრერო“. სანამ უნივერსიტეტში შემოვიდოდი, პირველი ამ მანქანას ვხედავდი („ქართული უნივერსიტეტის“ თაღის სიახლოვეს აჩერებდა) და გული უმალ

სიხარულით მევსებოდა, ე.ი. იმ დღეს ტარიელ ფუტკარაძეს ვნახავდი! მანქანაც კი იმაზე მეტყველებდა, რომ ამ მანქანის პატრონს, მეცნიერებასთან ერთად, თავისი სამშობლოც უზომოდ უყვარდა და თავისუფალ დროს, როცა კი გამოუჩნდებოდა ის, სულ ბუნებისაკენ – ქართული ცის თაღქვეშ და „ცვრიან ბალაზე“ მიუწევდა გული.

მახსოვს, ჩვენი ძვირფასი ტარიელი სამაგისტრო ნაშრომების დაცვის დღეს სიხარულისაგან მეცხრე ცას ეწვია; ახლაც თვალწინ მიდგას ბედნიერებისაგან განათებული მისი სახე, მისი მოციმური და „მოკაშკაშ-მოელვარე“ ცისფერ-ლურჯი თვალები... ბედნიერებას ჰგვრიდა საკუთარი თვალებით იმის დანახვა, თუ როგორი შემდგარი მეცნიერებივით ვაცნობდით ტრიბუნიდან სამეცნიერო კომისიასა და დამსწრე საზოგადოებას ჩვენ მიერ ჩატარებული ლინგვისტური კვლევის შედეგებს. სხდომის დასასრულს მოგვმართა: „დღევანდელი დღით უნდა იამაყოთ, ეს დღე ერთ-ერთი განსაკუთრებული დღე გახდება თქვენს ცხოვრებაში, რომელსაც წლების შემდეგ სიამაყით გადმოხედავთ და სიამოვნებით გაიხსენებთ. დიდი მომავალი გელოდებათ, თქვენი იმედი მაქვს და წარმატებებს გისურვებთო!..“

ჩვენო ძვირფასო და მარადსახსოვარო მასწავლებელო: გპირდებით, რომ იმედებს აუცილებლდ გაგიმართლებთ!!! ...

მშვიდად განისვენეთ, ჩვენო უფროსო მეგობარო!..

მე ტარიელ ფუტკარაძისაგან ისეთი და იმდენი რამ ვისწავლე, რასაც ახლა ენით ვერ გადმოცემ, რადგან ყველა სიტყვა უძლურია ამ აზრის გადმოსაცემად, ეს უნდა შეიგრძნო, ამან სული უნდა განგინმინდოს, გული გაგითბოს და ცხოვრების ნათელი გზა გიჩვენოს!..

დღეს კი, ნაძალადევ ლიმილთან ერთად გული საშინლად მწყდება, მწყდება, რადგან ეს ამბები მოულოდნელად ისტორიული წარსულის საკუთრებად გადამექცნენ, იმ წარსულისა, მუდამ თანსატარებელ უბის წიგნაცს რომ ჰგავს, გულის ჯიბემი მტვრისაგან სახელდახელოდ გაწმენდილი რომ უნდა გედოს!

ამ და კიდევ ბევრი უთქმელი ამბის შემდეგ, აბა, როგორ წამიყვანდა ტაო-კლარჯეთში? ან მე რატომ მიკვირდა, რომ არ მივყავდი?..

ბატონი ტარიელი ყოველი ექპედიციის დასრულებისას, თავის

ფეისბუქვერდზე სამხრეთ საქართველოში დაუცინყარი მოგზაურობის ამსახველ ძალზედ საინტერესო ფოტო-კოლაჟს აქვეყნებდა. როდესაც პირველად ვნახე „არტანუჯის“ ციხეზე ისტორიული გზის მეშვეობით ასვლის კადრები, შიშისაგან გულმა რეჩი მიყოდა იმავ წამს ჩემი „წყენა“ მადლიერების გრძნობამ ჩაანაცვლა, რადგანაც, როგორც იქნა, ჩემივე დასმულ კითხვას მევე გავეცი პასუხი:

- და, მაინც, რატომ არ წამიყვანა?
- მან მე მოსალოდნელ ხიფათს გადამარჩინა!

დასასრულს, კიდევ ერთი ამბავი მინდა მოგიყვეთ დაუცინყარი ბატონი ტარიელის შესახებ. სალექციო კურსით გათვალისწინებული ახალი მასალის ახსნის დროს იგი მთელს ჯგუფს ამგვარ კითხვას გვისვამდა:

„შენი ჭკუით“?

ყველას აზრს მოისმენდა, ბოლოს თვითონ გვეტყოდა. და, აქ, დანანებით მინდა აღვნიშნო, რომ მის ვერცერთ კითხვას სწორი პასუხი ვერ გავეცი... მისი საგამოცდო ბილეთები იმითაც იყო გამორჩეული, რომ იქ ბოლო (მესამე) საკითხად ყოველთვის შეხვდებოდით ასეთ საკითხს – „სტუდენტის თვალსაზრისი (გაამყარეთ მოსაზრება თქვენული არგუმენტებით)“. სულ გვიმეორებდა, რომ „არგუმენტაციის გარეშე წამოყენებულ ჰიპოთეზას მეცნიერული საფუძველი არ გააჩნდა“, ხოლო თავად გახლდათ ამ ჭეშმარიტი იდეის ჭეშმარიტად დამადასტურებელი ცოცხალი მაგალითი. ჩვენი ტარიელი ანალიტიკურ აზროვნებას გვასწავლიდა, გვზრდიდა მომავალ მეცნიერებად, რაც, ვფიქრობ, ლექტორის უპირველესი მოვალეობაა!

ტარიელ ფუტკარაძე არ ჰგავდა სხვა ლექტორებს!!!  
ახლა კი, მე გვითხავ, შენ, ჩემო მკითხველო:

**როგორი ადამიანია ტარიელ ფუტკარაძე,  
შენი ჭკუით?..**

ტარიელ ფუტკარაძე ის გამორჩეული პიროვნება გახლდათ, ვინც დაუნდობელ სიკვდილს თვალებში ჩახედა და უშიშრად განუცხადა: წამიყვანე? და, მაინც, ვერ წამიყვანე!!!

## თეა თათენაშვილი

\*\*\*

პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, უპირველესად, იყო ქართველი კაცის ეტალონი, იყო უაღრესად დიდი პატრიოტი, მებრძოლი სულის ადამიანი, ქართველოლოგის დიდი გულშემატკივარი. ვერ წარმოვიდგენდი, რომ მას ვირუსი მოერეოდა. ძალიან მიჭირს მასზე მოგონებით საუბარი.

დოქტორანტურის პირველი კურსი... ყოველ შაბათს შემართებით მივრბოდით ბატონი ტარიელის ლექციებზე. მისგან ვგრძნობდით დიდ სიყვარულს, მოწინებას. არ დამავიწყდება ბოლო ლექცია, როდესაც დიდი სიყვარულით დავემშვიდობეთ. „რა ხდება აქ? არაფერი, აქ გულია და სიყვარული“. ჩემი ყველა თანაკურსელი მიხვდება და გაიხსენებს იმ დღეს და ბატონი ტარიელის ამ სიტყვებს. ამით არ დამთავრებულა ჩვენი ურთიერთობები. სადაც უნდა შევხვედროდით, განსაკუთრებული ყურადღებით გვათამამებდა. არ მეგონა, თუ ასე გამიტირდებოდა დღეს ამ მოგონების დაწერა. საოცარია, თავისი სტუდენტებისგან ამდენი ტკბილი მოგონება, სიყვარულით სავსე სიტყვები... მის ფეისბუქვერდზე მადლიერი სტუდენტების ცრემლიანი სტატუსები...

მადლობა, ბატონო ტარიელ, ამ ლამაზი მოგონებებისათვის. მეამაყება, რომ გიცნობდით, მეამაყება, რომ ვიყავი თქვენი სტუდენტი.



## თაკო თეთვაძე

### შპანასპელი შეხვედრა

გვიანი შუადღე... სანგუ სტუდენტებისაგან თითქმის დაცლილი იყო, ირგვლივ მყუდროება სუფევდა, ქართველოლოგის ცენტრში, როგორც ყოველთვის, ბატონი ტარიელი და სოფო დამხვდნენ, ბატონი ტარიელი – ჩვეული ენერგითა და უკეთილშობილესი ღიმილით, დიდი ხანია არ მინახავს... იგი მეკითხება ჩემს სამომავლო გეგმებზე და, შიგადაშიგ, რჩევებსაც არ იზარებს. რას ვიფიქრებდი იმ დღეს, თუ ეს იქნებოდა ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა და საუბარი?! დღეს კი, როდესაც იმ დღეს ვიხსენებ, ჩემთვის იგი სიმბოლურ დატვირთვას იძენს. ეს ლიტონი სიტყვები არაა, სწორედ ამ შეხვედრამ განაპირობა ის, რომ კალამი ამელო და ამ მოგონების დაწერა „გამებედა“, ახლა, როდესაც ვწერ, სიუჟეტური თანმიმდევრობით თვალწინ მიღება ის დღე, მისი სახე, მოძრაობა-გამომეტყველება...

ბატონი ტარიელი კომპიუტერთან მუშაობდა და პარალელურად მე მესაუბრებოდა, ბუნებრივია, მის მოპირდაპირედ მჯდომი ვერ ვხედავდი რას აკეთებდა. უეცრად თავისთან მიხმო, მონიტორს რომ შევხედე, ძველი ფოტოები დავინახე, რომელზეც ახალგაზრდა და თმახუჭუჭა ბატონი ტარიელი უმაღ ამოვიცანი. სწორედ ეს ფოტოები გახდა საუბრის თემის შეცვლის მიზეზი. იგი საუბრობდა წარსულსა და თავის ახალგაზრდობაზე, იხსენებდა სტუდენტობის წლებს. საუბრის დროს ისეთი განცდა მეუფლებოდა, თითქოს იგი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ფოტოებსა და ჩვენს მიღმა, იმ დროში იყო გადასული და, რაზეც საუბრობდა, ყველაფერს ხელახლა გრძნობდა და განიცდიდა. საუბარი წარსულზე, რომლის ინსპირაციაც ეს ფოტოები გამხდარიყვნენ, საკმაოდ დიდი ხანი გაგრძელდა. მან რამდენჯერმე სიამაყით გაიმეორა: „ასაკის მატება, გარემო და სხვა ფაქტორები, ხშირად, დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების წესზე, ღირებულებებიც მქონდა ახალგაზრდობაში, რა მიზნებსაც ვემსახურებოდი, დრომ და გარემოებაში ვერ შეცვალა. დღესაც ისევე ვფიქრობ – როგორც მაშინ, რისიც მჯეროდა და მნამდა – იგივე მნამს და მჯერა“. ამ სიტყვებს რომ ვისმენდი და ვუყურებდი მის გამომეტყველებას,

ვრწმუნდებოდი, რომ ნამდვილად გულწრფელად საუბრობდა. შინაგანად მართლაც იგივე ადამიანი იყო, რომელსაც რამდენიმე წუთის წინ ფოტოზე ვუყურებდით. დროს მხოლოდ ვიზუალურად შეეცვალა იგი: შავი და ხუჭუჭა თმის ნაცვლად ახლა თეთრი ჰქონდა თმა და იჯდა შუახნის კაცი – ამაყი თავისი გავლილი გზით, წინ კიდევ ახალი გეგმებითა და მიზნებით, მაგრამ...

მშვიდობით!

ჩვენო ბატონო ტარიელ, მშვიდობით!

როგორი ძნელია ამ სიტყვების თქმა, მაგრამ...



## მარიამ იაკობაშვილი

### გამიღება... გავუღიავა...

საკუთარ თავზე თუ არ გამოგვიცდია, სხვისი მონაცოლით მაინც გვეცოდინება, როგორი შიშის განცდაა, შეხვიდე ზღვაში, როცა ცურვა არ იცი. ერთია შიში, რომელსაც განიცდი და მეორე ის დაბნეულობა, რასაც ეს შიში იწვევს. მეც ზუსტად ამ განცდებით შევაღება პირველად უნივერსიტეტის კარი და პირველიც ის დავინახე. იმ წუთიდან მეზღვაური მაშველივით, მფარველ ანგელოზად მომევლინა (პარადოქსია, ვწერ და ამ წერაში მახსენდება, როგორ უყვარდა ზღვა. ჩემს თავს ვეკითხები: რატომ დავიწყენ წერა ზღვაში შესული ადამიანის მაგალითით? ... პასუხი არ მაქვს.)

ამოუხსენლი ადამიანი იყო, საოცრებების ზღვას ქმნიდა. არა-სოდეს არავისოფის მითქვამს და ახლა ვიტყვი, რომ ეს ადამიანი იქცა თავის დროზე ჩემს ყველაზე დიდ მოტივაციად. საკონცერტო დარბაზში მჯდომი მაყურებელივით ვადევნებდი თვალს მის ცხოვრებას და ვერასოდეს ვპოულობდი პასუხს კითხვაზე: როდის ასწრებდა დასვენებას?! ან, თუ ისვენებდა საერთოდ?! საბოლოოდ ისეთ აღტაცებას იწვევდა ეს ყველაფერი ჩემში, რომ შაბლონად, მაგალითივით დავიდე მისი ცხოვრების სტილი წინ და მეც მთლიანად ამ სტილში დავგეგმე ჩემი ცხოვრება. პირველად მეგობარმა რომ მითხრა: გაოცებული ვარ, ამდენ რამეს ერთად როგორ ასწრებო? მაშინ ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვიყავი, მივხვდი, სწორ გზაზე ვიდექი ჩემი ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

გამოგიტყდებით და არავის მიმართ არ მქონია ისეთი რიდის განცდა, როგორიც მასთან, თვალებს ძლივს ვუსწორებდი ხოლმე, ისიც იმიტომ, რომ გარდა ლექტორისა, ძალიან კარგი მეგობარი იყო და თვითონ არ მოგცემდა უფლებას თავდახრილი მდგარიყავი მის წინ. მას შეეძლო ყველა ადამიანზე ახლოს მოსულიყო შენს სულთან, შენს პრობლემებთან, ბედნიერებასთან, განცდებთან, შემდეგ დაემშვიდებინე, იმედებით აევსე, მოტივაცია დაებრუნებინა, ან გაეძლიერებინა, რწმენა ჩაესახა შენთვის. ცრემლი მომდის და მეღიმება, როცა ამას ვწერ, მაგრამ მხოლოდ მას შეეძლო ისეთი რწმენით ავევსე, რომ შეუძლებელს შევჭიდებოდი და შემდეგში რეალობად მექცია ეს ყოველივე ჩემს ცხოვრებაში. ყველა შეხვედრისას, მისალმების შედეგ მთავარი და უცვლელი

კითხვა უნდა დაესვა, რომელიც მე ყველაზე მეტად მიყვარდა: „რა ხდება შენს სამყაროში?“

რამდენიმე მნიშვნელოვან წარმატებას მისი თანადგომით მივაღწიე. მოსვენებას არ მოგცემდა, თუ გაიგებდა, რამე კონფერენცია იგეგმებოდა და შენ მონაწილეობას არ იღებდი. დაგიჯდებოდა და ცოტა ნაწყენი ტონით გამოგვითხავდა მიზეზებს, შემდეგ დაგიწყებდა ახსნას, რამდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა შენთვის ეს ყოველივე სამომავლოდ და ბოლოს მაინც დაგითანხმებდა მონაწილეობაზე. 3 წელი ისე გავიდა, რომ ყველაზე მეტად მისი იმედი მქონდა, ვიცოდი, ყველა პრობლემის მოგვარებაში დამეხმარებოდა. მეოთხე წელს, არ გაგიკვირდებათ და, მე ის ავირჩიე ჩემი საბაკალავრო ნამრომის ხელმძღვანელად. ორივემ ბევრი ვიშრომეთ და წლის ბოლოს ისეთი შედეგი მივიღეთ, როგორიც გვინდოდა. მაშინ ზუსტად ასე ვამბობდი ჩემზე და მასზე და ახლაც იგივეს გავიმეორებ: „მიხაროდა და უხაროდა“.

ის იყო ადამიანი, ვინც ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანის და დაუვინწყარის ნახვის შესაძლებლობა მომანიჭა. 2019 წელს მან დაგეგმა ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში, რომლის მთავარი ხელმძღვანელიც თვითონ იყო და მე მერგო პატივი ვყოფილიყავი ამ ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი. 3 წელი გავიდა მას შემდეგ და ახლაც არ შემიძლია გადმოვცე სიტყვებით ის დაუვინწყარი დღები და შთაბეჭდილებები, რომელიც ამ ექსპედიციის და ჩემი ცხოვრების ათ საუკეთესო დღეს უკავშირდება. მან შეძლო და ისეთი თვალით დამანახა ყველაფერი, რომ სულ ვამბობ, მთელი ცხოვრების მანძილზე, ყოველწლიურადაც რომ შემძლებოდა ტაო-კლარჯეთის მონახულება ასეთი განცდებით, ასეთი ფიქრებით, ვერასოდეს ვერ ვნახავდი, როგორც მაშინ – იმ 10 დღის მანძილზე შევძელი.

ბევრი მოგონება დამიგროვდა ბატონ ტარიელთან ურთიერთობის მანძილზე, ყველა მეძირფასება და ისე მესაკუთრება, რომ თავს ვერ ვაძლევ უფლებას, საჯაროდ მოვყვე ყველაფერი. სჯობს, ისევ სკივრში შევინახო, რომელშიც ერთად ვაგროვებდით ამ მოგონებებს.

2020 წელი, დეკემბერი.

სასაცილოდ არ მყოფნის მისი ცუდად ყოფნა. მეც მჯერა და ყველას ვეუბნები, რომ ტარიელი, რომელსაც მე ვიცნობ, აუცილებლად გამოჯანმრთელდება. მისი დამმარცხებელი არაფერი

არსებობს. გონიერაში ვაწყობ გეგმებს, საავადმყოფოდან რომ გა-  
მოწერენ, როგორი დახვედრა მოვუწყოთ.

2021 წელი, იანვარი.

ველარ გამიღმებს... ვერც ჩემს გაღიმებას დაინახავს...

ჩემი ძვირფასო მასწავლებელო, მეგობარო, თქვენი საქმის უბადლო მცოდნევ, ჩვენი ქვეყნის უდიდესო პატრიოტო და გულ-შემატკივარო, უდიდესი მადლობა, რომ არსებობდით ჩემს ცხოვრებაში. პირობას გაძლევთ, არ გადავუხვევ იმ გზას, რომელზეც ერთად მოვდიოდით ამ დრომდე.



## დუდი კვალიაშვილი

\*\*\*

ბატონი ტარიელი უნივერსიტეტში სწავლის დროს გავიცანი და იგი ჩემს უფროს მეგობრად იქცა. ტარიელისთვის ამოსავალი იყო სტუდენტებთან ჯანსაღი და გულწრფელი ურთიერთობები, რაც არაჩვეულებრივად გამოსდიოდა. ბავშვებთან მეგობრობისას მისთვის არასდროს ყოფილა საზომი უფროს-უმცროსობა, ის ჩვენი ტოლ-სწორი იყო და ამიტომაც შეგვაყვარა ასე გამორჩეულად თავი. „ჩემი შვილების ველში ხართ“-ო, გვეტყოდა. აი, ამ პასუხისმგებლობითა და დამოკიდებულებით გვიდგებოდა.

თანამედროვე პროფესორ-მასწავლებელთა რიგებში, ვისთანაც კი მისწავლია, ტარიელი ის იმვიათი გამონაკლისია, რომელსაც სტუდენტების საწინააღმდეგო შეხედულებები, არათუ უხერხულობას უქმნიდა ან აღიზიანებდა, პირიქით – გულწრფელ სიხარულს ჰევრიდა. ლექციებზე მსჯელობისას მუდმივად გვაქეზებდა, კარგად დავფიქრებულიყავით, სანამ რაიმე საკითხთან დაკავშირებით მის დასაბუთებულ და ფაქტებით გამყარებულ მეცნიერულ დასკვნას უპირობოდ გავიზიარებდით და მოუთმენლად ელოდა ჩვენს კონტრარგუმენტებს. ყველანაირ პირობას გვიქმნიდა სამისოდ, რომ ამ მიმართულებით თამამები და თავისუფლები ვყოფილიყოთ.

სტუდენტების იდეებისთვის მხრის აპმას ტარიელს ვერავინ ასწრებდა. დაწყებული უნივერსიტეტის გიტარის კლუბიდან, კინო-კლუბით დასრულებული და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი შემოქმედებითი ლონისძიება დაგვიგეგმავს ბავშვებს – ტარიელი მუდამ მამასავით გვმფარველობდა და თავს გვევლებოდა. სწორედ ტარიელი იყო სულის ჩამდგმელი ჩვენი საოცარი ექსკურსიებისა და ექსპედიციებისა, დღემდე განსაკუთრებული სიყვარულითა და შთაბეჭდილებებით რომ ვიხსენებთ.

ტარიელის პიროვნება ჩემთვის მუდამ დარჩება საზომად იმისა, თუ როგორია იყო საუკეთესო მეუღლე, სანიმუშო მამა, უღალატო მეგობარი, საკუთარ საქმეზე უკიდეგანოდ შეყვარებული, ჭეშმარიტი პროფესიონალი და, რაც მთავარია – ნამდვილი მამულიშვილი.

## მარიამ კვერდელიძე

\*\*\*

ბატონი ტარიელ, მიხარია, რომ გიცნობდით, მეტიც, ჩემი (ჩვენი) მასწავლებელი იყავით და პროფესიის საინტერესო და ახალგაზრდობის მეგობრული კარი თქვენთან ერთად შევაღეთ. თქვენი საგულისხმო დაკვირვებები ქართულ ენაზე ჩვენც გვათამამებდა და ენის ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობაზე, მის მარადიულ და ცვალებად ფენომენზე გვაფიქრებდა. ენა აღარ წარმოადგენდა ჩვენთვის მხოლოდ გრამატიკას, თავისი წესებითა და ჩარჩოებით, არა, ეს უკვე ენის ერთ მხარეს ექცეოდა, მეორე კი, ალბათ უფრო არსებით და არადვილად მისაწვდომად გვევლინებოდა – თავისუფალი ენა – უამრავი საკუთრივარქაული, თუ დიალექტური ვარიანტობრივი შენაკადით. და თქვენ გიყვარდათ ეს ენა, სამშობლო და გიყვარდით ჩვენ, თქვენი სტუდენტები – ახალი ქართველობა, რომელსაც თქვენი გზა უნდა გაეგრძელებინა...

დაუვინყარია ჩვენი ექსპედიციები, სადაც თქვენი თაოსნობითა და თქვენთან ერთად მოვიარეთ ჩვენი ქვეყნის კუთხე-კუნძულები, ვიმუშავეთ ველზე და სიყვარულით ვაკვირდებოდით ადგილობრივ მეტყველებასა თუ ადამიანებს, რომელთაც, თავის მხრივ, სითბოთი და გულისხმიერად მიგვიღეს. ასე გინდოდათ ჩვენი გაზრდა, ერთმანეთთან და სამშობლოსთან შეზრდა.

ყოველთვის მემახსოვრება ენერგიით სავსე თქვენი პიროვნება ჩვენი უნივერსიტეტის ნათელ დერეფანში სწრაფი ნაბიჯით, საქ-მიანად მოსიარულე, ხანაც გულითადად მობაასე. დაგვაკლდებით. თუმცა, იმედი მაქვს, თქვენი სული ახლა განისვენებს დამაშვრა-ლი აქაური ყოველდღიური ბრძოლით.

გმადლობთ, ბატონი ტარიელ!

## თამარ კირკიტაძე

ეძლვნება ბატონი ტარიელის უკვდავ სულს...

\*\*\*

ახლა ჩირუხში უხვი ნისლია,  
აღარ ნავარდობს ქარი ჩვეული,  
დაძრნის სიცოცხლეს დახარბებული,  
უკვდავი სული – გამორჩეული.

ჩირუხში ახლა საქართველოა,  
ყველა ერთისთვის მუშტად ქცეული,  
როგორც სამშობლოს სადარაჯოზე,  
ერთი ყველასთვის იყო სხეული...



## ნინო კირკვიტაძე

\*\*\*

ადამიანი რომ გარდაიცვლება, ალბათ, პირველ რიგში, გვახსენდება მისი გაცნობის დღე. კარგად მახსოვს ეს დღე. აუ-დიტორიაში შემოვიდა „ზედმეტად ცოცხალი“ ადამიანი, რომელ-საც ვიცოდი, ვერ დავემალებოდი. პირველივე ლექციაზე მივხვდი, რომ საქმე გვქონდა ენერგიულ, თავისი პროფესიის, საქმის მო-ყვარულ ადამიანთან. ბატონ ტარიელს უყვარდა საუბარი, სხვა-დასხვა საკითხზე ყველას აზრის გაგება, შეჯამება და, თითქოს, ამით რაღაც ახალს ქმნიდა კიდეც. განსაკუთრებით მომწონდა, ზმნებს რომ ვარჩევდით სერიებისა და მწკრივების მიხედვით და ვხედავდი, რომ მართლაც სიამოვნებდა მას ეს პროცესი. არასო-დეს მიგრძვნია მისგან დაზარება, უყურადლებობა. არაერთხელ უთქვამს ჩვენთვის: „თქვენ ხართ ჩემი შვილები“. თავიდან ეს უბრალოდ თბილ სიტყვებად მივიღე, თუმცა შემდეგ დავრწმუნდი მისი ნათქვამის გულწრფელობაში. როცა ჩავაბარე უნივერსიტეტ-ში, ერთი დიდი პრობლემა მქონდა და ამის შესახებ მანაც იცოდა. თვეები იყო გასული და ერთხელ ლექციაზე შესვლამდე დამინახა დერეფანში, მოვიდა ჩემთან, მკითხა როგორ ვიყავი, პრობლემაზე შემეკითხა. გამიკვირდა, ამდენი საქმის და სტუდენტების გადამკი-დეს რომ ახსოვდა რიგითი სტუდენტის დარდი. მაშინ გავიფიქრე, რომ მისი სიტყვები უბრალოდ სიტყვები არ იყო.

მასზე ცოცხალი სხივი არ მეგულებოდა უნივერსიტეტში... სულ გვეხმარებოდა სტუდენტებს და ჩვენს მხარეს იჭერდა, ამი-ტომ ყოველთვის დიდი იმედი იყო ჩვენთვის. მისი დახმარებით ვიყავი პირველად ექსკურსიაზე და ხევსურეთში გატარებულმა დღეებმა კარგად დამანახეს მისი ენერგიულობა. მახსოვს, აბუ-დელაურის ტბასთან ქანცგანყვეტილები მივედით, მაგრამ ბა-ტონ ტარიელს დაღლა საერთოდ არ ეტყობოდა. ვერ ვიჯერებდი, თმაში ჭალარაშერეული, შუახნის კაცი, ახალგაზრდებზე ბევრად ენერგიული რომ იყო. მას უყვარდა თავისი სამშობლო და ეს სი-ყვარული, ერთგულება საკუთარი საქმით, პროფესიით გამოხატა. მან უამრავ სტუდენტს უჩვენა გზა.

მასწავლებლები ჩვენს ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებენ და მათი დაფასება აუცილებელიც კია. მე არ ვიცი, რას მივაღწევ

ცხოვრებაში, შეიძლება ვერც ვერაფერს მივაღწიო, რადგან, გარ-და პრობლემებისა, ათასი ინტერესია. თუმცა, მცირედ დაფასებას, ალბათ, იმით გამოვხატავ, რომ ვეცდები იმაზე კარგი გავხდე, ვიდრე ამ წამს ვარ. მე ვამაყობ იმით, რომ მისი სტუდენტი მქვია. და, რაც არ უნდა ბანალურად ულერდეს, მჯერა, რომ ოდესმე ისევ შევხვდები ჩემს ლექტორს და ისევ ჩამიტარებს ლექციას.



## მარიამ კორკოტაძე

\*\*\*

მოგეხსენებათ, როგორ გარემოშიც მოგვიწია სწავლის დაწყება. თავიდან მეც და ჩემი ჯგუფელებიც ცოტა შეშფოთებულნი, აღელვებულნი და გაურკვევლობაში ვიყავით, მაგრამ პირველივე ლექციიდან ეს დიდი შფოთვა და ღელვა მოგვეხსნა თითოეულ ჩვენგანს.

ბატონი ტარიელი ისე შეგხვდა ყველას, გეგონებოდათ, წლების ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან. პირველივე დღიდან მესმოდა ფრაზა: „თუ რამე დაგჭირდეთ, დამირეკეთ, მომწერეთ, მე თქვენს გვერდით ვარ“. სულ გვიმეორებდა, რომ თბილისში ჩავიდოდით თუ არა, წაგვიყვანდა ექსკურსიაზე, ჩავატარებდით ლექციას გარეთ, საინტერესო გარემოში. ყოველთვის ცდილობდა ჩვენს გახალისებას, სტიმულს გვაძლევდა. ონლაინსწავლას ხალისს და აზრს მატებდა. ძალიან ცოტა დრო გვქონდა, სამწუხაროდ, რომ უკეთ გაგვეცნო ერთმანეთი, მაგრამ სიამოვნებით ვიხსენებ იმ ყოველივე წამს, რაც ერთად გავატარეთ.

ძალიან მენატრებით, ბატონი ტარიელ! მენატრება თქვენი საინტერესო ლექციები!

## თეონა ლომიძე

\*\*\*

რთულ სიტუაციაში მოგვიწია სწავლის დაწყება და ძალიან დაბნეულები, შეშინებულები და აღელვებულებიც ვიყავით. არ ვიცოდით, რა როგორ იქნებოდა, ვინ გაგვარკვევდა იმ ყოველივეში, რაც უნდა გაგვეკეთებინა, რა როგორ მოხდებოდა და ა.შ. თუმცა, იმ დღიდან, როდესაც ბატონი ტარიელის ლექციაზე შევედით, გავიცანით და გაგვესაუბრა, შიშის გრძხობა გაქრა, რადგან თბილად და მეგობრულად გვესაუბრებოდა. თავი ისე ვიგრძენით, თითქოს მთელი ცხოვრება ვიცნობდით. ყოველთვის გვეუბნებოდა, რომ რაშიც არ უნდა დაგჭირდეთ დახმარება, მომმართეთ, მე დამირეკეთ. უდიდეს სტიმულს გვაძლევდა სწავლისას. ბევრ საინტერესო ექსკურსიას გვპირდებოდა; გვეუბნებოდა, რომ, როდესაც ეს ეპიდემიოლოგიური სიტუაცია მოწესრიგდება და ჩვეულ ცხოვრებას დავუბრუნდებით, უამრავ საინტერესო ადგილს მოვინახულებთო. თუმცა...

ბატონი ტარიელი განსაკუთრებული და ყველასგან განსხვავებული ადამიანი იყო. ყოველთვის ვიამაყებ იმით, რომ მე მისი სტუდენტი მერქვა. ძალიან დიდი ადგილი დაიკავა მან ჩვენს გულებში და ასე იქნება მუდამ!

ძალიან გვიყვარხართ და მოგვენატრებით, ჩვენო უფროსო მეგობარო.

\*\*\*

ძალიან მძიმე და წარმოუდგენელია ჩემთვის ამ ტექსტზე მუშაობა. დიდი ხანი ვცდილობდი დავმჯდარიყავი, დამეწყო, მაგრამ რაღაც ძალა მაბრკოლებდა, ხელს მიშლიდა. ალბათ, არ მინდა რეალობას შევეგურ, ალბათ, არ მინდა ყველაფერს თავისი სახელი დავარქვა.

ის ძალა და ენერგია, რაც ბატონ ტარიელთან ურთიერთობაში გვისახსოვრა, არ დაკარგულა, კვლავ დიდხანს გაყვება თითოეული ჩვენგანის ცხოვრებას ლაიტმოტივად. ის იყო ადამიანი, რომელსაც ძალიან უყვარდა თავისი საქმე, სამშობლო და ვუყვარდით ჩვენ – სტუდენტები; ამას მუდმივად ვგრძნობდით საქმიდან, სიტყვიდან გამომდინარე; იყო ყოველთვის ჩვენთან და ჩვენი აზრის სადარაჯოზე. მსგავსი დამოკიდებულება ძალიან იშვიათი და, ამავდროულად, მნიშვნელოვანია ადამიანის განვითარებისთვის, პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის. ის გვარწმუნებდა, რომ ვიყავით საუკეთესოები, რომ სწორედ ჩვენ შევცვლიდით ბევრ რამეს უკეთესობისკენ.

სულ გვეუბნებოდა, რომ ყოველ წელს უფრო და უფრო კარგ თაობასთან ჰქონდა შეხება. ლექტორის ასეთი დამოკიდებულება ძალიან ბევრს ნიშნავს 20, 21 წლის ახალგაზრდისთვის.

ცალკე გასახსენებელია ჩვენი ექსპედიციები. თავდაუზოგავად იძრძოდა, რომ მაქსიმალური მიგველო საუნივერსიტეტო სივრცეში; მიგველო ის მთავარი, რაც სიცოცხლის ბოლომდე საგზლად გაგვყვებოდა. ასეც მოხდა. წლები გავიდა, ზოგმა პროფესია შევიცვალეთ, ზოგმაც სამშობლო დროებით დავტოვეთ, მაგრამ მის მიერ ნაჩუქარი და დანახული ჩვენი წილი საქართველო ყველას გულით დაგვაქვს. ეს ფასდაუდებელი და ძვირფასი განძია, რისი კეთებაც ათასიდან ერთ მასწავლებელს თუ შეუძლია. სწორედ ასეთი იყო ჩვენი ბატონი ტარიელი, მას შეეძლო განსაკუთრებული როლი ეთამაშა ახალგაზრდების ცხოვრებაში, მას შეეძლო და შეძლო კიდეც ჩვენი სტუდენტური წლების გაფერადება.

მადლობა, არაჩვეულებრივი ოთხი წლისთვის, ბატონი ტარიელ, მადლობა, რომ გვქონდა თქვენთან ურთიერთობის ბედნიერება, მადლობა ჩემი წილი საქართველოსთვის, რომელიც თქვენი დამსახურებით სულ სხვანაირად აღმოვაჩინე და დავინახე, მარადიული იყოს ხსენება თქვენი, გვიყვარხართ!

### მოტივაციის უპრეტი ცეკვა

2016 წელი, ქართული უნივერსიტეტი, პირველი კურსი: ბევრი, ძალიან ბევრი და შემოდგომასავით ნაირფერი ემოციის განცდა სექტემბრის თვეში დაიწყო... ის დღეც დადგა, როდესაც ერთ-ერთი საგნის ლექცია უნდა წაეკითხა ბატონ ტარიელ ფუტკარაძეს. ყველა გაჩუმებული ისმენდა ფონეტიკის ლექციას, პირადად მე ვაკვირდებოდი თითოეულ ბერას, ბერის წარმოთქმის ადგილს... მაშინ ბატონმა ტარიელმა აშკარად შეამჩნია, რომ თვალს არ ვაშორებდი და დიდი დაკვირვებით ვუსმენდი, მერე მოტრიალდა და იკითხა: ენათმეცნიერების მიმართულებით სწავლის გაგრძელებას ვინ აპირებსო? მე, ენათმეცნიერებაზე შეყვარებულმა სტუდენტმა, მაშინვე აღვინიშნე, რომ მინდოდა ამ მიმართულებით სწავლის გაგრძელება; შემდეგ დამიპარა ქართველოლოგის ცენტრში, სადაც ვისაუბრეთ ენათმეცნიერებაზე და, ზოგადად, ჩემს არჩევანზე ... (მაშინ გავიცანი, როგორც ლექტორი, რომელსაც ძალიან უყვარდა თავისი მშობლიური ენა). შემდეგ იყო მორთოლოგის (ზმნა) ლექციები, რომელმაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია, ისე საინტერესოდ ხსნიდა თითოეულ ლექციას, იმდენ მაგალითს მოიყვანდა და ისეთ ანალიზს გააკეთებდა, ფაქტობრივად, უკვე ნასწავლიც გქონდა სამომავლო სემინარისთვის. ბატონი ტარიელი ყოველ ლექციაზე ამომწურავად ითხოვდა პასუხს თავისივე დასმულ შეკითხვაზე. ის ყოველთვის ამბობდა: „გაეცანით სხვადასხვა მეცნიერის აზრს, გაიაზრეთ, დაფიქრდით და შემდეგ თქვენი აზრი გამოთქვით, რატომ ფიქრობთ ასე?“ ყოველთვის ცდილობდა, მაქსიმალურად გადმოეცა ცოდნა, სტუდენტებს მეტი გაეგოთ კონკრეტულ საკითხზე და ბუნდოვანი არ ყოფილიყო...

ბატონი ტარიელი უდიდესი ენერგიის მქონე პიროვნება გახლდათ. მახსოვს, ხევსურეთში, ექსკურსიაზე სტუდენტები სიარულისგან უკვე დაღლილები მივუყვებოდით გზას, ბატონი ტარიელი კი ძალიან სწრაფად და დაუღალავად გადადიოდა სხვადასხვა ამაღლებულ ადგილზე, ზოგჯერ გორაზეც და ჩამოგვაძახოდა – „არ დაიშალოთ, დროულად, ფეხს აუჩქარეთო...“ იმ მზიან დღეს მივდიოდით გზაზე, რომელსაც აბუდელაურის ფერად ტბებამდე მივყავდით, გზაში ბევრი ფოტოც გადავიდეთ და როცაც უკვე

ავედით ტბებთან – თვალისმომჭრელ თეთრ, მკაცრ და დახვეწილ ბუნებაში, შევისვენეთ და იქ მისვლა, ბუნებრივია, აღვნიშნეთ...

მთელი ჩემი სტუდენტობის მანძილზე ბატონი ტარიელისგან დიდ მოტივაციას ვიღებდი, ამასთან, საქმის სიყვარულს, ერთგულებასა და თავდაუზოგავ შრომას ვსწავლობდი. მან ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე, როგორც თავისი საქმის პროფესიონალმა (და არამარტო), ფაქტობრივად, ჩემს გულში ის ნაპერნკალი გააღვივა, რომელიც ენათმეცნიერების სიყვარულს სჭირდება. ასეა, იყო უდიდესი მოტივატორი, ხშირად მეტყოდა კონკრეტულ საკითხზე ისეთ სიტყვებს, ნინადადებებს, რომელთა მოსმენის შემდეგ დაბრკოლება, ან დაღლა თუ არსებობდა – მავიწყდებოდა ... ასე მოხდა მაშინაც – 2018 წლის აპრილში, როდესაც ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა საუნივერსიტეტთაშორისო კონფერენცია ქართულ ენაში. ქუთაისში წასვლამდე გადმომცა დასამუშავებელი თემა, მირჩია წიგნები და მეც დიდი სიამოვნებით დავიწყე წერა... სანამ, დილის 10 საათზე (თუ სწორად მახსოვს), დაიწყებოდა კონფერენცია, საკონფერენციო დარბაზთან მიმაცილა, დამარიგა და შესვლამდე მითხრა – „ჩემი დასწრება აქ არ შეიძლება, სხვაგან ვარ შემფასებელი, აბა, შენ იცი, წარმატებები!“ და, მეც, ძალიან მშვიდად შევაღება დარბაზის კარი... გამოსულს მითხრა: გავიგე კარგად წარგიდგენია თემა და ამის მოსმენას ისედაც ვაპირებდი მათგანო. ბუნებრივია, ძალიან გამახარა მისმა სიტყვებმა და მაღლობაც გადავუხადე.

ყოველთვის გვერდით რომ ედგა თავის სტუდენტებსა თუ დოქტორანტებს, ეს უჩემოდაც გეცოლინებათ, ძალიან ყურადღებიანი იყო სტუდენტების მიმართ. ასე იყო ნამდვილად!.. როდესაც ხედავდა მონძომებულ სტუდენტს, ხელს მაგრად ჩასჭიდებდა და გზას უკვალავდა თავისი სწორი დარიგებებით. ბატონი ტარიელი რომ მოტივაციის უშრეტი წყარო იყო, მის თითოეულ ლექციაზე და, ზოგადად, საუბრებში შევამჩნიე... ეს კიდევ მეტად ვირწმუნე საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში 2019 წლის 14 აპრილს, როდესაც გაიმართა დისკუსია თემაზე: „საქართველოს სახელმწიფო ენა: თანამედროვეობა და გამოწვევები“.

ზოგადად, ძალიან მიჭირს მასზე საუბარი – არსებულ რეალობას თვალს ვერ ვუსწორებ(!), რადგან არ მინდა იმის დაჯერება,

რაც მოხდა... მისი სახით მისმა ოჯახმა, თითოეულმა კოლეგამ, მეგობარმა, სტუდენტმა და, რა თქმა უნდა, საქართველომ დაკარგა მზრუნველი ადამიანი, რომელიც პიროვნულ ღირებულებებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა....

მასზე ბევრის წერა შემიძლია, მაგრამ აქ ძირითად სათქმელს გადმოვიტან. მინდა აღვნიშნო, თუ როგორი იუმორის გრძნობა ჰქონდა. ერთი შეხედვით მკაცრი ჩანდა, მაგრამ როცა დავუახლოვდი, სულ სხვა კუთხით დავინახე. მახსოვს, ერთხელ ხუმრობით მითხრა: „ენათმეცნიერებას მარტო იმიტომ უნდა გაყვე, რომ ენათმეცნიერები დიდი ხანი ცოცხლობენ, აბა, გაიხსენე არნოლდ ჩიქობავას ან აკაკი შანიძის ასაკი?!“ უყვარდა იუმორის გრძნობის მქონე ადამიანები, კარგადაც ესმოდა მათი. ყოველთვის, როცა მისი ეს სიტყვები მახსენდება, ურუანტელი მივლის. რას წარმოვიდგენდი ენათმეცნიერების ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული მეცნიერის სიცოცხლე მხოლოდ 60 წლით რომ შემოიფარგლებოდა და მეტით – არა?! ძნელი და დაუჯერებელია, მნარე და რეალური...

ნამდვილად მქონდა ბედნიერება იმისა, რომ იგი ყოფილიყო ჩემი ლექტორი, შემდეგ – სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელი!

ბატონი ტარიელი – ადამიანი, რომელიც ყოველთვის მემახსოვრება და, რომელსაც არასოდეს დავივინებ(!), იყო საქართველოსა და ქართული ენის ერთგული, ერუდირებული პიროვნება, ნამდვილად დიდი ნიჭის პატრონი, უდიდესი ენერგიის მქონე, დიდი ენთმეცნიერი(!), რომლის შემოქმედება უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ენათმეცნიერებაში; მისი შემოქმედება დაყრდნობილია მკაცრად გაანალიზებული მასალის საფუძველზე, რომელიც გაჯერებულია რეალური ფაქტებითა და ლოგიკური მოსაზრებებით.

ბატონი ტარიელ ფუტკარაძე მოტივაციის უშრეტი წყაროა, რომლის დინებაც, ვფიქრობ, არ შეწყდება...

## მოგონები ტარიელ ფუტკარაძეები

ტარიელ ფუტკარაძე და ისტორია... როგორ იგივდება ეს სიტყვები ერთმანეთთან. მან ხომ თავისი ეპოქალური ისტორია შექმნა, სადაც მთავარი გმირი თავად იყო. მე მანც მგონია, რომ მას ყველაზე მეტად სამშობლო უყვარდა. მისი მზე წვავდა. საქართველოს კუთხეებში გაბნეულ მზის სხივებს კონებად აგროვებდა და მიღებულ სითბოსა და ენერგიას უშურველად აფრქვევდა... ასე იყო ტაო-კლარჯეთშიც, სადაც სტუდენტური ექსპედიციის მონაწილე მეც ვიყავი. განსაკუთრებულად მაშინ ვიგრძენი მისი დამოკიდებულება ქვეყნის ჩაკორული წარსული დიდებისა და მოქართულე ქართველების მიმართ. აქ გაგონილი „რავაი ხარ?“, „რა იჯები?“ მისთვის „ბევრი“ იყო. იმდენად ბევრი, რომ ამ ბევრის მონაწილე შენც უნდა ყოფილყავი, შენც უნდა გეგრძნო და განგეცადა. საპირისპირო – „ცოტა“ მისთვის არ არსებობდა. ანდა, ცოტას როგორ დაიტევდა?!

ტარიელ ფუტკარაძე იმითაც იყო გამორჩეული ადამიანი, რომ ადამიანებთან ადამიანური ურთიერთობა შეეძლო. ერთდროულად იყო: ლმობიერი მამა და მკაცრი ხელმძღვანელი; მომთხოვნი მასწავლებელი და დიდი მეგობარი; დამრიგებელი და გზის გამკვალავი. სტუდენტებთან ურთიერთობის თავისი ხელნერა ჰქონდა. რა თქმა უნდა, მისეული...

პირველად მაშინ გავიცანი, როდესაც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე ჩავაბარე. ლექციაზე ჩვეული ქარიზმით შემოვიდა. სალექციო კურსის ჩატარების მანერით ცოტა დავიბრნი... მისი საყვარელი ტაქტი იყო – კითხვების დასმით მიეყვანე ლოგიკურ პასუხამდე. თან, პასუხი – „არ ვიცი“ არ არსებობდა! ჰოდა, როგორ გიხდოდა ბატონი ტარიელის კითხვებისათვის გაგეძლო?! თანდათან მივეჩვიე და გავითავისე ასეთი სტილი.

სამაგიეროდ, ვერაფრით გადავეჩვიე მის ხორციელად არარსებობას ამქვეყნად. ანდა, როგორ გადაეჩვევი კაცი?! როცა წარუშლელი კვალი დატოვა პიროვნული და პროფესიული ცხოვრებით... და მე, როგორც ერთ-ერთი ნამონაფარი, მის მიერ დატოვებულ ნაკვალევს მივუყვები და მჯერა, ეს გზა ჭეშმარიტებამდე აუცილებლად მიმიყვანს.

## ჩემი ტარიელ ფუტკარაძე...

„ბატონო ტარიელ, წარმატებას თუ მივაღწიე, თქვენი დამსახურება იქნება“. ეს ფრაზა რამდენიმე წლის წინ ვუთხარი ჩემი ცხოვრების მთავარ მასწავლებელს. მაშინ მან ასე მიპასუხა: „თუ“ ამოიღე, წარმატებას აუცილებლად უნდა მიაღწიო“. საოცარი მოტივაციის მიცემა იცოდა თითოეული სტუდენტისთვის და მე ბედნიერი ვარ და ვმაღლობ უფალს, რომ მისი მოწაფე ვიყავი. მასთან გატარებული თითოეული წუთი ძალიან ძვირფასი და მნიშვნელოვანი იყო. „სხვანაირი“ ენერგია გვმართავდა ყველას, ასე გვეგონა „მთებს გადავდგამდით“, არაფრის არ გვეშინოდა, რადგან ის იყო ჩვენი გზის მაჩვენებელი, მანათობელი ლამპარი და იმედის სხივი. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ არ ყოფილიყო ბატონი ტარიელი ჩემს ცხოვრებაში, როგორი ვიქნებოდი? ვეძებ პასუხს და ვერაფრით წარმოვიდგინე მის გარეშე ჩემი ცხოვრების არსებობა...

ბატონი ტარიელი ჩემი სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი იყო და ამ პერიოდში ხშირად ვეუბნებოდი, რომ არ ვარ მზად დავიცვა თემა, რომ ბევრი რამე არ ვიცი... გამამხნევებელი პასუხი კი არასოდეს არ აყვანებდა და უმაღვე ისე შემოგიძახებდა, რომ შეუძლებელსაც კი შესაძლებლად დაგასახინებდა. მაშინ კი ასეთი რამ მითხრა: „ბევრი რამე მაშინ გეცოდინება, როცა ჩემი ასაკის იქნები“. ისეთი ფსიქოლოგიური და ადამიანური ტაქტით მოგვიდგებოდა ხოლმე, რომ დანებებაზე ვერც ვიფიქრებდით მისი სტუდენტები! მას, სწორედაც რომ, ღვთაებრივი ძალა მართავდა, სხვა შემთხვევაში ვერ ავხსნი იმას, თუ როგორ შეეძლო ერთ პიროვნებას ამდენი რამ მოესწრო, ასე ჰყავარებოდათ ადამიანებს და წარუშლელი კვალი დატყყო ყველაფრისათვის, სადაც კი მიმიდოდა. მისი ერთი ნახვაც კი საქმარისი იყო, რომ არასოდეს დაგვიწყებოდა და გულში დაგრჩნოდა სამუდამოდ.

მასთან გატარებული წუთების მერე, სხვების მსგავსად, ჩემი ცხოვრებაც შეიცვალა ბევრი მიმართულებით. მისი დამსახურებით, ტაო-კლარჯეთისა და ფერეიდნელი ქართველების სიყვარული უფრო გამიძლიერდა და შევისისხლხორცე. ვისწავლე, რომ ყველაზე ბედნიერი მაშინ არის ადამიანი, როცა ეროვნულ

საქმეს აკეთებს და ცხოვრების მთავარი არსი და დანიშნულება პატიოსნება და სხვისთვის გაწვდილი ხელი უნდა იყოს.

ახლა კი, არ ვიცი, რა უნდა ვთქვა! დავობლდი, მარტო დავრჩი, ის სიცარიელე, რომელსაც მისი ფიზიკური არყოფნა ჰქვია, ვერაფრით შევივსე, მე ჩემი ტარიელ ფუტკარაძე მყავდა, რომლის გარდაცვალებით ჩემში რაღაც ეტაპი დასრულდა. სულში კი ქაოსი და მოუშუშებელი ტკივილი დამრჩა.

შეხვედრამდე!



## ნინო მუავანაძე

\*\*\*

ეს როდი იყო ჩვეულებრივი ლექცია, ეს იყო დღე-სასწაული. ასე გვიფერადებდა ყოველდღიურობას, მისი დაუშრეტელი ენერგიითა და ზღვა იდეებით, რომელსაც ყოველთვის ასხამდა ფრთებს. ეს ლექციაც მისი სურვილით აუდიტორიის ნაცვლად უნივერსიტეტის ეზოში, ბუნების ხმების ფონზე წარიმართა. თითქოს სხვა სამყაროში გადავინაცვლეთ და ისე, როგორც არასდროს საოცარ სილალესა და თავისუფლებას ვგრძნობდით. თავისი პროფესიონალიზმითა და დაუღალავი ენერგიით ყველაზე კარგად შეეძლო ადამინებისთვის ამ გრძნობების მინიჭება.

ხშირად ჩამესმის თუ როგორ გვიმეორებდა, რომ საგანი „ქართველოლოგია“ – ენათმეცნიერებაცაა, ისტორიაც და ქართული აზროვნების ისტორიაცო. ესაა ქართველთა ენობრივ-ეთნიკური და კულტურული ისტორიაო. ასეც იყო სინამდვილეში. ხშირად აღნიშნავდა, რომ ქართველობის გააზრება მრავალნახნაგოვნად უნდა მოხდეს, რომ ეს იყო მისი მიზანი ამ საგნის სწავლებისას. მთელი მისი ცხოვრებაც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.

ერთხელ პირად საუბარში დასძინა, დარწმუნებული ვარ, ვინც ამ კურსს კარგად გაივლის, თავისი ქართველობის სამუდამო საზრდო დაუშრეტლად ექნებაო. მართლაც, დაუშრეტლად დაგვიტოვა ეს საზრდო თითოეულ ჩვენგანს და მასთან ერთად დაუვიწყარი მოგონებებიც უხვად გვისახსოვრა. მისი თითოეული ლექცია სტუდენტებისთვის, მართლაც, ფასდაუდებელი საჩუქარი იყო.

გვაძედნიერებდა მასთან ურთიერთობა, მისი ლექციებისა თუ საუბრების მოსმენა, მისი ხელმძღვანელობით განხორციელებულ ექსპედიციებში მონაწილეობა. საოცარი მაგალითი იყო ქართული ენისა და კულტურის დაცვაში, დაუღალავად შრომობდა ჩვენი ერის ერთიანობისთვის. ასევე დაუღალავად გვასწავლიდა თავისუფლებას, სამშობლოს, ენისა და თავისუფლების სიყვარულს, თავად სიცოცხლის სიყვარულს გვინერგავდა. ასეთივე იყო მისი ლექციებიც. სიტყვები ვერ გადმოსცემს მის ღვანლს, აუნონავია ის სიკეთე, რისი გაკეთებაც მოასწრო, თითქოს ჩქარობდა, რომ ბევრი მოესწრო...

ყველა სიტყვა უძლურია მისი ნამუშაკევის სათანადოდ გად-  
მოსაცემად და შესამკობად. როგორც პროფესორი რევაზ სირაძე  
იტყოდა: „დუმილი არ არის სათქმელის უქონლობა, ესაა დიდი სა-  
თქმელის არ თქმა“. მართლაც დიდია სათქმელი, მაგრამ ყველაზე  
უკეთ მასზე, ალბათ, მისი დატოვებული საქმეები იღალადებენ,  
საქმეები, რომელიც მწამს, რომ საუკუნოდ გაგრძელდება და  
არასდროს მიეცემა დავიწყებას.

ბატონი ტარიელ, ჩვენ მხოლოდ ფიზიკურად გემშვიდობებით.  
„სიკვდილი არა არის რა“, თქვენ ხომ მხოლოდ გაღმა მხარეს  
გახვედით. მშვიდად განისვენეთ, იქ, სადაც მართალი განისვე-  
ნებენ...



## ვენერა ნებიერიძე

\*\*\*

ამბობენ, როდესაც ადამიანები ამ ქვეყნიდან მიდიან, ტოვებენ  
უდიდეს კვალს ჩვენს ცხოვრებაშიო. სწორედ ასეთი კვალი და-  
ტოვა ბატონმა ტარიელმა ჩვენში. მიუხედავად იმისა, რომ სულ  
რაღაც ოთხი თვე მოგვიწია ჩვენს ჯგუფს მასთან ურთიერთო-  
ბა, ეს თვეები ყოველთვის მოგონებებითა და მხიარულებით იყო  
სავსე. ლექციაზე მას აღვიტებამდით, როგორც უფროს მეგობარსა  
და ოჯახის წევრს თავისი საუბრის მანერიდან გამომდინარე...  
სულ გვეუბნებოდა: „როცა დაგჭირდეთ, შვილო, დამირეეთ და  
რითიც შევძლებ დაგეხმარებით“. განსაკუთრებულად მახსოვს  
მისი სიტყვები, როდესაც გვეუბნებოდა: „ერთ-ერთი საუკეთესო  
კურსი ხართ, ვისაც ვასნავლი, თქვენ კარგი ენათმეცნიერები  
დადგებითო“. პირველკურსელისათვის, მოგეხსენებათ, რთულია  
პირველი დღე, ყველა ვლელავდით, რადგანაც გვიწვევდა სკო-  
ლისგან განსხვავებულ გარემოში გადასვლა, მაგრამ, როდესაც  
ბატონი ტარიელი დავინახეთ და დაგველაპარაკა, ეს მღელვარება  
გაქრა. ჩემთვის ცხოვრებისეულ ფრაზად იქცა მისი სიტყვები:  
„ყველა შეცდომა იმსახურებს შეფასებას, რადგანაც შემდგომ ეს  
შეცდომა გამოსწორდეს; ყველა აზრი დასაფასებელია, რადგა-  
ნაც ყველა აზრი ღირსია დაფასებისა; შეცდომიდან ყოველთვის  
მივაღწევთ ჭეშმარიტ სიმართლეს“. რა დროც არ უნდა გავიდეს,  
ჩემი ცხოვრების უდიდესი მონაპოვარი და მაგალითია ბატონი ტა-  
რიელი! ადამიანი, რომელმაც შემაყვარა ქართული ფილოლოგია  
და დამიბრუნა დაკარგული მოტივაცია!

## ხატია ნოზაძე

\*\*\*

ძალიან რთულია ბატონ ტარიელზე წარსულში საუბარი. ჩემ-თვის ტარიელ ფუტკარაძე ტაო-კლარჯეთთან ასოცირდება, რად-გან სწორედ ტაოში, დაალექტოლოგიურ ექსპედიციაში გავატარე ყველაზე მეტი დრო მეგობრებთან და ჩვენს ძვირფას ლექტორთან ერთად. იმვიათი ადამიანი იყო და მიკვირდა, ყველა რომ იცნობდა ტაოში და ყველასთან მეგობრობდა. დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ ბატონ ტარიელს და, მათ შორის, ჩვენც, როცა იგებდნენ, რომ მისი სტუდენტები ვიყავით. მასთან ერთად ყოველ დღეს თავგადასავალი ახლდა. ბევრი კურიოზი შეგვემთხვა და მინდა ერთი გავიხსენ.

ექსპედიციის ერთ დღეს გადაწყვიტა, რომ შუა აგვისტოში გურჯი გოლის ტბაზე ოოვლში უნდა გვესრიალა. არ გვჯეროდა ეს ამბავი, თუმცა მალევე დავრწმუნდით, რომ არ ხუმრობდა. ზღვის დონიდან 3200 მეტრზე ასულებმა დავინახეთ, რომ ტბის ფერდობი თოვლს დაეფარა და ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა მაშინ. ჩვენც, მეტი რა გვინდოდა, სიხარულით ვეშვე-ბოდით ფერდობიდან და ტბის ნაპირზე დაყრილ ლოდებს არ ვერიდებოდით. ჩემი ორი მეგობარი წონას არ უჩიოდა, ხელი ჩაკიდეს ერთმანეთს და ფერდობიდან დასრიალდნენ. ბატონი ტარიელი მიხვდა, რომ ლოდებს შეეჯახებოდნენ. შუა ფერდო-ბზე დახვდა მათ, დაიჭირა, გააჩერა, თუმცა თავად თავი ვეღარ შეიმაგრა და ლოდებში გადავარდა, შუბლი დაარტყა და თვალი ჩაულურჯდა. ძალიან განვიცადეთ ეს ამბავი, რადგან საღამოს ქორწილში ვიყავით დაპატიჟებული და მოგვინია „მაკიაჟი“ გა-გვეკეთებინა და სილურჯები დაგვეფარა. ძალიან შევწუხდით, თუმცა აქეთ გვამშვიდებდა, რომ არაფერი დაემართებოდა. ეს ამბავი აქ არ დამთავრებულა. როდესაც შინ ვბრუნდებოდით, თვალი ისევ დალურჯებული ჰქონდა. ცოტა ხანი სარფში უნდა გავჩერებულიყავით, სანაპიროზე დრო გაგვეტარებინა და ზღვაში გვეცურავა. ასეც მოვიქეცით. მალევე ბატონმა ტარიელმა აღმოა-ჩინა, რომ თავისი ჩანთა თან არ ჰქონდა, ვინაიდან საბაჟოდან არ გადმოუტანია. მნიშვნელოვანი საბუთები და ნივთები ეწყო ჩანთაში, ამიტომ გადაწყვიტა, უკან გადასულიყო თურქეთის სა-

ბაჟოზე და რადგანაც თურქულად კარგად ვსაუბრობდი, მთხოვა გავყოლოდი და ჩანთა მოგვეძებნა. გადავედით უკან, თურქეთის საბაჟოზე; დავიწყეთ ჩანთის ძებნა, ვეკითხებოდი დაცვის წევრებს ჩანთის შესახებ, თუმცა არავინ არაფერს გვეუბნებოდა და არ გვიჩენდნენ. ბატონი ტარიელი მეუბნება, უთხარი ამათ, ეს კაცი ჩვენი ქვეყნის პროფესორია და თუ ჩანთა დაიკარგება, თქვენი სირცხვილი იქნებაო. ვუყურებ ბატონ ტარიელს, აცვია შორტი, შლოპანცები, ახურავს კეპი, თვალი აქვს ჩალურჯებული და ვეუბ-ნები: კი ვეტყვი, მაგრამ არამგონია დამიჯერონ, რომ პროფესორი ხართ-მეთქი. ორივეს ძალიან გაგვეცინა. საბედნიეროდ, ჩანთა ვიპოვეთ და კმაყოფილები დავბრუნდით უკან.

არასოდეს დამავიწყდება ბატონი ტარიელი და მისი მეგო-ბრული დამოკიდებულება ჩვენ მიმართ. ძალიან მენატრება და ხშირად მესიზმრება.



## მარიამ ჭავაშვილი

### ჩირუს ჩამოსულა ჰილისუფლად

ჩირუს ჩამოსულა ჭირისუფლად,  
ქარაფს გადმოდექო, აჭარელო,  
ნისლი მოგიტანე მესაფლავედ,  
ჭიუხბინდიანით ვატარეო!..

ბიჭო, საფუტკრეთში გკითხულობენ,  
შენი ფილტვებივით დასკდა ნაკვირტალი,  
ისევ თითო ჭიქა ასწიეს და  
შენთვის შემოსძახეს რამდიდარი...

მკურდზე დაიტიე სამშობლო და  
დედას იფიცებდი შუახევში,  
ტაო დაგიწვინეს სასთუმალთან,  
ფიქრად ჩაგატანეს აფხაზეთი.

სქელი ნისლი იწვა იმ დღეს მახათაზე,  
ხეებს შეჭირხლული კაბის შეფერება  
ისე მოხდომოდათ,  
როგორც საპატარძლოს,  
დედა თვალებითლა უხმოდ გეფერება.

ახლა ყველა მზერა კედელს ეხეთქება,  
თითქოს წარმავალი ფთილა ლრუბელია,  
როგორ შეიძლება შენ იქ მიდიოდე,  
უკან  
საიდანაც აღარ ბრუნდებიან.

შენ ის ბიჭი ხარ, თვალებში რომ გედგა აპრილი,  
და მაგ საფეთქლებს თოვლისფერი ედო ლიმილად,  
ერთი იცოდე, ისევ გიცდით შემოდგომამდე,  
გაზაფხულიდან ნაზამთრალზე,  
დალლილ გულიდან

### გადაიხვეტე

ეგ ჭაღარა ფიფქის ნაფლეთი,  
და კვლავ გიამბობთ წარსულიდან ზღაპარ-იგავებს,  
შენ კი არ მოკვდი, ლექსად ითქვი,  
ფერი იცვალე,  
თითქოს აქა ხარ და კიდევაც გარდაიცვალე...

ჩირუს ჩამოსულა ჭირისუფლად,  
ქარაფ ბანი მისცა დიდოუ ნანა,  
ეს რა საფიცარი ბიჭი იყავ,  
ეს რა „აჭარელი იყავ განა“...

ჩირუს ჩამოსულა ნისლიანი...



## ანა პაპუნაშვილი

\*\*\*

ბატონი ტარიელი... სახელი, რომლის გახსენებისას ურთიერთ-საწინააღმდეგო გრძნობები ენაცვლებიან ერთმანეთს. მძიმე და მტკიცნეულია მისი აღარყოფნის გააზრება და მასზე წარსულ დროში საუბარი. თუმცა, ახლობელი ადამიანის გახსენებით სულ სხვა ელფერს იძენს წარსული, სხვაგვარად გაშინაარსდება, სხ-ვაგვარი სევდა ახლავს თან.

ნლების მანძილზე ბევრი მოგონება დამიგროვდა. ასეთ დროს, აღბათ, ყველაზე ძნელია რომელიმე კონკრეტულ ამბავზე საუბა-რი. თუმცა, განსაკუთრებულად თბილად მახსენდება სტუდენტო-ბის პირველ დღეს მასთან შეხვედრა. ამ შეხვედრამ თითოეული ჩვენგანი მაშინვე მიახვედრა, რომ უნივერსიტეტი ჩვენი ოჯახი იქნებოდა, ოჯახი, რომელშიც მზრუნველობითა და სიყვარულით სავსე ატმოსფეროა გამეფებული. მისთვის ჩვეული სისხარტით გვესაუბრა სასწავლო პროგრამის შესახებ. რა თქმა უნდა, ერთი ახსნა საკმარისი არ იყო... შეხვედრის დასრულებისას კიდევ ერ-თხელ შემოავლო თვალი აუდიტორიას, გაგვიცინა და დაგვპირდა, რომ ყოველთვის ჩვენ გვერდით იქნებოდა, ყოველთვის გაიზია-რებდა ჩვენს გასაჭირო თუ საწუხარს. ეს მრავალგზის დაგვი-დასტურა კიდეც საქმით. იმ პირველი დღის შემდეგ არ მახსოვს ლექცია, რომელიც არ დაწყებულიყო კითხვით – რაიმე პრობლემა ან გაურკვეველი საკითხი ხომ არ გვქონდა?! მათი არსებობის შემთხვევაში კი ყველას თამამად და ლიად შეგვეძლო საუბარი და დარწმუნებულები ვიყავით, რომ ბატონი ტარიელის თანადგომით ყველა გაუგებრობა გაირკვეოდა, ყველა პრობლემა გადაიჭრებო-და, ყველა საკითხი ადეკვატურად მოგვარდებოდა.

ბატონ ტარიელს ყველა სტუდენტთან განსაკუთრებული, მე-გობრული, მამაშვილური ურთიერთობა ჰქონდა. მის გულწრფელ დამოკიდებულებას სტუდენტებიც შესაბამისად ვპასუხობდით. ამიტომ მისმა ასეთმა უდროოდ წასვლამ თითოეული ჩვენგანის გულში ამოუვსები სიცარიელე დატოვა. მისი სახით დავკარგეთ მასწავლებელი და, ამავე დროს, საიმედო მეგობარი, რომელიც მუდამ მზად იყო დასახმარებლად. ბატონი ტარიელი ხშირად საუ-ბრობდა ნამდვილი მეგობრობის დიდ მნიშვნელობაზე, როგორც

თითოეული ადამიანისათვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის, ქვეყნისათვის. მას დიდ სიხარულს ჰქონდა, როდესაც უცნობ ადამიანებს ერთმანეთს აკრიბდა, აახლოვებდა და ამით მათ სა-მომავლო დამეგობრებას საფუძველს უყრიდა. ჩვენ, მისი სტუ-დენტები, არაერთხელ გავმხდარვართ მისი ამ კეთილშობილური საქმიანობის მოწმენი. თავის სტუდენტებს შორის მეგობრული ურთიერთობა განსხვავებულად ახარებდა და ამას ხშირად აღ-ნიშნავდა პირად საუბრებში.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით დიდ დროს ვატარებდით ქართველოლოგის ცენტრში, სადაც ბატონი ტარიელი ახალ იდეებს გვიზიარებდა, ჩვენს შეხედულებებს ისმენდა, მსჯელობდა ჩვენთან ერთად... ხანგრძლივი საუბრების შემდეგ კი ამ იდეების განხორციელების პროცესი იწყებოდა.

მისი აღარ ყოფნით ყველაფერი წამიერად შეიცვალა, სტუ-დენტებს შორის ურთიერთობამაც სხვაგვარი სითბო და სევდა შეიძინა. ერთ დროს თუ ბატონ ტარიელთან ერთად გატარებული დღეების მოგონება სიხარულითა და იმედით გვავსებდა, ახლა სევდითა და ტკივილით გვახსენდება მისი ყოველი სიტყვა და კი-დევ უფრო მტკიცნებულად ყალიბდება გულსა და გონებაში აზრი, რომ დავკარგეთ ახლობელი ადამიანი, რომელმაც ნათელი კვალი დატოვა თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში.



## სალომე სანიკოძე

\*\*\*

ბატონო ტარიელ, შემიძლია თქვენზე დაუსრულებლად ვწერო. იმდენად თბილი და მოსიყვარულე ადამიანი იყავით, რომ ყველას თავი შეაყვარეთ თქვენი კეთილშობილებით.

მართალია, მე ახლოს არ გიცნობდით, მაგრამ მქონდა თქვენთან ვირტუალური ურთიერთობა და ეს ოთხი თვე ჩემთვის საუკეთესო იყო. თქვენთან გატარებული ყოველი წუთი ტყბილ მოგონებად დამრჩა.

მახსოვს, როგორ მეშინოდა უნივერსიტეტის პირველ დღეს, სანამ ლექცია დაწყებოდა და თქვენ გაგიცნობდით. მაგრამ, როდესაც თქვენი თბილი ხმა გავიგე, თქვენი ნათქვამი „შვილო“, ყველაფერი დამავიწყდა. ნერვიულობა გაქრა. როდესაც პრობლემა მქონდა, თქვენთან გამოვიქცი, როგორც შვილი მამასთან, თქვენ ხომ ჩემთვის მამასავით ძვირფასი გახდით ამ მცირე დროში. პრობლემა მომიგვარეთ და დამირეკეთ, რომ მშვიდად ვყოფილიყავი და თუ კიდევ რამე დამჭირდებოდა, ისევ მომემართა თქვენთვის.

ყველა ლექცია საინტერესო და მხიარული იყო. მიხაროდა იმ დღის გათენება, როდესაც თქვენ უნდა შეგხვედროდით. თქვენ, ჩენი არამარტო ლექტორი, არამედ საუკეთესო უფროსი მეგობარი იყავით.

ზოგჯერ რომ დავფიქრდებოდი, მიკვირდა, როგორ შეუძლია ამხელა სიყვარულის გაცემა ბატონ ტარიელს-მეთქი, მაგრამ თქვენ ეს შეძლით, ყველას გულში სიყვარული დათესეთ, თან ისეთი სიყვარული, რომელიც არასოდეს განელდება.

ერთხელ მითხარით: „არასოდეს შეხვიდე ადამიანთან კონფლიქტში, მაგრამ ყოველთვის დაიცავი შენი სიმართლე“. ეს სიტყვები ჩემი ცხოვრების დევიზი გახდა და ყოველთვის ასე იქნება.

უსაშველოდ მიყვარხართ და მენატრებით. შეიძლება არა-რეალურია, მაგრამ დღესაც არ მჯერა, რომ გარდაიცვალეთ. ხან მგონია, როცა პრობლემა მექნება, ისევ თქვენთან გამოვიქცევი და თქვენც მომისმენთ და მომიგვარებთ, მაგრამ, სამწუხაროდ, იღუზია... სიმართლე ისაა, რომ ჩემში სამუდამოდ იცოცხლებთ. იცოცხლებთ მანამ, სანამ მკერდში გული მიცემს.

მითხარით, გამბედავი ხარო. იცოდეთ, რომ ძალიან უყვარ-

ხართ თქვენს გამბედავ გოგოს.

მახსოვს, ერთხელ აღნიშნეთ, რომ განსხვავებული ხედვა მქონდა და პირველივე ლექციაზე მკითხეთ:

- „შვილო, პოეტი ხომ არ ხარ?“
- გიპასუხეთ, არა, ბატონო ტარიელ-მეთქი.
- „ვიცი, რომ ერთ დღეს ლექსს დაწერ“.  
ეს იყო ჩვენი ერთ-ერთი მცირე დიალოგი.  
იცით, საერთოდ არ მითიქირია ლექსის დაწერაზე 2021 წლის 2 იანვრამდე. ეს ის თარიღია, როდესაც თქვენ ამ სამყაროდან მარადიულ სამყოფელში დაიდეთ ბინა. თქვენი გარდაცვალების დღეს უეცრად პატარა ლექსი დამეწერა...

თქვენ დამიტოვეთ გულში იარა  
და ჩემმა ცრემლმა დაიწყო დენა.  
მემახსოვრებით უკუნისამდე,  
არ გიწერიათ თქვენ დავიწყება!

თქვენ მიგტიროდათ მთელი ქვეყანა,  
დიდს თუ პატარას ცრემლი სდიოდა.  
თქვენ მიგტიროდათ მთელი ქვეყანა,  
ფერეიდანიც თქვენ მიგტიროდათ.

იყავით მუდამ მართალი გულის  
და ჭეშმარიტი სულის პატრონი.  
ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ ფოტოები და  
მისგან შეკრული დიდი ალბომი...

**მიყვარხართ, ბატონო ტარიელ!**

## მაკა სირაძე

\* \* \*

ძალიან რთულია მასზე წარსულ დოროში საუბარი და კიდევ უფრო რთულია იმის გააზრება, რომ ცოცხალი აღარ არის... სიცოცხლე საოცრად უყვარდა, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს მისი გულიანი და ბავშვური ლიმილი, ამაში აუცილებლად დამეტანხმება... პირველივე კურსიდან მასწავლიდა და ყოველთვის გაოცებული ვიყავი მისი ენერგიითა და დაუღლელობით; არ მახსოვს, როდისმე ლექცია გაეცდინა ან რამე დაპირება არ შეერულებინა. პირველად სწორედ მის ლექციაზე ვიგრძენი, რომ მნიშვნელოვანი ვიყავი, როგორც სტუდენტი, როგორც მისი კოლეგა, რადგან ყოველთვის აინტერესებდა და ითვალისწინებდა ჩვენს მოსაზრებებს; საოცარი მოტივატორი იყო, ისე გვექცეოდა, როგორც სრულფასოვან კოლეგებს და ყოველთვის ცდილობდა, რაღაც ახალი კონცეფცია მოგვეფიქრებინა, ჩვენს ფანტაზიებს არასდროს ზღუდავდა, პირიქით, ახალისებდა, ახლებურად გვაჩვენებდა საკითხებს და ჩვენც, რა თქმა უნდა, დიდი შემართებით ვცდილობდით მასთან ერთად გვემსჯელა. თამამად გამოვთქვამდით აზრებსაც, ხშირად სულელურსაც, ის კი ამ დროს, ჩვეული იუმორით გვეხუმრებოდა და გვეტყოდა: „ლამაზი გოგო ხარ, ანგელოზო“. ზოგადად, შეეძლო საოცარი კომპლიმენტების თქმა, თითქოს ინდივიდუალურად შენთვის მოეფიქრებინა.

ექსკურსიებზეც ხმირად დავდიოდით საყვარელ ლექციორებთან ერთად. მახსოვს, ბატონი ტარიელი პირველად რომ გადახტა ერთი კლდიდან მეორეზე – შემეშინდა, რამე არ დამართნოდა, თუმცა მალევე მივხვდი, რომ „ფრენა შეეძლო“ და თან უნდოდა, რომ ჩვენც „გვეფრინა“ მასთან ერთად; ვინც თამამი იყო, მათ ეხმარებოდა კლდებზე და მაღალ გალავნებზე ასვლაში, თან ტებილად ეტყოდა: „ფრთხილად შვილო“; დიახ, ასე გვეძახდა ხოლმე, მართლაც მამასავით გვედგა მხარში... თავისი დაუშრეტელი ენერგიის წყალობით მუდამ დაუღლელად მიგვიძლოდა წინ; მთებზე, კლდებზე ჩვენზე დიდი ხნით ადრე კი არ ადიოდა, არბოდა, შემდეგ ჩამორბოდა, გვამხნევებდა, გვეხმარებოდა... ჩვენ მას „ჭალარა ბიჭი“ შევარქვით და მართლაც ასეთი იყო, ბავშვური ენერგიითა და ენთუზიაზმით სავსე, არასოდეს გვეუბნებოდა

უარს გართობაზე, არ წუხდებოდა ჩვენი ცეკვითა და სიმღერით, პირიქით, ცდილობდა აგვყოლოდა და ხშირად თავად გვიყოლიებდა ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ აშკარა ლიდერული თვისებები ჰქონდა, ცდილობდა, რომ პატარ-პატარა პასუხისმგებლობები ჩვენთვის გადმოენაწილებინა და მაქსიმალურად ყველა თანაბრად ჩავერთეთ ნებისმიერ აქტივობასა თუ საქმეში.

მუდამ მოხიბლული ვიყავი მისი ქარიზმით, ენერგიითა და სიყვარულით თავისი საგემის მიმართ, სულსა და გულს, მთელ ენერგიას დებდა საყვარელ და, მართლაც, შრომატევად საქმეში, იხარჯებოდა ბოლომდე და, რაც მთავარია, სანაცვლოდ არაფერს ელოდა. ძალიან მიკვირდა, საიდან ჰქონდა ამხელა ენერგია, შეეძლო ჩვენთვის ჩაეტარებინა ლექცია, შემდეგ ნასულიყო, მაგალითად, ქუთასიში და იქ კონფერენციისათვის ეხელმძღვანელა, შემდეგ დაბრუნებულიყო ისევ თბილისში და გაეგრძელებინა რაიმე წიგნზე მუშაობა და თან, რაც მთავარია, ყველაფერში მთელი არსებით იყო ჩართული, თითოეული დეტალი იცოდა. ასევე მაკვირვებდა მისი ზოგადი ინფორმირებულობა; მაგალითად, იგებდა და გვიზიარებდა ნებისმიერ ტექნოლოგიურსა თუ კულტურულ სიახლეს, თუკი რამ საინტერესო ხდებოდა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, აზროვნებდა ყოველთვის გლობალურად და თავის სტუდენტებსაც გვაჩვევდა საკითხების ასე გააზრებას.

თითქოს სენტიმენტალური არ იყო, თუმცა ერთ-ერთი ექსკურსის დროს, კახეთში, კავკასიონის ქედს გახედა, დიდი ილიას სიტყვები წარმოთქვა: „და თეთრი ზოლი შორი მთებისა, ლავევარდ სივრცეში დაინთქმებოდა“ – თვალები ცრემლით აევსო, „ამ ხედს გასცემროდა ისიც, ახლა ჩვენ რომ უუყურებთ“. რაღაც საოცარი ნიჭი ჰქონდა, რომლის წყალობითაც გულის იმ წერტილში გწვდებოდა, სადაც შენი ქვეყნის სიყვარულია. ალბათ, ვინც მისი სტუდენტი ცოტა ხნით მაინც ყოფილა, ყველას ხორცის აწვამდე სტკენია აფხაზეთი; ამ მხარეზე, ფერეიდანზე, ინგუშეთზე, ზოგადად, ხელოვნურად შექმილ საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ქართველებზე საუბრისას საოცრად მგრძნობიარე, გულჩვილი და, ამავე დროს, პრინციპული იყო, გვაცნობდა და გვაყვარებდა მათ, ვმართავდით კონფერენციებს, ცდილობდა აღედგინა ხიდი ჩვენ შორის, ჩვენი საერთო ენისა და ისტორიის დახმარებით და

გავეერთიანებინეთ; ნაწილობრივ მოახერხა კიდეც და მეტი დრო რომ ჰქონოდა, დარწმუნებული ვარ, მეტსაც გააკეთებდა.

დამესმარა იმის გააზრებაში და გასისხლხორცებაში, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ენას ერის იდენტობის შენარჩუნებისთვისა და, ზოგადად, გამთლიანებისთვის. „გიუდებოდა“ ჩვენს კულტურაზე, დამწერლობაზე, ენაზე, ისტორიაზე და ჩვენზე, სტუდენტებზე, როგორც მომავალ თაობაზე. ხშირად გვესაუბრებოდა ღირსებასა და სწორი ღირებულებებით ცხოვრებაზე, გვამზადებდა ცხოვრებისეული სირთულეებისათვის და გვაფრთხილებდა, რომ ბევრ უზნეო ადამიანს შეიძლება გადავეყაროთ ამქვეყნად, თუმცა ჩვენ ყოველთვის ის მართალი გზა უნდა გავაგრძელოთ, რასაც ავირჩევთ.

მისგან არასდროს – სხვებისგან უფრო გვსმენია, რა გადაიტანა ბატონმა ტარიელმა საიმისოდ, რომ დღეს დამოუკიდებელ საქართველოში გვეცხვრა, ის ხომ დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი დეპუტატი იყო და ეს ძალიან მეამაყებოდა, ვინაიდან მქონდა მასთან ურთიერთობის პატივი.

ვფიქრობ, ჩემი ჯგუფი ძალიან განებივრებული იყო ლექტორებთან მეგობრობით, ყოველთვის განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატრონობას ვგრძნობდით ბატონი ტარიელისგან; ვიცოდით, რომ მისთვის ძვირფასები ვიყავით და შეგვეძლო მუდამ მისი მხარდაჭერის იმედი გვეკონდა. მისი ოთახის კარი მუდამ ღია იყო, ნებისმიერ დროს, ნებისმიერი თხოვნით შეგვეძლო მასთან მისვლა და დარწმუნებულები ვიყავით, რომ ბატონი ტარიელი თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს გააკეთებდა დასახმარებლად. ხშირად დამიგემოვნებია მის კაბინეტში ფინჯანი ჩაიცა და უგემრიელესი ტკბილეულიც, გვისაუბრია ბევრ საინტერესო თემაზე, გვიმსჯელია, მოუცია რჩევა...

სჯეროდა, რომ ადამიანზე იყო დამოკიდებული, აბელის გზას აირჩევდა თუ კაენის გზით ივლიდა; ხშირად იმეორებდა, რომ ფურცელს ყოველთვის ორი მხარე აქვს, ისევე, როგორც მედალიონს და ყველა ამბავში შეუძლია ადამიანს კარგისა და ცუდის დანახვა, მაგრამ ამ შემთხვევაში დადებითს ვერ ვხედავ... ნარმოუდგენელი და სამწუხარო რეალობაა! გააზრებისთვის ჯერ მზად არ ვარ, დიდი ხანი ვფიქრობდი, რა დამეწერა, ძალიან რთულია ისაუბრო ადამიანზე წარსულში, როცა დამშვიდობებაც ვერ

მოასწარი; ის, ალბათ, ყველაზე სიცოცხლით სავსე იყო, ვისაც ვიცნობდი, უშრეტი ენერგიითა და მუხტით. მგონია, რომ არსადაც არ წასულა, როცა მის საფლავზე მივედი, შინაგანად ვფიქრობდი, მაშინ მაინც გავიაზრებდი, რომ ეს ადამიანი გარდაიცვალა, გარდაიქმნა, თუმცა – არა! ალბათ ყოველთვის ის განცდა მექნება, რომ კვლავ დამხვდება თავის კაბინეტში საქმიანი და მომლიმარი. ახლა რომ რამის თქმა შემეძლოს, მადლობას ვეტყოდი ყველა იმ სიკეთისა და მოგონებისთვის, რაც ჩემს გულსა და გონებაში მისი წყალობით სამუდამოდ აღიბეჭდა.



## მაკა ფარქოსაძე

\*\*\*

მზე თითქოს ჩვეულებრივად ანათებდა და ათბობდა, მაგრამ ეს სითბო და სინათლე არაჩვეულებრივი იყო, რადგან მზე ახლა საქართველოს ისტორიულ მხარეს, ტაო-კლარჯეთს, ანათებდა და ათბობდა...

ცხელი აგვისტოს იმ დღეს მიგვედი, რომ მეც საქართველოს ისტორიის სანილაკი ვიყავი, რომელ ისტორიასაც უხილავად მაზიარა სკოლის მასწავლებელმა, ხოლო ხილულად – პროფესორმა ტარიელ ფუტკარაძემ.

ბატონ ტარიელს ჰქონდა არაამქევყნიური მადლი და სწორედ ეს მადლი გახლდათ მიზეზი იმისა, რომ ჩემმა მშობლებმა დაუფიქრებლად გამაგზავნეს ტაო-კლარჯეთში „ახალგაზრდა ელჩად“, რომ ჩემი სამშობლოს სიყვარული უფრო მეტად მეგრძნო, უფრო მეტად დამეფასებინა ჩემი ქვენის ისტორია და შემცინ ჩემი სახელმწიფო ენის სიძლიერე, სიდიადე, სილალე და სიმდიდრე.

ბატონი ტარიელი ჩვენს მფარველად და მცველად იქცა 10 დღის განმავლობაში, მაგრამ მას შემდეგ არ განელებულა ეს მფარველობა, სიყვარული, მეგობრობა და არც არასდროს განელდება. მერე რა, რომ ზოგი ფერს ვიცვლით, მთავარი სულიერი კავშირია, რასაც ვერანაირი დრო და გარემოება ვერ წყვეტს...

ხანძთაზე ავედით... გაოცებული თვალებით შევცეროდით გრიგოლ ხანძთელის ხელით აშენებულ არაამქევყნიურ სიმდიდრეს, ახლა უკვე მოუვლელს, ჩამონგრულს და გაქრობის გზაზე მდგარს. თითქოს მანაც იგივე ისტორია გაიარა, რაც ქართველმა ერმა და ის საქართველოს გარეთ, ქართველი ერი კი საქართველოში ცდილობს, მუხლი გაიმაგროს...

სასტუმროში მისულები ისევ ხანძთის ემოციებზე ვსაუბრობდით, თან ჩვენს ნივთებს ვაგროვებდით და აი, აღმოჩნდა, რომ ჩემი საბარგო ჩანთა დაკარგულია...

თვალწინი ჩამიარა ყველა ოცნებამ. ვიფიქრე, სამშობლოში ვეღარ დავპრუნდებოდი, რადგან პასპორტიც კი აღარ მქონდა. ამ დროს მესმის ბატონი ტარიელის დამაშვიდებელი და დამაიმედებელი ხმა, რომ სანამ ჩემს ნივთებს არ მოძებნიან, არ დატოვებს თურქეთს... ეს ხმა გამშორდა თუ არა, გამკაცრდა, გასალდა...

ბატონმა ტარიელმა მთელი ართვინი ფეხზე დააყენა, თავის ყველა ნაცნობს დაურეკა. გურჯის ჩანთა დაიკარგაო – ეს სიტყვები ფეხდაფეხ მისდევდა ერთმანეთს...

3 საათში ბატონი ტარიელი დაბრუნდა და მითხრა, რომ ჩვენ ყველა ერთად, ხვალ საქართველოში წავიდოდით, ჩემმა ნივთებმა გამასწრეს და საზღვარზე მელოდებოდნენ...

ეს დღე იყო, როდესაც ბატონმა ტარიელმა ყველაზე მეტი, მზრუნველობა მასწავლა... ამ დღის შემდეგ მეც ისევე ვზრუნავ ჩემს მოსწავლეებზე, როგორც ბატონი ტარიელი ზრუნავდა ჩვენზე.

## მაია ქავთარაძე

### ტარიელ ფუტკარაძის ხსოვნას

ჩემთვის ტარიელ ფუტკარაძის სახელი უკავშირდება „მოძრაობას“, სამშობლოს სიყვარულს, გამშედაობას, ბრძოლას, ლირსებას... ის მუდამ ცდილობდა სტუდენტებისა და მის გარშემო მყოფი ადამიანების „გამოფეხიზებას“, გვასწავლიდა არა მარტო ფონეტიკას, დიალექტოლოგიასა თუ მორფოლოგიას, არამედ ბრძოლას: რა არის კარგი და რა ცუდი, როგორ უნდა ვყოფილიყვათ ჩვენი თავების-თვის, ოჯახებისთვის, სამშობლოსთვის, სამყაროსთვის სასარგებლო.

გვინერგავდა სამშობლოს სიყვარულს... მისი დიალექტოლოგიური ექსპერიციები ტაო-კლარჯეთში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საქართველოს უახლესი ისტორიისათვის, რადგან ის აძლიერებდა იმ ძაფებს, რომლებიც საქართველოსა და „სხვა“ საქართველოს აკავშირებდა ერთმანეთთან. მახსოვს, 2018 წლის ექსპერიციის შემდეგ ბატონ ტარიელს დავუწერე სამადლობელი წერილი, რომელშიც მაღლობას უხედი, რადგან – „იმ სამყაროს პანაზინა ნაწილი გამხადა, სადაც სიმართლე და ქვეყნის სიყვარული ყოველთვის იმარჯვებს!..“ – დღესაც ასე ვფიქრობ, მიხარია, რომ მისი სულგრძელობის, კეთილშებილების, ბრძოლისუნარიანობის თანაზიარი ვიყავი.

ძნელია ისაუბრო მის პიროვნებაზე, თითქოს ყველა გრძნობა იკარგება სიტყვებში, რადგან არცერთ ფრაზას არ შეუძლია მისი იდენტობისა და ლვანლის აღწერა...

მისი ყოველი სიტყვა, რჩევა, დარიგება დღესაც მიღვივებს საკუთარი თავის რწმენას, ძალასა და გამბედაობას; მაძლიერებს, თითქოს არ დაუტოვებია ამქევყნიური სამყოფელი და არ გადასულა კოსმიურ სამყაროში, თითქოს ისევ მეტყვის, რომ შემიძლია შევემნა დიდებული მომავალი, გაეხდე კარგი ენათმეცნიერი, ვიყო სასარგებლო, წარმატებული, არ დაამავინუდეს, რომ ეს ყველაფერი შრომისა და განათლების მიღების ფასად შემიძლია აღვასრულო.

ბატონობრივი ტარიელი, ნაადრევად წახვედით, უამრავი საქმის გაკეთება შეგეძლოთ, თითქოს ობლად დაგვტოვეთ, მაგრამ იცოდეთ, თქვენ მიერ გაღებული ენერგია, „კოსმიური ძალები“ დარჩა ამ სამყაროში, ჩვენს პატარა საქართველოში, ამიტომ თქვენი ხსოვნა, სახელი, მარადიულია, მუდამ გვემახსოვრებით, მუდამ შევეცდებით სწორი გზით სვლას თქვენს საიმედოდა და საამაყოდ!

\*\*\*

ერთხელ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტებს ბატონი ტარიელის ლექცია გვქონდა. ჯერ ვალოდინეთ, დაგვაგვიანდა. გველოდა; არ გაგვიძრაზდა. სამნი ვიყავით. მახსოვს, საინტერესო და მრავლისმომცემი ლექცია ჩაგვიტარა. გვესაუბრა, დაგვარიგა და ბოლოს გვითხრა: დღეს მონასტერში მეუღლესთან და შვილებთან ერთად დაპატიჟებული ვარ მეუფე ანანიასთან, ჩემს ოჯახთან ერთად მინდა თქვენც წაგიყვანოთო. რა თქმა უნდა, ჩვენც მაშინვე დავთანხმდით. წაგიყვანა სახლში. გაგვაცნო მეუღლე, ქალბატონი ია და ყველა ერთად წავედით მონასტერში. მართლაც, როგორც შვილები, ისე წარგვადგინა. თავს გვევლებოდა. ბოლოს, ასეთივე გულისხმიერებით ჩამოგვარიგა სახლებში. ბატონი ტარიელი ჩვენთვის ერთ-ერთი შეუცვლელი და განუმეორებელი ადამიანი იყო.



\*\*\*

ტარიელ ფუტკარაძე – ამ სახელმა ბევრი შემძინა და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ბევრს მიწინამძღვრებს! დღეს ერთ ისტორიას გავიხსენებ, რომელიც ჩემთვის ყველაზე ძვირფასი და სევდიანია. 2017 წელს ჩავაბარე წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, ქართული ფილოლოგის ფაკულტეტზე. 17 სექტემბერს შევაბიჯე სანგუს ეზოში და ველოდი, თუ როდის დაიწყებოდა ოფიციალური სასწავლო წელი. უნივერსიტეტის მეორე კორპუსის ეზოში ბევრი პირველურსელი იყო შეკრებილი, მე ჯერ ჩემს კურსზე არავის ვიცნობდი და განმარტოებით ვიდეექი სხვა სტუდენტებთან ერთად. პირველურსელებს, ახალწვეულებს პირველად უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ მიმართა, შემდეგ დეკანმა ლევან ჯიქიამ და, ბოლოს, ჩემთვის უცნობმა ადამიანმა... შემდგომში გავიგე, რომ ეს კაცი, თურმე, ჩემი მიმართულების ხელმძღვანელი, ტარიელ ფუტკარაძე ყოფილა. ბატონმა ტარიელმა თავისი პირველი გამოსვლიდანვე დამამახსოვრა თავი, როგორც ძალიან ემოციურმა და ენერგიულმა ადამიანმა. როგორც იქნა, მისასალმებელი სიტყვის შემდეგ გავიგე, სად იკრიბებოდა ჩემი კურსი და მიმართულების ხელმძღვანელი, მოუთმენლად ველოდი და გულწრფელად მსურდა, როგორმე გამეგო უფრო მეტი ჩვენი პროგრამის შესახებ.

ვიპოვე მესამე სართულზე აუდიტორია, სადაც დამხვდა ის კაცი, რომელიც ტრიბუნიდან ასე ენერგიულად, ემოციურად მოგვესალმა და თავი დამამახსოვრა. აუდიტორიაში თავის ჩვეულფორმაში იჯდა ტარიელ ფუტკარაძე. არ შემიძლია, ამ ფორმაზე არ ვთქვა. ზოგადად, არ მიყვარს ადამიანზე დაკვირვება – რა აცვია, რა მანერები აქვს და სხვა, თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მისი ჩაცმულობა, ე.წ. „დრესკოდი“, მისივე „ფარულ“ ხასიათს გაუსვამს ხაზს და ძალიან ბევრს გვეტყვის მის, უდავოდ, ყველასაგან გამორჩეულ, პიროვნებაზე. აუდიტორიაში შესვლამდე ბოლომდე დარწმუნებული ვიყავი, რომ აქ „კოსტუმში“ საგანგებოდ გამოწყობილი, მკაცრი მზერის მქონე საკმაოდ ცივი და დისტანციური ლექტორი დამხვდებოდა, რის გამოც თავიდანვე შიშმა

შემიპყრო და ათასმა ეჭვმაც ამიტანა. ამგვარად, შეშინებულმა და დაბნეულმა შევაღე აუდიტორის კარი და ის ერთი წამი, სანამ ჩემს ახალ ლექტორს პირველად შევავლებდი ზედმეტად დაკვირვებულ თვალს, ერთ საათად მომეჩევენა. ბატონ ტარიელს კი დავაკვირდი, ჯინსის შარვალი და ბოტასები ეცვა, ფეხი ფეხზე ჰქონდა გადადებული და ჩემს კურსელებს ნელ-ნელა ეცნობოდა. ფორმა, რომელშიც დამამახსოვრდა ბატონი ტარიელი, ვფიქრობ, მისთვის ყველაზე კომფორტული იყო, ფეხი-ფეხზე გადადებით ჯდომა, ასევე მისთვის დამახსიათებელი მანერა გახლდათ. ახლა ვხვდები, რომ მან მაშინ მოსალოდნელი შიში და უხერხულობა გაფანტა და გაგვეცნო არა როგორც ჩვენზე ბევრად მეტი, უკვე უამრავი მიღწევის მქონე დამსახურებული პიროვნება, არამედ – როგორც ჩვენიანი, ჩვენი მომავალი მეგობარი, თანატოლი და ტოლსწორი. იგი, მართლაც, ჩვენი ცხოვრების ერთგულ და ძვირფას მეგობრად იქცა, რაც მისი ამქვეყნიდან განსვლის შემდეგაც ისევე გრძელდება, რადგანაც ჭეშმარიტ მეგობრობას დასასარული არ აქვს. მისი თითქოს ეს უჩვეულო ფორმა (ჩვენ ხომ დამკვიდრებული კლიშეების სამყაროში ვცხოვრობთ!) კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალს ააშკარავებდა: იგი თავს მუდამ ახალგაზრდულად გრძნობდა და ცდილობდა კიდეც ახალგაზრდულადვე ჩაეცვა! და ბატონი ტარიელი ხომ ყოველთვის გვაოცებდა იმ უსაზღვრო ძალებითა და დაუშრეტელი ენერგიით, რასაც იგი თავის გარშემო აფრქვევდა?! ერთი კვირა გავიდა და ამ ადამიანისგან იმდენ ყურადღებას ვგრძნობდით, რასაც მხოლოდ მამობრივი მზრუნველობა შეიძლება უზრუნველობით, ან პედაგოგიური ხასიათი, რომელიც ასე უხვად დაამადლა უფალმა ბატონ ტარიელს. აღმაფრთოვანებდა მისი საოცარი ენერგიულობა და ვინ მოთვლის, რამდენჯერ მისი მაგალითით მიძლევია ჩემი სიზარმაცის სენისათვის. ჩემს თავს ვეუბნებოდი: შოთა, შენ 18 წლისაც არ ხარ ჯერ, ის კი 56 წლის კაცია და შენზე 10-ჯერ მეტს აკეთებს – ასე ვამხნევებდი ხოლმე საკუთარ თავს. მინდა ბევრი დავწერო ჩვენს პირად საუბრებზე, მაგრამ მომიტევთ, ეს საუბრები ვთვლი, რომ მხოლოდ ჩემი და მისი საკუთრებაა და, თქვენი ნებართვით, ჩემთან დავიტოვებ. იმედია, არ ჩამეთვლება ამპარტავნებად, რომ ვთქვა – პირველივე კურსიდან მის განსაკუთრებულ მფარველობას ვგრძნობდი, ძალიან სურდა ენათმეცნიერების მიმართულება ამერჩია. სულ

მეუბნებოდა: „პიჭო, შოთა, წამოდი აქეთ, რა გინდა მაგ ლიტერატურაში, ისედაც ყველა იქ არის – შეგვამეს ქალებმა ენაშიო“. მართალია, ამას ხუმრობით ამბობდა; თავად ლიტერატურის დიდი მოყვარული იყო და ენისა და ლიტერატურის ურთიერთგამიჯვნას უგუნურებად თვლიდა. მეც მესამე კურსამდე ასე ვორჭოვობდი, ენა თუ ლიტერატურა? – მაინც ლიტერატურისკენ გამიწია გულმა, მაგრამ დღემდე ვაცნობიერებ, რომ ლიტერატურა ენის გარეშე ვერ იარსებებს და ენის სისპეტაკის დაცვა ჩვენი მოვალეობაა!

მახსოვს, როგორი გულანთებით გვიკითხავდა ლექციას, რომ 14 აპრილს ჩვენ უნდა ვიზიმოთ არა დედაენის დღე, არამედ საქართველოს სახელმწიფო ენის დღე! აქვე გავიხსენებ, საოცარი უნარი ჰქონდა, ყველას აზრი მოესმინა და ბოლოს თავისი გაეზიარებინა სხვებისთვის, ხოლო უკანასკნელი არასდროს ელეოდა და მუდამ ახალი იდეებისკენ ისწრაფვოდა. ლექციაზე სტუდენტის მიერ წარმოთქმული კონკრეტული ფრაზისგან მეორე ლექციაზე დიდ დებულებას აყალიბებდა და ყველას აცნობდა. ბოლოს ჩემთვის ყველაზე ტკბილი ისტორია მინდა გავიხსენო.

ისევ მესამე სართულზე, პირველი ლექცია გვიტარდებოდა ფონეტიკაში. აუდიტორიაში იმყოფებოდა უკეთოლშობილესი ქალბატონი სოფო და ველოდით მის მოსვლას. პირველი ლექციისას ვისაუბრეთ ენის რაობის შესახებ, ისევ გავოცდი ამ კაცის ასეთი ენერგიულობით. უცებ მეძახის: „წინ გამოდი!“ (უკანა მერსზე ვზივარ, რადგან ძლიერ მორიდებული ვიყავი), იღებს ორ კალამს და აძრობს თავსახურებს. მე დაბნეული შევყურებ, ნეტავ, რას შვრება, ალბათ, ჩემი გრმატიკული ცოდნა უნდა შეამონოს – მეთქი. მანვდის ორივე კალამს და მეუბნება: ხელში გიჭირავს მეგრული და ქართული, ესენი კი (თავსახურები) ენა და დიალექტია. რომელს რომელში მოათავსებდი? მე დავიბენი, მაგრამ ინსტიქტურად ქართულს ენის „სტატუსი“ მივანიჭებ, ხოლო მეგრულს – დიალექტის. აშკარად გაუხარდა ბატონ ტარიელს ჩემი ეს გადაწყვეტილება. ერთი ჩვეულება ჰქონდა მას – თავის აზრს არასდროს გახვევდა თავზე.

ყველასათვის ცნობილია, რომ ის მეგრულ-ლაზურსა და სვანურს (ზანურ-ჭანური) დიალექტებად მიიჩნევდა, ხოლო მე მომცა იმდენი თავისუფლება, რომ ეს ჩემით გადამეწყვიტა. მე, ჯერ კიდევ ვერ გადავწყვიტე, მაგრამ ოდესმე ჩემს პოზიციას ჩამოვა-

ყალიბებ და არასდროს მას სხვას არ მოვახვევ თავზე, როგორც  
მან მასწავლა! ძველ ქართულ ენაში ლექტორს, მასწავლებელს  
მოძღვარი ეწოდებოდა. ვფიქრობ, ტარიელ ფუტკარაძე იმსახუ-  
რებს ამ სახელს, რომ ეწოდოს მოძღვარი. მშვიდად განისვენე,  
მოძღვარო, მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა, რომელიც  
მართალ გულზე გაწევს – „ხელი მწერლისა მიწასა შინა ლპების,  
ხოლო ნაწერნი მისნი ჰგიეს უკუნისამდე!“



## მარიამ შალამბერიძე

\*\*\*

რამდენი რამის თქმა მინდა, მაგრამ ბევრს ვერაფერს ვიტყვი, რადგან რთულია ბატონ ტარიელზე წარსულ დროში საუბარი. ტარიელ ფუტკარაძე იყო ადამიანი, რომელსაც თავისი სამშობლო არაამქეყნიურად უყვარდა და მუდამ გული შესტკიოდა მასზე. ამაყობდა თავისი სტუდენტებით; მათი ნიჭიერებით, შრომითა და განათლებით. იგი ყოველთვის მომლიმარი სახით შემოდიოდა აუდი-ტორიაში და თბილად გვესალმებოდა. მისი „საფირმო“ კითხვა იყო: „რა ხდება თქვენს სამყაროში?!“ სწორედ ამ კითხვით იწყებოდა ყველა ლექცია. ყოველთვის ცდილობდა ყველაფერში დახმარებოდა თავის სტუდენტებს. სტუდენტობის პერიოდში ყველა იმ დაბრკოლებისა და პრობლემის გადასაჭრელად, რომელსაც უნივერსიტეტში ყოფნისას გადავაწყდებოდით, მუდამ ბატონი ტარიელის კარს მივაშურებდით, რადგან ვიცოდით, რომ ყოველთვის მზად იყო დახმარების ხელი გამოეწყდებინა ჩვენთვის. მახსოვს, მისი საგნის გამოცდა მქონდა. გამოცდებს დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი და განსაკუთრებულად ვმეცადინეობდი მის საგანს. დავალება დავწერე. რამდენიმე დღის შემდეგ ბატონი ტარიელი გვეძახის. მის კაბინეტში შესვლისთანავე ჩვენი ნიშნები გამოგვიცხადა. ერთი ქულა მაკლდა უმაღლეს შეფასებამდე. ძალიან გამიხარდა. თუმცა, მან გაკვირვებულმა შემომხედა და მკითხა, რაში დაგაკელი ის ერთი ქულაო. გადავიკითხავ ნაშრომს და ვნახავ ახლავეო. გულმოდგინედ წაიკითხა ყველაფერი და თქვა: მარიამ, თავსართების და ბოლოსართების გამოყოფა დაგვიწყებია, სხვა ყველაფერი კი ძალიან კარგად დაგინერია. ამ შეცდომის გამო ქულას არ დაგაკელებო და უმაღლესი შეფასება დამიწერა. წარმოგიდგენიათ, ეს რამხელა სიხარული იყო ჩემთვის?! ქულა ისე არ გამიხარდა, როგორც ასეთი შეფასება საუკეთესო ლექტორისგან.

ყოველთვის დარჩება ჩემსა და ჩემი ჯგუფელების მეხსიერებაში მისი ჩვენდამი ნათქვამი ეს თბილი სიტყვები: „თქვენ, ყველა ერთად, ჩემთვის ხართ დაწმენდილი ბედნიერების მდინარეების შემქმნელი ანკარა ნაკადულები“.

და ბოლოს, ბატონო ტარიელ, სულ ჩვენთან, ჩვენს გულებში იქნებით და ყოველთვის ამაყად მოვიგონებთ თქვენს უკვდავ სულს.

## ლილი შაყულაშვილი

### მოგორებები ბატონ ტარიელზე

ბატონი ტარიელი, ადამიანი, რომელიც, ვფიქრობ, ყველა თავისი სტუდენტისთვის ერთნაირად ყურადღებიანი, მზრუნველი, მეგობრული და ერთგული გულშემატკივარი იყო. ჯერ კიდევ ბაკალავრიატის მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა გავიცანი. მას ჩვენთან, სამცხეში, ჩამოყავანილი ჰყავდა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სტუდენტები. ჩვენ კი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებმა, განთქმული მესხური სიდინჯითა და სტუმართმოყვარეობით ვუმასპინძლეთ და მათთან ერთად, ორი დღის განმავლობაში, მოვინახულეთ ჩვენი კუთხის ლირსშესანიშნავი ადგილები.

მახსოვს, პირველივე დღიდან საოცარი სითბო და ყურადღება გამოიჩინა ჩვენ მიმართ, თავისი უშუალობითა და მეგობრული დამოკიდებულებით ყველას კარგად დაგვამახსოვრა თავი. გამომშვიდობებისას, გამომესაუბრა და თავისი ნომერი მომცა, თან მითხრა, თუ რამე დახმარება დამტკირდებოდა, არ მომრიდებოდა და აუცილებლად დამერრეკა მისთვის.

წლების შემდეგ, როდესაც მაგისტრატურაში ჩავაპარე, აღმოჩნდა, რომ ბატონ ტარიელს, რომელმაც წლების წინ მისთვის სრულიად უცხო სტუდენტს მომცა ნომერი და დახმარებასაც დამპირდა, ჩემთვის უნდა ესწავლებინა. არ დაგიმალავთ და, მართლა ძალიან გამიხარდა, რადგან გამიმართლა და მისი სტუდენტი უნდა ვყოფილიყავი; ვიცოდი, როგორი მეგობრული და მამაშვილური დამოკიდებულება ჰქონდა თავის სტუდენტებთან. მიმაჩნია, ასეთი ურთიერთობა ლექტორთან ნებისმიერი სტუდენტისთვის ფუფუნება იქნებოდა.

ლექციები ყოველთვის საინტერესოდ და სახალისოდ მიმდინარეობდა, ხშირად ვკამათობდით რაღაც საკითხებზე, არ ვიცი, როგორ ახერხებდა, მაგრამ ყოველთვის იმ დასკვნამდე მივდიოდით, რომ ბატონი ტარიელის მოსაზრება ჭეშმარიტი იყო, თან ისე ახერხებდა ამ ყველაფერს, რომ ჩვენვე გამოგვქონდა თავდაპირველი მოსაზრების სანინაალმდეგო დასკვნა. თუმცა, იყო ერთი

შემთხვევა, როდესაც ბოლომდე ჩემს მოსაზრებაზე დავრჩი და ვერაფრით მათქმევინა სანინაალმდეგო. ამ ამბავს ხშირად ვიხსენებ და ყოველთვის მეღიმება. ერთ-ერთ ლექციაზე დაგვისვა კითხვა: რამდენი ბრუნვაა ქართულშიო? მე უცებ ვუპასუხე, შვიდი მეთქი!

– მაგას საიდან ამტკიცებ? – მკითხა ღიმილით.

– მე არსაიდან, აკაკი შანიძემ დამტკიცა და მე, უბრალოდ, ვისწავლე, თან ვეთანხმები-მეთქი.

– არ არის შვიდი ბრუნვა, ექვსია და წოდებითი არ არის ბრუნვა, უბრალოდ მიმართვის ფორმაა – მითხრა მან.

მე ჩემს ნათქვამს არაფრით არ გადავუხვიე, რის შემდეგაც მითხრა: „თუ დამიმტკიცებ, რომ წოდებითი ბრუნვაა, ძეგლს დაგიდგამ ხაშურში“.

გამიკვირდა – ხაშურში რატომ, ბატონი ტარიელ-მეთქი!?

– ხშირად მიწევს ხან თბილისში, ხან ქუთაისში და ხანაც ახალციხეში სიარული და ხაშურის გავლა ყოველთვის მიხდება, ყველა გავლა-გამოვლაზე რომ დავინახო შენი ძეგლი, მაგიტომო.

საოცარი ადამიანი იყო, ძალიან თბილი, მზრუნველი, ყურადღებიანი, მხიარული და ხალისიანი. სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული და როდესაც საქართველოზე იწყებდა საუბარს, მისი თვალები სხვანაირად ანათებდა, ხმაც ეცვლებოდა რაღაცნაირად, მის ხმასაც და თვალებსაც აშკარა დიდი სიყვარული ემჩნეოდა, ვფიქროს, უზომოდ უყვარდა საქართველო და ტკიოდა მისი ტკივილი. დღეს კი... დღეს თავად იქცა საქართველოს ტკივილად. ვწუხვარ და მეც ძალიან მტკივა, როგორც რიგით ქართველს და როგორც ერთ-ერთ მის სტუდენტს...

## ნინი ჩეკურიშვილი

\*\*\*

მე ვიცნობდი ბატონ ტარიელ ფუტკარაძეს. მახსოვს მისი პიროვნება, რომელიც ურთიერთობისას ყოველთვის დადებით ემოციებს იწვევდა. როდესაც უნივერსიტეტის დერეფანში შემხვდებოდა, გაიღიმებდა, მომესალმებოდა, მეც, რა თქმა უნდა, მივესალმებოდი, შემდეგ მკითხავდა: „როგორ ხარ?“ და ასე, მოკითხვა – მოკითხვით მივუყვებოდით დერეფანს. უნდა აღვნიშნო, რომ ზედმეტ სახელსაც მეძახდა – „ფერადი გოგო“, მე ამაზე, ბუნებრივია, არ ვპრაზდებოდი ან რა იყო გასაბრაზებელი?! ვგრძნობდი მისგან ჩემდამი კეთილგანწყობას. ხშირად ასეც მოუმართავს – „შვილო“ და ეს კიდევ უფრო გვიოლებდა ურთიერთობას და გვაახლოებდა. მას თავის სტუდენტებთან ყოველთვის მამაშვილური დამოკიდებულება ჰქონდა...

უნდა გავიხსენო ერთი ექსკურსია. ივნისის დასაწყისში ხევსურეთში მეორე კურსის ფილოლოგების ჯგუფი მიყავდა, (რამდენიმე ფილოლოგთან ბევრი სახალისო მოგონება მაკავშირებს, ბევრი გვიცინია, ზოგჯერ ბატონ ტარიელთან ერთადაც გვიხუმრია... მათთან დღესაც კარგი უთიერთობა მაქვს, რომელიც, ვფიქრობ, წლები გაგრძელდება...). ჩემს მეგობრებთან ერთად ხევსურეთში მინდოდა წასვლა, მაშინ ვფიქრობდი, ბატონი ტარიელი დამრთავდა თუ არა ნებას, რომ წავსულიყავი მათთან ერთად; და ბევრი ფიქრის შემდეგ ქართველოლოგის ცენტრში შევედით მე და ანა მამუკაშვილი, რომელიც ბავშვების სიას წერდა და კონკრეტულ საკითხებზე სასაუბროდ აპირებდა შესვლას... კაბინეტში შევედით, სადაც ბატონ ტარიელთან ერთად სოფო კეკუაც დაგვხვდა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ლექტორი და მეგობარია; ბატონ ტარიელს ექსკურსის საკითხების გარკვევის შემდეგ ჩემი სურვილიც ვუთხარით, მან კი ღიმილით გვითხრა: – „რა პრობლემაა, შვილო, აბა, შენ გარეშე როგორ წავალთ?“ ამის შემდეგ ცოტა ვიცინეთ... მისმა ასეთმა დამოკიდებულებამ ძალიან გამახარა და მადლობა გადავუხადე. იგი ბუნებით დიდსულოვანი ადამიანი იყო, თითქმის ყველასთან კეთილგანწყობილი.

ბატონი ტარიელი ხევსურეთში დიდ მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენდა ბავშვების უსაფრთხოებისთვის. იქ მოვინახუ-

ლეთ როშკა, აბუდელაურის ფერადი ტბები და საღამოს დაბრუნებულებმა აღვნიშეთ ჩვენი შეხვედრა, ძალიან კარგი საღამო იყო – ბევრი საინტერესო თემა და სახალისო ამბავი მოვისმინე. იქ უფრო ახლოდან გავიცანი ბატონი ტარიელი, რომელიც პიროვნულ ღირებულებებს სცემდა პატივს, უყვარდა ნამდვილი ადამიანები და ურთიერთობდა მათთან...

ძალიან დამწყდა გული დიდი ენათმეცნიერის, პატრიოტისა და ერთ-ერთი საუკეთესო ლექტორის, ბატონი ტარიელ ფუტკარაძის უდროოდ გარდაცვალების გამო.



## ნინო ჩილოშვილი

\*\*\*

მისი სახელი პირველად მაშინ გავიგე, როდესაც პირველი კურსის პირველივე ლექციის შემდეგ აღფრთოვანებას ვუზიარებდი ჩემზე ერთი კურსით წინ მყოფ, ასევე ფილოლოგის მიმართულების სტუდენტ გოგონას, იმის შესახებ თუ როგორ მომენტია პირველი ლექცია, მან კი მიპასუხა: „შენ ფუტკარაძე უნდა ნახო“.

ეს სიტყვები ჩემდა უნდა უნდა ჩამებეჭდა გონებაში და რამდენიმე დღე ველოდი, როდის შევხვდებოდი „ფუტკარაძეს“. მისი ლექცია „ფონეტიკის შესავალი“ ხუთშაბათობით გვქონდა. პირველივე ლექცია აქტიური, კითხვა-პასუხის რეჟიმით გახალისებული და დასამახსოვრებელი იყო. პირველივე ლექციაზე ვიკამათეთ... და ასევე პირველივე შეხვედრაზე მივხვდით, რომ ეს ის ადამიანი იყო, ვისი იმედიც შეგვეძლო გვქონდა. მისი კაბინეტი სხვადასხვა საკითხით განაწყენებული სტუდენტების თავშესაფრად გადაქცეულიყო, ყველას ეიმედებოდა, რომ მისი დახმარებით იპოვიდა სამართალს, რადგან ყოველთვის ახალგაზრდების დიდი გულშემატკივარი და მეგობარი გახლდათ.

რთულია ბატონ ტარიელზე რაიმე ერთი კონკრეტული გაიხსენო, რადგან მასთან ყოველი შეხვედრა განსაკუთრებული იყო. გასწავლიდა, გამხნევებდა და გავსებდა მოტივაციით, რომ გამხდარიყავი უკეთესი. მისგან არამხოლოდ პროფესიულ, არამედ ცხოვრებისეულ რჩევებსაც ვიღებდით. სწორედ მისგან მოვისმინე ჩემი ცხოვრების საუკეთესო რჩევა: „ადამიანებს ისე უნდა მოექცე, როგორც შენ გეკადრება და არა ისე, როგორც ისინი იმსახურებენ“. მას შემდეგ, მუდმივად ვცდილობ, სწორედ ასე წარვმართო ჩემი ცხოვრება და იმისათვის, რომ ეს ადამიანი მასოვდეს, მანამ, სანამ ცოცხალი ვარ, მხოლოდ ეს ერთი რჩევაც საკმარისია.

მისი წასვლით ყველას თავისი წილი ტარიელ ფუტკარაძე დააკლდა, რადგან ყველას მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. სტუდენტებსაც ყოველთვის ესაუბრებოდა არა ისე, როგორც აუდიტორიის წევრს, არამედ, როგორც პიროვნებას, ადამიანს კი ყველაზე მეტად ასეთი პირადი საუბრები ამახსოვრდება. სწორედ ამიტომ აქვს მასზე ყველას ამდენი მოგონება,

რომელთაგანაც ყველაფერს ფურცელზე ვერ გაიტან, არამედ ამ მოგონებებით შეკავშირებული ადამიანების წრეში მოიგონებ ღიმილით და ყოველ ამ ღიმილშიც გაცოცხლდება ჩვენი მასწავლებელი, რომელიც, გარდა პროფესიისა, ცხოვრებასაც გვასწავლიდა.

ბოლოს სამაგისტრო გამოცდაზე ვნახე, აუდიტორია სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებით იყო სავსე; ჩემი დანახვისას მათ უთხრა, რომ მე მის ხელში გაზრდილი სტუდენტი ვიყავი... განსაკუთრებული სიამაყე ვიგრძენი მაშინ; და ვამყობ დღესაც იმით, რომ ბატონი ტარიელი ჩემი მასწავლებელი იყო.

მახსოვს ხევსურეთში ექსკურსიაზე ყოფინისას ჩვენი გაოცება მისი ენერგიით, იგი ყველა იქ მყოფ პირველკურსელ სტუდენტზე უფრო ახალგაზრდა და ენერგიული იყო, ჩვენ დალლილობისაგან ძლივს ვაგრძელებდით გზას, მას კი დალლილობა ოდნავადაც არ ემჩნეოდა, ისე ლაშქრავდა როშკის მთებს და დანარჩენებს ეხმარებოდა. ალბათ, სწორედ ამიტომ წავიდა უდროოდ, რომ ასეთი მხნე და ენერგიული დარჩენილიყო ჩვენს მახსოვრობაში, ალბათ, არ უნდა გვენახა წლებით დაუძლურებული ტარიელ ფუტკარაძე.



## რუსუდან ჩორგოლაშვილი

\*\*\*

მაშინ, როცა მობილობით ჩემს ამჟამინდელ უნივერსიტეტში გადმოვედი სასწავლებლად, ტარიელ ფუტკარაძის სახელი და გვარი გაგებული მქონდა და მის ნაშრომებსაც კარგად ვიცნობდი. თუმცა არ ვიცნობდი ყველაზე მთავარს – მის პიროვნებას.

სამწუხაროდ, პირველ სემესტრში მისი გაცნობა ვერ მოვახერხე, მეორე სემესტრიდან კი აქტიურად დავიწყე ლექცია-სემინარებზე დასწრება დისტანციურად (კორონა ვირუსს ფონზე).

მახსოვს, პირველივე ჩართვაზე (პირველი შევედი ლექციაზე), მკითხა, ვინ არის ეს თვალებპრიალა გოგო, ჩემი ბიჭის არ იყოს, შენც რა ლამაზი თვალები გქონიაო. მალევე გავშინაურდი, უცებ მეგონა, რომ ეს სწორედ ისეთი ადამიანი და ლექტორი იყო, როგორსაც მე ვეძებდი გზის გამკვლევად და ისეთი, ვის გამოც შევიცვალე უნივერსიტეტი. მაქებდა, ყოველთვის ცდილობდა აემაღლებინა ჩემი თვითშეფასება და გამეცეთებინა შესაძლებლობების მაქსიმუმი. პირველ ლექციაზე კი თავი იმით დამამახსოვრა, რომ თავის ფეისბუქგვერდზე დაწერა სტატუსი, სადაც მიმართავდა მობილურ ოპერატორებს, გაეიაფებინათ ინტერნეტ ტარიფები სტუდენტებისთვის, რათა ჩვენთვის უფრო მეტად ხელსაყრელი ყოფილიყო აღნიშნული პაკეტები. ამის შემდეგ კი აგრძელებდა ჩემს განცვიფრებას ყოველ ლექციასა თუ სემინარზე. ვინ იფიქრებს მთაში ინტერნეტის გარეშე დარჩენილ სტუდენტზე და ვინ ჩაიბარებს ფინალურ გამოცდას ტელეფონით?! ის ფიქრობდა!

ზაფხულში, აგვისტოს ბოლოს, მაშინ, როცა რამდენიმე დღეში უკვე უნდა წამოვსულიყავით თბილისში, უცებ, სრულიად მოულოდნელად, გამახსენდა ტარიელ ფუტკარაძე და ისე მოხდა, რომ საღამოს, პარკთან მარტო მოსიარულე დავინახე. წითელი შორტი და თეთრი მაისური ეცვა, ან პირიქით და ძალიან გარუჯული იყო. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა არა „ონლაინ“, არამედ პირადად შევხვდი. მივედი... იმ წამსვე მიცნო და მომიკითხა. ბატონი ტარიელ, როგორ ახალგაზრდულად გამოიყრებით-მეთქი, მან კი მისასუსა: „ხო, ოცდახუთი წლის ვხდები ახლა“... ბევრი ვიცინეთ და რადგან მეჩქარებოდა, სწრაფად წამოვედი.

სულ ვიხსენებ იმ დღეს, როგორ გაგვიხარდა ერთმანეთის ნახვა, კიდევ რამდენჯერ შეიძლებოდა გამხარებოდა... ძალიან მტკიცა გული, რომ ვერ მოვაგროვე იმდენი მოგონება, რამდენიც – სხვებმა. თეთრი შურით მშურს იმ სტუდენტების, რომლებმაც მის ხელში დაამთავრეს უნივერსიტეტი და მასთან ერთად უამრავი რამ გაიარეს... ცრემლები თავისით მდის, როგორც კი მახსენდება, რომ ბატონი ტარიელის ლექცია აღარ ჩატარდება და აღარ შემეძლება მისი სიტყვების, დარიგებების, რჩევების მიღება, მისი საუბრის მოსმენა, პოლემიკა ან თუნდაც, უბრალო საუბრები სამშობლოზე, რომელიც ასე უყვარდა და, რომელზეც სიცოცხლის ბოლომდე ფიქრობდა...

მენატრებით!



ანი ცუხიშვილი

ჩემი ქვეყნის მასში და მეგობრი

2014 წლის 15 სექტემბერი, პირველი დღე უნივერსიტეტში... ამ დღეს პირველკურსელთათვის მისალმების ცერემონიალი იმართებოდა... პროფესორ-მასწავლებლები კიბეზე დგანან, მე კი ეზოს ერთ კუნძულში, ინტერესით შევყურებ მათ და ვცდილობ პირველი შთაბეჭდილება შევიქმნა. უცებ ჩემი მზერა ხვდება ტარიელ ფუტკარაძეს (მაშინ არც სახელი ვიცოდი და არც გვარი), გულში გავითიქრე: ნეტავ მასწავლოს-მეთექი... აგიხდეს კუველაფერი კარგიო, რომ იტყვიან, ზუსტად ისე მოხდა. სწავლის დაწყების მეორე დღეა; შემოიხედა აუდიტორიაში: „მაშ, ესენი არაან პირველკურსელი ფილოლოგები? ძალიან კარგი, ხვალ გავიცნობ ლექციაზე (ჩვეული ღიმილი სახეზე)!“ გულწრფელად გამიხარდა. მაშინ არ ვიცოდი, რა იყო მიზეზი ამ კეთილგანწყობისა მის მიმართ...

პირველი ლექციიდანვე რატომღაც ყოველთვის განსაკუთრებული გულმოდგინებით ვსწავლობდი მის საგნებს; მოუთმენლად ველოდი ხოლმე ოთხშაბათ დღეს (ახლაც მახსოვს, ოთხშაბათს გვქონდა ფონეტიკის ლექცია). ამასობაში კი დღითი-დღე იზრდებოდა ჩემი პატივისცემა და სიყვარული მის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის მზად ვიყავი სემინარებისთვის, აქტიურობით არ გამოვირჩეოდი. ვინც ბატონ ტარიელს იცნობს, ალბათ, ეცოდინება მისი, როგორც ფსიქოლოგის შესაძლებლობები. მას შეეძლო თვალებში ამოეკითხა ვის უჭირდა, ვის რა ინტერესი ჰქონდა... შემდეგ, ისე დაგინყებდა საუბარს და შენც ისე გადაუშლიდი გულს, ვერც კი ხვდებოდი. ჰოდა, ერთ დღესაც თავისთვის, წყნარად, კედელთან მჯდომ ერთ-ერთ სტუდენტს, მომიახლოვდა და სრულიად მოულოდნელად მეუბნება: „საგამოცდო საკითხების შედგენაში შენ დამეხმარებიო“. ეს იყო პირველი დავალება, რომელიც სასემინარო მასალის მომზადებას არ ეხებოდა. თუმცა, მერე მიეხვდი, რომ ეს ერთგვარი „ხრიკი“ აღმოჩნდა ჩემთან დაახლოებისა. ამის შემდეგ ნელ-ნელა გადმომიშალა ჩემი ფსიქოლოგიური პორტრეტი წინ და დაიწყო იმ ყველაფრის მონესრიგება, რაც მანუხებდა. პირველი ნელი ისე ჩავამთავრე, არც კი მიფიქრია მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება, მაგრამ მან შეძლო და მომჯა მოტივაცია, რწმუნა და თავდაჯერებულობა.

ბატონ ტარიელს შეეძლო ნაპერწკლის ანთება ადამიანის გულსა და გონებაში და მერე თვითონწვე გეხმარებოდა მის გაღვივებაში; ჩემ შემთხვევაში ასე იყო. ყოველთვის მომიწოდებდა, რომ უფრო მეტად გამბედავი, აქტიური ვყოფილიყავი; მოდუნების საშუალებას არ მაძლიერდა.

ლექციებს თითქმის არ ვაცდენდი, მით უმეტეს, უმიზეზოდ. თუ მომინევდა გაცდენა, აუცილებლად მკითხავდა, რატომ არ ვიყავი მის ლექციაზე, რამე ხომ არ მიჭირდა (პირველად გამიკვირდა და თან გამიხარდა კიდეც, ამდენ სტუდენტს ხვდება და ჩემი არყოფნა როგორ შეამჩნია-მეთქი). მისი ლექციები მხოლოდ კონკრეტული საგნის სწავლებას არასოდეს მოიცავდა, ძალიან ბევრ რამეს გვასის ვკვირდა (კხოვრებისეულს.

ბატონი ტარიელის ურთიერთობა და დამოკიდებულება სტუ-  
დენტებისადმი, მისი სწავლების მეთოდების „ვრცელი პალიტრა“  
(როგორც თვითონ მითხრა ერთხელ), ვფიქრობ, ერთგვარი სახელ-  
მძღვანელო უნდა იყოს მომავალი მასწავლებლების/ლექტორები-  
სათვის. მას ჰქონდა თავისი თეორიები და შეხედულებები ამა თუ  
იმ საკითხზე, მაგრამ თავს არასოდეს გვახვევდა მას. გაგვაცნობ-  
და სხვა მეცნიერთა თვალსაზრისებს და დასკვნის გაკეთებას ჩვენ  
მოგვანდობდა, ოღონდ მყარი არგუმენტებით განმტკიცებულს.  
ლექციაზე ყველას სათითაოდ გვკითხავდა აზრს კონკრეტულ  
საკითხზე და ამით „გვაიძულობდა“ გვეტაროვნა.

როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო და მუდამ იბრძოდე მისი ერთიანობისა და კეთილდღეობისთვის, ამის ეტალონია (დღევან-დელ რეალობაში) ჩემთვის ტარიელ ფუტკარაძე! მისი უმთავრესი მიზანი იყო სწორი ორიენტირებით (ხშირად იყენებდა ამ სიტყვას) აღეზარდა მომავალი თაობა, რომელზეც ამყარებდა თავის იმე-დებს და რომელთა ხელშიც უნდა დაეტოვებინა თავისი საფიცარი სამშობლო!

მასთან ყოველი შეხვედრისა და საუბრის შემდეგ რაღაც აუცილებლად მემატებოდა, ვიზრდებოდი. უფრო მეტად დაკვირვებული და ყურადღებიანი ვხდებოდი.

„Այլուրածագ սնճա ցազօնեցն პորզելո յելքուրսօն (րամդեն-  
յերմյ զոյսազոտ յելքուրսօնասա և յելքեգութամի մաստան յրտագ) ...  
ზոցագագ, ամ գրոս պարոր կարցագ օւնոնեցն ադամունեցի յրտ-  
մանցուն. անանյուրն մովզեգոտ, նշումձա, տամբու սամոննունքամ մանը”

ვერ შეგვიშალა ხელი. ყველასათვის ცნობილია, რომ ყოველთვის სიმაღლეების დასაპყრობად მიიწვევდა ბატონი ტარიელი; არც ანანურის კოშკი ყოფილა გამონაკლისი. წამებში აძვრა კოშკის წვერზე და იქიდან გვესალმებოდა; სტუდენტებმაც მოვინდომეთ ასვლა; ზოგმა ფარხმალი დაყარა; მე მაინც მივიწვევდი ზევით, მაგრამ სანამ დახმარების ხელი არ გამომიწოდა, ვერ ავედი (ცხოვრებაში ასეა, ხშირ შემთხვევაში აუცილებელია წინსვლისათვის ვინმებ ბიძგი მოგცეს). სამახსოვრო ფორტოც მაქვს: „გამარჯვების სიხარული“ (ამ წამს მომაფიქრდა სათაური).

რა თქმა უნდა, ჩამოსვლაშიც თვითონ დაგვეხმარა. წვიმა თანდათან ძლიერდებოდა, მიკროავტობუსი კი ცოტა მოშორებით იყო. ტაძრის ეზოდან გამოსვლისას გაიხადა თავისი ქურთუკი და მეც შემიფარა მის ქვეშ (პ.ს. ჩემი საწვიმარი სხვებმა გაიყოლეს). გზას ნაკლებად ვხედავდი, ქურთუკი მიშლიდა ხელს და ვუთხარი კიდეც. ნუ გეშინია, მენდე, არსად გადაიჩეხბიო. ცხადია, ვენდობოდი, მანამდეც ხომ საკმაოდ მაღალ კოშკზე ავყევი და იმის მერც, არაერთხელ მიმინდვია საკუთარი სიცოცხლე!

ექსკურსიამ ძალიან დაგვაახლოვა სტუდენტები და ლექტორები. ამასთანავე, უნდა ალვნიშნო ისიც, რომ საღამოს ირანში მიფრინავდა, მაგრამ ჩვენი თხოვნით მაინც წამოვიდა; არც მაშინ გვაწყენინა სტუდენტებს.

ეგოისტურად აქ მხოლოდ საკუთარ თავზე ვსაუბრობ. არა და, ის მუდამ თავისი სტუდენტების გვერდით იდგა. „თუ რამე დაგჭირდეთ, პრობლემა გქონდეთ, მითხარით აუცილებლად!“ სულ ამას გვიმეორებდა და ეს სიტყვები ფუჭი არასოდეს ყოფილი! ჩვენც, სულ მისი სახელი გვეკერა პირზე: „მას ვუთხრათ, ის დაგვეხმარება“ და ა.შ.

ჩემი სტუდენტობის მოგონებები, ალბათ 95%, მასთან ასოცირდება; ყველა დეტალი ძეირფასი და მნიშვნელოვანია ჩემთვის, მაგრამ აქ მცირედით შემოვიფარგლები და ბევრს ჩემთვის შევინახავ.

2017 წელია. ერთ-ერთი საუბრისას ვთქვი, რომ მეც მინდა ტაო-კლარჯეთის ექსპედიციაში მონაწილეობის მიღება (ამ ექსპედიციების ღირებულება და მნიშვნელობა კიდევ ცალკე თემაა). მითხრა, აუცილებლად წაგიყვანო. 2017, 2018, ორივე წელს გამონახა ჩემი ადგილი, შემომთავაზა წასვლა, მაგრამ ვერა და ვერ

წავედი ფინანსური პრობლემის გამო. 2018-ში მეუბნება, წანილს მე დაგიფინანსებ და წამოდიო (ეს არასოდეს დამავიწყდება), მაგრამ უარი ვუთხარი; შეიძლება ეწყინა კიდეც, რადგან ზუსტად ვიცი, მთელი გულით შემომთავაზა. 2019 წელია და დადგა ნანატრი ივლისის თვე – მე მივდივარ ექსპედიციაში (მახსოვს, როგორ გაუხარდა, როცა გაიგო). ეს 10 დღე დაუვიწყარი იქნება ჩემ ცხოვრებაში. დეტალურად აღარ მოვყვები იქ გატარებულ დღეებზე; ემოციებით დატვირთული ჩამოვედი იქიდან. გაოცებული ვიყავი და სიამაყით ვივსებოდი, როცა უხედავდი, როგორი პატივისცემითა და სიყვარულით ხვდებოდნენ იქაური ქართველები ბატონ ტარიელს და ცხადია, ჩვენც! არტანუჯის ციხეზეც თავისი აღმოჩენილი გზით ამიყვანა და გამატარა წინაპართა ნაკვალევზე! ბედის ირონიაა, არა?! ეს იყო ბოლო ექსპედიცია მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული; პირობა შეასრულა, მაინც წამიყვანა!

ასევე, აუცილებლად უნდა ვთქვა მასზე, როგორც ხელმძღვანელზე! ორჯერ გამინია ხელმძღვანელობა: ჯერ საბაკალავრო, შემდეგ კი სამაგისტრო ნაშრომზე; მესამედაც აუცილებლად მას ავირჩევდი, მაგრამ... სრული თავისუფლება გვქონდა კვლევასა და დასკვნების გამოტანაში, არასოდეს გვზღუდავდა; მაგრამ, ამასთანავე, საოცრად მომთხოვნი იყო, ყოველთვის მოითხოვდა არგუმენტებზე დამყარებულ მსჯელობას. გვეხმარებოდა ყველა საჭირო საკითხში... შეუდარებელი ხართ, ჩემო ძვირფასო ხელმძღვანელო და მეამაყებით!

2020 წელია. ონლაინსწავლების პერიოდი. შემოდგომაზე დამირეკა, მომიყითხა, რა ხდება ახალი შენს ცხოვრებაშიო. მერე მითხრა, როცა დრო გექნება ლექციებზე დამესწარი, დამეხმარე, ასისტენტობა გამინიერ (თან ხუმრობდა ხოლმე, დოქტორანტურაში როცა ჩააბარებ, კრედიტები ჩათვლილი გექნებაო). ჩემთვის, რა თქმა უნდა, დიდი პატივი იყო ეს შემოთავაზება, მაგრამ გული მწყდებოდა, ყველა ლექციაზე შესვლას და მის მოსმენას რომ ვერ ვახერხებდი. მიუხედავად იმისა, რომ გავლილი მქონდა თავის დროზე ესა თუ ის საგანი, მაინც ყოველ ჯერზე რაღაც ახალს ვიგებდი, რადგან მისი ლექციები არასოდეს ყოფილა ერთფეროვანი. ზოგჯერ, როდესაც სალექციო პროცესში მეც ჩავერთვებოდი და მის მიერ გამოყენებულ რაიმე მეთოდს მივმართავდი (რომელიც თავისთავად ამეთვისებინა), გაუხარდებოდა, გაიღიმებდა და ამ-

ბობდა: ბავშვი იყო, რომ მოვიდა ჩემთან, ჩემი გაზრდილია (ზუსტად არ მახსოვს ბაკალავრიატის რომელ კურსზე ვსწავლობდი, მაშინ მითხრა, უნდა გაგზარდოო და შესასრულა კიდეც პირობა; უამრავი რამ ვისწავლე მისგან, მასთან ურთიერთობისას). ყოველთვის გვერდით ედგა ახალგაზრდებს, ასწავლიდა და გზამკვლევი იყო მათი. თამაშად შემძლია ამის თქმა საკუთარი მაგალითით. როგორ მინდოდა დიდხანს ყოფილიყავით ამ სამყაროში, ძალიან გვჭირდებოდით ჩვენ და ჩვენს ქვეყანას!

ჩემდა უნებურად ვაკვირდებოდი ხოლმე მის პიროვნებას და ვხვდებოდი, ის შინაგანად/ბუნებრივად იყო ასეთი; კეთილი, უმუალო, მეგობრული ურთიერთობებსა თუ დამოკიდებულებებში. მის არცერთ მოქმედებას არ დაჰკრავდა ხელოვნურობის ელფერი... ალბათ, სწორედ ამიტომ დაიმსახურა ასეთი სიყვარული და დაიმკვიდრა სამუდამო ადგილი ხალხის გულსა და გონებაში.

პანდემის პერიოდში, იძულებით ყველა ერთმანეთს დავშორდით... დროთა განმავლობაში კი ისევ ვხვდებოდი მონატრებულ ხალხს... თუმცა, ვერა და ვერ შევხვდი ბატონ ტარიელს, არა და როგორ მენატრებოდა... ხშირად ვფიქრობდი, რა მოხდება ქუჩაში მაინც შევხვდე შემთხვევით-მეთქი, თუმცა არ ამისრულდა ეს სურვილი და ისე წავიდა, ერთხელაც ველარ ვნახე ბოლო პერიოდში. დღემდე ვაცეცებ ქუჩაში თვალებს და ისევ ვეძებ, ამაოდ!

იცით, ბატონო ტარიელ, იმ მოგონებებით სავსე სკივრს, რომელიც დამიტოვეთ, გულმოდგინედ ვინახავ, რათა მომავალში წიგნებთან ერთად ჩემი თვალით დანახული თქვენი პიროვნებაც აუცილებლად გავაცნო მომავალ თაობას!

სიცოცხლის ბოლომდე მადლიერი ვიქნები უფლის, რომ გამაცნო თქვენი თავი; მადლიერი ვიქნები თქვენი, ყველაფრისთვის, რჩევა-დარიგებისთვის, იმ სიკეთისა და სიყვარულისთვის, რაც ჩემთვის გაიღეთ. სიტყვებით ვერ გამოვთქვამ, როგორ მენატრებით და მაკლიხართ!

მომავალ შეხვედრამდე, ჩემო საამაყო მეგობარო, მასწავლებელო და უბრალოდ, დიდებულო ადამიანო!

უ

## ფიქრია ჭანტურია

### „ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის“

...ნვიმდა!

მშვენიერი საღამო იყო (როგორი ბანალური ვარ!). გარეთ ფრინველების ჩურჩული ისმოდა. ბუნება დასაძინებლად ემზადებოდა. ცაზე ღრუბლის ნაფლეთები დაცურავდნენ, ღრუბლები გაცივდნენ და წვიმის წვეთებად იქცნენ. წვეთები გამრავლდნენ: ათობით, ასობით, ათიათასობით... ბოლოს, კოკისპირული წვიმა დაუშვა. ისე, სასტუმრო „მასისის“ მარცხენა მხარეს ხასხასა მწვანე ფერის ჭოროხი გადის, რომელიც დიდი ხმაურით მიედინება და შეიძლება, ის ხმაური ამერია წვიმის ხმაში (როგორც იქ ყოფილისას ყოველ ლამე), არ ვიცი, იმ საღამოს გარეთ საერთოდ არ გავსულვარ.

\* \* \*

„ადმიანის ხასიათს ყველაზე უკეთ ამჟღავნებს მისი მოქმედება გადამზევეტ (მომენტში) წუთებში“. შტეფან ცვაიგი

# ართვინი

# ოუსუფელი

# სასტუმრო „მასისი“

I სართული – სამზარეულოდან გოგონების მხიარული ხმები და შემწვარი ქათმის მადის ალმძვრელი სურნელი გამოდის.

II სართული – სიჩუმე...

III სართული – დერეფანში მიმობნეული ყრუ ბგერები...

გვიან საღამოს სამზარეულოში რამდენიმე გოგო დავრჩით, რათა მომდევნო დღისთვის საგზალი მოგვემზადებინა. მოსამზადებელ კერძებს შორის საპატიო ადგილი ეკავა ქათმის ხორცს, საპატიო ადგილის წოდება თვით ტარიელ ფუტკარაძემ მიანიჭა (ირიბად). ეს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, უკვე მეორედ, მე ავიღე, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველა ერთმანეთს ვეხმარებით. და ახლა, მრავალგზის დაფლეთილი ქათამი ელექტრო ტაფაზე (არ მეგონა, მიკროტალლური ლუმელის გამოგონების შემდეგ ცხოვრებაში რამე გამიკვირდებოდა) წითლად შიშხინებდა.

სამზარეულოს აღწერა:

სამზარეულოს კედლები ღურჯ ფერებში გადაუწყვეტია ბატონ მევლუდა (სასტუმროს დირექტორი, უფროსი-მენეჯერი, პიარ-მენეჯერი, ელექტრო-ინჟინერი, ვოკალისტი, ქალბატონ ნურსელის მეუღლე, კარგი ადამიანი...). ყველა სახის (თითქმის) და ყველა ზომის ჭურჭელი ხილულ ადგილას დევს ან ჩამოკიდებულია; ადვილად მიაგნებ სასურველ ჭურჭელს, თუკი იცი, სადაცაა... მთავარი და დიდი ადგილი (ძალიან დიდი) გაზქურას უკავია, რომელსაც მარჯვენა მხრიდან გაზის 2-3 დიდი ბალონი ამშვენებს. გაზქურის მარჯვენა და მარცხენა მხარეს დიდი მაგიდებია. მარცხენა მაგიდა ჩვენ გვაქვს დაკავებული, უშუალოდ გაზქურის მარცხენა კედელთან დევს ელექტრო ტაფა, ტაფაზე – ქათამი, ტაფასთან – მე (გაგიკირდებათ და, მე ვდგავარ (შენ დგახარ, ის დგას)!).

რამდენიმე წუთის შემდეგ:

ხასიათი – არეული.

ემოცია – შიში, ყვირილი, სასოწარკვეთა.

სამზარეულოში მყოფ გოგონათა რაოდენობა – არ შეცვლილა.

ქათამი – ისევ ტაფაზეა და ისევ შიშინებს, ამასთანავე, მკვდარიცაა.

ტაფა – ტაფა დენზეა შეერთებული, შესაერთებელი გამლევარი და მის თავზე ცეცხლი ამაყად გადმოგვყურებს (ისე აფრიალებს კაბას, გეგონება, ბოშურ ცეკვას ცეკვასო).

გაზქურა – ცეცხლთან. გაზის გიგანტური ბალონები გაზქურასთან.

ცეცხლიდან გაზქურამდე და გაზქურიდან ცეცხლამდე არც თუ ისე შოორია (ლილინით).

მოსალოდნელი საფრთხეები: გაზი აფეთქდება და სასტუმრო ჰარმში აიწევა.

**იმაზი:**

ტარიელ ფუტკარაძე! ტარიელ ფუტკარაძე! ტარიელ ფუტკარაძე! ვინაიდან და რადგანაც ჯერ მეორე სართულია და მერე მესამე, და, ვინაიდან და რადგანაც, მეორე სართულზე ბატონი მევლუდია და მესამეზეა ბატონი ტარიელი... – მეორე სართულის დერეფანი ისე გავიარე, იატაკზე ფეხი არ დამიდგამს. მივადექი ბატონი მევლუდის კარს, ვაპრახუნე და ვაპრახუნე მუშტები, მაგრამ, შენც არ მომიკვდე! პასუხი არავინ გამცა. საქმე ისაა, რომ

იმ ოთახში საერთოდ არავინ ცხოვრობდა და სულ ტყუილად და-მინითლდა ხელები. მეგობრებო, დამიჯერეთ, ღია კარის მტვრევა ჯობია იმ ოთახის კარზე ბრახუნს, სადაც კაციშვილის ჭაჭანება არაა. შენ ხარ ჩემი ბატონი, გავაღვიძეთ ბატონი მევლუდი, ყოველშემთხვევაში, ასე გვეგონა...

გვანცა და მე მესამე სართულზე მივრბივართ:

გვანცა: – ავთანდილთან, ჩქარა!

მე: – ჰო, ჰო!

მე: – მოიცა, ვინ ავთანდილთან?

გვანცა: – ავთანდილთან, ავთოსთან...

ექსპედიციის წევრთაგან ავთანდილი არავის ჰქვია.

მივადექით ტარიელის კარს (გემოვნების საკითხია – ვილაცას, „ვეფხისტყაოსნიდან“ ავთანდილი უფრო მამაცად ჩარჩა გონებაში, ვილაცას – ტარიელი).

გვანცამ ჩვენი ექსპედიციის ხელმძღვანელის ოთახის კარი კაკუნით კინაღამ კი არ ჩამოილო, – ჩამოილო! (ამ დროისთვის ყველას ეძინა; ჯერ ერთი, ძალიან გვიანი იყო და, ამასთანავე, ყველა ძალიან დალლილი გახლდათ) ბატონ ტარიელს დავუტოვეთ „ჩამოღებული“ კარი და სამი სიტყვა: „ჩქარა, ქვემოთ ხანძარია!“

ბატონი ტარიელი წამოგვენია და გაგვასწრო კიდევაც. მორბოდა, მაგრამ სირბილსაც გააჩინია და სირბილსაც... ცეცხლი დაინახა თუ არა, ერთხელ ესე თქვა: „ვა მეო“, სხვად არას მოუბარია“, უცებ მკლავნი გაიმამაცურნა და ფიცხლად მიეჭრა ცეცხლს, რომელიც ბოშა ქალიდან ცხრათავიან დევად ქცეულიყო და ყელში ჩააფრინდა.

ნერიმანი, თინათინი, გვანცა, ნათია, მარიამი, მე: „ბატონო ტარიელ, არ გინდაააააათ, გამოდიით!“

გულის სიღრმეში ყველას გვინდოდა, რომ ცეცხლი ვინმეს ჩაექრო და რეალური, დიდი საფრთხე თავიდან მოეშორებინა. ამ უიმედობის უდაბნოში ოაზისი უვეფხისტყაოსნო ტარიელი იყო (რომლის სიმარდის და გამბედაობის ჩვენთვის კარგად ნაცნობ უცხო მოყმესაც კი შეშურდებოდა), მაგრამ სწორედ ეს გვკბენდა გულზე გველივით, რომ დასაღუპად ვუშვებდით მას...

დიპლომატიური მანერებითა და მიმართვით, ოთახში მყოფი ყველა გოგო (-1) (დანარჩენებს ჯერ კიდევ ეძინათ, კაცებსაც) კარმი გაისტუმრა. მაგრამ მე ხომ ვიყავი იქ და ხომ ვხედავდი,

რომ ეს არ იყო დიდ პრობლემაზე გამკლავების ტარიელისებური მყისიერი ქმედება, ეს იყო წმინდა წყლის თავგანწირვა: ადამიანი იდგა და შესველი ხელებით ებრძოდა სტიქის, ჩვენს გადასარჩენად (ადამიანი, რომლის სხეულშიც მრავალგზის გაივლის დენი და ამის შემდეგ, უფრო გაბობოქრებულ ცეცხლთან ჭიდილს გააგრძელებს, იმის თქმა, რომ საკუთარ თავზეც ფიქრობდა ალბათო, მტკნარი სიცრუეა და სიმართლესთან არავითარი კავშირი არ აქვს).

დრო ერთ ადგილას გაიყინა.

ბატონი ტარიელი კვლავ გაშმაგებით იბრძოდა.

(„დამავიწყდეს, რაცა დღენი მხიარულსა წამეარნეს“).

გული მიკვდებოდა, რომ ვერაფერს ვშველოდი. ჩემი მასთან ახლოს მისვლა ხელს შეუშლიდა, თანაც, არც ძალა მქონდა სიტუაციის შესაბამისი და არც გამბედაობა.

ბატონი ტარიელის სახეზე სიმტკიცე ერთი წამითაც არ გამქრალა – იყო უდრევი და ჯიუტად მებრძოლი.

გაზის სამი ბალონი, როგორც პაემანზე მომლოდინე ვაჟი სატრფოს, უცდიდა, როდის მოვიდოდა ახლოს მყოფი ხანძარი მასთან. იოტისოდენა სისუსტე, შეცდომა და სასტუმრო ხალხიანად ისე გადაიქცეოდა წაცარტუტად, რომ გამოსვლას ვერავინ მოასწრებდა.

მან ეს მოახერხა! რამდენიმე წუთში დიდი პრობლემა აღმოფხვრა, გადაგვარჩინა და თვითონაც გადარჩა (აյ უკვე ბედისწერის ხელი ერია).

ცეცხლი ჩააქრო ბატონმა ტარიელმა და „მისმან შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე“.

# ართვინი

# იუსუფელი

# „მასისი“

III სართული – სიჩუმე და უდრტვინველი ძილი.

II სართული – კიბეებზე ვიღაც ხმაურით ჩამორბის (ბატონ მევლუდს გაეღვიძა).

I სართული – ბატონი მევლუდი ჩამოვიდა და ცეცხლის ბოლო ნაპერნკალს სული შეუბერა.

ვხალისობთ, ვხუმრობთ, ვიცინით და ტელეფონის წინა კამერით სურათებს ვიღებთ.

III სართული – ისევ სიჩუმე და უდრტვინველი ძილი.

„ყოლა ლინითა ვერ იამებს კაცი ჭირთა გარდუხდელი“.

ვიღაცისთვის მოვალეობის გრძნობა პატარა შენაკადია, ბატონი ტარიელისათვის კი ის მდინარე, რომელსაც ყველა შენაკადი უერთდება – ეს სასხვათაშორისოდ.

მოვალეობა სხვა, გააკეთო ის, რაც შენს ძალებს აღემატება (თუმც, რომელიმე ინდივიდის ძალებზე სრულ ინფორმაციას საეჭვოა, ვინმე ფლობდეს), – თავი გადადო, საკუთარი თავი სხვებს შესწირო (მაშინ, როცა ვიცით, რომ ადამიანს ყველაზე მეტად საკუთარი თავი უყვარს) – სხვა, – ეს ადამიანობის მაღალი ხარისხია.

\*\*\*

ხანძრიდან რამდენიმე დღის შემდეგ:

მე: – ბატონი ტარიელ, რისი გეშინიათ? რამის გეშინიათ საერთოდ?

ტარიელი: – ყველაფრის!

მორალი: სადაც ბატონი ტარიელია, ნურაფრის შეგეშინდებათ! დიალექტოლოგიური ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში 2016.



Tariel Putkaradze

1. მძიმე წუთებიც კი იუმორით შეგიზავბია?! ყოჩაღ!
2. ქათამი ისედაც მკვდარი არ იყო შეწვამდე?
3. ასე იცის მარხვაში ქათმის დელივატესობამ 😊
4. კიდევ კარგი იქ არ იყო ჯ :))
5. ვისაც არაფრის ეშინა, გულუბრყვილო ბავშვია, გიყია ან სულელი; ვისაც ეშინა, მაგრამ მინც უშიშრად მოდის წინ, საქმე გამოუვა 😊 ისე, მაშინ მთელი ჩემი ცხოვრება და, ასევე, გაზის ბალონების აფეთქების შემდეგ რა მითქა-მოთქმა წავიდოდა, ყველაფერი თვალწინ ცხადლივ დამიდგა

\*\*\*

ჩემთვის ძალიან მტკიცნეულია ბატონ ტარიელზე ვისაუბრო წარსულში... ბატონი ტარიელი, საოცარი პიროვნება იყო, არის და იქნება სამუდამოდ... 4 წლის წინ, როცა პირველად შევე-დი აუდიტორიაში, პირველი, ვინც გაგვეცნო, ბატონი ტარიელი იყო, მომლიმარი სახით, მხიარულად, სითბოთი და სიყვარულით გვიმზერდა, გულში ჩაგვიკრა და განსაკუთრებულ სტუდენტებად წარმოგვადგენინა ჩვენი თავი. მისთვის არ არსებობდა კარგი და ცუდი სტუდენტი, სწორედ ამიტომ ვცდილობდი ყოველთვის მისი დარიგებისთვის განსხვავებულად მესმინა. სამწუხაროდ, ახლა ამის ბედნიერება აღარ მაქვს და დამრჩა მხოლოდ მოგონებები, რომლებიც წარუშლელია ჩემს ცხოვრებაში.

ძალიან ბევრი მინდა ვისაუბრო თითოეულ დღეზე, როცა მას-თან შეხება მქონდა, მის რჩევებზე, მამაშვილურ მოკითხვასა და დარიგებაზე, ვერ მოვთვლი, რამდენჯერ დამდგომია გვერდით და დამხმარებია, მისი ამაგი ჩემზე ძალიან დიდია, ამიტომ არას-დროს დამავიწყდება მასთან გატარებული დღეები. მაშინაც კი, როცა ჯერ კიდევ მისთვის არ ვიყავი კარგად ნაცხობი სტუდენტი, დაუფიქრებლად ამომიდგა მხარში და სწორედ მაშინ მივწვდი, რომ ბატონი ტარიელის მსგავსი ადამიანები იშვიათია. ადამიანი, რომელიც უანგაროდ ეხმარებოდა სტუდენტებს და გვაწვდიდა ცოდნას დაუღალვად, სწორედ ასეთი იყო ბატონი ტარიელი. ბედ-ნიერი ვარ, რომ მომინია მასთან ერთად ხევსურეთის ექსპედიციაში მონაწილეობა, წარმოუდგენლად დიდი გამოცდილება მივიღე სამი დღის განმავლობაში. ყოველთვის ბედნიერად გამახსენდება იქ გატარებული წუთები. სამწუხაროა, რომ აღარ განმეორდება...

დაუსრულებლად მინდა ვისაუბრო ბატონ ტარიელზე, უდი-დესი დანაკლისია სტუდენტებისთვისა და ჩვენი ქვეყნისთვის მისი წასვლა ამ ქვეყნიდან, მისი სიცოცხლის ყოველი დღე იყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ გაემთლიანებინა და გაემყარებინა სიყვარული და ერთობა ადამიანებს შორის. ვფიქრობ, გრძნობს ჩვენს სიყვა-რულს და მინდა უდიდესი მადლობა გადავუსადო ყოველი დღის-თვის, მენატრება და სული მტკიცა. მე ვამაყობ, რომ პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სტუდენტი ვიყავი.

\*\*\*

უნივერსიტეტის პირველი დღე, რომელიც ყველაზე ამაღელ-ვებელია თითოეული სტუდენტისთვის, ჩემთვის ღრმა ემოციებით იყო განმსჭვალული. მახსოვს ლექტორი, რომელმაც პირველივე დღეს დამამახსოვრა თავი. არაერთი ლექტორი მიესალმა სტუდენ-ტებს, მაგრამ ეს პიროვნება ნამდვილად გამორჩეული იყო. შეუ-ძლებელია ვინმეს გამორჩენოდა მისი თბილი, კეთილი თვალები, მეგობრული მზერა, რომელიც თითოეულ ჩვენგანში იმედსა და ნდობას აღვივებდა.

ფილოლოგია, როგორც სპეციალობა, ამარჩევინა ლიტერა-ტურისადმი განსაკუთრებულმა დამოკიდებულობამ. ენათმეც-ნიერება? არ მიყვარდა, რადგან მირთულდებოდა მისი შესწავლა, მაგრამ გვყავდა ტარიელ ფუტკარაძე, რომელიც ამსხვრევდა სტე-რეოტიპებს; ის, ჩვენ, სტუდენტებს გვაჩვენებდა, რომ ენა არ არის მხოლოდ გრამატიკა, ეს არის ფართო და მასშტაბური არეალის მქონე მეცნიერება, რომელსაც ჩვენს მეობამდე და იდენტობამდე მივყავართ. მისი საყვარელი სიტყვა იყო „მეობა“ და მე სულ ვც-დილობ ეს სიტყვა გამოვიყენ; მიყვარს, რადგან მის თავს მახსე-ნებს. სტუდენტი უყვარდა, როგორც ადამიანი. მისთვის ყველა თანასწორი ვიყავით, გვიღებდა, როგორც საკუთარ შვილებს. ის იყო მეგობარი, მამა, თანატოლი, თანასწორი, ვერ ვგრძნობდით, რომ ის ჩვენზე რამით წინ იყო.

არასოდეს დამავიწყდება მისი პირველი ლექცია, ტვინში ღრ-მად არის ჩაბეჭდილი მისი თითოეული სიტყვა. ის რჩევები, და-რიგებები თან დამსდევს და არასდროს მტოვებს მარტო. ეს არ იყო უბრალო ლექციები, ეს იყო შემცნება, საკუთარი თავის პოვნა. გვაყვარებდა სამშობლოს, მის თითოეულ კუთხე-კუნფულს, გვაცნობდა ყველა კუთხის ხალხს თავისი წეს-ჩვეულებებით, ჩაც-მულობით, ცხოვრების სტილით.

ყოველთვის გვერდით მედგა, როცა მჭირდებოდა. ის იყო ჩემი დიდი იმედი, როგორც კი პრობლემას წავაწყდებოდი, ვრეკავდი: „ბატონი ტარიელ, გვიშველეთ-მეთქი“. ისიც ღიმილიანი ხმით მეტყოდა, ყველა პრობლემის მოგვარება შეიძლებაო, დიას ასეთი იყო ბატონი ტარიელი, აგვარებდა ყველა პრობლემას, რაც კი

შეეძლო. ზოგისთვის შეიძლება უცხო იყოს ის, რომ ლექტორი სტუდენტს სწავლის საფასურის დაფარვაში დაეხმაროს, მაგრამ ჩემთვის ეს სავსებით ჩვეულებრივი ამბავია, მე ვიცნობდი ასეთ კაცს, ის ბატონი ტარიელი გახლდათ, არაერთ სტუდენტს დახმარებია. ოლონდ გესწავლა, ყველაფერში გვერდით დადგომა იცოდა, თან გადაგყვებოდა სრულიად უანგაროდ, მთელი გულით.

თითოეულ სტუდენტს აყვარებდა საგნებს, რომელთაც მათ ასწავლიდა. სათითაოდ გვამეორებინებდა, სიცილ-კისკისში გვიხსნიდა თემებს, გვაყვარებდა, გვათავისებინებდა, გვაანალიზებინებდა, ეს არ იყო უბრალო დაზეპირება, ეს იყო გააზრება იმ ყველაფრისა, რაც სურდა ჩვენამდე მოეტანა, ის არ იყო უბრალო ადამიანი, ის იყო მასწავლებლად დაბადებული, რომელიც ჩვენგან მხოლოდ ხორციელად წავიდა, სულიერად მუდამ ჩვენს გვერდით იქნება; მის სტუდენტებს გვემახსოვრება, როგორც ყველაზე სანდო, მეგობრული, საოცრად თბილი. ჩვენი ყველა შეხვედრა იწყებოდა გულთბილი მოკითხვით, ყოველთვის იცოდა კითხვა, რამე ხომ არ მჭირდებოდა, გვქინდა თუ არა რამე პრობლემა. არ არსებობდა გულისტყვილი, რომელიც მას არ ესმოდა. ის იყო ჩემი „მაშველი“, რომელიც ნებისმიერ რთულ სიტუაციაში ჩემთან გაჩნდებოდა, რამდენი რთული მომენტი მქონია უნივერსიტეტში წლების განმავლობაში და ყოველთვის მფარველი ანგელოზივით გამოჩენდებოდა ხოლმე; რომ მეგონა მორჩა, არაფერი გამოვა, ყველაფერი ბრუნდებოდა სასიკეთოდ.

წელს ვამთავრებ უნივერსიტეტს და მთელი ცხოვრება ვიქნები მისი მადლიერი, როგორც ადამიანისა და ლექტორის. მე ჩემი წილი ტარიელ ფუტკარაძე დავკარგე; დარწმუნებული ვარ, ის რომ ცოცხალი იყოს, ბევრი რამ იქნებოდა უკეთესი და მშვენიერი. ბედნიერი ვარ, მე მას ვიცნობდი, მერქვა მისი სტუდენტი; მე ხომ „ტარიელის გოგო“ შემარქვეს, რადგან ყველამ იცოდა ჩემი განსაკუთრებული დამოკიდებულება მისადმი. მე მჯერა, რომ მისი იდეები ჩვენში, მის სტუდენტებში, ცოცხლობს, იკვირტება და ერთ დღესაც გაიშლება და ფრთებს გამოიბამს. მე ვამაყობ, რომ მისი სტუდენტი მქვია!

## თურნა ჯალალონია

\*\*\*

ძალიან რთულია ისაუბრო ბატონ ტარიელზე ნარსულ დროში... აზრების შეჯერება, ჩამოყალიბება, მეტად უჩვეულოა, ვიდრე იდესმე. ვწერ, ვფიქრობ, ვიხსენებ... ვცდილობ მოვუყარო ქაოტურად არეულ აზრებს თავი, რადგან მიწევს მოგონებების ერთ ფურცელზე გადმოტანა, თუმცა სრულყოფილად მაინც არ გამომდის, ძხელია ერთბაშად იმ ძვირფასი წუთების აღწერა/განთავსება, რასაც ვიღებდით თითოეული ადამიანი... იყავით მეგზური, რომელიც გზას კელაპტრით გვინათებდით, ასეთად დარჩით სამუდამოდ, თუმცა ახლა მხოლოდ ერთი განსხვავებით, ზეციური საქართველოდან გვიცერით და მანდედან გვადევნებთ თვალს... ვასრულებ თქვენს ბოლო სურვილსაც, რომელსაც ვერც კი ვიფიქრებდი თუ ბოლო იქნებოდა; თქვენი წასვლით ძალიან დიდი სიცარიელე და გაუგებრობა დამიტოვეთ, რომლის გაანალიზებაც დღემდე რთულია; თქვენ მასწავლეთ ცხოვრებასთან მედგრად დგომა... მოგონებები ძალიან ბევრი და განსაკუთრებულია, ხშირად ვფიქრობ ხოლმე, რომ არა თქვენ, რა იქნებოდა?! ვიქნებოდი ისეთი, როგორიც დღეს ვარ?! ვიგრძნობდი იმ დიდ სიყვარულს ტაო-კლარჯეთში მცხოვრები ქართველების მიმართ?! პასუხი კითხვაზე ძალიან მარტივია, რა თქმა უნდა, არა! კითხვებიც ძალიან ბევრია, თუმცა პასუხი იგივეა...

მინდა გავიხსენო ერთი ფრაგმენტი, სადაც კარგად ჩანს ბატონი ტარიელის მზრუნველობითი ხასიათი, რომელსაც ასე უშურველად ანანილებდა ყველას მიმართ: 2015 წლის ტაო-კლარჯეთის ექსპედიცია, ერთ-ერთი გამორჩეული ეტაპია ჩემთვის და ექსპედიციაში მონაწილე თითოეული ადამიანისთვის. აგვისტოს თვეში თოვლის ნახვით აღფრთოვანებული – მე და ჩემი მეგობარი – გავთამამდით და ხელჩაჭიდებული დავეშვით თოვლიანი ფერდობიდან, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან დაახლოებით 2900 მეტრია; ვერ შევიმაგრეთ თოვლში თავი, მოგეხსენებათ, როგორი რთულია, თან რომელი გამოცდილი მოციგურავეები ჩვენ ვიყვით. ქვევით კი წვეტიანი ქვები და ლოდები გვიცდიდნენ, თუმცა, ბატონი ტარიელი, რისი ბატონი ტარიელია, დაგვიჭირა (როგორ, რანაირად, დღემდე ვერ ვხსნი) ორივე ერთად ისე, რომ ერთი

წუთითაც არ დაფიქრებულა საკუთარ სიცოცხლეზე, (ეს, ალბათ, ნიჭია, რომელიც მხოლოდ ერთეულებს უბოძა უფალმა). ყოველ-გვარი დაზიანების გარეშე გადაგვარჩინა, თვითონ კი ერთი თვე ჩაშავებული ჰქონდა თვალი... (ახლა ადვილია ამის თქმა, მაგრამ რა განვიცადე, ახლაც მახსოვს). კიდევ აქეთ გვამხნევებდა... აქ, მგონი მეტის თქმას აზრი არ აქვს, ისედაც ყველაფერი ნათელია. ბოლოს ჩემი მეგობრის სიტყვებს მოვიშველიერ: „მორალი: იქ, სადაც ბატონი ტარიელია, ნურაფრის გეშინიათ“.

ყველა ადამიანი ძლიერია, თუმცა, ბატონ ტარიელს ამ სიძლიერის სხვაზე გადაცემის უანგარო ნიჭი ჰქონდა, ყველას უანგაროდ გვაშველებდა ხელს და ეს ფაქტი ერთ-ერთი მომენტია მოცემული 2015 წლის ექსპედიციიდან, რომელიც ახლა ორმაგად ძვირფასი და დასამახსოვრებელია...

მადლობა ყველაფრისთვის: მასწავლებლობისთვის, მეგობრობისთვის, მამობისთვის, სიყვარულისთვის, გამხნევებისთვის...

## ფოტოსურათები

---

---





თეიმურაზ გვანცელაძე, ამირან არაბული, ტარიელ ფუტკარაძე



ტარიელ ფუტკარაძე, თამარ გელიოტაშვილი



მიხეილ ლაბაძე, კესო გექუა, ტარიელ ფუტკარაძე, სოფიო კეკუა



სერგო ვარდოსანიძე, ტარიელ ფუტკარაძე



ნერიმან ალბაირაქი, ტარიელ ფუტკარაძე, ეკა დადიანი  
(სიმბოლური ფოტო: იმ ეტაპზე ბოლო და პირველ დოქტორანტს შორის)



ნინო ზაალიშვილი, ტარიელ ფუტკარაძე



ტარიელ ფუტკარაძე, თინათინ მილორავა



დიმირტი ნადირაშვილი, ტარიელ ფუტკარაძე



საიდ მულიანი, ტარიელ ფუტკარაძე



ტარიელ ფუტკარაძე, თამარ ნინიძე



რუსულან სალინაძე, ტარიელ ფუტკარაძე



ტარიელ ფუტკარაძე, მანანა ტაბიძე, თეიმურაზ გვანცელაძე



გიორგი სოსიაშვილი, ტარიელ ფუტკარაძე



ტარიელ ფუტკარაძე, რიტა წაქაძე



ეკა დაღიანი, ლუიზა ხაჭაპურიძე, ტარიელ ფუტკარაძე, მაია მიქაელაძე



ტარიელ ფუტკარაძე, თამარ ახალგვაცი



სერგო ვარდოსანიძე, ტარიელ ფუტკარაძე, ლევან ჯიქია



ტარიელ ფუტკარაძე, დუდი კვალიაშვილი



ტარიელ ფუტკარაძე, თეა ვარდოსანიძე



ტარიელ ფუტკარაძე, მარიამ იაკობაშვილი



გაბრიელ თაგაური, ტარიელ ფუტკარაძე



სალომე მათიაშვილი, ტარიელ ფუტკარაძე



ანა მამუკაშვილი, სერგო ვარდოსანიძე, ტარიელ ფუტკარაძე



ტარიელ ფუტკარაძე, თამარ მილორავა



ტარიელ ფუტკარაძე, თეონა მაჭავარიანი



ლექცია მზის გულგე



ხატია ნობაძე, ტარიელ ფუტკარაძე



ანა პაპუნაშვილი, ტარიელ ფუტკარაძე



ტარიელ ფუტკარაძე, მარიამ პაპაშვილი



ტარიელ ფუტკარაძე, მაკა სირაძე



მაია ქავთარაძე, ტარიელ ფუტკარაძე



მარიამ შალაშბერიძე, ტარიელ ფუტკარაძე



\*\*\*\*\*



\*\*\*\*\*



ტარიელ ფუტკარაძე, ანი ცუხიშვილი



ნაზი სუციშვილი, ტარიელ ფუტკარაძე



თეიქონია ჭანტურია, ტარიელ ფუტკარაძე



ტარიელ ფუტკარაძე, თეონა ჯალაღონია

## სანამ ჩირუხი დაინისლება

რედაქტორები: გაბრიელ თაგაური

ანა მამუკაშვილი

ანი ცუხიშვილი

გარეკანის დიზაინი: მანანა ყიფშიძე

გამომცემლობა „საარი“



ჩვეოთის მთავარია გადინირები სიმარტისა და  
არა კონიცენტრია! საეჭვო საგადინირო მცალაზერის  
არაუცნობს ჩამოაზრება ცხრა და კვერანას.

დაზღაცა პიროვნების სახვა; ჩაღურ ძმის ცნას და ცნა  
ძმის ცნს; სახალმოწოდო ცნა ძველის ღირსების საზომისა.

მარცხი სუსტს არაზურაპას, ძლიერი სულისას კი არაა  
მოჰქონდალის არავას უფრო ძირზე ჩაარცვებისთვის.

ეფუძნ რჩებოდა ერთგინს მოადიოდ იგირია, უიმარება კი  
ჩარჩია; აუ აესიმისამ - მოკლე ტზა ციცაზილებისან  
/და არა განდაცვალებისკან/.

შავივალი სიმუშავის არსებობის მეოდენიდ იმისათვის,  
ვინც შავისავალს ვიწ ხადავს.

თარიღი ურთიარესი

ISBN 978-9941-493-12-6



9 789941 493126